ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 30 აპრილი 2010 №9 (113)



ლიანა ელიავას კინემატოგრაფიული ჩანაწერები

შოთა ბოსტანაშვილი ჯემალ აჯიაშვილზე

დათა მიქელაძე — სპექტაკლის გმირადაც

გივი ალხაზიშვილი კატო ჯავახიშვილზე

ბაგრატიონთა საქმის აღმსრულებელი

მწერალი და ზნეობრივი წარმოსახვა

წინასწარრწმენის სიბრძნე

ჯეიმს ტარბერის ნოველა

რეზო ესაძის ლექსები

შინაარსი

ერი და ბედისწერა	2	პაატა ჩხეიძე **მწერალი და ზნეობრივი წარმოსახვა**
ჩვენი ყოფა, წუთისოფელი	4	ვაჟა შუბითიძე **ინტელექტუალური ჰერმეტულობა ანუ ახალი ადამი(ანი)**
ექსპრეს-ინტერვიუ	7	**ნოდარ მგალობლიშვილი „საქართველოს მიტოვება გამიჭირდებოდა“** (მოამზადა ნატა ვარადამ)
პროზა	8	**ეკა ფხალაძე ცდუნება**
	13	**დავით ქართველიშვილი ზაფხული**
გამოხმაურება	17	**ნინო ჩხიკვიშვილი ჩემო კარგო ქრისტინე!** (ღია ბარათი ქრისტინე ბებიას)
პოეზია	18	**რეზო ესაძე სამშობლოს და სხვა ლექსები**
ეპისტოლე	19	**ეთერ ბარელაძე სადღეგრძელო არ დაგვაქცევს**
პოეზია	20	**გია კობახიძე სიტყვა — ცხოვრების სათავე**
	23	**ზაზა ბიბილაშვილი წელიწადი, როგორც ერთი დღე** (დღიურები — 20..)
უცხოეთის ცხოვრებიდან	25	**ედმუნდ ბერკი წინასწარწმენა, რელიგია და ანტაგონისტური მსოფლიო**
შეხვედრა	29	**ელისო კალანდარიშვილი თარგმანი, როგორც ანექსია** (გია ჯოხაძის იოსიფ ბროდსკი)
ევროპის გზებზე	30	**ვენერანდა პალადინო ბესიკ ხარანაულის გზავნილი** (გაიუს ვალერიუს კატულუსი, „ლექსების წიგნი“)
მოგონებათა სკივრი	31	**ქეთევან ტომარაძე გაცნობა**
დღიურის ფურცლებიდან	36	**საბა სულხანიშვილი დათა მიქელაძე — სპექტაკლის გმირადაც**
	37	**იოსებ ჭუმბურიძე ქუთაისიდან წყალტუბომდე გაფანტული ნისლი**
რეპორტაჟი	39	**ეკა ბუჯიაშვილი ბაგრატიონთა საქმის აღმსრულებელი** (არჩილ ჯორჯაძის სამარესთან)
ესეისტიკა	41	**შოთა ბოსტანაშვილი აიექა?** (სიტყვა ჯემალ აჯიაშვილის პოეზიაზე)
შემოქმედებითი პორტრეტი	42	**ნოდარ გურაბანიძე გოგი ალექსიძე ბალეტის ცვალებად სამყაროში**
კრიტიკა	49	**ვალენტინა ხაზალია სიტყვა და ხაზი** (გუჩა კვარაცხელიას ახალი პოეტური კრებული)
	52	**გივი ალხაზიშვილი ძიების და გარდასახვის პროცესი** (კატო ჯავახიშვილის პოეტური თვითდაკვირვება)
კინო	54	**ლიანა ელიავა კაცია და გუნება**
ახალი წიგნები	56	**ვაჟა ხორნაული „უსასრულობა ეძებს ნაპირებს“**
	58	**გივი გამრეკელი დიდოსტატის მასტერკლასი**
უცხოური ნოველა	59	**ჯეიმს ტარბერი მისტერ ფრებლი ცოლს გაურბის**
ნაკვესები	61	**მახვილსიტყვაობის ნიმუშები**
მოზაიკა	63	**დაკარგული ბარათები**

ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი **„ილიონი“**

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – **(995 32) 96_20_62**

რეკლამა – **(995 93) 65_93_68**

გავრცელება – **(995 77) 11_24_30**

ფაქსი: **(995 32) 96_20_62**

E_mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**

პროზის რედაქტორი – **ივანე ამირხანაშვილი**

პოეზიის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე**

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**

მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია** დიზაინერი – **მალხაზ იაშვილი**

სტილისტ—კორექტორი – **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება – **თენგიზ რობიტაშვილი**

ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **ეკა ბუჯიაშვილი**

გავრცელების სამსახური – **ლევან კიკნაძე**

გარეკანზე: **ეკა ფხალაძე, გიორგი გეთიაშვილის ფოტოეტიუდი ბორჯომის ხეობა**

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 14 მაისს

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

პაატა ჩხეიძე

მწერალი და ზნეობრივი წარმოსახვა

პლატონი თავის იდეალურ სახელმწიფოში პოეტებისათვის ადგილს ვერ პოულობდა — თვით ჰომეროსისთვისაც კი — რადგან იცოდა, რომ მათი შემოქმედება მოქალაქეების ზნეობრივ გადაგვარებას გამოიწვევდა. მას შემდეგ განვლილმა ასწლეულებმა და ათასწლეულებმა დაამტკიცა, რომ პლატონი მართალი იყო და თვით უდიდეს პოეტთა (და პროზაიკოსთა) თხზულებანი ხელს არ უწყობს ადამიანის ზნეობრივი წარმოსახვის დახვეწასა და განწმენდას.



არ მახსოვს, XX საუკუნის მეორე ნახევრის ყველაზე პოპულარული ქართული რომანი გამოირჩა თუ არა „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე, მაგრამ თუ მე მკითხავენ, უყოყმანოდ ვიტყვი, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის უპოპულარულესი რომანი, ჭაბუა ამირეჯიბის თხზულება „დათა თუთაშხია“ გახლავთ-მეთქი.

მეორე ადგილზე, კვლავ ჩემი აზრით, გურამ დოჩანაშვილის პოსტმოდერნული იგავი „სამოსელი პირველი“ უნდა იყოს.

ყურადღება მიაქციეთ, რომ პირველ და მეორე ადგილებს პოპულარობის მიხედვით ვანიჭებ და არა მხატვრული ღირსებებისა და მნიშვნელობის გამო; ასეთი რამ, ამ წერილში მიზნად არც დამისახავს.

ორივე რომანი მიყვარს. ეგებ ყველაზე ძალიან არა, მაგრამ ხშირად ვუბრუნდები, ვკითხულობ, თითქმის ზეპირად ვიცი; ძალდაუტანებლად მეწვევიან ასოციაციებად საყვარელი პასაჟები და ვიყენებ წერისას, ლექციის კითხვისას თუ მუსაიფისას.

საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა; თექვსმეტ საუკუნეზე მეტია მართლმადიდებლები ვართ და, მაშასადამე, ჩვენი მსოფლხედვა მართლმადიდებლურ-ქრისტიანული უნდა იყოს. მუსლიმური, შიიტური თუ სუნიტური, ნაკადები ხშირად იჭრებოდა — აგრესიულადაც, ქართულ სააზროვნო თუ ზნეობრივ სივრცეში და საგრძნობი კვალი დატოვა. თითქმის მთელი XX საუკუნე, არა თუ სეკულარულ, არამედ ათეისტურ რეჟიმში ვიცხოვრეთ და ამან სულ დაანგრია ჩვენი ზნეობა.

სეკულარულ საზოგადოებასა და ათეისტურ რეჟიმში ცხოვრებისას, მხსნელად ილიას შეგონება — „მამული, ენა, სარწმუნოება“ — და არჩილ ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის“ თეორია (ილიას კვალზე) მოგვევლინა. ეს იყო ერთადერთი ფარი, რითაც მარქსიზმ-ლენინიზმისაგან ვიცავდით ეროვნულ ზნეობას XX საუკუნეში. სწორედ ამიტომაც გასული საუკუნის გამორჩეული ლიტერატურულ-ფილოსოფიური თხზულებანი და მათ ავტორთა მსოფლმხედველობა ილიას მსოფლმხედველობისა და მარქსიზმ-ლენინიზმის კონტექსტში უნდა განვიხილოთ — ილია vs მარქსიზმ-ლენინიზმი — და შევაფასოთ; რა თქმა უნდა, ამ ჩარჩოში მკაცრად ჩაკეტვა შეზღუდავს კრიტიკულ თვალსაწიერს და ამიტომ მეთოდურად გაუმართლებულია, მაგრამ რაკი ღრმა და მრავლისმომცველი კვლევის ჩატარებას არ ვაპირებ, ვფიქრობ, ერთ-ერთი წარმმართველი უნდა იყოს ამ ლიტერატურულ დროსა და სივრცეში.

ქართველებს, და არა მარტო ქართველებს, გვიყვარს „კეთილშობილი“ ყაჩაღები და გვირჩევნია უკრიტიკოდ ვგულშემტკივრობდეთ. ამის დასტურია არსენას დიდებული ეპოსი და მისი ძეგლი მცხეთაში, მაცი ხვიტია, ხარება და გოგია... და საყვარელი ლიტერატურული გმირი დათა თუთაშხია.

დათა თუთაშხია ტიპიური აბრაგია, ძლიერი, უშიშარი, ფიცხი, თავგადასავლების მოყვარული, თავნება და კანონის არადჩამგდები; ამავე დროს მოხდენილი, კეთილი, გარკვეული განათლებისა და ზნეობრივი პრინციპების მქონე, სანდო მეინახე და სასიამოვნო მოსაუბრე.

თუთაშხიას არ მოსწონს რუსთხელმწიფის კანონები და არ ეპუება მას. საგულისხმოა სხვა რომელიმე სახელმწიფოს, თუნდაც დამოუკიდებელი საქართველოს, კანონები თუ მოეწონებოდა? ალბათ, ისიც არა.

მაგრამ, არსენასი არ იყოს, არც სახარებისეული კანონები უნდა მოსწონდეს, რაკი არც მათ იცავს, ზედმიწევნით; იცავს კი არა, არღვევს: კლავს, იპარავს და მრუშობს. მაგრამ თუთაშხია აბრაგია, დევნილი, უუფლებო, მოკვეთილი და მისი შეფასება ჩვეულებრივი ადამიანური სტანდარტებით შეცდომაც არის და უსამართლობაც. და ჩემი მიზანიც პერსონაჟის გასამართლება კი არ არის, არამედ ავტორის ზნეობრივი წარმოსახვისა და მსოფლმხედველობის შეფასება.

ავტორი თავის მომხიბვლელ გმირს ჯერ პრიმიტიულ ექსპერიმენტებს ატარებინებს ადამიანებისა და საკუთარი თავის შესაცნობად, მერე თბილისის ელიტარულ საზოგადოებაში შეჰყავს და ბოლოს ციხეში ჩასვამს.

ექსპერიმენტები ზოგადადამიანური ხასიათის კონკრეტული გამოვლინებანია და ორიგინალურობას გმირის კოლორიტული პიროვნებისა და ხასიათის მეოხებით იძენს.

თბილისის მაღალ საზოგადოებაში მოხვედრილი თუთაშხია ქართველი ერის ბედზე ჩაფიქრებულ, მაძიებელ კაცად წარმოგვიდგება და მოძღვარიც გამოუჩნდება. ვინმე სანდრო კარიძე, მას და მის მეგობრებს შეაგონებს, ზნეობა და ფუნქცია დავკარგეთო; ზნეობის დაკარგვა იქვე შეიძლება ვიხილოთ, სუფრაზე, რომელსაც შემოსხდომიან: ფილოსოფოსი, ყაჩაღი, თავზეხელაღებული ოფიცერი, რევოლუციონერი და ცნობილ ყაჩაღთან მოფლირტავე არისტოკრატი ქალბატონი. ფუნქციის დაკარგვაც ცხადია —

დამპყრობმა ჩამოგვართვა ფუნქცია და თვითონ ახორციელებს (უნდა აღვნიშნო, რომ სანდრო კარიძე სხვაგვარად ხედავს ფუნქციის დაკარგვას). ამრიგად, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ სერობაზე შეკრებილი მეგობრები მივიდნენ ილიას გზამდე და მსჯელობენ, თუ როგორ აღადგინონ ერის ზნეობა (ენა და სარწმუნოება) და ფუნქცია (მამული).

ახლა უკვე მწერალზე იყო დამოკიდებული, თუ საით წაიყვანდა გმირს და რას აღასრულებინებდა. და რაოდენ სამწუხაროა, რომ მწერალმა მოძღვარი, სანდრო კარიძე, ლენინისადმი სიმპათიით განმსჭვალა და რევოლუციის მოხდენით გამოწვეულ ეიფორიასა თუ აღფრთოვანებაში ამოჰხადა სული, გმირი კი ციხეში ჩასვა, სადაც რევოლუციონერებს დაუკავშირა (მანამდეც მეგობრობდა მათთან) და ამბოხებაში (რევოლუციაში) მიაღებინა მონაწილეობა.

დათა თუთაშხიაზე მსჯელობისას ვერ დავივიწყებთ მის მამიდაშვილსა და ანტიპოდს, მუშნი ზარანდიას, მეფის ჟანდარმერიის მაღალჩინოსანს, მტკიცე ზნეობრივი და მსოფლმხედველობრივი პრინციპების მქონე ადამიანს. ზარანდია ნიჭიერი კაცია, თავისი შესაძლებლობების გამოცდა სურს და მეტად მაღლა ადის კარიერის კიბის საფეხურებზე.

თუ სხვა თვალით შევხედავთ მოვლენებს, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ზარანდია უფრო ახლოა ილიას მსოფლმხედველობასთან, ვიდრე სხვა ზემოთნახსენები პერსონაჟები, მარქსისტი რომ არ არის, ხომ ცხადია! რომანში იგი ხშირად ახსენებს ქართველ ერს და მის ერთგულებაზე დებს თავს, თუმცა შეახსენებენ, რომ დამპყრობლის სამსახურში ყოფნა ამის შესაძლებლობას არ მისცემს, მაგრამ მის სასარგებლოდ ის მეტყველებს, რომ კარგად იცნობს ადამიანის ბუნებას, კაცობრიობის ისტორიას, პრიმიტიულ ექსპერიმენტებზე დროს არ კარგავს და ჭვრეტს იმ უბედურებას, რაც რევოლუციამ უნდა მოუტანოს მთელ იმპერიასაც და მის სამშობლოსაც; ამიტომაც დგას, სადაც დგას, და არა იმიტომ, რომ მზაკვარი და ბოროტი ადამიანია.

დათა თუთაშხიას გადაბირებას ორი მხარე ცდილობს — ზარანდია და რევოლუციონერები. თუთაშხია ამ უკანასკნელებს არჩევს, გატეხს მამიდაშვილისადმი (ჟანდარმერიისადმი) მიცემულ სიტყვას და ციხიდან გაიქცევა; ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ სიკვდილს მიუსჯიან და თანაც საშინელ, მზაკვრულ სიკვდილს.

რატომ მოიქცა ასე მწერალი? რატომ დააზარალა გმირის ამაღლებული და მომხიბლავი სახე? დააზარალა არა უბრალო მკითხველის თვალში (რომანი ბესტსელერად რჩება), არამედ ეროვნული ლიტერატურული კრიტიკის სამსჯავროს წინაშე.

მარტივი და დღეს გავრცელებული ახსნა გვეტყვის, ავტორი ასე იმიტომ მოიქცა, რომ საბჭოური კონიუნქტურის ტყვეობაში იყო, სურდა ნაწარმოები დაებეჭდა, მასზე ფილმი გადაეღოთ, ამის შემდეგ კი სახელმწიფო და რუსთაველის პრემიები მიეღოო...

მე ვიტყვი, რომ მწერალი ასე იმიტომ მოიქცა, რომ სხვაგვარად ვერ წარმოედგინა!

გულით, სულით, შეგნებით ილიას გზის გამგრძელებლად მიიჩნევს თავს, მაგრამ ბოლომდე არ იცის თუ რომელია ილიას გზა, მასზე ისევე ახდენს ზეგავლენას და ისევე უბნევს გზას მარქსიზმი, როგორც ილია დააბნია, თავის დროზე, ლიბერალიზმმა; როგორც მთელ მსოფლიოსა და ქართულ საზოგადოებას დაუბნია გზა იაკობინიზმმა და მარქსიზმმა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში და, როგორც ჩანს, არა მარტო დასაწყისში, არამედ ბოლოშიც.

სწორედ ამიტომ არის წინააღმდეგობრივი გმირი დათა თუთაშხია. ტიპური ქართველი, ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი, კონსერვატული განწყობის კაცი, მრავალი წლის ძიების შემდეგ თავის ადგილს მარქსისტებსა და რევოლუციონერებს შორის რომ იპოვის.

და არა მგონია, უნამუნოს პერსონაჟივით, თვითონ აერჩიოს ეს გზა, იგი მწერალმა ატარა ამ გზაზე და მწერალმა აარჩევინა, რადგან ასეთი იყო მწერლის ზნეობრივი წარმოსახვა.

მძიმე გზას გაივლის გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველის“ გმირი — დომენიკო.

დომენიკო ყმაწვილი კაცია, სუსტი და უნებისყოფო, უცოდინარი და უპრინციპო ანუ ცომია, როგორც მწერალი ახასიათებს. დომენიკოს ეპატარავება თავისი სოფელი, ოცნებობს უცხო ქალაქების ნახვაზე და გზას გაუდგება.

იგი მამის პატრიარქალური სახლიდან გამოდის, სადაც ხელუხლებლადაა შენახული ბუნებრივი წესრიგი, წინასწარრწმენები, ადათები, იერარქია და მორჩილება. დომენიკო მოივლის ლამაზ ქალაქს (რომელიმე პროვინციულ ქალაქი, საქართველოსი), სამფენოვან კამორას (თბილისი) და კანუდოსს (ოცნების ქალაქი). ბოლოს, ცხოვრების შეცნობის, ტანჯვის გამოვლისა და სულიერი განწმენდის შემდეგ მაღალ სოფელში ესქატოლოგიური დაბრუნების ღირსი გახდება.

ლამაზ ქალაქში დომენიკო ქეიფობს, დროს ატარებს, ქალს ეტრფის, ცოლს შეირთავს და პირველ ნამდვილ ტკივილს გამოსცდის. კამორაში იგი ტყვეა და ტოტალიტარული რეჟიმის ყველა გარსს გამოივლის. კანუდოსი მისი ამქვეყნიური ნავსაყუდელია. იგი მიისწრაფის კანუდოსისაკენ, სურს გახდეს იქ ცხოვრების ღირსი, ეამაყება კანუდოსის მოქალაქეობა.

კანუდოსი მონობიდან გამოქცეულმა ადამიანებმა დააფუძნეს. მას ბუნებრივი ზღუდე არტყია გარს. მასში შესვლა, თუ არა ღალატით, შეუძლებელია.

ყოველთვის ვფიქრობდი, და დღესაც ვფიქრობ, რომ ეს საქართველოა, დამოუკიდებელი საქართველო, მითუმეტეს, რომ დამარცხება ელის წინ, საკუთარ მოქალაქეთა უგუნურების გამო. მაგრამ როგორია ეს საქართველო? როგორი საქართველო წარმოუდგენია მწერალს?

ეს გახლავთ უტოპია, პანტისოკრატია, ან კიდევ, რომელიც გნებავთ, ოცნების ქალაქი. იქ ყველა თანასწორია და სიამტკბილობაში ცხოვრობენ. ხალხის წინამძღოლია ქარიზმატული კონსელეირო. მან მოუწოდა ხალხს, არ მოეთმინათ ექსპლოატაცია, ამბოხებულიყვნენ, და წინაც გაუძღვა.

ერი და გედისწერა

ქალაქს არ გააჩნია ფესვები, ისტორია, წარსული, კანონები, სასამართლო, რელიგია, ეკლესია... ყველაფერი კონსელეიროს არაჩვეულებრივ ნიჭსა, ცოდნასა და უნარზეა დამოკიდებული. ამრიგად, ქალაქში არ არის თავისუფლება, ანუ ცხოვრება ტრადიციისა და რელიგიის ჩარჩოში.

ეს არის ის, რასაც წმინდა დემოკრატიას უწოდებენ ფილოსოფოსები და რაც აუცილებლად გადაიზრდება დესპოტიზმსა და ტირანიაში.

ამრიგად, აქაც ვერ ვხვდებით ილიას მსოფლმხედველობას. აქ უფრო უტოპიური სოციალიზმისა და, ისევ და ისევ, მარქსიზმის სუნი ტრიალებს. გურამ დოჩანაშვილის შემთხვევაში საბჭოური კონიუნქტურა თითქმის გამორიცხულია. იგი სრულიად გულწრფელად წერს, ასე ხედავს, ასეთია მისი ზნეობრივი წარმოსახვა.

ვიცოდი, რომ უნებურად გულს ვატკენდი ჩემთვის პატივსაცემ, ღვაწლმოსილ მწერლებს, მარქსისტულ გავლენაზე რომ მივუთითე და ილიას გზიდან აცდენა მივანიშნე, მაგრამ მაინც გამოვთქვი ჩემი აზრი, რადგან მწამს, რომ ამ თემაზე მსჯელობა ღირს, ღირს თვით ილიას კრიტიკაც, რადიკალურ-ლიბერალური ნაკადის გამო მის შემოქმედებაში, და საჭიროა დიდი მწერლების შემოქმედების მრავალმხრივი, პირუთვნელი შეფასება. თუ ამ მსჯელობაში გავმტყუნდები, მორჩილად მივიღებ საყვედურსაც და სასჯელსაც.

და მაინც, ვფიქრობ, რომ პლატონი მართალი იყო.

ჩვენი ყოფა, ნუთისოფელი

ვაჟა შუბითიძე

ინტელექტუალური ჰერმეტულობა ანუ ახალი ადამი(ანი)

ყოველმა განათლებულმა ადამიანმა კარგად იცის ბრწყინვალე ესპანელი მოაზროვნის ხოსე ორტეგა ი გასეტის მონოგრაფია "მასების ამბოხი" (1935წელს დამთავრებული ეს თხზულება ქართულად თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ და გამოიცა 1993წელს) სადაც ავტორი გაბედულად ამხელს უკვე აღვირახსნილ და დეგრადირებულ მასის ადამიანს (ან ადამიან-მასას), აანალიზებს მისი წარმოშობის მიზეზებს და იძლევა მის მახასიათებლებს.

ამ არსებამ გლობალიზაციის (გაერთფეროვნების) უკანასკნელი საფეხურისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის (2007-2010) ფონზე კიდევ უფრო მეტი დეგრადირება განიცადა. ფაქტობრივად გამოიკვეთა ახალი ადამი(ანი), რომლის უმთავრეს მახასიათებლად იქცა ინტელექტუალური ჰერმეტულობა, სიხარბე, უპასუხისმგებლობა და უზნეობა. ეს ყველაფერი ვლინდება როგორც მდიდრებში, ასევე ღარიბებში, ელიტაში თუ რიგით ადამიანებში, მმართველებში თუ მართულებში, ქალში თუ კაცში.

ესაა ახალი ადამი, რომელმაც თვითშეფასების უნარი დაკარგა (როგორც კარგი, ისე უარყოფითი კუთხით), ვინც თავის თავს აღიქვამს ისეთად, როგორიცაა ყველა და ეს ოდნავადაც არ მიაჩნია სათაკილოდ. დღეს თვით ელიტარულ ჯგუფებშიც კი ასეთი ადამიანები ჭარბობენ. მაგალითად, ინტელექტუალთა წრეში, რომელნიც თავიანთი არსით მოწოდებულნი არიან მაღალი განვითარების დონის ადამიანებად გვევლინებოდნენ, ჩვენ სულ უფრო და უფრო მეტ ფსევდოინტელექტუალს – არაპროფესიონალებსა და ცრუკომპეტენტურ ხალხს ვხედავთ (ამაზე მე ჯერ კიდევ 1993 წელს გაზეთ "რუბიკონში" მოთავსებულ ჩემს ესეიში – "ცრუნი და ცრუთა ქვეყანა" – ვწერდი).

ახალმა ადამმა გადაწყვიტა წინა პლანზე გადანაცვლება და ყოველივე იმის დაუფლება, რაც ადრე რჩეული უმცირესობის (გინა ნამდვილი ელიტის) კუთვნილება იყო. ისინი მარტო განცხრომა-დროსტარებაში როდი ეჯიბრებიან ელიტას, არამედ ცხოვრების ყველა სფეროში ცდილობენ დაწინაურებას.

რეალურად, პოლიტიკური ძალაუფლება, კარგა ხანია, მათ ხელშია. ილუზია, რომ ისინი დაიღალნენ და ხელისუფლებას მართლაც ღირსეულებს გადააბარებენ, უკვე გაქრა. სწორედ ახალმა ადამმა აქცია პოლიტიკა სარფიან ბიზნესად (დაუკვირდით, რა უფერული პიროვნებები მართავენ მსოფლიოს ქვეყნებს ბოლო ათწლეულებია).

ასეთივე სურათია ცხოვრების სხვა სფეროებშიც. ინტელექტუალური სფერო განსაკუთრებულ კრიზისსა და დეკადანსს განიცდის – ცუდ დღეშია მწერლობა, ხელოვნება, მეცნიერების უმეტესი (განსაკუთრებით ჰუმანიტარულ-სოციალური) დარგები.

ახალი ადამი ამ სფეროშიც გამოჩნდა და თავის "წონად" სიტყვას ამბობს. ვინც ისეთი არაა, როგორც ყველა, ვინც ისე არ ფიქრობს, როგორც ყველა, თავს დიდ საფრთხეში იგდებს ფიზიკური თვალსაზრისითაც (აკი ამბობენ ამერიკელები, უხამსობაა სხვებისგან გამორჩეული იყოო. ამიტომ წერდა ორტეგა ი გასეტი, რომ "ამერიკაში ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების ნიღაბქვეშ იმალება პირველყოფილი ხალხი").

ახალი ადამი – გუშინ ეს რიგითი ჯარისკაცი დღეს გენერლად იქცა. საზოგადოება ახლა მხოლოდ გენერლებისგან შედგება. თავისი აგრესიული ენერგიულობით, სიხისტით, სითამამითა და უტიფრობით ახალი ადამი ნირშეუხრელად მიჯირითობს ცხოვრების ასპარეზზე, ცდილობს თავისი აზრი მოახვიოს სხვებს (მათ შორის, მასზე მცოდნე და ზნეობრივ პიროვნებებს) და რაც შეიძლება მეტი წაჰგლიჯოს ცხოვრებას.

ტექნიკისა და კომუნიკაციის არნახულმა განვითარებამ ახალ ადამს დაკმაყოფილების ყველა შანსი მისცა და

ამ თვითკმაყოფილებამ გააჩინა მასში შინაგანი ლპობის ბაცილა. სწორედ ამ სიუხვის ეპოქამ გადააგვარა ეს ჩვენი ადამი (ამიტომ წერდა ორტეგა ი გასეტი, რომ "ადამიანები სწორედ ე.წ "სიუხვის" ეპოქაში გრძნობენ თავიანთი არსებობის განსაკუთრებულ სიმწირეს და სიცარიელეს").

ახალი ადამი მხოლოდ დღევანდელი დღითა ცხოვრობს და საკუთარი თავისა და ოჯახის გარდა აღარაფერი და არავინ არ ადარდებს. იგი დანთქმულია დღევანდელობაში, ამიტომ მას აღარ იზიდავს წარსული (სპეციალურად რომ ავიწყებენ), რომელმაც ინტერესი დაკარგა ადამის თვალში. იგი მისაბაძ ნიმუშად წარსულს კი აღარ მიიჩნევს, არამედ დღევანდელობას. წარსული და აწმყო მკვეთრად გაიმიჯნა. გაქრა ტრადიციულობის სული.

ვასილი კანდინსკი *აბსტრაქცია*

ახალ ადამს აღარ სჭირდება წინაპართა ნორმები, წესები და ნიმუშები, ისინი ხელს უშლიან თავაწყვეტილ ცხოვრებაში. ახალი ადამი დღეს კოსმოპოლიტიზმისა და მსოფლიო მოქალაქეობისაკენ ისწრაფის. სადაც ის ფულს და სიმდიდრეს იშოვის და თან იოლ ფორმებში, მისი ბაღდადიც იქ არი. მას სამშობლო მხოლოდ სუფრაზე თუ გაახსენდება, ისიც შექეიფიანებულს და კარგად მუცელამოყორილს. წიგნიც აღარ სჭირდება მაინცდამაინც — კომპიუტერით და ინგლისურითაც იოლად გავა. ახალი ადამი ხანდახან ეკლესიაშიც წავა, ცოდვასაც მოინანიებს, ცოტაოდენ ქველმოქმედებასაც გასწევს, მაგრამ მის სულს ამით არაფერი ემატება — ყველა ცოდვას ისევ იმეორებს, ყველაფერი მოჩვენებითია.

ტექნიკის არნახულმა განვითარებამ ახალ ადამს გაუჩინა ილუზია, თითქოს ადამი(ანი) ყოვლისშემძლე იყოს. ამიტომ ეჩვენება წინა ეპოქები ჩამორჩენილად და უბადრუკად. იგი ხარბად მიელტვის მოქმედებასა და მოღვაწეობას (ხშირად აკრძალული ფორმით), თუმც არც იცის კარგად, რას მოახმაროს თავისი ძალა. მან დაიმორჩილა არაერთი და ორი მოვლენა, მთვარეზეც კი ავიდა, მაგრამ თავისი თავის პატრონი მაინც ვერ გახდა. ეს წყალწაღებული ადამი თანამედროვე ცივილიზაციის სიკეთეებს ხავსივით ებღაუჭება. აქედანაა გამოწვეული ახალი ადამის მახასიათებელი ქედმაღლობისა და დათრგუნვილობის ეს ნაზავი. ხშირად თავის ნიჭსა და უნარს საეჭვო ღირებულებებს ახმარს და ქონების მიუხედავად დაცარიელებულად გრძნობს თავს, იგონებს ახალ ცხოვრებისეულ გასართობებს და სიამოვნებებს და ამით დაცემის გზას ადგება – უკულტუროსა და ბარბაროსის ნიშნებს ავლენს (ამაზე მიუთითებს ნარკომანიის, ტრეფიკინგისა და პროსტიტუციის აყვავება).

დღეს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალაუფლება სწორედ ახალი ადამი(ანების) ხელშია და ეს ძალაუფლება იმდენად სრულია, რომ ჩანასახშივე აშთობს ნამდვილი (და არა მართული) ოპოზიციის ყოველნაირ შესაძლებლობას. მთავრობაც და საზოგადოებრივი ხელისუფლების ყველა ინსტიტუტიც მხოლოდ დღევანდელი დღით (ე.წ. "სახანძრო რეჟიმით") ცხოვრობენ. მათ არ გააჩნიათ მომავლის ნათელი პროგრამა (თუ ინსტრუქციებს სხვისგან არ მიიღებენ). ცხენივით მოასხდნენ ხელისუფლებას და არც აპირებენ რეალურად გადაჭრან ის პრობლემები, რომლებიც აწუხებთ თანამედროვე ადამიანებს. მათი ხელისუფლება ყოვლისმომცველი და ეფემერულია. მიუხედავად დიდი ძალაუფლებისა და შესაძლებლობისა, ახალ ადამს ცხოვრების არც ერთ სფეროში შემოქმედებითი საქმიანობის უნარი არ მოსდგამს.

ახალ ადამს ცხოვრება, ყველა მის გამოვლენაში, წარმოუდგენია როგორც ყოველგვარი აკრძალვისა და აღკვეთისაგან თავისუფალი. აღარ არსებობს არავითარი აკრძალვა (ტაბუ), არაფერი აიძულებს მას, ლაგამი ამოსდოს თავის ვნებებსა და პრეტენზიებს, ამბიციებსა და სურვილებს. ანუ ახალი ადამი განებივრებული ბავშვია, რომელსაც ყველაფერი გასდის. დაკარგული აქვს საკუთარი თავისა და ძალის შეფასების უნარი, ითხოვს სულ უფრო და უფრო მეტ კეთილდღეობას. საკუთარი თავის გარდა არავის ავტორიტეტს არ სცნობს (ან მოჩვენებითად აღიარებს).

ახალმა ადამმა დაუმსახურებლად მიიღო ეს პრივილეგიები და განცხრომას მიეცა (არადა, როგორც გოეთე ამბობდა, "განცხრომისთვის ცხოვრება პლებსსა სჩვევია. კეთილშობილი კაცი ცდილობს მაღალ მოთხოვნებსა და კანონებს დაუმორჩილოს საკუთარი სიცოცხლე"). ასეთი ცხოვრებით ახალმა ადამმა თავი "დილეგში" გამოიმწყვდია, თუმცა თავი სამყაროს ბატონ-პატრონი ჰგონია. იგი არა მარტო დაყრუდა, არამედ დაბრმავდა კიდეც და რეალური განსჯის უნარი დაკარგა. ესაა ამბოხება საზოგა-

დოების ინტელექტუალურ და მორალურ საწყისთა წინააღმდეგ, რასაც უმძიმესი შედეგები მოაქვს და მოიტანს მომავლისათვის. ცივილიზაციის სიკეთეების გახსნამ და დაუფლებამ ახალი ადამის სული დახურა. სულის ჰერმეტული შეუღწევადობა, ინტელექტუალური ჰერმეტულობა მისი უდიდესი უბედურებაა. მას სრულყოფილი ჰგონია თავი, აზრადაც არ მოუვა, ეჭვი შეიტანოს საკუთარ ძალებში, აღმოაჩინოს თავისი ნაკლოვანებანი. ეს ბრიყვი ამაყად თავაწეული მიაბიჯებს ცხოვრებაში და ამ გზაზე გადათქერავს უღირსსა თუ ღირსეულს. იგი ჯიუტი და სქელკანიანია (ანატოლი ფრანსი აკი ამბობდა, ბრიყვი უფრო საშიშია, ვიდრე ბოროტმოქმედი, რადგან მისგან განსხვავებით მოუღლელია და დაუცხრომელი, ამჩატებული და პარანოიდულია). ახალმა ადამმა ვულგარულობა და ზედაპირულობა ცხოვრების წესად აქცია. რატომ უნდა უსმინოს ჭკვიანებს, მან ხომ ყველაფერი იცის? (არადა, ვისაც სურს საკუთარი აზრი ჰქონდეს, ჭეშმარიტება უნდა უყვარდეს). მას არც სხვისი სიმართლის აღიარება ძალუძს და არც ის, რომ თვითონ იყოს მართალი. არსებობის უმაღლეს ფორმად დიალოგი გვევლინება, ახალ ადამს კი მაინც მონოლოგი ურჩევნია, რადგან დიალოგი აშინებს. მისი "იდეები" საკუთრივ აზრები კი არაა (განსაკუთრებით პოლიტიკაში), არამედ სიტყვებით გამოხატული სურვილები. ძალადობა მისი უმთავრესი და უკანასკნელი არგუმენტია. დღეს ცხოვრების ყველა სფერო ამ ახალ წესებს ("მცნებებს"), ან უფრო სწორად წესების უქონლობას, უწესობას ემორჩილება. აღარავის მოსწონს რაინდობა, აღარ ითხოვენ "კარგი ტონის" წესების დაცვას. ქალისა და კაცის ურთიერთობაც ამ უწესობას დაემორჩილა, გაუხამსდა და რომანტიკული და იდუმალი ელფერი დაკარგა (ამიტომაც წერდა ორტეგა ი გასეტი: "ადამიანი ცივილიზებული არსება აღარ არის, იმისდა კვალად, რაც უფრო ნაკლებ ანგარიშს უწევს მოყვასთა აზრს").

მართალია, ცივილიზებულია დღევანდელი სამყარო, მაგრამ არა მასში მცხოვრები ახალი ადამი. ის ვერც კი ამჩნევს, რომ ცივილიზებულ სამყაროში ცხოვრობს და ისე სარგებლობს მისი ყველა სიკეთით, როგორც ბუნების ნაყოფით და საჩუქრით. მისი უმთავრესი საზრუნავია ფუფუნების საგნების ხელში ჩაგდება და ტკბობა. სარგებლობს ცივილიზაციის ყველა სიკეთით, მაგრამ არაფერს აკეთებს მის შესანარჩუნებლად, რაც ცივილიზაციის დასასრულის დასაწყისი შეიძლება გახდეს.

ახალ ადამს ცა ქუდად აღარ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, ცდილობს ყველგან თავისი წესები, პრიმიტივიზმი და გარყვნილება დაამკვიდროს. მოსწონს ინტელექტუალებთან ურთიერთობა, მაგრამ გულის სიღრმეში ეზიზღება ისინი, ფარულად დასცინის მათ და თავის ხელქვეითებსაც ამას აიძულებს. ავტორიტარული რეჟიმი ურჩევნია დემოკრატიულ და სამართლიან წყობას. გატაცებულია სპორტით და აზარტული თამაშობებით, მოდით, საგანგებო ყურადღებას უთმობს თავის სხეულს — კვებას, ჰიგიენას, ამკვიდრებს ე.წ. "ვარსკვლავთა კულტს" სპორტში, კინოში, მუსიკაში, ათეულ მილიონებს უხდის სპორტის ვარსკვლავებს და ასჯერ ნაკლებს ნამდვილ ინტელექტუალებს. ახალი ადამი ყველაფერს მომხმარებლური თვალით უყურებს, აჩანაგებს და ანადგურებს ბუნებას, თავს არ გრძნობს ვინმესგან დავალებულად, ქუჩაშიც ისევე იქცევა, როგორც შინ, არასოდეს დაითრგუნავს რაიმე ჟინს. იცის, რომ ნებადაურთველია ბევრი რამ, მაგრამ თავს იკატუნებს, რომ "არ იცის" ეს. ცინიკოსი და რიგორისტია. ახალ ადამს არ ესმის, რომ მტკიცე იქნება მხოლოდ ის ხელისუფლება, რომელიც ხალხის, საზოგადოების მხარდაჭერას ეფუძნება, რომ ხიშტებსა და ძალადობაზე ხელისუფლებას დიდხანს ვერ დაამყარებ.

ახალი ადამის ზერელე ენთუზიაზმი, მისი "სიყვარული" ჩაგრულებისა და გაჭირვებულებისადმი, სოციალური სამართლიანობის მისეული "ხედვა", რეალურად სხვა არაფერია, თუ არა ნიღაბი, რისი წყალობითაც ცდილობს თავი დააღწიოს საკუთარ მოვალეობებს.

ახალგაზრდობაზე მისი ზრუნვაც მოჩვენებითი და ყალბია. რეალურად ახალი ადამი ასაკოვნებსაც ჩაგრავს და ახალგაზრდებსაც, უსპობს მათ მომავლის პერსპექტივას:

მუტრუკი მიტომ მუტრუკობს
დედა ჰყოლია ვირიო,
კაცი ბეჩავის მჩაგვრელი
სად გაგონილა გმირიო...
(ვაჟა-ფშაველა)

ახალი ადამი ყველა ასაკის ადამიანებში გვხვდება, განსაკუთრებით თანამედროვე ახალგაზრდებში. ასაკოვანი ადამებიც ცდილობენ თავიანთი "ახალგაზრდობის" წარმოჩენას, რადგან იციან, ახალგაზრდობას ყოველთვის მეტი უფლება აქვს, ვიდრე მოვალეობა. ამიტომაც ცდილობენ სამომავლოდ გადასდონ თავიანთი მოვალეობის ასრულება და მოწიფულობის ასაკს დაელოდნონ. ახალგაზრდობა ყოველთვის ვალებით ცხოვრობს. მოწიფულები ყოველთვის უყოყმანოდ უთმობენ ამ ფსევდოუფლებას ახალგაზრდებს. ამაში გამოიხატებოდა მათი ირონიული და გულისშემძვრელი დამოკიდებულება ახალგაზრდობის მიმართ. მაგრამ იმ თავდაჯერებულობამ, რომლითაც დღეს ამ ფსევდოუფლებას ნამდვილი უფლების მაგივრად იყენებს ახალგაზრდობა, შეუძლებელია სულის სიღრმემდე არ შეგვაძრწუნოს. ამით ახალგაზრდები მოწიფულების წისქვილზე ასხამენ წყალს, რომლებსაც ახლა შეუძლიათ თამამად თქვან, ჩვენ ხომ რაღაც მაინც გავაკეთეთო. ახალგაზრდობა თავისებურ შანტაჟად იქცა (ხოსე ორტეგა ი გასეტი).

მორალისა და მოვალეობისაგან დაცლილი ახალი ადამი(ანის) პარპაში სამყაროში გრძელდება. როდემდე გასტანს ეს ყოველივე, ძნელი სათქმელია. ალბათ დიდხანს ვერა, რადგან ეს მოაახლოვებს სამყაროს დასასრულს.

სამშაბათს, 4 მაისს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
შეხვედრა პოეტ

დალილა ბედიანიძესთან

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

ნოდარ მგალობლიშვილი

„საქართველოს მიტოვება გამიჭირდებოდა“



— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როცა ადამიანს არ ყოფნის ის, რაც აქვს.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ადამიანურ პირობებში ნებისმიერ ადგილას ვიცხოვრებდი, მაგრამ საქართველოს მიტოვება ალბათ გამიჭირდებოდა.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— დამოუკიდებლობა.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

—სპარტაკი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, დემეტრე თავდადებული.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— რაფაელი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ვერდი, ბახი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— უანგარობას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ერთგულებას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— რწმენა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ზრუნვა სხვებზე.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— რეზო თაბუკაშვილი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— თანაგრძნობა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ყურადღებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— უქნარა კაცი ვარ.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— როცა ადამიანი კმაყოფილია იმით, რაც აქვს.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— როცა ცხოვრებისგან აღარაფერს მოვითხოვ.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— როგორიც ვარ!

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ყავისფერი, თეთრი, შავი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ია.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— მერცხალი.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— დავით კლდიაშვილი, ვაჟა, ტოლსტოი, დოსტოევსკი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— პუშკინი, გალაკტიონი, გოგლა ლეონიძე.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— არ ვიცი, არ მიფიქრია ამაზე.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანები.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევან წამებული.

— საყვარელი სახელი?

— ნინო.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ქედმაღლობას, პატივმოყვარეობას, საკუთარი თავის განდიდებას, მოკლედ, ამპარტავნებას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა.

— ჰიტლერი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?

— დიდგორის ბრძოლა.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ყველა, რომელიც სახელმწიფოსა და ოჯახისა განვითარებას წაადგება.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მინდა კომპოზიტორი ვიყო.

— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?

— მინდა ისე „გავიპარო“. რომ ვერავინ იგრძნოს ეს მომენტი...

— თქვენ სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ბობოქარი...

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— მინდა, ჩემს ირგვლივ ყველა კარგად იყოს.

— თქვენი დევიზი?

— მოგეტევოს ცოდვანი შენი...

გაიშვიათდა ეს თემა, ძალზე ნაცნობი, მახლობელი, შეჩვეული – საყოფაცხოვრებო თემა, მეცხრამეტე საუკუნის სტილი, თბილი, ადამიანური, უტყუარი, სანდო, გასაგები.

რეტროს მაინც ვერ დაარქმევ.

ეკა ფხალაძემ იცის, რას აკეთებს. კლასიკურ ფორმას იღებს, შესაძლოა, შეგნებულად, შესაძლოა ინტუიციის კარნახით, და თანამედროვე განწყობილებით აშინაარსებს.

თინა – დედა... განადგურებული სილამაზე, დამსხვრეული ოცნებები, ერთგულების სახელით მოკლული სიყვარული. რამდენი ასეთი ქალი დადის შორეულ თუ ახლობელ გზებზე. რამდენი ასეთი ტკივილი ინავლება ჩვენ გვერდით. რამდენი გრძნობა იკარგება უნუგეშოდ.

თინა, მადამ ბოვარის შორეული ნათესავი, თხემით ტერფამდე ქართველია, ქართული ეთოსის, ქართული წესიერების „მსხვერპლია“ და ამით არის საბრალოც და დიდებულიც, ტრივიალურიც და არაჩვეულებრივიც.

ეკა ფხალაძემ მართლაც იცის, რას აკეთებს – უბრალოდ, უპრეტენზიოდ, ყოველგვარი ზედმეტობების გარეშე ქმნის სახეს, რომელიც დიდხანს არ დაგვავიწყდება.

ეკა ფხალაძე

ცდუნება

– იცოდე, ხვალ საღამოს მოტყუებული კაცივით არ ჩამომაყენო, არ მაზელინო ეს ნაწვიმარი მინა, თორე...

– უფ! – ქალმა ხელი ჩაიქნია.

– რა დროს წამოხვალ.

– საღამოს-მეთქი, ხომ გითხარი!

– ჰოდა, დაბინდებას არ დაუცადო, ნელის ჰკითხე, რომელ ბაზარშიც სიიაფეა, ეცოდინება. დილით ადრე ადგომა არ დაიზარო, დროზე მოითავე საქმე და ჩამოდი... – ახალგაზრდა კაცმა ბაწრით შეკრულ, ტერფებსშუა მოქცეულ ჩანთას ყურები შეუსწორა და შარას გახედა.

– ვითომ არ იცი, საახალწლოდ ყველა ბაზარი ძვირია.

– ბავშვებს ბევრი საჩუქარი უყიდე, საშენო ჭინჭებში არ მიფლანგო ეგ ფული.

ქალმა საყვედურით შეხედა. ნეტა, როდის ყოფილა მასეო, ღვარძლით უნდოდა აევსო სიტყვა, მაგრამ უკმაყოფილო მზერას და ტუჩების პრანჭვას დასჯერდა.

– რაღაც მოდის, მგონია – შორიდან მიკროავტობუსი გამოჩნდა – აბა, შენ იცი, ხვალ დიდხანს არ მალოდინო. იცოდე, არ დაგელოდები.

ლაპარაკით გაედევნა მოშორებით დამუხრუჭებულ მანქანას. ცოლს კარი გაუღო, ჩანთა მიაწოდა და აბა, შენ იციო, კიდევ ერთხელ ჩაულაპარაკა.

მეორე რიგში თავისუფალი სკამი იყო. დაჯდა და უცებ ინანა, ფანჯრიდან გახედვა რომ ვერ მოასწრო. გუმანით წარმოიდგინა, როგორ იდგა ქმარი ისევ იმ ადგილზე და მზერით მიაცილებდა.

ფიქრით ახლახან მიტოვებულ სახლს გადასწვდა. რას აკეთებდნენ ნეტავ ბავშვები? ყელგამოწეულები სთხოვდნენ სასურველ საახალწლო საჩუქარს. უმცროსს ვეღარაფრით ამშვიდებდა.

– დედა, სად მიდიხარ! – დასდევდა კუდში ისეც თავბრუდახვეულს.

– საზღვარგარეთ.

– რას მომიტან!

– გამეცალე, ფეხებში ნუ მებლანდები.

– სად მიდიხარ, დედა.

– საზღვარგარეთ-მეთქი.

პატარა ატირდა. ძლივს დაამშვიდა. ვიდრე ხელახლა დაადებინებდნენ პირობას, რომ საზღვარგარეთ დიდხანს არ დარჩებოდა, საძინებელში შელალა სამივე, სათამაშოები გადმოუშალა და თავს უშველა.

... ძილი მოერია, მოითენთა. ტრანსპორტის დახუთულმა ჰაერმა მოადუნა, დაუმძიმა ქუთუთოები, თავი სავარძელს მიაყრდნო და მიყუჩდა.

თბილისს მიუახლოვდნენ თუ არა, ფიქრ-ფიქრ მიყოლილი გონება წამიერად გამოფხიზლდა. სანამ ნელის სახლამდე მიაღწევდა, ზამთრის სუსხმა ერთიანად ააკანკალა. გაჭირვებით აიარა კიბეები. მძიმე ჩანთა სადარბაზოს კედელზე მიაყუდა და ათი წლის წინ ნაყიდი პალტო შეისწორა.

კარი ნელიმ გაუღო, ტაში შემოჰკრა, გაუხარდა. თბილად შეეგება დეიდაშვილს. სასწრაფოდ გახადა პალტო და ჩაღუღუნებულ ოთახში შეიყვანა. ამოსუნთქვაც არ აცადა, წვრილად დაუწყო სოფლის ამბების გამოკითხვა.

– ხომ იცანით, ჩვენი თინიკო დეიდაა, – შეახსენა შორიდან შემოჩერებულ შვილებს. ქალს ეხამუშა. თინიკოთი გათხოვების მერე თითქმის აღარავინ მიმართავდა სოფელში. თინა იყო: თინა-დედა, თინა-დეიდა, თინა-ბიცოლა.

– ერთი, ეს ჩანთა ამომაცლევინე – ჩაურთო წამით გაჩუმებულ დეიდაშვილს.

– ერთი შენც! სულ ეგრე იცი ხოლმე, დაიზურგები და მოხვალ, – ყალბად გაუწყრა ნელი.

თინამ სამზარეულოში შეტანილ ჩანთას ბაწარი შემოახსნა. თავსწამომდგარ ბავშვებს ზამთრის მკვრივი მსხლები დაურიგა, გლუვზედაპირიანი. წითელ-ყვითლად დაზოლილ-დაფერილი ვაშლები სინზე ამოალაგა. კუშტად დაკბილული ჩურჩხელები ამოთვალა სათითაოდ.

– წელს ისეთი თხელი თათარა მოვიდა!

– აბა, დაიკარგეთ აქედან, რა ხელებში მისჩერები-

ხართ, თქვე ცულლუტებო! – ნელიმ მუშტრის თვალით დახედა სოფლის ნობათს.

– ზამთარმა და პირმა სქელის და თხელის გარჩევა სად იცის!

– არა, წელს მაინც...

– იცი, დღეს სად მივდივარ?

თინამ ფართო თვალებით ამოიხედა ღია ჩანთიდან.

– მიდიხარ?

– ჰო, რა იყო!

– არა... არაფერი.

– მივდივარ კი არა, ერთად წავალთ, რადგან ბესო მოდიოდა, მაგრამ ახლახან დამირეკა, გადაუდებელი საქმე გამომიჩნდაო.

– არა, რას ამბობ, სად წამსვლელი ვარ.

ნელიმ კარადის ზედა თაროდან მოზრდილი თასი გადმოიღო და ახალგაზრდული კისკისნარევი ლაპარაკით ხილის ჩალაგება დაიწყო. თინა რიდით შეჰყურებდა. ჩუმჩუმელა ბავშვივით აკვირდებოდა დეიდაშვილის ფერუმარილიან სახეს. ტოლები იყვნენ, მაგრამ რა სხვადასხვანაირი ცხოვრების პატრონები!

– ჰოდა, მოვიდა და ეს სვიტრი მომიტანა, ზედ რომ მაცვია.

– ვინ?

– ჩემმა ქმარმა-მეთქი, არ მისმენ?

– ჰო.

– ფერი დავუწუნე.

„ფერი დავუწუნეო. ქმარმა გაჩუქოს და კიდეც დაიწუნო...“

არა, შუბლზე ღარები მაინც დასტყობია. აგერ, ნაოჭებიც თვალის უპეებთან... რით ჯობდა, რით იყო თინაზე უკეთესი? შენახული თითებით? უნებურად ხელზე დაიხედა. ძირში მოკვეცილ ფრჩხილებს დააკვირდა.

– შენი ქმარი რას შვრება... კიდევ ხომ არ გაბრაზებს...

– ეჰ! – ამოიოხრა და ჩვეული მოძრაობით მკლავები დაიკაპიწა, – ხან ასე, ხან ისე...

– ღმერთს რა ვუთხარი, რომ ჯერ კაცი გააჩინა და მერე ქალი! მოდი, მოუჯექი მაგიდას, ცოტა შევნაყრდეთ და გავემზადოთ.

– კარგი რა!

ნელიმ ტუჩებზე მიიდო თითი.

– კარგად იცი, რომ ვიტყვი, გავაკეთებ კიდეც. ამდენი ლაპარაკი რად გვინდა. სულ ახლობელი ხალხია.

– ეგ – შენთვის.

– გაიცნობ და ნახავ, უცებ დაუახლოვდები.

თინა მიჩუმდა, სცადა ერთი წუთით მაინც დაეშვა გონებაში აზრი, რომ შეიძლებოდა ახლა უცხო ხალხთან სუფრაზე მოხვედრილიყო, თანაც – რესტორანში აბურძგნულ, ცოტა შელანძღულ ზამთრის ქვედაბოლოს დახედა და მოთელილი სვიტრის მკლავები უნებურად მაჯებამდე ჩამოიწია. ნელიმ მოწკურული თვალები აარიდა.

– სულ ახალი ბლუზა მაქვს, – წამოიწყო თითქოს თავისთვის, – მუქი შვინდისფერი, ხომ გიყვარს მხიარული ფერები, თან მოდაშია. ისე მოგიხდება, დაგხატავს.

თინამ მტკიცედ გაიქნია თავი.

– არა, არა, არსად წამომსვლელი არა ვარ.

ნელიმ მარტო გაიღიმა, წამოდგა, უცებ აალაგა მაგიდა და დეიდაშვილი თითქმის ძალით გაიყვანა სამზარეულოდან. გარდერობი გამოხსნა და სიტყვის თქმაც აღარ აცალა, გვერდებში შეუღუტუნა: ჰა, გაიხადე ახლაო.

– მე იქ რა მინდა, არც არავის ვიცნობ, არც არავინ მიცნობს, – თავზე წამოხდილი სვიტრის ქვეშ აგრძელებდა ბუზღუნს თინა.

– ეგ კი არა, შემომხედე, რა ფერის კონტური უფრო მოგიხდება.

თინა სარკის წინ იჯდა და თვალებს არ უჯერებდა, ნუთუ ეს მართლა თვითონ იყო! მუქ შავ თვალებს ზედა ქუთუთოს გასწვრივ ბოლომდე გადახვეწილი შავი ფანქარი უფრო გრძელს უჩენდა. ისედაც უხერხულობისა და დაძაბული მოულოდნელობისაგან ალმურადენილ ლოყებს მუქი ღვინისფერი პომადა უმკვეთრებდა, ნამეტანად ეჩვენა. ხვეწნა-მუდარით მოიშორა, ღია ვარდისფერზეც ჭოჭმანით დათანხმდა.

ახალი ბლუზა მართლა მოუხდა. ახლაღა შენიშნა, რა გრძელი, მოღერებული კისერი მოუჩანდა მოღებულ გულისპირზე.

ასე ლამაზი ერთადერთ დღეს იყო ცხოვრებაში. სკოლის დამთავრების აღსანიშნავ საზეიმო ბანკეტზე. ცალკე ოთახში შეპარული თანაკლასელი გოგონები ფრთაგაშლილი თავისუფლების შეგრძნებას ვეღარ ფარავდნენ. ხელიდან ხელში იტაცებდნენ პარფიუმერიის ნაკრებს, თვალის ფანქარს თუ ფერ-უმარილს. ტკარცალებდნენ, სარკეში ვეღარ ეტეოდნენ, ხელებით ირიდებდნენ ერთმანეთს.

მერე... სულ ერთი საათიც არ მჯდარა სუფრასთან, გარეთ გაიხმეს, მანქანასთან მიიტყუეს და...

უკან დარჩა ბანკეტი, თანატოლები, სილაღე...

ქმარმა, ოჯახმა, სამმა ბავშვმა ცოლისა და დედის მარწუხებში მოაქცია, შებოჭა, შეაკეტინა გულის კარები.

თვითონაც არ ეგონა, თუ ასე ლამაზი იყო. თუმცა ამდენ დროს როდისღა ატარებდა სარკესთან.

ბესომ რესტორნამდე მიაცილა ქალები და თავის საქმეზე გაეშურა. საგრძნობი მხიარულებით შეხვდნენ ნელის გამოჩენას. ადგილი მოუძებნეს დაგვიანებულებს. თინა რამდენიმე დამხვდურს გააცნო და მაგიდასთან მოთავსებაშიც დაეხმარა.

ამდენი ფერადი შუქ-ჩრდილით მორთული ინტერიერი არასოდეს ენახა. შეუჩერებლად უკრავდა ცოცხალი მუსიკა. ჯერ წინ მჯდომმა ახალგაზრდა ქალმა მიიპყრო მისი ყურადღება, როცა პომადიან ტუჩებში მოხდენილად მოაქცია ანთებული სიგარეტი და ნება-ნება გააბოლა.

მერე ნელ-ნელა ამართა მზერა, გვერდზეც გაიხედა, შეფარული ინტერესით ჩაათვალიერა გაპრანჭული, უკომპლექსო, თამამი, სალონში თმადავარცხნილი, გრძელსაყურეებიანი ქალები. ახლა – კაცები! გამხდრები, გაწკეპილები, მოვლილები!

ნელი მხიარულობდა, ხუმრობდა. ცოტ-ცოტაობით ჭიქასაც ანახევრებდა. უცებ აციმციმებული თვალებით დეიდაშვილს გადახედა და ეშმაკურად ჩასჩურჩულა: „შეხე, რაც მოვედით, ჩვენი ახალგაზრდა სტომატოლოგი თვალს არ გაშორებს“.

„რომელი“ – თინა შეკრთა, მართლა გაიოცა.

„ჰო, კარგი ერთი, ცუდი ყმაწვილი არ გეგონოს, ზედმეტს არაფერს გაგიბედავს“.

„რას ამბობ, რა საკადრისია!“

„კარგი და...“ – დაიჯღანა ნელი, – „იცი, რას გეტყვი? ჩააჟინდი შენს ქმარიკოს და სახემოძმარულმა გვერდზე აღარ გაიხედო. ხომ არ გიკბენს, ორიოდე კომპლიმენტით შეგამკობს და ეგაა... რომ იცოდე, რა ლამაზი ხარ... მე რომ კაცი ვიყო...“

– შეიძლება?

ორივემ თავსწამომდგარ მამაკაცს ახედა. ერთმა ფარული ღიმილით, უშუალო სითამამით ჩაუკრა თვალი. მეორემ მორიდებით აარიდა მზერა.

– მობრძანდი, დაბრძანდი, ჩემო ბატონო, – ნელიმ გვერდზე შემთხვევით გათავისუფლებული სკამი თვითონ დაიკავა, შუაში ადგილი დაუთმო.

– განწყობა როგორია?

– არ გვეტყობა? შესანიშნავი.

– სიამოვნებით გავიცნობდი შენს სტუმარს.

– კი, რა თქმა უნდა... ჩემი დეიდაშვილია, თინიკო. ეს კი მალხაზია.

მამაკაცმა ხელი გაუწოდა და ოდნავ, ოდნავ მოუჭირა კიდეც...

– ასეთი მშვენიერი დეიდაშვილი გყოლია... აქამდე რატომ გვიმალავდი?

თინას ალმურმა აუწვა სახე.

– გიმალავდით? არა, რატომ! აქამდე თბილისში არ იყო.

– არა? საიდან გვესტუმრა?

– გერმანიიდან. — სერიოზულად უპასუხა ნელიმ. თინას გადიდებულ თვალებს თვალი აარიდა და მამაკაცს ყურში უჩურჩულა: „იცი რა, ქმარს გაშორდა და ცოტა არ იყოს, ამაზე ლაპარაკი არ სიამოვნებს... სულ ახლახან ჩამოფრინდა საქართველოში. მაინც და მაინც ნუ ჩააცივდები“.

– ვა! – წამოსცდა მალხაზს. მუჭში ჩაახველა და თინასკენ მიტრიალდა.

– თინათინ, – თან ჭიქას წამოავლო ხელი, – სახელი ლამაზი გაქვთ, თუმცა... თქვენ უფრო ალამაზებთ... ჩვენი გაცნობისა იყოს, – ჭიქა გამოცალა, ისევ შეავსო, დადგა და გულზე მიაჩერდა.

– ასეთი გულსაკიდი რამდენიმე ხნის წინ ნელისაც ამშვენებდა. ალბათ, თქვენ აჩუქეთ... შესანიშნავი მინანქრული ნაკეთობაა... ორიგინალური.

– ოჰო, ჰო, ჰო, – ხმამაღლა გაიცინა ნელიმ, – ქალურ წვრილმანებშიც კი ისე ერკვევი, ვერაფერს გამოგაპარებს კაცი.

– ეს წვრილმანი არ არის. ეს ქალის ესთეტიკური შეფასების საშუალებაა, გემოვნების გამოხატულება.

საერთო სადღეგრძელომ საუბარი გააწყვეტინათ. თამადა კაზმულსიტყვაობით იწონებდა თავს.

მალხაზმა არ მოისვენა, ლამის ჩურჩულით განაგრძო:

– მოგიყოლია, როგორ გავიცანით ერთმანეთი?

– არა... არა მგონია. – ორივემ თინას შეხედა. მანაც უარის ნიშნად გაიქნია თავი.

– ჰოოო! მიდი, მოუყევი.

– მე რატომ, შენ თვითონ მოუყევი.

– კარგი! – დათანხმდა მალხაზი და წინასწარ გაიცინა. ადგილზე შესწორდა, მაჯებით მაგიდას დაეყრდნო და არტისტულად დაიწყო.

– ცხელი ზაფხულის დღეა და ერთიც ვნახოთ, კაბინეტში ახალი თანამშრომელი გამოგვეცხადა.

შევხედე. გემოვნებიანი დეკოლტირებული სარაფანი აცვია და იმავე ფერის მსხვილბურთებიანი მოკლე მძივი ამშვენებს. ამ დროს ჩემმა მეგობარმაც შემოყო თავი და გამოდიო, მანიშნა. ნელი ჯერ ისევ კართან დგას. ის-ისაა, საერთო გამარჯობა თქვა და მოშინაურებას აპირებს.

გავუარე გვერდით და... ვხედავ, მხარზე მოზრდილი ჭიანჭველა აზის! წამით გავორჭოფდი, როგორ ვუთხრა, გაგიმარჯოს, მაგრამ ბოდიში და, მხარზე ეგ ჭია მოიცალე-მეთქი?! არც ვაციე, არც ვაცხელე, მივეჭერი და ორი თითით წავწვდი. ჭიანჭველა ისეთი სიჩქარით დაეშვა ქვემოთ... მიდის და მივდევ... ნელიმ გაბრაზებაც ვერ მოასწრო, ვაიმეო, უკან დაიხია და... მეც დავიჭირე!.. არა, ბოლომდე ჩასვლა არ ვაცალე... – სამივეს ისეთი სიცილი აუტყდა, ლამის მთელი სუფრის ყურადღება მიიქციეს.

– აი, ასე იყო... – ხმას დაუწია მალხაზმა, – ნელი უკვე სილის გარტყმას აპირებდა, რომ ცერსა და საჩვენებელს შორის მოქცეული ჭიანჭველა გავუწოდე.

– მართლა ავწიე ხელი, – სიცილით ჩაერთო ნელი, – მეგონა ვიღაც გიჟი გადამეკიდა. მერე ბესოსაც ვუყვებოდი, – ტელეფონის ზარმა სიტყვა გააწყვეტინა, – აი, მე და ბესოს ერთად გვახსენდება ერთმანეთი. – ალო... არა, არ დავშლილვართ. ვერ მოხვალ? მაშინ... მახო წამოგვიყვანს – თან თინას ჩაუკრა თვალი, თან მალხაზს მიაწოდა ტელეფონი.

– ჰო, ბესო! პრობლემა არ არი! ჩათვალე, უვნებლად ჩამიბარებია ცოლიც და ცოლისდაც... აბა, ჰე! – გათიშა და შუა დარბაზისკენ გაიხედა. – მუსიკალური პაუზაა, – თქვა მრავალმნიშვნელოვნად.

– მერე... წაიყვანე თინიკო! გამხიარულება კარგად გამოგდის, – არ დაუხვალია ნელიმაც.

მალხაზი ცოცხლად წამოდგა, ხელი ჯენტლმენურად გაუწოდა. თინას გული აუჩქარდა, სკამის ფეხს წამოედო, საზურგეს რომ არ დაყრდნობოდა, წაიქცეოდა კიდეც. ისეთი სირცხვილი იგრძნო, თავ-ფეხიანად ცეცხლის ალში გაეხვია.

მალხაზმა რომ მისი მტევანი ერთ ხელში მოიქცია და მერე წელზე შეახო, სხეული ერთიანად გაუხევდა, გაჭირვებით აადევნა მოძრაობა მუსიკას თუ პარტნიორის ნებას.

– სულ ჩამოხვედით თუ...

თინამ ისეთი გაოგნებული სახით შეხედა, მალხაზი დაფიქრდა, რამე სისულელე ხომ არ ვთქვიო.

– გერმანიიდან, – დაამატა ყოველი შემთხვევისთვის.

– ააა! კი... სულ... – თავი დახარა, შიშჩამდგარი თვალები დამალა თითქოს.

– მესმის. ძნელია სამყაროს შეცვლა. შეგუებული გარემოს მოწყვეტა, ცხოვრებისეული ცვლილებების გაძლება – მალხაზი სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, თითქოს საკუთარ თავს ებაასებაო, – რით ერთობით, რით იმუხტებით, სად პოულობთ შვებას?

თინამ ვერაფერი გაიგო, ქვედა ტუჩი მოიყოლა კბილებში. მალხაზმა ისევ დაკვირვებით შეხედა თვალებში.

– ხელოვნების რომელი დარგი უახლოვდება თქვენს სულიერ სამყაროს? – თითქოს დაფიქრდა. კიდევ რამე მტკივნეულ თემას ხომ არ შევეხეო, – თეატრი თუ გიყვართ, თინათინ?

– თეატრი? – აშკარად გაუხარდა თინას, – კი, ძალიან.

– მართლა? ამ ბოლო ხანს ნანახი რომელი სპექტაკლი მოგწონთ?

...თინას თეატრი მართლა უყვარდა.

ბავშვობაში ჩამწკრივებული სკამების ზურგებს დედის ხალათს გადაეფარებდა, თვითონ უკან ჩაჯდებოდა და ტანსაცმელშემოხვეული თოჯინების პლასტმასის გაფშეკილი ხელ-ფეხის ქნევითა და თამაშით უმცროს და-ძმას ენის ჩლიქინით სახელდახელოდ მოფიქრებულ სპექტაკლებს უდგამდა.

მხატვარი ცინარა ტერელაძე

უნებურად დაფურცლული მეხსიერებიდან ჟურნალში ამოკითხული თეატრალური აფიშა ამოაგდო. ჩვევად ჰქონდა, გაზეთი ჩაუვარდებოდა ხელში თუ ჟურნალი, უეჭველად ჩაათვალიერებდა სპექტაკლების სათაურებს... წაიკითხავდა და საქმის კეთებისას სიუჟეტს განავრცობდა. შინაარსს წარმოიდგენდა, გულს გადაყოლებდა...

– „ზოლიანი ღობის ამბავი“ – ისეთი გამოცოცხლებით უპასუხა, მალხაზს გაეღიმა კიდეც.

– მართლა? საინტერესოა. სხვათა შორის... მთავარ როლს ჩემი ძმის მეგობარი თამაშობს. აი, ხომ გახსოვთ, სოფლელი ბიჭი რომ ჩამოდის ქალაქში, ცუდ წრეში მოხვდება და ასე ხდება ჯერ ხულიგანი, მერე – ქურდი, მერე – ნარკომანი...

– კი, როგორ არა! – სწრაფად დაიქნია თავი. ჭერში დაკიდებულ შუქზე ათასფრად აციაგებულ ბურთს ახედა. არადა, თვითონ სულ სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი შინაარსი. თითქოს ეს სათაური პატარა სიყვარულის ისტორიას ახსენებდა, ღობესთან დაწყებულ-დამთავრებულს.

– სწორედ ეგ... საბოლოოდ იმ ზოლიანი ღობის ძირში რომ ამთავრებს სიცოცხლეს, თავისი ხელით რომ შეღება ბავშვობაში. როგორ შეაფასეთ როგორც მსახიობი, ხომ ნიჭიერია?

– ძალიან, – თავი ენერგიულად დაიქნია ქალმა, სადღაც ამოკითხული ფრაზა აღმოცენდა გონებაში, – ძალიან... ისე საოცრად ითავისებს როლს...

მალხაზმა სახეში შეხედა. რატომღაც დააკვირდა. მერე ჯიბიდან პატარა, მართკუთხა ფურცელი ამოიღო.

– აი, ეს... ჩემი სავიზიტო ბარათია... თქვენს ნომერს ახლა ჩავიწერ – ტელეფონი ამოაძვრინა ჯიბიდან, მაგრამ არ დასცალდა. ხელში აუწკრიალდა.

– ჰო... ხმამაღლა თქვი... კარგი... მოვალ... – მალხაზს სახე მოეღუშა, მაგიდისკენ გაიხედა. ნელი ვიღაცას მისჯდომოდა და გულიანად იცინოდა.

– სამწუხაროა, მაგრამ... არაფერია, ეს პირველი შეხვედრა იყო. იმედია, უფრო თავისუფალ გარემოში შევხვდებით, უკეთ ვისაუბრებთ, უკეთ გავიცნობთ ერთმანეთსაც – გამომცდელად მიაჩერდა, – რა თქმა უნდა, თუკი ჩვენი სურვილები ერთმანეთს დაემთხვევა.

თინამ ახლაღა გაუსწორა თვალი. სიტყვები იმდენად მსუბუქი და მნიშვნელობადაკარგულები აღწევდნენ მის გონებამდე, აზრს ძალას ატანდა, რომ გაეცნობიერებინა, რას ეუბნებოდა ეს ელეგანტურად ჩაცმული, სუფთად გაპარსული, თმადალაგებული, აბსოლუტურად უცხო და მიუწვდომელი მამაკაცი... ისეთი, ფილმებში რომ უნახავს და თვალი მიუყოლებია... სულ რომ არაფერი, იმისთანა სურნელი ჰქონდა, თავს ძლივს იკავებდა, მკერდზე არ მიყრდნობოდა და ისე არ გაყუჩებულიყო.

– მაშ, შაბათს პრემიერაზე! ვფიქრობ, ჩემი ძმის თამაში მოგეწონებათ!.. საკმაოდ პერსპექტიული მსახიობია. თინათინ! – მალხაზმა მკლავზე მოჰკიდა ხელი, – მგონი არ მისმენთ.

– როგორ არა, – ამოღერღა.

– მესმის თქვენი... პირადული წარსული პრობლემა ხშირად აწმყოსაც ჩრდილავს ხოლმე, – გაიღიმა. ლამაზად იღიმებოდა. მწყობრი სითეთრე უჩანდა ბაგეებს შორის.

...რესტორნიდან ფეხათრევით გამოვიდა. გრძნობდა, იქ იმ წუთას ლამაზი ზღაპარი მთავრდებოდა. ზღაპარი, რომელიც შეიძლება მხოლდო ერთხელ მოყვე ან ერთხელ მოისმინო.

მალხაზმა ქალები სახლის კარამდე მიაცილა და დამშვიდობებისას თინას ცოტა მეტადაც მოუჭირა ხელი, ვიდრე პირველად.

* * *

ისეთ ვიწრო სავარძელში იჯდა, მუხლები წინა სკამის საზურგეზე ჰქონდა მიბჯენილი. მთელი ღამის უძილო იყო, შთაბეჭდილებებისგან გულგატეხილი. თვალებს დახუჭავდა თუ არა, რესტორნის აციაგებული შუქები ელანდებოდა. ხმაურიანი, ცოცხალი მუსიკა ჩაესმოდა, განწყობას რომ გიმსუბუქებს და წელში გმართავს, ღიმილს მოგანდომებს და სილამაზეს განატრებინებს. ჰო, ქალობასაც შეგარგებს კიდევ...

თინასთვის ასე იყო!

ხელჩანთა ისე ჰქონდა ჩაბღუჯული, თითქოს განძი ეგულებოდა, თუმცა, იქნებ განძზე მეტიც იყო. ფურცელი, რომელიც მალხაზმა ცეკვის დროს ჩაუდო ხელში, მის ცხოვრებაში უძვირფასესი, უნეტარესი, ულამაზესი მოგონებების მოგონება იქნებოდა!

თინა ასე თვლიდა!

მექანიკურად გამოფხიზლდა. შეეშინდა, სოფელს არ გასცდენოდა. ბენზინგასამართი სადგურის ბოძთან აყუდებული კაცი რომ დაინახა, მაშინღა გაახსენდა, ქმარი რომ უნდა დალოდებოდა გაჩერებაზე. ნეტავ, როგორ გუნებაზე დახვდებოდა!

დაღლილი სახით გადმოვიდა, მძღოლს ფული მიაწოდა და მაშინღა მოტრიალდა ქმრისკენ.

– მიდი, ბარგი გამოართვიო, ისე დაღლილად უთხრა, კაცმა სიგარეტის ბოლი ერთიანად გამოუშვა პირიდან. ძლივს მოაშორა თვალი ტუჩებზე პომადაშერჩენილ ცოლს და მძღოლს საბარგულიდან გადმოღებული ბარგი გამოართვა.

სხვა დროს, ვიდრე სახლამდე მივიდოდნენ, ალბათ უამრავ საშარო მიზეზს მოძებნიდა საბუზღუნოდ. მაგრამ ახლა მზერანამალევ ცოლს ზურგიდან წარბშეკრული შესცქეროდა და ხმას ვერ იღებდა.

– ბავშვები როგორ არიან, – გვერდულად გამოხედა თინამ.

– როგორც დატოვე, – მოგვიანებით გაიმეტა პასუხი. გაღეჭილი სიგარეტი მეორე მხარეს გადაიტანა, ცოლს წამოეწია და ჩაბღუჯულ ხელჩანთაზე ჩამოდებულ, ლაქწასმულ თითებზე მიაჩერდა.

– გიპოვია მოცლილი დრო!

– ნელიმ გამალამაზა, – სევდიანად ჩაილაპარაკა თინამ და ხელები მომუჭა.

ბავშვები წიოკით მიეხვივნენ. უმალვე თავდაყირა დაყენეს სავსე ჩანთები. არაფერი დაუშლია, ეფერებოდა და საჩუქრებს არიგებდა. ქმარსაც წინ დაულაგა მისთვის ნავაჭრი. თავისთვის ნაყიდებიც გადმოუშალა, აჩვენა.

ბოლოს ხელჩანთას დაავლო ხელი და საძინებელში გავიდა, განმარტოვდა.

ის, რაც ყველაზე მეტად სათავისო იყო, აქ ელაგა. გახსნა და ციმციმ ამოიღო პატარა სასანთლე.

ქალაქში, მეტროდან ამოსულს თვალი მოსტაცა ჯერ ფერმა, მერე ფორმამ. ყიდვა რომ დააპირა და რომელი გნებავთო, ჰკითხა გამყიდველმა, მაშინღა დააკვირდა პატარა შანდლის მიღმა ოთხკუთხა ჩარჩოში ჩასმულ ხატებს.

ქრისტე არჩია... სათუთად შეახვევინა...

ნელის ნაჩუქარი პომადაც ამოიღო. იქ რომ ესვა, ის კი არა, სხვა, ღია იასამნისფერი. ბოლოს „იმასაც“ მოკიდა ხელი. გვარ-სახელი ჩურჩულით ჩაიკითხა, ტელეფონის ნომრები ჩაათვალიერა.

ფეხის ხმა მოესმა და ხელი სასწრაფოდ შემალა ჩანთაში.

– რა იყო... – უბრალოდ ჰკითხა კარში გახიდულ ქმარს, – ხომ ყველაფერი მოგეწონა... რამე არ მოგერგო?

კაცი უსიტყვოდ გატრიალდა.

* * *

თინა-დედა ძალიან შეიცვალა.

მოუხშირა შვილებთან იმაზე ლაპარაკს, არა, ხვეწნას, რომ კარგად ესწავლათ, დაფიქრებულები ყოფილიყვნენ, ან ექიმები გამოსულიყვნენ ან ვინმე ისეთები... უფრო ყურადღებიანი გახდა, უფრო მკაცრიც... უფროსს და შუათანას საკუთარი ხელით უმოწმებდა ჩანთას, საგულდაგულოდ ულაგებდა თმის თითოეულ ღერს.

თინა-ცოლსაც დაეტყო უცნაურობა.

ხან ბოსტანში ნივრის ან ხახვის კვლების მარგვლისას ყუჩდებოდა მიწისკენ ჩახრილი, ხან უნებურად, სევდიანად ეღიმებოდა:

მაგრამ თვალები გაუხდა მფრთხალი და შეშინებული.

დიდხანს იტანჯა.

დიდხანს იწვალა.

იორჭოფა.

ერთი ეგ იყო, ქმრის შარიან გამოხდომებს მაშინვე უხიაგი შეპასუხებით აღარ ეგებებოდა. მოთმინების ძაფები ქვეშეცნეულმა ძალამ მოურბილა და მოუდუნა.

თითქოს ქმარსაც შეეცვალა მოშვილდული ხასიათი. თინას დახრილი თვალები ბოღმით უკან კი აღარ აყლაპინებდა სათქმელს, შერბილებულად აკეთებდა შენიშვნას.

მაგრამ თინამ ვეღარ გაუძლო.

ბოლოს მიხვდა, რომ ის განსხვავებული დღე უკვე ცხოვრების ყოველი წვრილმანის შესადარებელ ეტალონად ექცა: ფერი ეცვლებოდა, როცა ქუჩაში „იმისნაირი“ ფერის მანქანა გაივლიდა, სცხვენოდა, როცა მიწით სავსე ფრჩხილები გამოჰქონდა ბოსტნიდან და მაშინვე პირსაბანისკენ გარბოდა... თვალებს ხუჭავდა, როცა ქმარი პირის გაპარსვის მერე ლოყებზე მოსხურებული იაფფასიანი ოდეკოლონის სუნს გაატარებდა, კრთებოდა ღამე, მოფერებისას...

მოუხშირა საძინებელში განმარტოებას და ქრისტეს ხატთან სანთლის დანთებას, ჩურჩულს...

ერთ დღესაც ხელჩანთიდან საგანგებოდ დამალული სავიზიტო ბარათი ამოიღო. ათმა თუ ათასმა აზრმა გაურბინა გონებაში. დახედა, თითი გადაუსვა. მერე ორივე ხელში მოიქცია და გადახია. ორჯერ, სამჯერ, დაანაკუწა. იფიქრა, იფიქრა, ადგა და პირდაპირ თონეში ჩააფრიალა.

ფერფლად და ნაპერწკლებად გაიფანტა მოგონებები.

რაკი ხილული წაიშალა, მეხსიერების იმ კუნჭულსაც ლიბრი გადაეკრა, დაიბუნდა, სადაც მოპარული სიამოვნება იმალებოდა.

ნელ-ნელა დროს გაჰყვა თვალით ნახულიც...

ნელ-ნელა გაფერმკრთალდა ნაგრძნობ-განცდილიც.

დაბოლოს, ერთი დღის ცდუნება უსახელოდ დარჩენილი ზღაპარივით გულშიც წაიშალა...

დაიბადა 1976 წლის 6 ივლისს, თბილისში. პირველი პუბლიკაცია — 1999 წელი, გაზეთი „ალტერნატივა“. ავტორია მოთხრობების სამი კრებულის, ორი რომანის („იყო საღამო, იყო დილა“ და „ახალი წიგნი“) და ესეისა „პროზისა და საკუთარი თავის შესახებ“...

განსაკუთრებული სახელი და პოპულარობა მოუტანა მძაფრი დრამატიზმით აღბეჭდილმა რომანმა „იყო საღამო, იყო დილა“, ჩვენი დღევანდელი რეალობის ექსპრესიულმა, მიუკერძოებელმა და მრავალმხრივ საგულისხმო სურათმა, რომელიც საკითხავადაც ძალიან ცოცხალია მახვილგონივრულად აგებული სიუჟეტური ქარგის წყალობით. ამ რომანმა იმედისმომცემი ახალგაზრდა მწერალი ერთბაშად სალიტერატურო ცხოვრების შუაგულში მოაქცია და ახალი თაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურად გამოკვეთა.

უახლოეს ხანში გამოვა მისი ახალი რომანი „სიყვარული და მსხალი“, საიდანაც ვბეჭდავთ ფრაგმენტს.

დავით ქართველიშვილი

ზაფხული

გუშინ ჩამოვიდა თორნიკე, უფროსწორად თორნიკე და დედამისი, აეროპორტში დავხვდი, თორნიკეს ჩავეხუტე, ვაკოცე, დედამისს ზრდილობისთვის მივესალმე, გადაკოცნისას მისი სუნამოს სუნი შევისუნთქე და მივხვდი, რომ მასში არაფერი არ შეცვლილა, რადგან, ჩემი აზრით, თუ ადამიანი არ იცვლის გემოვნებას თუნდაც ისეთ წვრილმანში, როგორიც პარფუმერიაა, რაღაც გლობალურ ცვლილებებზე საუბარი ზედმეტია.

ჩემი და თორნიკეს დედის გემოვნება ყოველთვის განსხვავდებოდა და მიკვირს რა მოგვეწონა ერთმანეთში, ერთადერთი ახსნა ასაკია, პატარები ვიყავით და ის, რაც ჩვენს ფეხებშუა ხდებოდა, გულის მოძრაობები გვეგონა, და კიდევ იმ დროს გავრცელებული, ძალიან მოდური ფილოსოფია, რომ ქალი და კაცი ერთმანეთისგან რადიკალურად უნდა განსხვავდებოდნენ, რადგან მხოლოდ პლუს-მინუსი წარმოშობს რეაქციას, მხოლოდ წლების შემდეგ მივხვდი, რომ ნებისმიერი ქალი და კაცი ერთმანეთისთვის პლუს-მინუსია და ქალმა და კაცმა ერთმანეთში მსგავსებები უნდა ეძებონ, მსგავსებები ყველაფერში; გემოვნებაში, ფილოსოფიაში, ცხოვრების წესში, რადგან ქალის და კაცის ურთიერთობაში მხოლოდ მსგავსება ქმნის რეაქციას.

მხოლოდ სიყვარულის მოლოდინი არ არის სწორი, რადგან სიყვარული შეიძლება არც მოვიდეს, ცხოვრება კი გადის, ეს უკანასკნელი (დასკვნა, კანონზომიერება) ხან მამშვიდებს და ხან მაგიჟებს.

თორნიკეს დედას ჩემოდნები გამოვართვი, თავიდან ვითომ გაიბრძოლა, „არა, არ არის საჭიროო.”

ყოველთვის ნერვებს მიშლიდა მისი ეს თვისება, თეატრალურობა, უფროსწორად ყალბი თეატრალურობა, უაზრო თეატრალურობა, ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევაში ხაზგასმით იმის აღნიშვნა, რომ ჩვენ ერთმანეთისთვის არავინ აღარ ვართ, რომ ის დამოუკიდებელი და ემანსიპირებული ქალია, თუმცა ჩემ ხარჯზე ცხოვრობს ბარსელონაში, მაგრამ მე ჩემ შვილს ვაფინანსებ და არა მას, ისე ეს სიმართლეა, რომ არა თორნიკე, რა თქმა უნდა არანაირი ბარსელონა არ იქნებოდა და ჩვენი ურთიერთობა ქუჩაში უიშვიათესი, შემთხვევითი შეხვედრებით ამოიწურებოდა, მაგრამ თორნიკე არის, თორნიკე არსებობს.

თორნიკეს თვალი ჩავუკარი და ვკითხე:

— წავედით, მამი?!

— წავედით — თორნიკემ ორჯერ დამიქნია თავი და გამიცინა. თორნიკე ჩემნაირად იცინის, თუმცა გარეგნობით დედას გავს. ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ ამ ყველაფერს მნიშვნელობა აღარ ექნება, ფიზიკურად ვის გავს და ვის მსგავსად იცინის თორნიკე, ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ თორნიკე ზრდასრული ადამიანი იქნება, თორნიკეს ზრდის რეალობა მაშინებს, რადგან ზრდასრულ ადამიანებთან ყოველთვის მიჭირდა ურთიერთობა, დაზუსტება: გულწრფელი, ადამიანური ურთიერთობა და არა ბიზნეს-პარტნიორობა, ეს უკანასკნელი ყოველთვის კარგად გამომდიოდა, ბიზნესი სიყვარულს გამორიცხავს, ბიზნესში ზედმეტი სიმპათიაც პრობლემაა, არათუ სიყვარული. ჩემი ბიზნესპარტნიორების სახეები დამიდგა თვალწინ, მათი შეყვარება შეუძლებელია, ძალიან მტაცებლები არიან, მიუხედავად ამისა ყავთ ცოლ-შვილი, მეგობრები, სვამენ სიყვარულის სადღეგრძელოს, მართალია საქმის სადღეგრძელოს შემდეგ, მაგრამ რიგითობას ამ შემთხვევაში არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ყავთ საყვარლები, სტატუსიდან და თავად სიტყვიდან გამომდინარე მათთან ყველაზე ინტიმური და გახსნილი ურთიერთობა აქვთ, მაგრამ ამ ყველაფერს კავშირი არ აქვს სიყვარულთან. სიყვარული ისეთი რამ არის, რომლის შესახებ უმრავლესობას უფრო მეტი წაუკითხავს და უფიქრია (თუ შეიძლება ეს ორი უნარი უმრავლესობას დროებით მაინც მივაკუთნოთ, რათა არ გაგვიწყდეს მსჯელობის ჯაჭვი), ვიდრე უგრძვნია. ამ შემთხვევაში მე უმრავლესობას მივეკუთვნები, საერთოდ როდესაც ვფიქრობ, რაში არ მივეკუთვნები, ერთადერთი თვალსაჩინოება ფულია, უმრავლესობისგან განსხვავებით მე ფული მაქვს, და კიდევ შეიძლება უმრავლესობაზე ცოტა მეტს ვფიქრობ, მაგრამ ფიქრი არ არის თვალსაჩინო განსხვავება, ფიქრი შინაგანი პროცესია, ხოლო ყველაფერი შინაგანის არსებობა თანამედროვე სამყაროში განზრახ დავიწყებულია.

მანქანაში ჩავსხედით, წინ თორნიკე დაჯდა, გზაზე ერთმანეთს რაღაცეებს ვეკითხებოდით, ვიცინოდით და

ერთმანეთს ვეხებოდით, დროდადრო სარკეში უკანა საკარძელზე მჯდომ თორნიკეს დედას ვხედავდი, მზის სათვალე ეკეთა, თავი ოდნავ მარჯვნივ ქონდა მიტრიალებული და გარეთ იყურებოდა. ჩვენ რომ ერთად დავრჩენილიყავით, ყველაფერი კიდევ უფრო ცუდად იქნებოდა, და მე და თორნიკესაც გაფუჭებული გვექნებოდა ურთიერთობა.

— ჯერ დედა მივიყვანოთ სახლში და მერე მე და შენ წავიდეთ ჩემთან — შევთავაზე თორნიკეს.

თორნიკემ თავი დამიქნია.

თორნიკეს დედის სახლთან თორნიკე და დედამისი ერთმანეთს ჩაეხუტნენ, თორნიკე ისეთ რაღაცას ხედავს ამ ადამიანში რაც მე ამდენი ხნის განმავლობაში ვერ დავინახე და უყვარს, რა არის ეს დედაშვილობის ინსტინქტი თუ კიდევ უფრო მეტი, თორნიკეს ვერ ვკითხავ, რატომ გიყვარს დედაშენი-მეთქი, არ გამოდის, მე და თორნიკეს დედა ერთმანეთს ცივად დავემშვიდობეთ, გამახსენდა, რომ რამდენიმე ღამე ამ ადამიანზე ფიქრში მქონდა გათენებული,ეს არ იყო ერთნაირი ღამეები, ზოგჯერ სიყვარულით (ყოველშემთხვევაში მაშინ ასე მეგონა) ვფიქრობდი, ზოგჯერ სიძულვილით, დღეს თორნიკეს დედა ჩემთვის ერთი რიგითი უცნობი ადამიანია, რეალურად ასე არ არის, მაგრამ ყველაზე დიდი სიამოვნებით სწორედ ეს წინადადება დავწერე ყველა დღეს დაწერილ წინადადებას შორის.

* * *

პირველმა აღფრთოვანებამ გადაგვიარა, მეც და თორნიკესაც, ჩვენი ურთიერთობა ერთი კვირის თავზე ყოველდღიურობის ერთფეროვან კალაპოტში ჩადგა. ეტყობა, საკმარისად არ გვიყვარს ერთმანეთი, დედამისს ახსენებს, ამბობს, რომ მოენატრა, ნეტავ მე თუ მახსენებს დედამისთან? თუ ამბობს, რომ ვენატრები? ალბათ კი, ძალიან ბევრს ვთხოვ თორნიკეს, ბავშვია, თან ჩემი დაკვირვებით სრულიად ჩვეულებრივი ბავშვი, ყოველგვარი განსაკუთრებული თავისებურებების ან დიადი გამორჩეულობის გარეშე. მე არ მინდა ჩემი შვილი დიდი ადამიანი რომ გამოვიდეს, დიდი ადამიანების ცხოვრება მხოლოდ მოსაყოლად ან წასაკითხადაა საინტერესო, და კიდევ: თანამედროვე სამყაროში დიდი ადამიანების კლასიკური კლასიფიკაცია დაირღვა და ამ კატეგორიის ადამიანებს უკვე არამხოლოდ ლიტერატორები, მუსიკოსები მხატვრები ან მეცნიერები, არამედ შემდგარი ვაჭრები და ფინანსისტი ავანტურისტებიც წარმოადგენენ, და რაც მთავარია: არანაირი აზრი გამორჩეულობაში აღარ არის, გარდა ფულის შოვნისა, არავის აღარ სჯერა სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლის შესაძლებლობის, ყველა საკუთარი პირადი ცხოვრების მოწყობაზე (რეალურად: დასრულებაზე) ზრუნავს.

ერთ-ერთი ინდოელი სულიერი მოძღვარი ასეთ შეკითხვას სვამს: „ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა ადამიანი მოკვდავია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველა ადამიანს არ ვიცნობთ". თავისთავად საკითხის ასე დასმა ბანალური სოფისტიკის ნიმუშია, მაგრამ ამავე დროს სოფისტები ყველაზე კარგად ახორციელებენ დარტყმას ადამიანის ამბიციაზე; იმსჯელოს აბსოლუტური კატეგორიებით, მიუხედავად ამისა, არააბსოლუტური კატეგორიებით მსჯელობას აზრი არ აქვს, არააბსოლუტური კატეგორიებით მსჯელობისას ადამიანი პატარავდება, მცირდება. „მხოლოდ დამცირებით ხდება განდიდება" – ასე ქრისტიანი მორწმუნეები მსჯელობენ, ესეც სოფიზმია, ქრისტიანობაში საერთოდ ყველაფერი სოფიზმია გულის, სიყვარულის, ჯვარცმის და აღდგომის გარდა, მაგრამ დავეშვათ დაბლა, საკუთარ თავებთან, რამდენად შეგვიძლია ჩვენი თავის დამცირებით ჩვენი გულის დაწმენდა? პირადად მე რამდენიმეჯერ ვცადე, მაგრამ არაფერი არ გამომივიდა, მიყვირეს, არ ვუყვირე, ფეხი დამიდეს, სამაგიერო არ გადავუხადე, მაგრამ კმაყოფილების მეტი ვერაფერი ვერ ვიგრძენი, კმაყოფილი ვიყავი იმით, რომ შევძელი პასუხისგაუცემლობა, სამაგიეროს გადაუხდელობა, როგორც 21 წლის ასაკში, როდესაც წამალი გადავაგდე, კმაყოფილი ვიყავი იმით, რომ შევძელი, ხოლო სხვები დინებას მიყვნენ და თითოეული ჩემი მკვდარ მეგობრის კუბოს აწევისას კმაყოფილი ვიყავი, რომ მე არ ვიწექი კუბოში, რაც თავისთავად არ არის იმის გარანტია, რომ ადრე თუ გვიან კუბოში მე არ ჩავწვები, არა, უფროსწორად ჩამაწვენენ, მე ვერ ჩავწვები, რადგან მკვდრები არ მოძრაობენ, ყოველშემთხვევაში გარეგნულად არ მოძრაობენ.

თორნიკეს თბილისში თითქმის არაფერი არ მოწონს, ზოგიერთი რამე ნერვებს უშლის და ეზიზღება, თავად ამბობს ასე: „მეზიზღება, ფუ". იგულისხმება ქუჩაში ნაგავი, ნაგავში ჩაწოლილი მათხოვრები და ლოთები, ასევე ფურთხის პატარ-პატარა, მაგრამ ხშირი გუბეები. ასე ბარსელონაში ცხოვრების გამოა. ერთი კვირის თავზე ვიგრძენი, რომ თორნიკეს ბარსელონა ენატრებოდა. თორნიკე საქართველოში არ იცხოვრებს, არც ვამტყუნებ, საქართველო მათი ქვეყანაა, ვინც სხვაგან ვერ მიდის, ან (ჩემნაირების), ვინც სხვაგან ვერ მდიდრდება. თორნიკე საქართველოში არ იცხოვრებს, ქართული გაგებით მე ცუდი მამა ვარ, საერთოდ არ ვექაჩები თორნიკეს საქართველოსკენ, არ ვუტენი თავს პატრიოტული იდეებით, რომ საქართველო მისი მიწაა, რომ ეს მიწა ჩვენი წინაპრების სისხლითაა მორწყული, თუ შეიცვალა მასში რამე და ამ დიდ ნაგავსაყრელზე მოინდომა ცხოვრება, ჩამოვიდეს, მე წინააღმდეგი არ ვარ, საერთოდ არანაირი ჩემი გეგმები თორნიკეს მომავალთან დაკავშირებით არ მაქვს, კარგი პრაქტიკული განათლების მიცემის, უფროსწორად დაფინანსების გარდა, მეტი არაფერი, ალბათ იმიტომ, რომ თავად ჩემ პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით არ მაქვს არანაირი კონკრეტული გეგმა, გარდა ერთისა, რომ რაღაც აზრი უნდა მივცე ჩემს ცხოვრებას, ყოველდღიურობის მიღმა არსებული აზრი, თორნიკე, საქმე, გართობა, ეს ყველაფერი ყოველდღიურობაა, აქედან გამომდინარე ეს ყველაფერი წარმავალია და არა აბსოლუტური, ყოველდღიური მოვლენების და ქმედებების სიმყარეა, მითუმეტეს აბსოლუტურობა ილუზიაა, გგონია მუჭაში ძვირფასი ქვა გაქვს მომწყვდეული, რეალურად კი წყალია და თითებს შორის მოჟონავს და იკარგება ყველაფერი, რასაც შენი სახელი და შენი ცხოვრება დაარქვი და სხვებთან თავდაუზოგავად არეკლამე.

თორნიკე კომპიუტერთან ზის, თავის ბარსელონელ მეგობარს ესაუბრება, თან დროდადრო კამერაში ხელს

უქნევს, თორნიკეს მეგობრის სახეს მონიტორზე ვხედავ, თორნიკესხელა გაფითქინებული დედიკოს ბიჭია, ევროპელების უმრავლესობა ასეთია; გაფითქინებული დედიკოს ბიჭები, პირველად ევროპაში რომ მოვხვდი, გავოცდი, რადგან ამ გაფითქინებულმა დედიკოს ბიჭებმა დალიეს, ქალებიც იხმარეს და კოკაინიც ყნოსეს, საქართველოდან გამომდინარე ასეთი რაღაცეების კეთება სულსხვა კატეგორიის ადამიანების საქმე მეგონა.

თორნიკემ კამერასთან დამაყენა და თავისი მეგობარი გამაცნო, გამომდინარე იქიდან, რომ ესპანური არ ვიცი, კატალონიურზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, ინგლისურად დავილაპარაკეთ.

ღამე თორნიკემ მითხარა, რომ მის მეგობარს ძალიან მოვეწონე, იმ წამს ვიგრძენი, რომ თორნიკე ჩემით ამაყობდა და ბედნიერი ვიყავი. ბედნიერ წუთებში, არა, წუთები ბევრია, წამებში ვფიქრობ, რომ ყოველგვარი აბსოლუტურობის ძიება სისულელეა და ცხოვრების აზრი სწორედ ასეთი წამების მოგროვებაა, ცხოვრების აზრის ძიებაში სიტყვა გროვებას ვერ გავცდი, ვახდენ საგროვებელი ობიექტების ჩანაცვლებას, გროვება რჩება, მე ვარ ასეთი სწორხაზოვანი თუ ზოგადად ადამიანური ბუნება ან იქნებ ობიექტური რეალობაა ასეთი არც სამწუხარო და არც საბედნიერო, უბრალოდ სწორხაზოვანი?

მხატვარი ცირა პაპინაშვილი

* * *

გუშინ თორნიკე სალომესთან ავიყვანე, მე და სალომე უკვე ექვსი თვეა ვხვდებით ერთმანეთს, ამ ხნის მანძილზე რა თქმა უნდა სალომესთან თორნიკე სულ ცოტა ექვსჯერ მაინც მყავს ნახსენები, ასე რომ, ბუნებრივია სალომეს უნდოდა ჩემი შვილის გაცნობა, სალომეს თავის 14 წლის შვილიც ყავს, თაკო, რომელსაც ასაკიდან გამომდინარე უპრობლემოდ დავუმეგობრდი, იმავე ასაკიდან გამომდინარე ვერასდროს გავხდები მისი მამა ან მამასავით საყვარელი ადამიანი, ეს ძალიან მამშვიდებს, რადგან სალომესთან არა მგონია დიდხანს დავრჩე, ჩემი და სალომეს ურთიერთობა უპერსპექტივო, ხანმოკლე რომანია, რომელსაც ჩემი და სალომეს ზოგიერთი მეგობარი არასწორად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, თავად სალომეს გულისსიღრმეში ალბათ რაღაც იმედი აქვს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება (რამდენად სწორია აქ ეს გამოთქმა?) და ერთად დავრჩებით, ხანდახან მეც ვფიქრობ მასთან დარჩენაზე, მაგრამ იქვე ვხვდები, რომ არაფერი არ გამოვა, ელემენტარული მიზეზის გამო; სალომე არ მიყვარს. რა თქმა უნდა ძალიან კარგად ვიცი, რომ წყვილების უდიდეს უმრავლესობას ერთმანეთი არ უყვართ, შეყვარებულების უმრავლესობა ერთმანეთზე (სალომე იტყოდა; „ერთმანეთში" ვერ ვიტან ამ ფსევდოარისტოკრატულ ფორმას!) შეყვარებული არ არის და ურთიერთობაში მთავარი ამ საკითხში, როგორც სხვა ნებისმიერ საკითხში ფარული, უსიტყვო შეთანხმებაა იმის შესახებ, რომ რეალური სიყვარული არ არსებობს და ყველაფერი მხოლოდ ურთიერთგაგება და ერთმანეთზე ზრუნვაა, მაგრამ ასეთი შეთანხმება, როგორც ნებისმიერი შეთანხმება, ადრე თუ გვიან ირღვევა და საჭირო ხდება ახალი შეთანხმების დადება და ასე ცხოვრების ბოლომდე, ამ ორი უკანასკნელი სიტყვის მაგივრად შემეძლო ერთი სიტყვა — სიკვდილამდე— დამეწერა, მაგრამ ცხოვრების ბოლომდე" რატომღაც უფრო ზუსტი მომეჩვენა, რადგან ეს ყველაფერი ცხოვრებას ეხება და არა სიკვდილს.

თორნიკემ და სალომემ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, შემდეგ სალომემ თორნიკეს თავზე გადაუსვა ხელი და ნამცხვრებით, სხვადასხვა ხილით, წვენებით და ნაყინებით გაწყობილ სუფრაზე მიგვიწვია, სალომეს ასეთ ზრუნვაში რა თქმა უნდა ჩემთვის სიამოვნების მონიჭების პრაგმატული აზრი იყო ჩადებული, ადამიანებს არ გვაქვს უფლება ერთმანეთს უანგარობა მოვთხოვოთ, რადგან არცერთი ჩვენი ნაბიჯი უანგარო არ არის, შეიძლება მხოლოდ სიყვარულის შემთხვევაში ვართ უანგაროები, თუ სოფისტიკას გვერდს ავუვლით და სიყვარულსაც ერთ-ერთ ანგარებად და ეგოიზმის გამოვლინებად არ ჩავთვლით. რატომ ვლაპარაკობ იმაზე, რაც არ განმიცდია, რა მაძლევს საფუძველს სიყვარულს მივაკუთვნო ყველა დადებითი თვისება და გამოვლინება, პასუხი მარტივია: უსიყვარულობა, რომელშიც ვცხოვრობ.

სალომემ ყველა ის არაფრისმომცემი, მაგრამ ეტიკეტით გათვალისწინებული კითხვა დაუსვა თორნიკეს, რომელ კითხვებსაც უფროსი ადამიანები უსვამენ ახალგაცნობილ ბავშვებს და რომელ კითხვებზეც თავის დროზე პასუხისგაცემაც თავად მათ არანაირ სიამოვნებას არ ანიჭებდა, წარსულის გაუხსენებლობა და მითუმეტეს მი-

სი არარსებობა არაფერ შუაშია, უბრალოდ ჩვენ ვერ გამოვეყავით ჩვენს მშობლებს, ისინი თავიანთ მშობლებს და ათასი სისულელე და სიგიჟე წესად გვექცა.

შემდეგ მოვიდა სალომეს შვილი და თორნიკეს მზერაზე შევატყე, რომ თაკო მოეწონა, თავისი ასაკიდან გამომდინარე (თორნიკე თაკოზე ერთი წლით პატარაა) დაიბნა და ოდნავ გაწითლდა, ესეც ჩვენი გარყვნილი ახალი თაობა, ესეც ჩვენი სამყაროსწამლეკავები, როგორი გადამეტებული წარმოდგენა გვაქვს მათ განვითარებაზე და მითუფრო მათ გარყვნილებაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ გოგოები ოცდაათწლამდე ქალიშვილები არ არიან, ხოლო ბიჭები მხოლოდ პანელზე არ ეძებენ პარტნიორებს.

თაკომ თორნიკეს რაღაც ახალი საიტის შესახებ კითხა, თორნიკემ, არ ვიციო, და ბავშვები თაკოს ოთახში გავიდნენ.

— ხანდახან მგონია, რომ ეს ბავშვები საბოლოოდ ჩარჩენილები არიან კომპიუტერში. — თქვა სალომემ და სიგარეტს მოუკიდა.

— და ჩვენ სად ვართ ჩარჩენილები? ბავშვები კომპიუტერში , ჩვენი მშობლები საბჭოთა კავშირში და ჩვენ, სხვებზე ადვილია ლაპარაკი, დაკვირვებული ხარ, სულ სხვებს ვაკრიტიკებთ,ჩვენ ბავშვებს,ჩვენ მშობლებს და თვითონ ჩვენ სად ვარ, ან ჩარჩენილები, ან განვითარებულები, სულერთია, ჩვენზე ვილაპარაკოთ, ვიღაცეები ამბობენ, რომ ჩვენ ომში ჩავრჩით, მაგრამ ეს რეალურად საკუთარი თავის კარგად შეფუთვის მცდელობაა, ვიდრე სინამდვილე, ასეა, გმირულ სიყალბეში ყოფნა გვირჩევნია ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ არსებობს ტყუილი სხვებისთვის, ტყუილი ერთმანეთისთვის და კიდევ საკუთარი თავისმოტყუება და მგონი ჩვენ უკანასკნელს ვაკეთებთ, იმიტომ, რომ რეალურად საჭმელით, სასმელით, ჩარჩის იდეალებით და მონის წამიერი თავისუფლებით კმაყოფილ სახლებში ვართ ჩარჩენილები, ჩვენ არაფერი მოგვეთხოვება, მხოლოდ მშობლებისადმი მსუბუქი პროტესტი, რომ კიდევ უფრო მეტი საჭმელი მოვიპოვოთ, ომი მერე დაიწყო და ბევრი ისე მოკვდა, ვერ გაიაზრა, სად იყო, და ვინც დავრჩით, ისე ვცხოვრობთ, რომ ჩვენში ომი ჯერ კიდევ არ დაწყებულა.

რა კარგი იქნებოდა, ეს ყველაფერი, რომ მეთქვა სალომესთვის, ალბათ სალომე ნახევარზე მეტს ვერ გაიგებდა, მაგრამ მე ამოვისუნთქავდი და გასკდომამდე ჭამა არ დამჭირდებოდა დასაწყნარებლად.

ღამე თორნიკემ მკითხა:

—მა,სალომე შენი ახალი ცოლია?

—არა — ვუპასუხე მოკლედ.

— მაშინ მე თაკო მიყვარს — მითხრა თორნიკემ.

სიცილი ამიტყდა, თორნიკეს მივეფერე, შემდეგ სალომეს მივუმესიჯე: „Chem shvils sheni shvili sheuyvarda” და ღიმილი.

სალომემ მიპასუხა: „mgoni chemsasac”

„ჩვენგან განსხვავებით” გავიფიქრე, სალომესთვის აღარაფერი მიმიწერია, აღარც სალომეს მოუწერია ჩემთვის.

* * *

დავიწყეთ მზადება თორნიკეს გამგზავრებისთვის, რეალურად თორნიკესა და დედამისის გამგზავრებისთვის, მაგრამ ამ უკანასკნელის საქმეში კაი ხანია აღარ ვერევი, ისე თუ ყავს ვინმე? ალბათ კი, თუმცა რა ჩემი საქმეა, ყავს, ყავდეს, არ ყავს, ნუ ყავს, მთავარია მისმა პირადმა ცხოვრებამ თორნიკეს არ შეუშალოს ხელი ნორმალურ განვითარებაში, კიდევ სამი-ოთხი წელი და თორნიკე წავა სასწავლებლად რომელიმე უნივერსიტეტში, შემდეგ დაიწყებს კარიერის კეთებას და მნიშვნელოვან დღესასწაულებზე მე და დედამისს საერთო ტექსტით ორ მესიჯს გამოგვიგზავნის, ერთად რომ დავრჩენილიყავით, ერთი მესიჯს იკმარებდა. რა თქმა უნდა ეს სამწუხარო წინასწარმეტყველებაა, მაგრამ ძირითადად მხოლოდ სამწუხარო წინასწარმეტყველებები მართლდება და არავინ არის უფრო ტრაგიკული, ვიდრე ნამდვილი წინასწარმეტყველი და არავინ არის უფრო დიდი ტრაგიკოსი არც ანტიკურ სამყაროში, არც რენესანსის ეპოქაში და არც სხვაგან, ვიდრე ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები თვალწინ მომავლის საშინელი სურათებით და გულში მესიის მოლოდინით, თითქოს არასწორი დასკვნა არ არის, მაგრამ ესთეტიკიდან წინადადებების წყობიდან აშკარად ჩანს, რომ ამ საკითხზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ წინასწარმეტყველი არ ვარ. წარმოვიდგინე; ვდგავარ ქუჩაში და გამვლელებს მომავლის საშინელ სურათებს ვუხატავ, ყურადღებას თითქმის არავინ მაქცევს. ესეც წინასწარმეტყველის ბანალური ხატია,კლიშეები ყველგან არსებობს მათ შორის და შეიძლება ყველაზე მეტადაც კი, მეტაფიზიკაში, მაგალითად დოსტოევსკის „ლეგენდა დიდ ინკივიზიტორზე” ერთერთი ასეთი ყველაზე ცნობილი კლიშეა, თან იდეოლოგიზებული კლიშე, თუმცა დოსტოევსკი უკვე წარსულია და ჩვენ ვერასდროს გავიგებთ, რეალურად რა ზრახვით შეიქმნა ეს ნაწარმოები, რომელიც თავისთავად სხვა ნაწარმოების ნაწილია. მე ხშირად მიფიქრია, რა პოზიციას დავიკავებდი ჯვარცმისას, გამომდინარე იქიდან, რომ ვიცი, დუმილი ოქროა, ალბათ საერთოდ არ ამოვიღებდი ხმას, მაგრამ ასეთ საკითხებში ოქროს შუალედი არ არსებობს, პასიური ჯვარმცმელი გამოვდივარ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, ქრისტეს ჯვარცმა და აღდგომა ყოვედღიურად ხდება ჩვენს გულებში, თავებში, უფროხშირად რა თქმა უნდა ჯვარსვაცვამთ (ძნელია სიყვარული, ყველაზე ძნელია სიყვარული), მაგრამ ამავე დროს ჯვარცმა და აღდგომა როგორც ისტორიული ფაქტი მოხდა ერთხელ და მხოლოდ იმით უნდა ვიყოთ ბედნიერები, რომ განგებით მოედანზე დგომა და „ჯვარს აცვი, ჯვარს აცვის” ძახილი აგვცდა, ჩემი სისუსტე თვალშისაცემია.

თორნიკეს ნივთები ჩავალაგეთ, ეზოში ჩავედით, ჩავსხედით მანქანაში და დედამისის სახლისკენ წავედით. რამდენიმე დღის წინ მე და თორნიკე ქალაქგარეთ გავედით და თორნიკე საჭესთან დავსვი, თორნიკეს მოეწონა საჭესთან ჯდომა, მითხრა, რომ დედა საჭესთან არასდროს არ სვამს, მე ვუთხარი, რომ დედა მართალია, რომ მისთვის ჯერ ადრეა ავტომობილის მართვა და ეს შემთხვევა გამონაკლისია. თორნიკემ მანქანა ნორმალურად გაატარა და ახლა ხან მე მიყურებდა, ხან საჭეს.

— ქალაქში არა, საშიშია — ავუხსენი თორნიკეს, რა-

ტომ არ დავსვამდი საჭესთან, არ ვიცი, გაიგო თუ მსუბუქად ეწყინა, შეიძლება ორივე ერთად, რადიოს ოდნავ აუწია და გზას გახედა.

სახლამდე ავაცილე, დედამისმა მითხრა, შემოდიო, მე თავი უარის ნიშნად მარცხნიდან მარჯვნივ გავუქნიე, თორნიკეს დავპირდი, რომ ხვალ დილით გავუვლიდი და აეროპორტში წავიყვანდი და კიბეზე ნელ-ნელა დავეშვი.

ოფისში გაირკვა, რომ კარიერზე ვიყავით გასასვლელები, მოულოდნელად პრეზიდენტს გადაეწყვიტა სტუმრობა და პირდაპირ ეთერში ჩვენი წარმოჩენა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპანიის. ასეთი მხარდაჭერა ყოველთვის მაშინებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ცოტახანში კიდევ მოგვდგებიან რაიმე საქველმოქმედო პროექტის დასაფინანსებლად და ჩვენ უარს ვერ ვიტყვით, რადგან არ არსებობს არანაირი დამცავი მექანიზმი, საქართველოში ქველმოქმედება იძულებითია, მაგრამ როგორ ვექცევით ჩვენ თვითონ ჩვენს მუშებს, ვამუშავებთ არანორმირებულად, ვუხდით მინიმალურ ხელფასს, პრეზიდენტს არ ვუყვარვართ ჩვენ, ჩვენ არ გვიყვარს ჩვენი მუშები, ყველაფერი უსიყვარულობის ბრალია, პრეზიდენტისთვის ჩვენ გარკვეული თანხა ვართ, ჩვენთის ჩვენი მუშები სამოცდაათ-ოთხმოც კილოგრამიანი ხორცის რობოტები არიან და გულისსიღრმეშიც კი ვერ ვაფიქსირებთ, გააზრებაზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი, რომ მათ ცხოვრება აქვთ და ამ ცხოვრების მოწყობას უშედეგოდ ცდილობენ, ღარიბები ყველაფერს ფულს უკავშირებენ, ეს დიდი შეცდომაა, ყოველშემთხვევაში მდიდრები ასე ფიქრობენ, რომ შეცდომაა.

კარიერზე პრეზიდენტის გვერდზე ვიდექი, ორივე ხელი უკან მქონდა წაღებული და პრეზიდენტის გამოსვლისას პერმანენტულად ვაქნევდი თავს.

დილით თორნიკემ მითხრა:

— მა, გუშინ ტელევიზორში გნახე.

— ჰო, ბოროტი ბიძიები მაიძულებენ — ვუთხარი თორნიკეს და თვალი ჩავუკარი.

— შენ რა თქმა უნდა კეთილი ხარ — ჩაილაპარაკა თორნიკეს დედამ.

„შენზე მეტად კი“. გავიფიქრე მე და სიჩქარე შევც-

ჩემო კარგო ქრისტინე!..

ღია გარათი ქრისტინე ბეგიას

დღეს წითელი პარასკევია, კაცობრიობისთვის ყველაზე მძიმე და მწუხარე დღე. სწორედ ამ დღეს ვშლი „ჩვენი მწერლობის“ ახალ ნომერს და ... ვკითხულობ შენს ნოველებს. ვგრძნობ, როგორ თანდათან შემოდის ჩემში ნუგეში, ყველაზე მთავარი, რასაც მწერალი უნდა აძლევდეს მკითხველს.

გილოცავ, შენს კალამს ტყუილად არ უშრომია!..

სიკეთისა და სიყვარულის, უფალთან ახლოს ყოფნის მძაფრი ნოსტალგია ამ ნოველათა სათქმელს წარმოადგენს და მკითხველს უნებურად აიძულებს, დაფიქრდეს ცხოვრების ამაოებაზე. იმაზე, თუ რა არის მთავარი... მით უფრო დღევანდელ დღეს (ეტყობა, რედაქტორმა საგანგებოდ დაამთხვია წითელ პარასკევს ამ ნოველების დაბეჭდვა და ამისთვის დიდი მადლობა ბატონ როსტომ ჩხეიძეს, რადგან სწორედ წითელ პარასკევს კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით აღიქმება ისინი).

მართალია, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და არც შესაშური ოსტატობა ჯერჯერობით არ გაგაჩნია (რაც წლებთან ერთად მოვა), მაგრამ გაქვს უფრო მთავარი, სისადავე, უშუალობა და... სიმართლე, რომელიც ძალიან ხშირად დროსთან ერთად იკარგება და უფერულდება (იქნებ უფასურდება კიდეც). არადა, როგორ ენატრება ეს ყოველივე მკითხველს, რომელიც ზოგჯერ დაბნეულიც მეჩვენება საუკეთესო ორიენტირის ძიებაში.

რას იზამ, ჩემო კარგო, ასეა ცხოვრება აწყობილი, მით უფრო ის რეალობა, რომელსაც მწერლობა ჰქვია და რომელიც არასდროს გპატიობს სიყალბეს... ანდა კეკლუცობას.

მგონია, რომ ნამდვილი მკითხველი ბალღს ჰგავს. როგორც პატარას ვერ მოატყუებ და სიყალბეს ვერ მოაწონებ, ვერც ნამდვილ მკითხველს შემოაბრუნებ შენკენ, თუ არ გიყვარს...

დავით კლდიაშვილი ამბობს: ყველაფერი ჩაივლის და ლიტერატურაში დარჩება ის, რაც მხოლოდ ადამიანის სიყვარულითაა შექმნილიო!

ასეა, შენი ნაწერებიც ადამიანის სიყვარულითა და თანალმობითაა შექმნილი და მინდა, ამ სულიერი მდგომარეობის შენარჩუნება გისურვო!..

დანარჩენს დრო გამოაჩენს, დახვეწს, თავის ადგილს მიუჩენს, დაოსტატდები კიდეც.

მთავარი კი ისაა, რომ უფალს შენთვის ბევრი ტალანტი მოუცია და გისურვებ, მისი გამრავლების უნარი არასდროს დაგეკარგოს.

ინტერესით დაველოდები შენს ახალ პროზაულ ტექსტებს. ვიმედოვნებ, რომ ეს დასაწყისი მომავალ გამარჯვებათა საწინდარი გახდება.

P.S.

ისე, სახელი – ქრისტინე — როგორი შესაფერი ამოურჩევიათ შენთვის.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავ და გისურვებ, არასდროს აგრეოდეს ქრისტესკენ მიმავალი გზა-კვალი.

ნინო ჩხიკვიშვილი



რეზო ესაძე

სამშობლოს

პენატი შენი სავსეა სევდით.
ო, ჟამნი როცა ვარსკვლავებს ჰკრეფდი –
განცდანი იყვნენ; გაქრენ, წარილტვნენ...
დრომ წააყარა სილა და გაქრა...
ჩავჭიდებივარ შენს ჩაშლილ კალთას
ვეალერსები შენს ველს, სალი კლდეს.

გზად ჩავლილ გამვლელს
მოვუყვები მე შენს ამბავს,
გულს ავატკენ და, –
აღარ გამიშვებს...

* * *

აღარ ვიცი ვის შევჩივლო,
მზე ჩადის თუ დაიბინდა...
მხარზე არწივი მეხატა,
ნეტავ საით გამიფრინდა?!

შავლეგ, შენი შავი ჩოხა
შავლეგო-ო,
სისხლით გაგიხამებია
შავლეგო-ო,
ისევ გვესმის კვნესა-ოხვრა
შავლეგო-ო,
გულს რომ გვიკლავს რა ხმებია?
შავლეგო-ო,..
არ წახდება ფუძე-კერა
შავლეგო-ო,
ვიყავით და კვლავ ვიქნებით,
შავლეგო-ო
მხოლოდ საკუთარი ნებით
შავლეგო-ო,
ახლაც მოგვდგამს შენი მადლი,
შავლეგო,
ბიჭს ვუყურებ და შენ გადრი,
შავლეგო-ო,
შენი ფხა და გენებია
შავლეგო-ო,

შენი მაჯა, შენი სისხლი
შენებრ ჩვენი სათაყვანო,
შავლეგო-ო,
მიწა არვის ყვარებია,
შავლეგო-ო,..

საქართველო კვლავ მგელია
შავლეგო,
მტკიცედ დგანან და გელიან
შავლეგო,
ბიჭო-შავლეგ, ბიჭო შავლეგ
შავლეგო-ო,
დავდგეთ კვლავაც, მტკიცედ დავდგეთ,
შავლეგო-ო!..

* * *

მენდე, შენზე უკეთესი
და (იმ ორღობეში) წვიმის
არაფერი არ ყოფილა,
ვცოცხლობ მოგონებით იმის.

წიგნებს აღარ ვეკარები,
თაროს მტვერი ედება.
ნუღარ მიხმობ, ყურს არ ესმის,
თვალიც არ იხედება.

მენდე, შენზე უკეთესი
და (იმ ორღობეში) წვიმის
არაფერი არ ყოფილა
ვცოცხლობ მოგონებით იმის...

ვაი, შენ ჩემო ტკივილო

ნუთუ ამდენი ბილიკი
ბოლოს ქცეული შარებად
უნდა მევლო და გამევლო
ლტოლვილად, გარემარებად...
შენი ხმა, შენი ძახილი
წამომწეოდა კარებთან!

ატკიებულო მთა-ბარო,
მთაო, მღვიმევ და წინწყარო,
სისხლი მადინე გულიდან
ჩანჩქერი და არ მაკმარე, –
თვალზედაც ჩამომადინე,
თან მწიწკნი ბასრი ბრჭყალებით,
მეგონა, ვითომ გიშველე
მოვტყუვდი და გემალები!

ვაი, შენ ჩემი ტკივილის
ყველაზე ძნელო ტკივილო,
რა გითხრა, რით გაგახარო
მოგეფერო თუ გიტირო?!

ან იქნებ თავი მოვიკლა?
რადგან ვერ გერგე ვერადა...
საკუთარ ხელით ვიწვნიო
სიკვდილი მოსამკელადა?!

ხან ნაღველი ვარ, ხან ჭოლი,
დავდივარ ალმაცერადა,
ტვინს ამღვრევს ფიქრი გამჭოლი
სხვას ვიქმ... მე კი სხვა მეწადა!

სისხლიან თასებს არიგებ,
სისხლიანი გაქვს ხელადა
დარცხვენილ მზერას მარიდებ
გადავქცეულვარ შტერადა
ვაი, შენ ჩემო სიცოცხლევ
რატომ დაგირჩი მე რადა?!

რჩევა, თხოვნა და ა.შ.

აგზნებულ კაცებს და ლამაზმანებს ნუ მიენდობით. იმათ მოხატულ პირისახეთ, მსუბუქ დიზაინს და ყბასავსეთ დაულეველი გრძელი ყბედობით ყურს ნუ დაუგდებთ. მათ სურვილი აქვთ ისარგებლონ თქვენი მინდობით და არ უწყიან რომ ამდენი სითეთრე თმაში და სახეზე დამჩნეული ღრმა ნაოჭები ნაკვალევია თქვენი წარსულის. თუმც ეს არ ნიშნავს მათთვის არაფერს. ეძებენ საკვებს, ახალ საყბედოს, დაგვაჯერონ რომ დასავლეთი ინგრევა და აღმოსავლეთს შეიძლება ცეცხლი გაუჩნდეს რომ, სანამ დროა თავს ვუშველოთ, გავიქცეთ სადმე, მაგრამ, სად, რა გზით?.. მათ ავიწყდებათ ან, არ იციან რომ დედამიწა მრგვალია და არა აქვს კიდე. იმგზავრო, თუნდაც, მატარებლით, თვითმფრინავით, ცხენით თუ ნავით აქ მოხვალთ მაინც, იქ დაბრუნდებით საიდანაც სტარტი აიღეთ. ვინც უნდა იყოთ: ქალი, კაცი, ახალგაზრდა, მოხუცი, გლეხი, ეპისკოპოსი, თავადი თუ პარლამენტარი, ჰერცოგი, მეფე, ქორიკოზი, იმპერატორი, თუ ქათმის ქურდი... გასაქცევი ყველას ერთი გვაქვს – შევძვრეთ გრძელი ლოგინის ქვეშ, კანკალით მუხლის. გავიტრუნოთ, მაგრამ თუ უცებ, იქ საიდანღაც გაჩნდება თაგვი, პაწაწინა პირის ცმაცუნით, ნუ დააფრთხობთ. ნუ დაუწყებთ მას ლაპარაკს კანონის ენით. პოლიციელით ნუ შეაშინებთ. დე შეჭამოს მან ნაფცქვენი, რაც გაქცევისას, სუფრაზე დაგრჩათ. ან, მაგალითად, პირჯვრისწერის ან ჯვრისწერისას მეფე დედოფალს, მომხსენებელს – შესვენებისას, გლეხს – თესვისას, ხის მჭრელს ხის ჭრისას, თუ ხუროთმოძღვარს, ჯიბის ქურდის მენტალიტეტით, რაც გაქცევისას მათ უკან დარჩათ. კაცს სურვილით თავგამოჩენის, ბრძენკაცს ნიღბით, რომელსაც ვეჭვობ შეუჭმელი რამე დარჩეს, [ის უცებ შეთქვლეფს ყოველივეს] მე თქვენ მოგმართავთ ჭკვიანთა შორის ჭკუის კოლოფნო, ბანოვანნო, ენოვანნო და ა.შ. ნუ გავამტყუნებთ თაგუნიას თქვენს მიერ, ძმანნო, დარჩენილი ნამცეცების შესუსვნისათვის!.. საზღაურად ამ სიკეთისა, მე გჩუქნით ქვეყნად რაც ქალებია, ყველა ლამაზმანს, მათ შორის ჩემს ცოლს და მეზობლის ლამაზ მეუღლეს რადგან ამ ამბავს, ჭორის-ჭორს-ჭორზე, მათზე უკეთ ვინღა მოგვითხრობს?!

სადღეგრძელო არ დაგვაქცევს

ძვირფასო რედაქციავ, უპირველესად აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ. თქვენი უდავო ღვაწლი ქართული მწერლობის სამსახურში ყოფილიყოს ხანგრძლივი, მოგყოლოდეთ უკეთესი და უკეთესი მემკვიდრენი.

გახლავართ, როგორც იტყვიან ხოლმე, ერთგული მკითხველი თქვენი მშვენიერი ჟურნალისა. ამ ოთხი წლის განმავლობაში, ბარემ ბევრჯერ მომდომებია სამადლობელი სიტყვით გამოგხმაურებოდით ამა თუ იმ პუბლიკაციათა გამო. თუ თავი შევიკავე, გაუბედაობით; მაინც სხვათა მოსმენას ვამჯობინებდი.

„ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ღრმა, სერიოზული ლიტერატურული ოპუსები თუ სხარტულა, მახვილგონივრული პუბლიკაციები ჩემთვის თანაბრად საინტერესოა და შესაფერის დროის მონაკვეთში ვკითხულობ. ვეცნობი ვრცელ რეპორტაჟებს თქვენი ლიტერატურულ-სალონური ცხოვრებიდან, რომელიც აქ, მოშორებულ პერიფერიაში სტუდენტობისდროინდელი ელიტარული თბილისის მაჯისცემას მახსენებს. როდესაც ძვირფასი და საყვარელი მწერალი თუ მეცნიერი, მხატვარი თუ მსახიობი დასანახავი იყო როგორც ჩვეულებრივ ყოველდღიურობაში (თუნდაც რუსთაველის პროსპექტზე – თბილისური არტისტიზმის ასპარეზზე...), ისე ქართული ტელევიზიის შეზღუდული შესაძლებლობის ფარგლებშიც კი. სიტყვამ მოიტანა და მომრავლებული სატელევიზიო არხებით, „საღლაბუცო“ პროგრამებში, ახლა დიდი მკვეხარებით საავტორო რომ დაურქმევიათ, დავიწყებიათ, ხითხით-ხარხარისა და მწკლარტე ანეკდოტების გარდა ჩვენში დარბაისლური სიტყვის მოსმენისა და შეცნობის კულტურაც რომ არსებობდა. ვიცი, ჩამჭრით, კომერციაიაო. კაი საქმისკენ მიდრიკეთ ეგ თქვენი კომერცია და რახან მთელი საქართველო ვიღაცების მოგებაზეა გათვლილი, იქნება აქედანაც იხეირონ.

გამიგრძელდა სიტყვა, მოგიბოდიშებთ, მე ხომ გამოხმაურებას ვაპირებდი ორი ავტორიტეტული მწერლის შეპაექრების გამო. ოღონდ აღფრთოვანებული კი არ ვარ, უფრო – შეწუხებული. ვგულისხმობ თამაზ ნატროშვილისა და ლევან ბრეგაძის პუბლიკაციებს 2010 წლის ნომრები ლამის ერთიმეორის მიყოლებით რომ ეთმობა.

თავდაპირველად ხუმრობა-ხუმრობა მეგონა ეგ ყველაფერი.

რაზე დავობენ ბატონები?

რად უნდა დავა და კირკიტი იმას, რაც არაა სადავო-საკირკიტო. ორივე ავტორის მწერლური ნიჭი და სინდისი ეჭვშეუვალია. რაზე დამშვრალან? რისთვის იხარჯებიან? კამათის გასახმაურებელი და გასახურებელი ამ „წყევლა-კრულვიან“ დროში ვეღარაფერი დაინახეს? მთელი გულმოდგინებით რომ დაუკაპიწებიათ ხელები, ეგ ბასრულა კალმები სხვადასხვა საჭირბოროტო, მავნე ჩვეულების გამოძირკვას მოახმარონ.

ჩვენი სამშობლო მიწათმოქმედების, ღვინის ქვეყანაა. უხსოვარი დროიდან ჩვენი წინაპარი მიწას ელაპარაკება. ბარაქიანი და ნოყიერი ნიადაგი ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ყურისგდებას ითხოვს გლეხისგან. რაღა გასაკვირია, მადლიერების გამოხატვას რომ აჩვევდეს ადამიანს. მადლიერება სიტყვით გამოიხატება და სიტყვაც შეისმინება.

ჩვენს სოფლებში მიწათმოქმედნი დაცოტავდნენ და მომრავლდნენ მოყიალე, დაბეჩავებული, ძალადაშრეტილი და სიამაყედაკარგული კაცები. მიდგებიან ღონიერი მოსახლის ღობეს, ვითომ რაღაცა საქმეზე გამოსულები, და ერთი-ორ ჭიქას თუ ვინმე გადაახუხინებთ, ენისბორძიკით ამოღერღავენ გაგიმარჯოთ... შეიძლება ენაკვიმატი მასპინძელი შემოწყრეთ: რავა რუსივით სვამ, შე უპატრონოო...

რუსივით სმა უსადღეგრძელობაა. ასე რომ სადღეგრძელოს „ბარაქალა დიდი რუსეთისაგან ვერ ვისწავლიდით“, რაც არ უნდა გვესწავლა, ის დავგმოთ.

სადღეგრძელო საქართველოს არ დააქცევს!

ეთერ ბარელაძე
ჭიათურა

გია კობახიძე

* * *

უცხოს ნაკლებად აღელვებს
შენაქოს ლურჯი ყვავილი,
შხარაზე ნისლი დამდგარი,
ჩარგლის თავს ირმის ბღავილი
უცხოა, მიტომ არ ხვდება
იმის გულს ჩვენი მთა-ველი,
არც დასამარხად ეძახის
მიწის ეს ერთი მტკაველი.
„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნურვინ შეგვეცილება“.
შორიდან ისევ მოგვძახის
ის დალოცვილი ფშაველი.

* * *

მოხდილი ჭურის სურნელი აქვს
დღეს რაჭის ცილას,
ჯერ ისევ გრილა
გაბადრული მზე იწევს მაღლა
ქათმები კრძალვით შეჰყურებენ თავიანთ ჯილას.
დეზებს ისწორებს, ქორს მამალი
არ აგდებს ძაღლად
ხავსიან ეზოს გააჟრჟოლებს
მივარდნილს ძილად
დახუჭულ თვალებს დასწოლია,
ზემოდან დაღლა,
ბუხრიდან ბოლი ამოსული
ცას როდის მივა
ყველა საკითხთა საკითხია
მე ვფიქრობ ახლა,
ყველაზე მშვიდი ცის ქვეშ
აქ დგას ნამდვილად დილა
თვითონ სიწყნარეც აქ დამჯდარა
კარად და სახლად.

* * *

ისე უეცრად დაგიპყარ
ვერც მოვამზადე თავდასხმა
ხელებში ამოფართხალდი
როგორც კეფალი ფოთიდან.
ჩემი გულიდან შენს გულში
სისხლის ეს სწრაფი გადასხმა
ჰგავდა უზუსტეს გასროლას,
ერთლულიანი თოფიდან.

* * *

ახალმა წელმა ახალუხის შეიხსნა ღილი
ახალშობილი მზე ბავშვივით
უხდება ამ ცას
ოქროსთვალება დილამ შთანთქა
წინაწლის ძილი.
თავისი წილი ფიქრი ებრძვის ქალსაც და კაცსაც –
ქვეყნად არ არის არაფერი ბოლომდე ტკბილი,
ოდნავ მომწარო გემო დაჰკრავს
ამიტომ თაფლსაც
ადამის ვაშლი თვალწინ გვიდევს – ცდუნების ხილი,
დიდი ასოთი იწყებს წელი მომდევნო აბზაცს.

* * *

ნაფერები სითბო
ერთი პეშვი დარჩა,
სუსხიანი ზამთრის პირველი თვე დგება
რძისფერ ნისლში თითქმის
არაფერი არ ჩანს.
მთაწმინდაზე ანძა ხან ქრება, ხან ჩნდება.

* * *

გამოანათე – თითქოს
თაფლი გაიხსნა რძეში,
შეგხედე და გავოცდი
ჩრდილი დაბრუნდა ხეში.
სანთელივით მოჩანდი
ნათელს ურევდი ბნელში
მოდიოდი – ნახატი
მარტო ვარაზის ხევში,
ასეთ სურათს ნახავდი,
ავთო ვარაზის ხელში.

* * *

სულ პირველად ღმერთმა
სიტყვა გააჩინა,
დღესაც ბრწყინავს წიგნი
თვალწინ გადაშლილი.
მერე ზღაპრის საკითხავად დააჯინა
ბუხრის პირას ბაბუა და შვილიშვილი,
იავნანა პირველად ხომ დედას უთქვამს,
სულ სხვა არის მაშინდელი ტკბილი ძილი.
გაღვიძება და ქართული ლხინის სუფრა
მომღერალი ბაბუა და შვილიშვილი,
ქვეყანაზე სხვა რა არის შვილის მსგავსი,
მაგრამ უფრო საოცარი – მისი შვილი.
ერთი დიდი საწნახელი ყურძნით სავსე
შიგ ჩამდგარი ბაბუა და შვილიშვილი,
უკვე ვაჟკაცი, ნაყოფი დიდი შრომის
როგორც ლომი, საომრად ფაფარაშლილი

გულღია და სამეგობროდ გვერდში მდგომი
ეიმედება ბაბუას შვილიშვილი.
მზე ამოდის, ყველაფერი ჯერ წინ არის,
ჰაერია გამჭვირვალე, როგორც ცვილი,
აღმართს ზემოთ მიუყვება მოცინარი
ორი კაცი – ბაბუა და შვილიშვილი.

* * *

ძველ ფოტოზე ვისი სახე არ ბერდება
ვის ვენდობით საკუთარი მამასავით,
სიო მოჰქრის, არ ჩერდება
ტკბილად გვესმის ყურში დედის ნანასავით.
დედის ლოცვას ვერაფერი შეედრება
ძველისძველი ისმის ჰანგი მადლიანი,
ყველა სული ბოლოს ცაში შეერთდება
თუმც იქამდე ჯერ ძალიან ადრე არის.
საკეთებელს როცა შენსას ხედავს თვალი
სწორედ მაშინ გარწმუნებ და გაიმედებ,
და თუ გტკივა შენი ქვეყნის მომავალი,
წარსულს ასე უბრალოდ ნუ გაიმეტებ.

* * *

ისე, როგორც მუსიკაში, ცხოვრებაშიც
ყველა ბგერა ერთნაირად არ ისმის
ის, რაც უკვე ჩაბეჭდილა გონებაში
ათასნაირ სირთულის და ხარისხის
კიდევ ერთხელ ამტკიცებს
რომ ბუნებაში
არაფერი არა ხდება თავისით.

* * *

ცხოვრების სათავეს სიტყვა ეწოდება
მასთან პაექრობა – მწარე გაკვეთილი
ბანზე აგდებული
სიტყვა მეცოდება,
კაცი – სხვის მაგივრად
უღვთოდ დახვრეტილი.

* * *

დილიდან საღამომდე ქუჩის განაპირას
პატარა ბიჭუნა გასცქერის სანაპიროს,
თვალები სავსეა უსაზღვრო ლოდინით,
თოვლით დაფარული დგას თეთრი ლოდივით,
გულში პანაწინა დუღს ჭიაკოკონა.
არადა და არა ჩანს პატარა გოგონა,
პირველ თოვლზე ფეხის პირველი დაბიჯება,
პირველი სიყვარულის კვალი
მკრთალი რჩება,
გზები დატკეპნილი ნელა რუხდებიან,
გრძელი ლოლუები ხეებს უხდებიან.
გზაზე თოვლი თეთრებს
თეთრად ახურდავებს,
ათოვს მანქანებს და ათოვს სახურავებს.
სულ არ უხარიათ თოვლი ამ ბელურებს,
ყინვა ახატიათ კიბის საფეხურებს.
დიდი ხნის ნასროლი თოვლის გუნდებია,
ახლა ფანტელებად უკან რომ ბრუნდებიან,
შეწყდება ისევე, გათოვდა როგორც
ისევ იდარდებენ ბიჭიც და გოგოც.
გავლენ დღეები და გაზაფხულს შეხვდებით,
მიხვდებით ყველაფერს, რასაც დღეს ვერ ხვდებით.
ახლა კი ზამთარი – მოხუცი მხატვარი,
ფუნჯებს ეფერება თითებით გამხდარით,
თოვლში ნათურები ძლივსღა ანათებენ,
ცვივა ფანტელები – თეთრი ბარათები.

* * *

ქვეყანა შემომატარა
არდაყოვნებამ ხანისა,
ცრემლით ამივსო მათარა
მშვენებამ შენი ტანისა,
მწვანე თვალების ატანა
ლოყაზე შავი ხალისა,
დამაჩნდა გულსა ღადარად,
ჩემი ოცნების ქალისა,
ფიქრი გადიდდა პატარა
წყალმა წაიღო მტკვარისა.
არ ეშველება არცა რა
შუქს შეერია მთვარისას
დანა მიჭირავს შავტარა,
ვაი, ბრალი ჩემი თავისა.
დარი მიქციე ავდარად,
დილა გადიქცა დაისად,
დღეს სად იყავ და სად არა
სად მოგიხელთებ გაისად,
მინდოდი, ვითომ რად არა
თავთავად ჩემი ყანისა.

* * *

ჭიშკარი ფრთხილად გამოაღე
ჩემკენ წამოდი,
შენი ბიჭი შენ გელოდება ამ საღამოთი
ზურგი აქციე მხარეს, ადრე საითაც რბოდი.
ლოდინის წამი დამისრულე,
ლამაზად მოდი
ღამის ჭადრის სველ ფოთლად იქეც
ცის მეოხებით.
ეზოში ჩუმად შემოფრინდი, ნიავს მოჰყევი
ვარსკვლავნი შენთვის ციმციმებენ ნამნი ზემოთნი
მოადექ სარკმელს და ოთახში თოვლად შემოდნი.
გაიშრიალე ვარდისფერად მოქარგულ კაბით
დამიდექ თვალწინ ზღვითშობილი
რძისფერი ქაფით,
თვალის სისველე დამიბრუნე ცრემლის უნარად,
გახუნებული კვლავ მიქციე გაუხუნარად.
გადამიარე გულზე ზვირთად შმაგი მდინარის,
მაგრძნობინე, რომ შენისთანა არავინ არის.
ჩემმა სურვილმა ფიქრი შენი გადაიხატა,
ბაგეზე კოცნა დამაბნიე წითელ მიხაკად.
გააპე ცეცხლით მკერდი შენი მონა-მორჩილის.
მერე მაშხალად მოგიზგიზე ღამის ქორწილის
მოწყენილ კედლებს გააგონე სიცილი ბროლის

იყავი ჩემი სანუკვარი სატრფოც და ცოლიც
და როცა დილის შემოხედვით შეკრთება ნამი
მზის ეტლად შემობრძანებამდე დარჩება წამი.
დატოვე ფრთხილად სიყვარულის ეს ჩემი ლავრა
და მზისკენ ნიავს აედევნე ოცნების მგზავრად.
მე კი დავრჩები ცოდვით სავსე ამ მიწის მცველად
როგორნიც იყვნენ და ერთგულად რჩებოდნენ ველად.
ამ ერთგულებით ავსებულა სურნელი მისი
სიყვარულია, რადგან სიტყვა ყოვლის საწყისი
და ყველაფერი ქვეყნად ხდება
ამ სიტყვის გამო
დიდი ხნის წინათ თქვა პოეტმა –
„შეჩერდი, წამო“.

* * *

ბევრი ოფლი დაღვრილა და დაიღვრება
სანამ ცეცხლად გადიქცევა ნაპერწკალი,
წისქვილის ქვა არასოდეს დაიღლება
ღარიდან არ მოაკლდება თუკი წყალი.
კიდევ ბევრი წელი მოვა სტუმარივით,
დაელოდე, არც ერთი არ გაიოცო
შეიყვარე წუთისოფლის პურმარილი,
სიბერეში ალალად რომ დაილოცო.
არაფერი გულს უცხოდ არ მიაკარო,
ყველაფერი ძველია და გამოცდილი
გაფრენილი სიჭაბუკის ნიავქარო,
დამიბრუნე აზარფეშა გამოცლილი,
დამიბრუნე, რომ პირამდე ავსებული
ჩემს შვილებთან ერთად
ისევ გამოვცალო.
გადღეგრძელო – სიყვარულით სავსე გული
და შენც ჩემო, სიჭაბუკევ საოცარო.

* * *

ეს გულგრილობის ნაბადი კედელზე ვინ ჩამოკიდა,
იასამანი დამჭკნარა, წყალი იქცევა კოკიდან.
ნუგეში ტოტზე ქანაობს
არავინ არ ხსნის თოკიდან
ზოგის პირს გესლი განაგებს,
თაფლი ამოდის ზოგიდან.
ტკბილ სიტყვას თუ არ გამატან,
სიყვარულს როგორ მოგიტან.

* * *

ვუსმენ გურულ სიმღერას
ხმა მიძვრება ნემსის ყუნწში
მეც მივყვები იმ ბგერას
სული მომწყვდეულა მუჭში.
არ ღირს დაღლა თმის ღერად,
თავი ახლა კი მაქვს ქუდში
ვუსმენ გურულ სიმღერას,
პირველს ებრძვის ბანი ურჩი.
არა, არ მესიზმრება,
ანგელოზი მიმღერს ყურში.

* * *

მაკა სახეჩიძეს

იმდენად შორს ხარ, რომ ძლივს
გწვდება ფიქრი აქედან,
ანკარა სუნ--თქვა დაჰფენია ქართულ ბაგეთა.
თოვლისფერ ზეცას შესციცინებ ცისფერ თვალებით
სავსეა გული სათნოებით და მოკრძალებით
მადლიან დილის გათენების შენ ხარ საწყისი
ცივ ქვეყანაშიც ხარ ქართველი დიასახლისი.
გულიდან სითბოს უნაწილებ უფროსს თუ უმცროსს.
უცხო თვალებიც ვერ გიმზერენ
შენ როგორც უცხოს
თოვლზე მარტოდ მდგარ ხეს
სიყვარულს მძივებად აბამ.
მზის სხივებისგან მოქსოვილი გიხდება კაბა,
სადაც შენა ხარ, კედლებს რუხი ფერიც კი შვენით,
ბრწყინავს დარი და ყველაფერი ციმციმებს შენით.
ახლა აქა ხარ, სადაც მართლა სჭირდები ყველას,
ფასი აქვს, სადაც ყოველ სიტყვას,
კალამს თუ მელანს.
კარგია, როცა ბავშვობის ტკბილ
ადგილს არა თმობ.
ვიცი, რომ შენი სიყვარულით ყველას გაათბობ,
შენც აივსები კეთებისთვის სიკეთის ახლის,
რადგან კეთილ გულს არასოდეს სიკეთე არ ღლის.
მერე კი ცისკენ გაგაფრენენ მსუბუქი ფრთები
და თან გაგყვება სურნელება მოჩითულ მთების,
დაგხვდება ცივი ქალაქი და
ბინდბუნდში ნისლი,
მაგრამ მდუღარე გადაგარჩენს
ძარღვებში სისხლი.
მერე ამოვა მზე მორცხვი
და ნახევრად თბილი.
თვალს გაუსწორებ და სხივებში შეამჩნევ თბილისს.
ცისფერ თვალს ცრემლი მოადგება
სულ ერთი წვეთი
და ეს იქნება სიყვარულიც, ნატვრაც და ბედიც.
არის წუთები, როცა გული ყველაფერს მართავს,
კვლავ ძველებურად მოუხდები ვერცხლისფერ ზამთარს.
ახლა კი ირგვლივ სურნელია ვერცხლისფერ წიწვის
მზე ცისფერ თოვლზე სანთელივით ლამაზად იწვის.

* * *

დავყურებ ძვირფას ფურცელს
საბას ნათქვამის სიბრძნეს,
დაგტოვებს უჭმელ-უსმელს
გრძნობ სიგანეს და სიგრძეს.
საუბარია რაზე –
თავს უვიცობას ვკადრებ,
არ მიფიქრია ასეთ
განმარტებაზე ადრე.
წარმოუდგენელს მისწვდეს,
მეხის გავარდნას ცაზე
„თავი არს კაცთა ქრისტე“
საბა განმარტავს ასე.

დაიბადა 1972 წელს. 1994 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილი სახელობის თსუ ჟურნალიტიკის ფაკულტეტი.

მუშაობდა პრესის კორესპონდენტად, რედაქტორად, სამხედრო ჟურნალისტად, ტელე და კინოპროდუქციის სცენარისტად და რედაქტორად.

მისი ლექსები, მოთხრობები, წერილები ლიტერატურულ პრესაში იბეჭდება 1985 წლიდან.

არის 2000 წლის "წინანდლის პრემიის" ლაურეატი.

ავტორია ორი პოეტური კრებულისა — "ნუ მესიზმრები, რაა!" (1999) და "ჩემი მდოგვის მარცვალი" (2009).

ეს ორიგინალური პოეტური ცდა კარგად წარმოგვიდგენს მისი პოეტური სტილის თავისებურებას – მუდმივი ძიება, ფიქრი და დიალექტიკური სვლა საკუთარი სულის სიღრმეებისაკენ.

ერთი შეხედვით, ეადვილება სათქმელის გამოხატვა. თითქოს თავისით მოსდის საჭირო სიტყვა საჭირო ადგილზე, მაგრამ სტრიქონებს შორის იკითხება და ხედავ კიდეც, რა შრომის ფასად არის მიღწეული ფრაზის უბრალოება და აზრის სიცხადე.

ესეც მისი ხასიათია: პასუხისმგებლობა მკითხველის წინაშე.

ზაზა ბიბილაშვილი

წელიწადი, როგორც ერთი დღე

დღიურები — 20..

3.1

განა არ ვიცი? — ამოდის კიდეც. მეც ეგ არ მიკვირს? — სულ ჩასვლაზე რად მეწერება?

7.2

ვეცადე, როგორ არ ვეცადე. ესა ვარ, რაც გამომივიდა.

3.3

რა ვქნა, თუ ზოგჯერ მართლა მითრევს ჩემი თავთხელი; თუ თქვენს მოყინულ ზედაპირზე ძალაყინის ამაო რაჩქუნს ეს მირჩევნია.

7.3

შენი თვალები? ხერხემალში გადამამტვრევდა. გამომშაშრავდა შენი ტანი, როგორც უდაბნო. ეს — უშენობა — არა მკლავდეს, რა იქნებოდა!

9.3

გახსოვს ტყვეობა? ტკბილი ტყვეობა... ამურების ბადრაგი რომ დაგვატარებდა.

11.3.

ვერ ვიპოვე ჩემი საბრძანებელი. ვერ ვიპოვე ჩემი საგანდეგილო.

17.3

ნეტავი, მართლა ვის რას ერჩი? ნეტავი, რატომ — შენ რომ იცი, ისეთი უნდა ყოფილიყო აქაურობა?

19.3

ხანდახან ყველაფერი ჩემი ახირება მგონია და თქვენკენ გამოვეჩქარები — უდღეური ღიმილით.

19.3

ჰოი, ძალაო, ხეჯიუტის ამომზიდავო უდაბნოთა ბერწი მიწიდან... ჰოი და ჰოი, თავნება ხეო, მზის ცხელ უბეში იმისათვის თავამორგულო, რომ ჟამით ჟამად მომთაბარე აქლემებმა გაისველონ მყრალი კბილები, და სხვებზე ზრდილმა ბედუინმა ნაკვები გვამი შენ ტოტებქვეშ შეიმსუბუქოს...

20.3

რა საჭიროა სხვა დანარჩენი. განა ცოტაა უმწეობა წარმავალისა?

2.4

რას ვერ გიცნობდი — მერამდენეა ეგ შავი და მართკუთხა თვალი, მე რომ ჩაგყურებ...

10.4

თითქმის არა ვარ. ვსუნთქავ ხამუშად და მკრთალად მიკვირს, უფრო და უფრო ნამდვილად რომ ტლაშუნებენ უბედურების ფრინველის ფრთები. ვერაფერი გამოვაპარე.

30.4

არც ეგ გამოდის გამოსავალი. აბა, მეორედ რომ დაგჭირდეს, რაღას მოიკლავ?!

30.4

ვერ ვისწავლე თქვენი ცხოვრება. ჩემი კიდევ — ვერა და ვერა.

6.5

იქნება მართლა საკმარისია, რაც უკვე მოხდა? აბა, გახედე, გახედე ერთი სოფელ-ქვეყანას!

12.5

ჰო, რა თქმა უნდა, რა და რისი გოლიათები — წისქვილებია, თავისთვის ფქვავენ... მაგრამ — ო-ჰო-ჰო! — რა მყრალია მათი ნაფქვავი!

12.5

...მსგავს თავშეყრებზე უსათუოდ მიმელის ხოლმე ჩემი ერთგული აუდენტი — ჩემი ერთგული მარტოობა — ძველი, ვეება, სრულყოფილი. რომ მომეგებოს, მშობლიურად გადმომეხვიოს და, რა თქმა უნდა, ყასიდი მალვით, სადგისიც ჩამცეს იქ, სადაც ჯერ არს. თან ჩამჩურჩულოს: ეგ რა არის — მაშინ გენახა, არ მიჭერდნენო თოკებით ცაში!

12.5

რატომ არის? — წერას რომ იწყებ, სულ ის სწავლული გახსენდება, ასპიტისგან უნუგეშოდ დაგესლილი, არყოფ-

ნის სუნთქვის სინქრონულად მთრთოლავი ხელით მისხალ-მისხალ რომ ინიშნავდა — როგორ კვდებოდა.

16.5

ვინ იცის: ასე უშნო იყო იქაურობაც. და აქ ამიტომ, სულ ამიტომ გამოვიქეცი.

16.5

უჟმური დღეა. აფსუს, რა დროს გაგხსენი, ყულფო!

30.5

რას ერჩი-მეთქი ობოლ ქვეყანას? არ გითხრეს, რასა მგვანებია მაშინაც კი, ღმერთი რომ ჰყავდა?

3.6

სულ მავიწყდება პაროლი, ვერაფრით დავიზეპირე: „მე და თქვენ ერთი სისხლისანი ვართ“. „მე და თქვენ...”

3.6

თქვენ მაინც სადა ხართ — სხვა ანომალიებო?

4.6

ასეა, როცა სიკვდილისა ცოტათი მაინც უფრო მეტად გეშინია, ვიდრე — სიცოცხლის.

11.6

რომ არაფერი ჩანს, სულ არაფერი? მეც განა ვჩანვარ? — მხოლოდ ვიგრძნობი.

18.6

გამოგიჭირე: ისევ ფიქრობ თავის მოკვლაზე. თან ისე ჟინით, შურისძიების მაძიებელი ყმაწვილი რომ გაიფიქრებდა — კარაქიან პურს არასოდეს აღარ შევჭამო!

25.6

არ მოგწონს? მაგას, რა, მოსწონხარ? ჭინჭყლო ბავშვო, ხომ ხედავ, რომ შენზე დიდია? გაეცა, წადი!

5.7

არავითარი კარგი და ცუდი — მე, შენ და ის ვართ ამ ქვეყანაზე.

13.7

ჩვენი სიყვარული ზღაპარს ჰგავდა — უმრავლესობას — ათასერთის კი არა და — ერთი ღამისას.

13.7

რატომ კვდებიო გზაჯვარედინზე. იქით ბილიკიც კი არ მიდის, მე რომ მივდივარ.

19.7

რის სასახლე და ფიანდაზები... სადმე ჯობია ამ ორიდან გული გაგისკდეს — ქოხმახში ან სრა-სასახლეში?

20.7

ნეტავი შენი ბრალი იყოს ეს თვლემა, ივლისო!

29.7

მე და თქვენ... ოო, დავიღალე — შორია, შორი!..

13.8

მენატრები, განა შენთან ყოფნა მინდა.

14.8

რად მითხარი — მოდი, მაკოცე, მოჯადოებული პრინცესა ვარო — ჩვეულებრივო ბაყაყო?

26.8

სადაც მივედი, განა იქ ყოფნა მინდოდა და მიტომ მივედი — სადაც ვიყავი, ა იქიდან გამოვიქეცი. განა შენ მსურდი, შენ გეძებდი მთელი ცხოვრება — უმიჯნურობას ვერ გავუძელი. სადაც მე მინდა, ის არ არსებობს. ვინც მე მინდა, ის იქ არის, სადაც მე მინდა.

27.8

ჩუმად ვარ, ჩუმად. ქვეყნის ქარები თუ წივიან ნატყვიარებში.

29.8

არა, არ გვიყვარს ერთმანეთი. უბრალოდ, ვთბებით.

31.8

ეგეთი დიდი სიყვარული... აბა, როგორ გამოვიდოდა?!

5.9

რა სიძუნწეა — სიკვდილისთვის აქაურობაც გენანება.

16.9

ძალიან ძნელია, აქ იყო მე. საამაყოც არაფერია.

26.9

უხერხულია — როგორ ვიყო მარტო მართალი.

27.9

რა ხდება ჩემკენ?? თმა მეზრდება და კიდევ — ფრჩხილი.

27.9

განა მომწონს, რომ მგონია, რომ არა ხარ. სულ არ მომწონს, რომ მგონია, რომ არა ხარ. კიდევ უფრო ის არ მომწონს, რომ არა ხარ.

22.10

...ბოლოს და ბოლოს, თქვენ ვერ დაგაგდეთ, ვერ გაგიმეტეთ — მომეწყვიტეთ ხვლიკის კუდივით. თორემ როგორმე მივიდოდი მარტო იქამდე. აქედან მაინც გავაღწევდი, როგორმე, მარტო.

25.10

სასაცილოა თავიც და ბოლოც. შუა — ყველაზე სასაცილოა.

7.11

აღარ მოუყვეთ ზღაპრები ბავშვებს — რას გიშავებენ?!

7.11

ფუჭად შეაწყდა შენი ლაშქარი ფანტასტიკური სიყვარულის ჭიან გოდოლებს... მსხვერპლი? — არ არის. მხოლოდ — სავსეა სახიჩრებით ლაზარეთები.

27.11

მერე რას იზამ, სიკვდილის შიშის ჟანგბადიც თუ გამოგელია?

30.11

ჩვენ გავიყარეთ. მე და შენ გავხდით.

30.11

იმდენს ვფიქრობდი, ველარ ვიცხოვრე.

30.11

იმდენს ვფიქრობდი, ველარ ვიცხოვრე. ვერც მოვიფიქრე.

7.12

გული ისე მტკიოდა, დროც კი არ გადიოდა.

29.12

ვინ არ გიბიძგებს გაგიჟებისკენ. ვინ გაპატიებს.

30.12

შევხვდით. ნუ შემებრძოლები. უთანასწორო იქნება. შენს მახვილს ის სულერთია ერქმევა, ჩემს შიშველ ხელებს — ის სიყვარული.

31.12

გნახე და წყალში ჩამეყარა ამდენი ხნის უნახაობა.

ედმუნდ ბერკი

წინასწარრწმენა, რელიგია და ანტაგონისტური მსოფლიო

ამ ნაწილში გადმოცემულია წინასწარრწმენის მნიშვნელობა და რელიგიურ სასოებასთან კავშირი. შემდეგ ბერკი ავითარებს თავის კონცეფციას „მარადიული საზოგადოების ხელშეკრულებისა", რასაც უპირისპირებს „სიგიჟის, უარყოფის, ცოდვის, არეულობისა და დაუსრულებელი მწუხარების ანტაგონისტურ მსოფლიოს".

როგორც ხედავთ, სერ, ისეთი თავხედი გამოვდექი ამ განმანათლებლობის ეპოქაში, რომ გამოვტყდი, საზოგადოდ გრძნობების ხალხი ვართ-მეთქი; და რომ ჩვენს ძველ წინასწარრწმენათა თავიდან მოშორების ნაცვლად ერთგვარად ვაქეზებთ მათ და, რაც ჩვენთვის უფრო სამარცხვინოა, იმიტომაც ვაქეზებთ, რომ წინასწარრწმენებია; და რაც უფრო დიდხანს გაძლებს, რაც მეტად გაიდგამს ფესვებს, მით მეტად ვაქეზებთ. ვშიშობთ, არ შეიძლება ადამიანის მიშვება, რომ მხოლოდ საკუთარი ჭკუით იცხოვროს და იმუშაოს; რადგან, ვეჭვობთ, რომ მარტოკაცი ძალზე პატარაა და რომ ემჯობინება თუ ინდივიდები საერთო – საუკუნეთა მანძილზე ერებში დაგროვილი – საცავიდან ისარგებლებენ. ჩვენს მოაზროვნე კაცთაგან მრავალნი, ნაცვლად იმისა, რომ უკუაგდონ საზოგადო წინასწარრწმენები, მთელ გამჭრიახობას იყენებენ იმ ჩამალული სიბრძნის აღმოსაჩენად, რაც უმთავრესია მათში. თუ აღმოაჩენენ, რასაც ეძებენ, და იშვიათად მოეცარებათ ხოლმე ხელი, მიიჩნევენ, რომ უმჯობესი იქნება შენარჩუნდეს წინასწარრწმენა მასში არსებული სიბრძნიანად და არ დატოვონ შიშველი გონიერება მას შემდეგ, რაც წინაწარრწმენის გარსს შემოაცლიან; იმიტომ, რომ წინასწარრწმენას ძალუძს გონიერებასთან ერთად აამოძრაოს გონი და გრძნობს სიყვარულს, რითაც მარადიულობას ანიჭებს მას. წინასწარრწმენა მზა საშუალებაა განსაკუთრებული შემთხვევისათვის; ის წინასწარ ამარაგებს გონებას სიბრძნისა და სიქველის უწყვეტი ნაკადით და გადაწყვეტილების მიღების ჟამს არ მიატოვებს კაცს ყოყმანის, ეჭვისა და თავსატეხის ამარა. წინასწარრწმენა კაცის სიქველეს ჩვეულებად გადააქცევს და არ დატოვებს დაღავებულ ქცევათა წყებად. სწორედ წინასწარრწმენის მეოხებით გადაიქცევა კაცის მოვალეობა კაცის ბუნებად.

თქვენი მწერლები და პოლიტიკოსები და ჩვენებურ განმანათლებელთა კლანიც არსებითად განსხვავებულად უყურებენ ამ საკითხს. ისინი პატივს არ მიაგებენ სხვათა სიბრძნეს; და მეტისმეტად არიან დაჯერებულნი საკუთარ სიბრძნეში. მათ სავსებით საკმარის საბაბად მიაჩნიათ დაანგრიონ საგანთა ძველი სქემა მხოლოდ იმიტომ, რომ ძველია. რაც შეეხება ახალს, სრულიად არ აშინებთ ნაჩქარევად აგებული შენობის გამძლეობა; რადგანაც გამძლეობას ფასი არ გააჩნია მათ თვალში, ვინც ცოტას ან სულ არ ფიქრობს, თუ რა იყო მათ დრომდე და მთელ იმედებს აღმოჩენაზე ამყარებენ. ისინი გამუდმებით ჩაიგონებენ, რომ მარადიულობის მიმნიჭებელი ყველა მოვლენა მავნებლობაა და ამიტომ უცხადებენ უწყვეტ ომს ყოველ დაწესებულებას. ფიქრობენ, რომ მთავრობები შეიძლება მოდური სამოსივით გამოიცვალო და ცუდი არაფერი მოხდება, რომ არანაირი ერთგულება არ არის საჭირო სახელმწიფო კონსტიტუციისა, გარდა იმისა, რომ ამჟამად იყოს მოსახერხებელი. ყოველთვის ისე ლაპარაკობენ, თითქოს იმ აზრზე იყვნენ, რომ მხოლოდ ერთგვარი შეთანხმება არსებობს მათსა და მათ მოსამართლეებს შორის, რაც ავალდებულებს და არავითარი სხვა ვალდებულება არსებობს, გარდა იმისა, რომ მხოლოდ მის უდიდებულესობა ხალხს აქვს უფლება გადაწყვიტოს თავისი ნებით. სამშობლოს სიყვარული მხოლოდ იმდენად აქვთ, რამდენადაც ეს მათ მსწრაფლწარმავალ პროექტებს შეესაბამება; იწყება და მთავრდება იმ პოლიტიკური სქემით, რაც იმ წუთას მოაფიქრდებათ.

ეს დოქტრინები – თუ უფრო განცდები – როგორც ჩანს, წარმმართველია თქვენი ახალი სახელმწიფო მოღვაწეთათვის, მაგრამ სრულიად განსხვავებული ჩვენი ქვეყნის ყოფისაგან...

ჩვენ ვიცით, და მეტიც, შინაგანად ვგრძნობთ, რომ რელიგია საფუძველია სამოქალაქო საზოგადოებისა და წყარო ყოველგვარი სიკეთისა და კეთილდღეობისა; და იმდენად დარწმუნებულნი ვართ, რომ აღარ რჩება ცრურწმენის აღარავითარი ჟანგი, რითაც ადამიანური გონების გადროვებული სისულელე საუკუნეთა მანძილზე დახრავდა ინგლისს, რომ ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი კაცი ამჯობინებს სწამდეს. არასოდეს ვიქნებით ისეთი სულელნი, რომ მტერს მოვუხმოთ ჩვენი სისტემის შესაცვლელად, კორუფციის დასაძლევად, ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და აგებულობის გასაუმჯობესებლად. თუ ჩვენი რელიგიის დოგმებს ოდესმე დასჭირდება შემდგომი განმარტება, ათეიზმს არ მოვუხმობთ მის ასახსნელად. ტაძრის გასანათებლად იმ არაწმინდა ცეცხლს არ გამოვიყენებთ. ის სხვა სინათლით განათდება. სურნელება სხვა საკმევლით დადგება და არა იმ სნეულების მომტანი ნაგვით, რაც კონტრაბანდისტებსა და მოღალატე მეტაფიზიკოსებს შემოაქვთ. თუ ჩვენს საეკლესიო საფუძვლებს რევიზია დასჭირდება, შესამოწმებლად არ მოვუხმობთ სი-

ხარბესა და მძარცველობას, საზოგადო იქნება თუ კერძო, და არც წმინდა შესაწირავს დავადგამთ თვალს. არც ბერძნულ და არც სომხურ ეკლესიას დავგმობთ სასტიკად და არც რომაულ რელიგიურ სისტემას შევეხებით, მაგრამ ვარჩევთ ვიყოთ პროტესტანტები არა იმიტომ, რომ მასში ნაკლებია ქრისტიანული რელიგია, არამედ, ჩვენი აზრით, უფრო მეტია. პროტესტანტები ვართ არა განურჩევლობის, არამედ მგზნებარების გამო.

ჩვენ ვიცით და ვამაყობთ ამ ცოდნით, რომ ადამიანი თავისი კონსტიტუციით რელიგიური ცხოველია; რომ ათეიზმი არამარტო ჩვენი გონების, არამედ ჩვენ ინსტინქტთა წინააღმდეგიცაა და რომ დიდხანს ვერ იმბრძანებლებს. მაგრამ თუ შფოთის შემთხვევაში, განსაწმენდელიდან ამოღწეული ცხელი გონების ბოდვის დროს, რაც ამჟამად დუღს და მძვინვარებს საფრანგეთში, უნდა ტანზე შემოვიხიოთ და გავშიშვლდეთ, უნდა უკუვაგდოთ ქრისტიანული რწმენა, რაც უზრუნველგვყოფდა აქამდე, რაც ცივილიზაციის დიადი წყარო იყო ჩვენში და რითაც თავი მოგვქონდა სხვა ერთა შორის, ვხვდებით (რადგან გონება ვერ გაუძლებს სიცარიელეს), რომ რაღაც გადამთიელური, დამღუპველი და გადაგვარებული ცრურწმენა დაიკავებს მის ადგილს.

ამ მიზეზით მანამდე, სანამ ჩვენი დაწესებულებებიდან ამოვიღებდეთ შეფასების ბუნებრივ, ადამიანურ საშუალებებს და მივიღებდეთ სიძულვილს, რაც თქვენ მოიმოქმედეთ და ამით თავს დაიტეხეთ სასჯელი, რასაც იმსახურებდით, ვისურვებდით, რომ ჯერ სხვას ეჩვენებინა, თუ როგორ ხდება ეს და მერე ჩამოვაყალიბებდით ჩვენს შეხედულებას.

ნაცვლად იმისა, რომ სხვებივით, ვინც ამგვარი ინსტიტუტებისადმი მტრული ფილოსოფია და რელიგია შექმნა, წავკიდებოდით ჩვენს დაწესებულებებს, უფრო მეტად მივუახლოვდით მათ; და გადაწყვეტილი გვაქვს შევინარჩუნოთ დაწესებული ეკლესია, დაწესებული მონარქია, დაწესებული არისტოკრატია და დაწესებული დემოკრატია; თვითეული იმაზე მეტი ზომით არა, რა ზომითაც არსებობს. ახლა ვნახოთ, თუ რა ზომით მოგვეპოვება თვითეული.

ამ საუკუნის უბედურებაა (და არა დიდებულება, როგორც ეს ჯენტლმენები ფიქრობენ), რომ ყველაფერი უნდა განვიხილოთ; თითქოსდა ჩვენი კონსტიტუცია მუდამ ცხარე დისკუსიის საგანი ყოფილიყოს და არა მოწონებისა. ამ მიზეზით და აგრეთვე იმისათვის, რომ თქვენი კმაყოფილება გამოვიწვიო, კმაყოფილება იმათი (თუკი არიან ასეთები), ვინც ისურვებდნენ მაგალითები ეხილათ, გავბედავ და შეგაწუხებთ ორიოდე მოსაზრებით ამ დაწესებულებათა გამო. არა მგონია, ძველ რომაელებს სიბრძნე ჰკლებოდათ მაშინ, როცა, კანონებში სიახლის შესატანად კომისიას ჰქმნიდნენ, რათა საუკეთესო ნიმუში ახლომახლო რესპუბლიკაში მოენახათ.

უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ ჩვენს საეკლესიო დაწესებულებებს შევეხო, როგორც პირველს წინასწარრწმენათა შორის, რაც გონების გარეშე კი არ არსებობს, არამედ მოიცავს ვრცელსა და ღრმა სიბრძნეს. პირველად მასზე ვისაუბრებ. ის არის პირველი, ბოლო და შუა ნაწილი ჩვენი გონებისა, რადგან იმ რელიგიის საფუძველზე, რომლის წიაღშიც უვნებლად ვიმყოფებით დღემდე და ვაგრძელებთ მოქმედებას ადრე მიღებული და საერთო, საკაცობრიო განცდით. ამ განცდამ არამარტო ბრძენი არქიტექტორივით ააგო დიდებული შენობანი სახელმწიფოთა, არამედ, როგორც შორსმხედველმა მესაკუთრემ, შენობის დანგრევა-დამახინჯებისაგან გადასარჩენად, განწმინდა წმინდა ტაძარი ყოველგვარი სიბინძურისაგან სიყალბისა, სისასტიკისა, უსამართლობისა და ტირანიისა; სამარადისოდ და საზეიმოდ განწმინდა მრევლი და ღვთისმსახურნი მასში. განწმენდა შესრულდა იმისათვის, რომ მთავრობაში მყოფ ადამიანებს, ვინც იქ ღვთის სახელით არიან, ჰქონდეთ ამაღლებული და ღირსეული შეხედულებანი თავიანთ დანიშნულებასა და საქმიანობაში; რომ მათი იმედი აღვსილი უნდა იყოს უკვდავებით; რათა არ დახარბდნენ წუთიერ უმაქნის მოსახვეჭს, არც დროებითსა და გარდამავალ ხოტბას მდაბიოთა, არამედ მიენდონ მყარ, მარადიულ არსებობას თავიანთი ბუნების მარადიული ნაწილისა, მარადიული სახელ-დიდება და მაგალითი დაუტოვონ მდიდარ მსოფლიო მემკვიდრეობას.

ასეთი ამაღლებული პრინციპები უნდა ჰქონდეთ მაღალ თანამდებობაზე მყოფ ადამიანებს; უნდა ჰქონდეთ რელიგიური დაწესებულებანი, რათა შეძლონ მარადიული გადარჩენა და გაძლიერება. ყველა ზნეობრივი, სამოქალაქო და პოლიტიკური ინსტიტუტი, რაც უზრუნველჰყოფს რაციონალურსა და ბუნებრივ კავშირებს, კაცის წარმოდგენასა და გრძნობებს ღვთაებრივთან რომ აერთიანებს, საჭიროა ერთი მიზნისათვის, რათა აეგოს განსაცვიფრებელი შენობა, ადამიანი, ვისი უფლებამოსილებაცაა მნიშვნელოვანწილად თვითონ ჩამოაყალიბოს საკუთარი თავი, და ვისაც, როცა ისეთი გახდება, როგორიც უნდა იყოს, ბედისწერით დასაზღვრული აქვს, უბრალო ადგილი არ ეკავოს ამ დიად შემოქმედებაში; მაგრამ როცა კაცი სხვა კაცზე მაღლა დგას, როგორც მასზე უკეთესი, მაშინ უფრო განსაზღვრულად და მეტად უნდა უახლოვდებოდეს სრულყოფილებას.

სახელმწიფოს განწმენდა – სახელმწიფო რელიგიური დაწესებულების მეოხებით – თავისუფალი მოქალაქეებისადმი მოვალეობის მოსახდელადაცაა საჭირო; რადგან იმისათვის, რომ შეინარჩუნონ თავისუფლება, ძალაუფლების რაღაც განსაზღვრულ ნაწილსაც ეზიარონ. ამიტომ ისინი, ვინც რელიგიას სახელმწიფოს უკავშირებენ, მეტ მოვალეობას გრძნობენ სახელმწიფოს მიმართ, ვიდრე ისინი, ვინც ქვეშევრდომულ მორჩილებაში უფრო მეტად პირადი განცდის გამო არიან და მხოლოდ საკუთარ ოჯახზე ზრუნავენ. ყოველი პიროვნება, ვინც ნაწილობრივაა ნაზიარები ძალაუფლებას, განსაცვიფრებლად ძლიერ შეიგრძნობს იდეას, რომ მას ენდობიან, და რომ პასუხისმგებელია, ამ ნდობის გამო დიადი ბატონის წინაშე, ვინც შეჰქმნა და დააფუძნა საზოგადოება.

ამ პრინციპმა კიდევ უფრო ძლიერი გავლენა უნდა მოახდინოს იმათ გონებაზე, ვინც კოლექტიური სუვერენობა მოიგონა, ვიდრე რომელიმე კონკრეტულ პრინცზე. უინსტრუმენტებოდ პრინცები ვერაფერს შეძლებენ. ხოლო ვინც ინსტრუმენტებს იყენებს, დახმარების ძიებისას დაბრკოლებასაც წააწყდება. ამიტომ მათი ძალაუფლება არანაირად არ არის სრული, და არც დაცულია უკიდურესი შეურაცხყოფისაგან. ასეთი პიროვნებანი, რაც უნდა აიჭრნენ ცაში მლიქვნელობით, ამპარტავნებითა და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენით, უნდა გრძნობდნენ, რომ პოზიტიური კანონისაგან დაცულობის მიუხედავად, ასე იქნება თუ ისე, პასუხს აგებენ, რომ ნდობა ვერ გაამართლეს. თუკი ხალხი არ აუჯანყდება და არ ჩამოაგდებს, მაშინ სწორედ ის იანიჩრები მოახრჩობენ, ვისაც ამბოხებისაგან თავდასაცავად ინახავდა. ხომ ვნახეთ როგორ გაყიდეს საფრანგეთის მეფე ჯარისკაცებმა ჯამაგირის მომატების ფასად; მაგრამ სადაც სა-

ხალხი ხელისუფლება აბსოლუტურია და შეუზღუდავი, ხალხს გაცილებით მეტად და უკიდურესად აქვს გამჯდარი რწმენა თავის ხელისუფლებისადმი. ისინი დიდწილად თვითონ არიან საკუთარი თავის ინსტრუმენტები. ახლოს არიან თავიანთ საგნებთან; გარდა ამისა, ისინი ნაკლებად არიან პასუხისმგებელნი დედამიწის ზურგზე უდიდესი ზედამხედველი ძალის სახელდიდებისა და შეფასების წინაშე. სირცხვილის წილი საზოგადოების თვითეულ წევრზე მართლაც რომ ცოტა მოდის; ხოლო საზოგადოებრივი აზრი საპირისპირო ხასიათს იძენს მათ ხელში, ვინც ბოროტად იყენებს ძალაუფლებას. მათივე შეფასება საკუთარი ქმედებისა საზოგადო განსჯას მათსავე სასარგებლოდ შემოაბრუნებს. ამიტომ სრული დემოკრატია ყველაზე უფრო სამარცხვინო რამ არის მსოფლიოში. და რამდენადაც უსირცხვილოა, იმდენადვე უშიშარი. ვერავის წარმოუდგენია, რომ შეიძლება დაისაჯოს. რა თქმა უნდა მთელმა ხალხმა არც უნდა წარმოიდგინოს, რომ უნდა დაისაჯოს; რადგანაც ყველანაირი სასჯელი არის მაგალითი იმისათვის, რათა ხალხის მთლიანობა შენარჩუნდეს, მთელი ხალხი კი არასოდეს არ უნდა დაისაჯოს რომელიმე კაცის ხელით. ამიტომაც უსაზღვროდ მნიშვნელოვანია, რომ არანაირი ზიანი არ უნდა შეექმნათ, თუ წარმოიდგენენ, რომ მათი ნება, მეფეებისა არ იყოს, საფუძველია სნორისა და მრუდისა. დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ძალზე მცირედ არიან მოწოდებულნი და უფრო მცირედ აღჭურვილნი იმისათვის, რომ ბოროტად გამოიყენონ ძალა, და ვნება მოუტანონ საკუთარ თავს; და რომ ეს იქნება არა წარმოდგენილი თავისუფლება, არამედ, სინამდვილეში, არაბუნებრივი, უკუღმა ამოტრიალებული მბრძანებლობა, ტირანული და მჩაგვრელი მათ მიერ, ვინც ხელში ჩაიგდებს სახელმწიფოს არა იმიტომ, რომ უერთგულოს თავის მოწოდებას, რაც მათ უფლებაა, არამედ – რათა მონურად დაემორჩილონ დროდადრო გაჩენილ ხუშტურებს; ამით კი მათში, ვინც ემსახურება, აქრობენ ყველანაირ ზნეობრივ პრინციპს, ღირსების ყოველნაირ გრძნობას, განსჯის უნარსა და ხასიათის სიმტკიცეს; ამავე დროს, იოლად მოსანადირებელ და საზიზღარ ნადავლად გადაიქცევიან ამაო ამბიციების მეხოტბე კარის მლიქვნელთა ხელში.

როცა ადამიანები დაიცლებიან ყველანაირი ხუშტურისა და თავკერძა სურვილისაგან, რაც სრულიად შეუძლებელია ოდესმე შეიძლონ რელიგიის გარეშე, და როცა გააცნობიერებენ, რომ ხელთ უპყრიათ ნდობის უმაღლესი წესრიგით გადაცემული ძალაუფლება, რაც იმისათვის, რათა ლეგიტიმური იყოს, უნდა ემორჩილებოდეს მარადიულ, უცვლელ კანონს, რაშიც ნება და გონება ერთი და იგივეა, მაშინ უფრო ფრთხილად მოიქცეოდნენ, რომ ძალაუფლება არ ჩააგდონ მდაბალ და უუნარო ხელებში. თანამდებობაზე დანიშვნისას ხელისუფლება მდაბალ საქმიანობად კი არ უნდა აქციონ, არამედ წმინდა მოვალეობად, რაც უნდა შესრულდეს არა თავისი ბინძური, თავკერძა ინტერესებისა, ანდა თავზეხელაღებულ ახირებათა და მიკერძოებულ სურვილთა მიხედვით; ამიტომ ხელისუფლება (რისი გაცემისა თუ მიღების დროსაც თვითეული კაცი აკანკალდებოდა) უნდა მიენიჭოს მხოლოდ მათ, ვისშიც მეტად მოჩანს ერთად შეკრებილი და სამოქმედოდ მზადმყოფი ნამდვილი ღირსება და სიბრძნე, რაც კი შეიძლება გამოიძებნოს ამ დიდსა და აღრეულ მასაში ადამიანური არასრულყოფილებისა და სისუსტისა.

როცა ჩვეულება განამტკიცებს რწმენას, რომ კეთილი არსის მქონე კაცისათვის ბოროტება მიუღებელია ქმედებაშიც და ნებართვის გაცემაშიც, უფრო იოლი ხდება ამოიძირკვოს მსაჯულთა გონებიდან, სამოქალაქო იქნება, საეკლესიო თუ სამხედრო, ყველაფერი, რაც ოდნავ მაინც წააგავს ამპარტავნულსა თუ უკანონო მბრძანებლობას.

მაგრამ ერთი უპირველესი და წარმმართველ პრინციპთაგანი, რაც მთელმა ერმა და კანონებმა წმინდად უნდა შეინახოს, ისაა, რომ მფლობელებმა და მესაკუთრეებმა არ უნდა გაბედონ არაფრად ჩაგდება იმისა, რაც წინაპართაგან გადმოეცათ ან რაც მათ კეთილდღეობას ემსახურება, და ისე არ უნდა მოიქცნენ, თითქოს თვითონ არიან ყველაფრის ბატონ-პატრონები; არ უნდა ეგონოთ, რომ უფლება აქვთ გაჰყონ მამული ან გაფლანგონ მემკვიდრეობა, საკუთარი ნება-სურვილის კვალობაზე დაარღვიონ პირველქმნილი ქსოვილი თავისივე საზოგადოებისა; ზიანი მიაყენონ მათ, ვინც შემდგომ მოვა, დაუტოვონ ნანგრევი ნაცვლად საცხოვრებლისა და ჩაგონონ თავიანთ მემკვიდრეებს ისეთი ცოტა პატივისცემა იმისადმი, რაც დარჩა, როგორც თვითონ ექცეოდნენ მამა-პაპათა ინსტიტუტებს. და ეს უპრინციპო საქციელი სახელმწიფოს ცვლილებისა იმდენად ხშირად და იმდენნაირად დაარღვევს ქვეყნის მთლიანობისა და ურღვევობის ჯაჭვს, როგორც ფანტაზია დალივლივებს და მოდა იცვლება. ერთი თაობა მეორეს ველარ დაუკავშირდება; ადამიანები ზაფხულის ბუზებზე ოდნავ უკეთესნი თუ იქნებიან.

და რასაც პირველად აღასრულებენ, იქნება ის, რომ შეწყვეტენ იურისპრუდენციის შესწავლას, რაც ადამიანური ინტელექტის სიამაყე გახლავთ, და რაც, მიუხედავად მთელი ნაკლოვანებებისა, გადაცდომათა და შეცდომებისა, წარმოადგენს საუკუნეთა აზროვნების კრებულს, აერთიანებს პრინციპებს პირველქმნილი სამართლისა ადამიანური საზრუნავის უსაზღვრო მრავალფეროვნებასთან, მაშინ, როცა გროვა ძველი, გამოკვლეული შეცდომებისა, აღარ ისწავლება. პიროვნული თვითკმარობა და ამპარტავნება (ერთგვარი თანმხლები მათი, ვისაც არ შეუცვნია სიბრძნე, გარდა საკუთარისა) მოახდენს ტრიბუნალის უზურპაციას. ცხადია ვერანაირი კანონები, იმედისა და შიშის უცვლელ საფუძველს რომ აფუძნებენ, ვერ შეძლებდნენ ადამიანთა წარმართვას გარკვეული მიმართულებით ან შეგულიანებას გარკვეული მიზნისაკენ. ვერანაირი სტაბილურობა ქონების ფლობასა და საქმიანობაში ვერ შეჰქმნის ურყევ საფუძველს იმისათვის, რომ მშობელმა იმსჯელოს თავისი შვილის განათლებასა თუ მომავალზე ამქვეყნად. ვერანაირი პრინციპი ვერ გადაიზრდება ჩვეულებაში. როგორც კი გამოცდილი მოძღვარი დაასრულებს სწავლებას დაწესებულებათა ვრცელი კურსისა, მოამზადებს შეგირდს, შეასწავლის სიქველეს, რათა ყურადღება და პატივისცემა დაიმსახუროს საზოგადოებაში ადგილის დაკავებისას, დაინახავს, რომ ყველაფერი შეცვლილა და ეს საბრალო არსება იმისათვის მოუმზადებია, რომ დასცინონ და ათვალწუნებით შეხედონ ქვეყანაში, სადაც აღარ შემორჩენილა შეფასების ჭეშმარიტი საფუძველი. ვინღა დაიცავს ფაქიზსა და დახვეწილ გრძნობას ღირსებისა, რითაც ძგერს გული, როდესაც არავის ეცოდინება თუ რითი უნდა გაიზომოს ღირსება ერში, რომელიც გამუდმებით ცვლის თავისი ფულის ნიშნებსაც კი? ცხოვრების ვერცერთი მხარე ვერ შეინარჩუნებს მონაპოვარს. ბარბაროსობა მეცნიერებისა და ლიტერატურის მიმართ, უნიჭობა ხელოვნებასა და წარმოე-

ბაში აუცილებლად აჯობებს ბევჯითი განათლებისა და მყარი პრინციპის მოთხოვნილებას და, ორიოდე თაობაში, მთელი ქვეყანა დაიქცევა და შეერევა ქვიშასა და მტვერს გათითოკაცებულობისა და გაიფანტება ზეციური ქარების მიერ.

ამიტომ, თავიდან რომ აგვეცილებინა მერყეობა და დაბნეულობა, რაც ათიათასჯერ უარესია სიჯიუტესა და უბრმავეს წინასწარრწმენაზე, ჩვენ ვაკურთხეთ სახელმწიფო, სადაც ვერავინ შეძლებს ჩაიხედოს ნაკლოვანებებსა თუ გადაცდომებში დიდი მოწიწების გარეშე; ვერავინ იოცნებებს რეფორმების წამოწყებაზე დამხობის გზით; ისე უნდა მიეახლოთ სახელმწიფო ნაკლს, როგორც მამის ჭრილობებს – შიშნარევი სიბრალულითა და მოცახცახე მზრუნველობით. ამ ბრძნული წინასწარრწმენით ჩვენ ჩაგვაგონებენ, რომ შიშით შევხედოთ ისეთი ქვეყნის შვილებს, ვინც მზად არიან აკუწონ ასაკოვანი მშობლები და ჩატენონ მოჯადოებულ ქეთლში იმ იმედით, რომ შხამიანი ბალახებითა და ველური შელოცვებით განაახლებენ მამა-პაპათა კონსტიტუციას და სიცოცხლეს დაუბრუნებენ მამას.

საზოგადოება მართლაც ხელშეკრულებაა. მეორეხარისხოვანი ხელშეკრულებანი, დროებით ინტერესთა გამო დადებული, შეიძლება გაუქმდეს, როცა მოგვესურვება, მაგრამ სახელმწიფო არ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ საპარტნიორო ხელშეკრულებად პილპილისა და ყავის, ბამბეულისა და თამბაქოს ვაჭრობაში, ან რაღაც სხვა მდაბიურ ფართიფურთად, მცირე, დროებითი ინტერესები რომ აღძრავს, და გაქრება პარტიების ნება-სურვილით. სახელმწიფოს სხვა თვალით უნდა შევხედოთ, რადგან ნივთების გაცვლის ხელშეკრულება ის არაა, მხოლოდ დროებითი და მოკვდავი ბუნების ცხოველური არსებობა რომ აინტერესებს; სახელმწიფო არის ხელშეკრულება ყველა მეცნიერებისა, ყველა ხელოვნებისა, ყველა სიქველისა და სრულყოფილებისაკენ სწრაფვისა; და რადგან ამ ხელშეკრულებას ბოლო არ უჩანს მრავალ თაობათა მიღმა, ის გადაიქცევა სელშეკრულებად არამარტო მათ შორის, ვინც ამჟამად სულდგმულობს, არამედ ხელშეკრულებად ცოცხალთა, გარდაცვლილთა და ჯერარდაბადებულთა შორის. თვითეული ხელშეკრულება ერთი, ცალკეული სახელმწიფოსი მხოლოდ მუხლია მარადიული საზოგადოების უპირველესი, დიადი ხელშეკრულებისა, რაც აკავშირებს მდაბალსა და მაღალ ბუნებას, ხილულსა და უხილავ სამყაროს იმ ურღვევი ფიცის მიერ ნებადართული შეთანხმებით, რაც თავის ადგილს მიუჩენს ყოველ ფიზიკურსა და ზნეობრივ მოვლენას. ეს კანონი არ ექვემდებარება იმათ სურვილებს, ვისაც – უსაზღვროდ ამაღლებული პასუხისმგებლობით მოცულს – მოუნდება თავისი ნებაც დაურთოს მას. ამ უნივერსალური სამეფოს მუნიციპალურ გაერთიანებებს არ გააჩნიათ ზნეობრივი უფლება, კერძო სიამოვნებისა და გაუმჯობესების ახირების გამო დაანაწევრონ და დააღავონ მათდამი დაქვემდებარებულ თემის ჯგუფები და შეურიონ სამოქალაქოობას მოკლებულ ურთიერთდაუკავშირებელ ქაოსს ელემენტური პრინციპებისა. ეს მხოლოდ პირველი და უმაღლესი საჭიროებაა, რომელიც არჩეული კი არ არის, არამედ ირჩევს; საჭიროებაა პირველხარისხოვანი მოსაზრებისა, რაც ნებას არ დართავს განხილვას, არ სჭირდება სამხილი, რაც მხოლოდ და მხოლოდ ანარქიას წარმოშობს. ეს საჭიროება არ არის გამონაკლისი წესიდან, რადგან თავისთავადი ნაწილია საგანთა იმ ზნეობრივი და ფიზიკური განლაგებისა, რასაც კაცი იძულებულია დაემორჩილოს; მაგრამ საჭიროებისათვის დამორჩილება თუ მხოლოდ არჩევანის საგანი უნდა გახდეს, მაშინ კანონი ირღვევა, ბუნება დაუმორჩილებელი ხდება და იწყება უკანონო ამბოხი და გადასვლა გონიერების, წესრიგის, მშვიდობის, სიქველისა და ნაყოფიერი მონანიებისა ქვეყნიდან, ანტაგონისტურ მსოფლიოში სიგიჟისა, უთანხმოებისა, ცოდვისა, არეულ-დარეულობისა და უსაშველო მწუხარებისა.

ინგლისურიდან თარგმნეს
პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა

მთარგმნელებისაგან

წინასწარრწმენის სიბრძნე — ამ ფორმულაში შეიძლება მოვაქციოთ ედმუნდ ბერკის (1729 — 1797) ფილოსოფიური ნააზრევის არსი. იგი იყო ანგლო-ირლანდიელი სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი, ორატორი, პოლიტიკური მოაზროვნე და ფილოსოფოსი; იგი იყო ვიგების პარტიის წარმომადგენელი თემთა პალატაში და ძველი, ტრადიციული ვიგების ფალავანი ახალ, საფრანგეთის რევოლუციის მომხრე ვიგებთან ბრძოლაში. XIX საუკუნეში ბერკს სწავლობდნენ და ადიდებდნენ როგორც ლიბერალები, ასევე კონსერვატორებიც, და თუმცა ტერმინი კონსერვატიზმი ბერკის შემდეგ გაჩნდა, მაინც იგია მიჩნეული ფილოსოფოს-დამფუძნებლად თანამედროვე კონსერვატიზმისა.

დღესდღეობით სიბრძნე და წინასწარრწმენა ურთიერთსაწინააღმდეგო ფენომენებადაა წარმოდგენილი. წინასწარრწმენა (წინასწარი განხილვა ფაქტებისა, ძირითადად უარყოფითი თვალთახედვით) მიჩნეულია უვიცობადა და არარაციონალურობად. ედმუნდ ბერკი გაიკვირვებდა და შეიცხადებდა ამას. მას შესწავლილი ჰქონდა წინასწარრწმენის წარმოშობა, ბუნება და ფუნქცია. წინასწარრწმენა დასაბამს იღებს წარსულის კოლექტიურ მეხსიერებაში და "საუკუნეთა სიბრძნეს" მოიცავს. "რაც უფრო დიდხანს გაძლებს და რაც მეტს გაუძლებს, მით უფრო უნდა გავუფრთხილდეთ" — წერდა ბერკი წინასწარრწმენებზე.

წინასწარრწმენა არ არის ირაციონალური მოვლენა. ცალკეულ ინდივიდებს შეზღუდული გამოცდილება აქვთ ამქვეყნიური ცხოვრებისა, რადგან სიცოცხლე ხანმოკლეა. ამიტომაც ადამიანი წინაპართა მიერ დაგროვებულ ცოდნას ეყრდნობა, რაც შეგვაძლებინებს იოლად დავძლიოთ ყოველდღიურად წარმოშობილი პრობლემები. ჩვენს წინაპრებს სჩვეოდათ შიში შეუცნობლისადმი, იცოდნენ, რომ უცხო ხალხი და უცხოური წეს-ჩვეულებანი ახალ წესრიგსა და ადათებს შემოიტანდნენ და ამით დაარღვევდნენ არსებულს; ამიტომაც ეწინააღმდეგებოდნენ ახლისა და უცხოს შემოსვლას. მხოლოდ ისტორიის არმქონე ხალხი მიეგებება უცხოს შემოტანასა თუ შემოჭრას ათასჯერ დაფიქრებისა და აწონ-დაწონის გარეშე.

წინასწარრწმენის ბუნება, განცდა თუ ემოცია მსჭვალავს გონებას. ბერკი ამბობდა: "როცა გრძნობები ეწინააღმდეგება თეორიებს, გრძნობები მართალია და თეორიები ტყუის". გრძნობათა გადმოცემა რაციონალური ტერმონოლოგიით ძნელია. ისინი, ვინც წინასწრრწმენებს ენდობიან, შეიძლება უცოდინარნი და უბირნი იყვნენ, მაგრამ წინასწარრწმენები შეუძლებელია იყოს უცოდინარი, რადგან ერთი კაცის შექმნილი არ არის.

წინასწარრწმენის ფუნქცია ადამიანის გადარჩენაა, მაშინ, როცა მას დრო არა აქვს მოიფიქროს რამე ახალი თავის დასახსნელად. როცა საფრთხეს გადაეყრები, შეიძლება არ შეგეშინდეს, რაკი არაფერი იცი მასზე, მაგრამ თუ შეიარაღებული ხარ წინასწარრწმენით, მაშინ იცი, რომ უნდა გაფრთხილდე, და ისიც იცი, როგორ მოიქცე. ბერკის აზრით, წინასწარრწმენები სიბრძნეა, და "მათი განზოგადებასა და ანალიზს კი არ უნდა შევუდგეთ, არამედ ჩავწვდეთ მათში ჩამარხულ სიბრძნეს."

ელისო კალანდარიშვილი

თარგმანი, როგორც ანექსია

გია ჯოხაძის იოსიფ ბროდსკი



გია ჯოხაძის მიერ იოსიფ ბროდსკის შემოქმედების თარგმნა და ერთ კრებულად წარმოდგენა ჩვენი სალიტერატურო პროცესის უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიმაჩნია, რადგან ყოველი ერის კულტურული იერსახის წარმოსაჩენად აუცილებელია ამ ერს საკუთარ ენაზე სრულად და ამომწურავად ჰქონდეს აჟღერებული მსოფლიო მწერლობის შედევრები. მთარგმნელობითი ტრადიციის მაღალი დონე განსაზღვრავს ერის კულტურის დონესაც.

გია ჯოხაძის ეს წიგნი სანიმუშოა, ჯერ ერთი, თავისი შედგენილობით, კომპოზიციით. დასაწყისში წარმოდგენილია მცირე ესეი, რომელშიც მთარგმნელის მსოფლმხედველობა და ლიტერატურული პრინციპებია წარმოჩენილი. საუბარია პოეზიის არსზე, თარგმანის ხელოვნებაზე. შემდეგ ამომწურავად არის აღწერილი იოსიფ ბროდსკის ცხოვრება, მოღვაწეობა, გახსნილია მისი რთული და თითქმის ამოუცნობი პიროვნული „მე“, პოეტის შინაგანი, ღრმა სამყარო. საოცარი ინტერესით იკითხება მის თანამედროვეთა მოგონებები. ამიტომაც, ვიდრე უშუალოდ შემოქმედების გაცნობას დავიწყებთ, უკვე ნიადაგი შემზადებულია ამ ურთულესი პოეზიის უკეთ შესაცნობად.

ამ მხრივ წიგნი სამაგალითოა. მკითხველს უჩნდება სურვილი, ასე ამომწურავად, სრულყოფილად ითარგმნებოდეს საზოგადოდ სხვა გენიოსთა რეალური და სულიერი ბიოგრაფიები.

ყველაზე მთავარი კი მაინც მთარგმნელობითი ხელოვნებაა. ამ ლექსების კითხვისას შეუძლებელია არ მოგეძალოს ერთი აღმატებული ეპითეტი: „ვირტუოზული“. გია ჯოხაძე საოცრად ფლობს ენას, მის იდუმალ ნიუანსებს. შესავალში იგი მოკლედ აყალიბებს თავის მთარგმნელობით პრინციპს – „სრულიად უსაფუძვლოდ მიმაჩნია მათი მტკიცება, ვინც მიიჩნევს, რომ გადმოვიტანოთ ზუსტად ისე, როგორც ორიგინალშია და საქმეც გათავებულად ჩავთვალოთ – ასეთი ნეიტრალობა და გულგრილობა უცხო რელიგიურ რიტუალში მექანიკურ მონაწილეობას ემსგავსება... მთარგმნელი უნდა მოჰყვეს ენას, დანარჩენს ენა თვითონ იზამს“.

არც ასე მარტივადაა საქმე. ენა „თვითონ იზამს“ მხოლოდ დიდოსტატის კალმის წყალობით, ის ყველას როდი ემორჩილება. ენა ჭირვეული და ჯიუტია უნიჭოთათვის, ხოლო მორჩილი და მოქნილია ოდენ ოსტატთათვის. გიაც ასეთი დიდოსტატია. მისთვის ენა (ვგულისხმობ რუსულსაც და ქართულსაც) საკრალური რამაა, ის ენობრივი არსენალიდან არჩევს სწორედ იმ ერთადერთს და თითქმის მიუგნებელს, რაც ამა თუ იმ სტრიქონს სჭირდება.

მაინც რითი გამოირჩევა ეს თარგმანები? პირველ რიგში, საზომთა მრავალფეროვნებით, რიტმულობით, ტრადიციული და თეთრი ლექსის მონაცვლეობით. შეუძლებელია მკითხველის ყურთასმენა არ დაიპყროს ასეთმა მუსიკამ:

დაგაბრუნებს ვნებებთან
გაქრილება სიოსი,
რაზეც იოცნებებდა
თვითონ ჰორაციუსი.
შენთვის ჩიტიც რომ არ სტვენს,
სდუმან ღამის მსტოვრები,
არ შეშინდე, ტომას სტერნზ,
ყვავილს ემახსოვრები.

მეორე და ასევე უმნიშვნელოვანესი მთარგმნელის მიერ მიგნებული რითმებია. თარგმანში ჯვარედინი რითმის დაცვა ძალზე რთული, თითქმის მიუღწეველი ოსტატობაა. გია ჯოხაძე კი ამას ძალდაუტანებლად და ლაღად აკეთებს, თითქოს რითმა თვითონ მოედინება, მუსიკის მდინარეს მოაქვს. არადა, ვინც თარგმანში ოდნავ მაინც ერკვევა, მიხვდება რაოდენ რთულია ამ ილუზიის შექმნა, როგორი შინაგანი წვა სჭირდება ასეთი ვირტუოზული ტექნიკის დაუფლებას. მე პირადად, მომაჯადოვა მისმა რითმებმა:

საშიშად ელავს კუბო თუთიის,
ყვავილებმა რომ ღამე უთიეს.

ან:

ჩვენს თავზე, როგორც დისკო ელვარე,
წყვდიადშიც მოჩანს მისი მწვერვალი.

ან კიდევ:

აქ კოცონივით ახლაც არ ცხრება,
ჩვენი ტრიუმფი და დამარცხება.

გამაოგნებელია რითმათა კასკადი შემდეგ სტროფში:

მეც ხომ ვყოფილვარ ბედნიერი. ზეცის ბინადართ
ვემსახურე და სისხლიანი ვლახვრე ქაჯები.
მზეთუნახავი, ვინც ამდენი მალოდინა და
მტანჯა, დავიპყარ, ჩემი მზერით ნადარაჯები.

ან:

მაშინ, როცა უდროოდ ემსხვერპლება ბორეასს,
არაფერს ვერმნარი, მხოლოდღა შოკს და ეიფორიას.

გია ჯოხაძის სტილისტიკისთვის დამახასიათებელია არქაიზმების ზომიერი გამოყენება. იოსიფ ბროდსკის პოეტურ სამყაროს არქაიზაციის ელემენტი ორიგინალშიც ახასიათებს. ამიტომაც სრულიად ბუნებრივად ჟღერს თარგმანის ტექსტში ძველი ქართული ენის ლექსიკისთვის დამახასიათებელი შესიტყვებანი: „სულს ახელებდა სიმაღლის წვდომა“, „ერთი მოაშთო ველურმა რისხვამ“, „არაყით კლავდნენ სევდას და ბალღამს“ და ა.შ. აქა-იქ უმშვენიერესი ალიტერაციებიც გაკრთება:

ხომ არ შეგაკრთო, სიყვარულო,
ჩემ და სიცოცხლის
შორის გაბმულმა აბურდულმა
აბლაბუდებმა?

ან:

უცხო ცხოვრებავ, იგუგუნე, დამცინე,
მთათხე,
ხელმოცარულის სასაცილოდ აიგდე სახე.

ამ თარგმანებს რომ კითხულობ, ხვდები, თუ რამდენად ამოუწურავია ენის შესაძლებლობები, მისი პოტენცია. კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ჩვენი კურთხეული ენით გამოუთქმელის გამოთქმაც კი არ მოგეჩვენება შეუძლებლად. გია ჯოხაძის თარგმანში არა მხოლოდ იოსიფ ბროდსკის სული ჟღერს, მას თითქოს ეხმიანებიან რუსთაველი და გალაკტიონი, გურამიშვილი და ბარათაშვილი. ეს სულიერი ერთობა კი საოცარ სამყაროს ქმნის. თითქოს იშლება არა მხოლოდ ენობრივი საზღვრები, არამედ დროითი და სივრცითი კატეგორიებიც.

გია ჯოხაძე თვითონ არის პოეტი, ამიტომაც მიჭირს მას უბრალოდ მთარგმნელი ვუწოდო. ის თითქოს ჩაენაცვლა იოსიფ ბროდსკის სულს და ქართულად ამეტყველდა, თან, ამავე დროს, შეინარჩუნა მთავარი – აზრი და სიცხადე, სიღრმე და სიფაქიზე ბროდსკის პოეზიისა.

იგი წიგნის შესავალში წერს: „თარგმანი მე ერთი ენის მიერ მეორის ანექსიის ცდა მგონია, და აქ, როგორც ყველა ანექსიისას, ომის კანონები მოქმედებს – გაიმარჯვო ნებისმიერ ფასად, რადგან გამარჯვებულებს არ ასამართლებენ“.

ეს სიტყვები რომ წავიკითხე, თავიდან მეუცხოვა, შემდეგ მეტაფორად აღვიქვი, მაგრამ წიგნი რომ გავასრულე, მივხვდი, რომ ეს სრული სიმართლეა, არა უბრალოდ მხატვრული გამონათქვამი. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა აგრესიული სიტყვა ანექსია კეთილშობილურ ელფერს იძენს. გია ჯოხაძე მართლაც დამპყრობელია, ენითა და სიტყვით დამპყრობელი, ხოლო მის შესანიშნავ თარგმანებს აქვთ უნარი არა მხოლოდ ენის, არამედ მკითხველის ანექსიისაც.

ბატონო როსტომ, რამდენადაც მახსოვს, თქვენი ლიტერატურული გამოცემა თავის დროზე გულთბილად გამოეხმაურა ბესიკ ხარანაულის წიგნს „ამბა ბესარიონი“. დაახლოებით ორი წელი მიმდინარეობდა მუშაობა საფრანგეთში ამ წიგნის თარგმანზე. წელს, მარტის თვეში შედგა თარგმნილი წიგნის პრეზენტაცია სტრასბურგსა და პარიზში, რაზეც ავტორიც იყო მიწვეული. ვფიქრობ, შესაძლოა თქვენი ჟურნალი დაინტერესდეს სტრასბურგში დაბეჭდილი პატარა წერილით („აელზასის უკანასკნელი სიახლენი”, თებერვალი, 2010წ.), რომელიც ამ მოვლენებს ეხმაურება და რომელიც მე ვთარგმნე ფრანგულიდან.

სოფიკო ჯერვალიძე

ბესიკ ხარანაულის გზავნილი

საქართველოდან ჩვენამდე ცოტა რომანი თუ პოეზია აღწევს და თანდათან სიჩუმის კედელს ანგრევს: როგორც იქნა ბესიკ ხარანაულის ხმამ ჩვენამდე მოაღწია.

ის სულს ესაუბრება მოხეტიალეთა ეპოქიდან, ასეთია „ამბა ბესარიონი”. ბესიკ ხარანაულმა ბავშვობა გააატარა აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონში, სადაც სინკრეტიზმი, კერპთაყვანისმცემლობა და ქრისტიანობა ერთმანეთშია შერწყმული. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ხალხური სიმღერები, ლოცვები, რომლებშიც ხოტბას ასხამენ კერპთაყვანისმცემლურ კულტებს და ლეგენდები თაობიდან თაობას გადაეცემა.

ევროპისა და აზიის გასაყარზე მყოფმა საქართველომ სპარსეთის, ბიზანტიის, რომის, ოტომანთა, არაბთა, მონღოლების, რუსეთის და საბჭოთა იმპერიების გავლენა განიცადა. როგორც ცნობილია, გეოპოლიტიკური დაპირისპირება არ შენელებულა, რაც მთელი ძალით დადასტურდა 2008 წლის ზაფხულის ომის დროს. ბესიკ ხარანაულის სამყაროში ფერთა მთელი გამაა – ასკეტი ბერიდან ბავშვის მონოლოგამდე, მოხეტიალის არეული ფიქრები – ბუნების მიმართ მგრძნობელობა: “მდინარე მიედინება, ადამიანი ფიქრობს და ქმნის.”

გასული საუკუნის 50 წლებში მან ახალი დინება შეიტანა პოეზიაში თავისუფალი ლექსების სახით, უარი თქვა რა იმ პერიოდის პოეზიაში გამეფებულ მანერიზმსა და პათეტიზმზე. ეს არის ფაბულაზე აგებული “მიუმხრობელი პოეზია”, რომელიც მიუღებელი იყო როგორც საბჭოთა ისე ანტი საბჭოთა პოეზიის მიმდევრებისათვის. სხვებმა თავისი საწინააღმდეგო დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ სტრიქონებს შორის გამოხატეს, და მოახერხეს იმდენად შორს წასულიყვნენ რომ ხოტბა შეესხათ დამოუკიდებლობისათვის.

„ამბა ბესარიონს“ (გამომცემელი უიდამ) არც ფაბულა გააჩნია, არც სხვა რამ საშუალება, რათა მკითხველი თხრობაში შეიყოლიოს, ვინაიდან ის მოგვითხრობს “მხოლოდ თავგადასავალს შელამაზების გარეშე, გააზრების გარეშე: ადამიანის ცხოვრებას, როდესაც ის არავინა არ არის, როდესაც ის არაფერი არ არის, როდესაც ის მხოლოდ თავის თავია.” თავმდაბალი და ზღაპრული სურვილი, რომლის გან-

ხორციელებისათვის გამოიყენება აფორიზმები, აფოპთეგმები და სხვა ლიტერატურული საშუალებანი. საუკეთესო ადგილებიდან: „პოეტი მუდმივად გრძნობს, რომ ის სულ სხვა არის, სწორედ ამიტომ ცდილობს სხვებს დაემსგავსოს.” თავისუფალი ლექსის სკოლაში, რომელიც მან თედო ბექიშვილთან ერთად დაარსა, მამუკა წიკლაურმა იცის, რომ „გიჟი ხედავს, ხედავს უფრო მეტს, ვიდრე კალამს შეუძლია აღწეროს.”

ქართული ენა, ისევე როგორც ბასკური, იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება, მაგრამ მხოლოდ ქართულ ენას აქვს სპეციფიკური ანბანი. არსებობს ორი ჟანრი, გაცოცხლებული და გაუცოცხლებელი, რომელიც ხორცს ასხამს ასეთ მდიდარ და განსხვავებულ მითოლოგიას, რომელიც შეისწავლა გიორგი შერვაშიძემ. „ამბა ბესარიონის“ თარგმნის დროს მწერალმა ომარ თურმანაულმა თავდაპირველი ვერსია სტრასბურგელ მარი ფრერინგთან ერთად დაამუშავა იმისათვის, რომ ხარანაულის ტექსტის სული ფრანგულ ენაზე სრულად გადმოეცა. ფრანგულ ენაზე სხვა ძველ-ქართული პოეზიის ადაპტაცია გააკეთა კავკასიური ლიტერატურის სპეციალისტმა ბერნარ უტიემ.

დღესაც თბილისის ფრანგული ლიცეუმის სასწავლო პროგრამაშია ძველი კულტურისა და ლიტერატურის ნიმუშები. შეიძლება დედაქალაქის ქუჩის კუნჭულებში მოლიერის ენასაც გადაეყაროთ. „ამბა ბესარიონიდან“ მეხსიერებში ჩაგებეჭდებათ: „ეს მიწაა და არა სამშობლო, ეს ადგილია და არა სახლი, ეს ჩვეულებაა და არა სურვილი.“

თბილისელი მხატვარი გაიანე ხაჩატურიანი შარშან, 1 მაისს, 66 წლისა, მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. გაიანე არა მარტო მსოფლიოში სახელგანთქმული ფერმწერი, ორიგინალური ნოველების ავტორიც იყო.

გაიანესთან 1978 წლიდან ვმეგობრობდი და მასთან ბევრი მოგონება მაკავშირებს. სწორედ გაიანემ გამაცნო რეჟისორი სერგო ფარაჯანოვი. სერგომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მხატვრის ცხოვრებაში. გაიანე და სერგო ისევე ამშვენებდნენ ჩვენს ქალაქს, როგორც საზოგადოების სხვა მრავალი ბრწყინვალე წარმომადგენელი. ყველანი არა მარტო დიდი პროფესიონალები იყვნენ, ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის საინტერესო კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების ისტორიასაც ქმნიდნენ და მაღალი სულიერებისა და ერთგული მსახურების ნაღდ მაგალითს აძლევდნენ თაობებს.

გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს წიგნიდან, რომელსაც გაიანეს ერთ-ერთი ცნობილი ნამუშევრის მიხედვით „მტკვრის შრიალი” ვუწოდე. ბევრს შესაძლოა მასში მოხმობილი მრავალი ფაქტი ეცნაუროს კიდეც. ყველაფერი ხომ თითქოს სულ ახლახან ხდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ აღწერილი მოვლენები გასული საუკუნის 60-70-იან წლებს ეხება, როცა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში, რომ იტყვიან, დუღდა და გადმოდუღდა, ხოლო მხატვართა, მწერალთა, რეჟისორთა ყურადღებისა და მხატვრული ინტერპრეტაციის მიღმა, მაშინდელ მსოფლიოში პოპულარული თითქმის არცერთი პროგრესული აზრი და იდეა არ რჩებოდა. ამიტომაც ჩამოჰგავდა იმხანად თბილისი კულტურის მექას, სადაც უამრავი სახელოვანი და სახელის მაძიებელი ადამიანი იყრიდა თავს. ამ ადამიანთა გახსენება, მათთვის სათანადო პატივის მიგება თითოეული ჩვენგანის ვალია. ეს წიგნიც სწორედ ამგვარი რწმენით იწერება.

ქეთევან ტომარაძე

გაცნობა

ფოტოქრონიკამ თბილისის ისტორიის ერთი ძალზე საგულისხმო მომენტი შემოგვინახა — დედაქალაქის ძველი უბნის ფონზე აღბეჭდილი მხატვარი ელენე ახვლედიანი. ელენე მტკვრის ჯებირზე ჩამომჯდარა და თავი ხელში ჩაურგავს. სახის გამომეტყველებიდან ჩანს, მთელ მის არსებას დიდი მწუხარება დაუფლებია. ოსტატურად დაჭერილი ეპიზოდით იგრძნობა, სახელმოხვეჭილი ფერმწერი უსასოობას რაოდენ შეუპყრია. თითქოს ქალაქის ერთ პატარა უბანთან ერთად, დედაქალაქის მთელ ისტორიას ეთხოვება და მწარედ დასტირის.

ფოტოხელოვანის მიერ დაფიქსირებული წამი თავისებური ფოტონოველაა, რომელიც თანამედროვეთა თვალწინ თბილისის ისტორიის ერთ უსიამო ფურცელს გადაშლის. ამ ფურცელზე აღნუსხულია გასული საუკუნის სამოციან წლებში, მშვიდობიანობის ხანაში, დედაქალაქის თავკაცების მიერ — ინფრასტრუქტურის განვითარების მოტივით — ჩადენილი ვანდალიზმის აქტი, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გაშლილი ისტორიული უბნის ხელყოფა. იოლი გასაგებია, ძველი თბილისის მესაიდუმლის, ლირიკული პეიზაჟების ავტორისთვის რა მძიმე და მტკივნეული აღმოჩნდებოდა. ელენე ახვლედიანი საუკუნეებით გამოცდილი იდეალების მსხვრევისა და ახლის, უმეტესად მისთვის მიუღებელის, დამკვიდრების ურთულეს ეპოქაში დაიბადა და მოღვაწეობდა. ტრადიციულ ქართულ ოჯახში გაზრდილი და მხატვრად იტალიასა და საფრანგეთში დაოსტატებული შემოქმედისთვის, ავანგარდული სტილი წინაპართა იდეალებს ოსტატურად რომ შეუთანადა, ბუნებრივია, საბჭოთა რეჟიმი, მთელი მისი აბსურდულობითა და უპერსპექტივობით, აუხსნელი და გაუგებარი იქნებოდა.

პარიზიდან დაბრუნებული, თავისუფლებას ნაზიარები და სამშობლოში იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მყოფი მხატვრისთვის თბილისი არსებობის საზრისს, ნაღდ და საიმედო ნავსაყუდელს, სუბიექტურ განცდათა უმშვენიერეს პეიზაჟებად გარდასახვის უშრეტ წყაროს წარმოადგენდა. ქალაქის ძველი უბნები თავისუფლების, სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ურთიერთობის საუკუნეობით ჩამოყალიბებული სტილის, ეროვნული ცნობიერების პაწია მარცვლებად მიმოფანტულ სავანედ მიაჩნდა, რომელშიც მხატვარი იმგვარ სიღრმეებსა და ნიუანსებს წვდებოდა, ჩვეულებრივი თვალისთვის რომ მუდამ შეუმჩნეველი რჩებოდა. მისი ნამუშევრები ამ სამყაროს სიღრმისეულ პლასტებს წარმოაჩენდა და მასთან კიდევ უფრო გვაახლოებდა.

ელენე ახვლედიანი ძლიერი, ენერგიული, მტკიცე და შეუვალი ხასიათის, განსწავლული, აქტიური მოღვაწე, თბილისის გული და სული იყო. აზროვნების სტილითა და გარესამყაროს ხედვით იგი ერთ დიდ, ძლიერ ნაკადად ერ-

თვოდა ქვეყნის შემოქმედებით ცხოვრებას და არცერთი მნიშვნელოვანი ფაქტი თუ მოვლენა არ რჩებოდა უყურადღებოდ. შეუძლებელია, კონცერტებსა და საგამოფენო დარბაზებში, კინოთეატრებსა თუ პრემიერებზე ყურადღება არ მიგექციათ თმაჭაღარა, ყელზე შარფშემოგდებული, ბლეიზერით, გრძელი ქვედატანითა და თასმიანი ფეხსაცმლით შემოსილი ქალბატონისთვის, რომელიც არა მარტო ჩაცმულობით, ამაყი და წარმოსადეგი გარეგნობითაც გამოირჩეოდა ყველასაგან.

პოეტები და მხატვრები, მწერლები და ჟურნალისტები, მუსიკოს-შემსრულებლები და ცნობილი მეცნიერები, ჩვენი ქვეყნის ქალაქებიდან და უცხოეთის მრავალი ქვეყნიდან, ხან კი უბრალო, ძირძველი თბილისელები მას ხშირად სტუმრობდნენ. მხატვრის სახელოსნო ხელოვნების ნამდვილ მექად ქცეულიყო, სადაც ჭეშმარიტ ფასეულობებზე თავისუფლად და შეუზღუდავად მსჯელობდნენ, სადაც უამრავ საინტერესო სურათსა და ფოტოს ნახავდით, სადაც იგრძნობდით, რას ნიშნავს მხატვრის თვალით აღქმული და გააზრებული ინტერიერი.

გაიანე ხაჩატურიანი

მიუხედავად ერთობ ნაყოფიერი, მაღალი შემოქმედებითი მოღვაწეობისა, რაც მხატვრისაგან უდიდეს ძალისხმევას მოითხოვდა, იგი უამრავ დროსა და ენერგიას უთმობდა ადამიანებთან ურთიერთობას. ყოველი დამწყები ხელოვანისთვის კი სახელმოხვეჭილ ოსტატთან შეხვედრა და კონსულტაცია ნებისმიერი დიდი კულტურის მქონე ქვეყნის უმაღლეს სკოლაში მიღებულ ინფორმაციას უტოლდებოდა.

ბედნიერი შემთხვევის წყალობით, ელენე ახვლედიანთან გაცნობისა და მასთან საქმიანი, შემოქმედებითი ურთიერთობის სიხარული შემდგომი თაობის თბილისელ სომეხ მხატვარს, გაიანე ხაჩატურიანსაც ხვდა წილად. მისი ბედისწერაც, ისევე როგორც ელენე ახვლედიანისა, თბილისი, მისი განუზომელი სიყვარული, მისი სულის ფერწერულ ტილოებსა თუ გრაფიკულ ნამუშევრებში პლასტიკურ ფორმებად და ფერთა შეუზღუდავ გამად გარდასახვა აღმოჩნდა.

ხელოვნებათმცოდნე ციალა ყიფიანმა, რომელიც იმხანად თვითნასწავლი მხატვრების შემოქმედებით იყო გატაცებული და ექსპოზიციებს ხშირად მართავდა, ყველასათვის უცნობ ახალგაზრდა დამწყებ მხატვარს, გაიანე ხაჩატურიანს, განსაკუთრებული სითბოს, პატივისცემისა და თანადგომის ნიშნად, როდესაც ჰკითხა, ვისთვის ისურვებდა თავისი ნამუშევრების ჩვენებას, ლადო გუდიაშვილისა თუ ელენე ახვლედიანისათვის? გაიანემ არჩევანი უყოყმანოდ ელენე ახვლედიანზე შეაჩერა. მიუხედავად იმისა რომ, როგორც თავად ხშირად ამბობდა, "ლადოს აღმერთებდა", ისიც გაგონილი ჰქონდა, რომ დიდებული შემოქმედი ზედმიწევნით კეთილი და გულმოწყალე იყო და დამწყები მხატვრებისთვის საქებარ სიტყვებს არ იშურებდა. ამიტომაც შესაძლოა, ობიექტურობა ვერ გამოეჩინა. მას კი მკაცრი და პირუთვნელი "მსაჯული" სჭირდებოდა, რომელიც სიმართლეს, რაც უნდა მწარე ყოფილიყო, არ დაუმალავდა, ყოველივეს დაუფარავად ეტყოდა და სასარგებლო რჩევებსაც მისცემდა.

შეხვედრა წინასწარ დათქმულ დროს, პეროვსკაიას ქუჩაზე, ელენე ახვლედიანის ბინა- სახელოსნოში შედგა. ელენე ახვლედიანის გამოცდილ, მახვილ თვალს არ გამოპარვია ახალგაზრდა მხატვრის ბუნებით ბოძებული ტალანტი, თავისებური ხელწერა, დიდი პოტენციალი და ნება დართო, დროგამოშვებით მისთვის ახალი ნამუშევრები ეჩვენებინა. გაცილებისას კი ასეთი სიტყვები დაადევნა: "კომპოზიციაში ძალზე ძლიერი ხართ. მაგრამ ზედმეტად ემოციური და მგრძნობიარე ჩანხართ. ამ თვისებას უნდა შეებრძოლოთ, დაიმახსოვრეთ, ნამდვილი მხატვრები მხოლოდ ეგოცენტრისტები ხდებიან".

იმ დღიდან გაიანეს პერიოდულად, თვეში ხან ორჯერ, ხანაც ერთხელ, მოგვიანებით კი ორ თვეში ერთხელ მიჰქონდა ელენესთან თავისი სურათები და, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის კეთილი, საქმიანი ურთიერთობა ჩამოყალიბდა, ყოველ შეხვედრაზე, "განაჩენის" მოლოდინში ემოციური გოგონა შიშისაგან ცახცახებდა.

ოსტატისა და შეგირდის შემოქმედებითი ურთიერთობა თითქმის მთელი ათი წლის მანძილზე გაგრძელდა. სიცოცხლის ბოლოს, 1975 წელს, გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე, თითქოს მხატვრის მიღწევებს აჯამებსო, ელენემ მისი შემოქმედება ასეთი სიტყვებით დაახასიათა: "გაიანე ნამდვილი ხელოვანი, ნამდვილი ოსტატია". მეორე დღეს კი, როდესაც ძვირფასი მეგობრისა და დიდი მხატვრის ლადო გუდიაშვილის გამოფენას ხსნიდა, მიკროფონით ხელში ჩაიკეცა და მალე სული დალია.

გაიანეს მთელი სიცოცხლე გაჰყვა ელენე დმიტრიევნასადმი უდიდესი მოწიწებისა და თაყვანისცემის განცდა.

1967 წლის 8 მარტის ერთ სუსხიან, ქარიან დღეს გაიანემ ელენე ახვლედიანს დილის ათ საათზე ჩვეულებისამებრ დაურეკა, ქალთა დღესასწაული მიულოცა და შეხვედრის დანიშვნა სთხოვა. მხატვარმა გაიანეს დაუყოვნებლივ მისვლა და საუკეთესო ნამუშევრების მიტანა ურჩია, აუხსნა, რომ ძალზე საინტერესო სტუმრები ჰყავდა და უნდოდა მათთვის ეჩვენებინა. ისე კი არ დაუკონკრეტებია, ვინ იყვნენ "საინტერესო სტუმრები", მასთან რომ დილაადრიან მოეყარათ თავი.

იმხანად გაიანე არ იცნობდა კიევში მოღვაწე თბილისელ რეჟისორს, სერგო ფარაჯანოვს. ერთადერთი, რაც მისი ფილმებიდან ჰქონდა ნანახი, დოკუმენტური სურათი "კიევის ფრესკები" იყო, რომელმაც მონუმენტური ფერწერით გატაცებულ ახალგაზრდა მხატვარზე წარუშლელი

შთაბეჭდილება მოახდინა, რეჟისორთან შეხვედრაზე მაშინ ვერც კი იოცნებებდა.

ელენე ახვლედიანთან უამრავი ხალხი შეკრებილიყო. გაიანემ მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილ ქალში ცნობილი მსახიობი სოფიკო ჭიაურელი შეიცნო. სოფიკოს ულამაზეს თეთრ სახეს შავი ნაქსოვი ჩაფხუტი ამშვენებდა და მეტ მიმზიდველობას სძენდა. მსახიობის წინ ბომბონიერის დიდი ყუთი იდო, საიდანაც გატაცებით შეექცეოდა შოკოლადს და, არათუ ვიღაც უცხო გოგოს, სტუმართაგან ვერავის ამჩნევდა. ასე მხოლოდ რაღაც ძალზე დიდისა და მნიშვნელოვანის მოლოდინში ღელავენ. მოულოდნელად გაიანემ თავი მისთვის სრულიად უცხო საზოგადოებაში ამოყო.

უცხოობის ეს განცდა მხატვარს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. მიუხედავად არაერთი შესაძლებლობისა, ამ ამქარში ვერასოდეს ჩაეწერა, რადგანაც მარტოობის, ასკეზის გზა აირჩია. თავის პაწია ოთახში იჯდა და ბეჯითად საზღვრავდა მიკროსამყაროს, რომლის კარიბჭეზე დაკაკუნებასა და შიგ შეღწევას ყველა ვერ ბედავდა, ანდა ვერ ახერხებდა...

გაიანეს უცნობ ადამიანებთან თითოეული შეხვედრა, გარემოს აღქმისა და განცდის სიმძაფრით, ლამის გლადიატორის არენაზე გასვლას ემსგავსებოდა. მაშინაც ასე იყო. მღელვარებისგან ხელები უკანკალებდა, ჩქარობდა, თოკს ეჭიდებოდა, მაგრამ ვერა და ვერ ხსნიდა. ელენე დმიტრიევნას გამოცდილ თვალს არ გამოპარვია, რაც იმწუთებში გაიანეს თავს ტრიალებდა, მიუახლოვდა, სურათების დასტას ხელი შეაშველა და ერთობლივად როგორღაც შეძლეს საგულდაგულოდ შეკრული ნამუშევრების გახსნა. გაიანემ სურათები დასათვალიერებლად მოსახერხებელ ადგილას განალაგა და სუნთქვაშეკრული და სიმივით დაჭიმული უჩუმრად იქვე კუთხეში მდგომ სკამზე ჩამოჯდა.

მაგრამ საკუთარ პრობლემებსა და ფიქრებში გართულ სტუმრებს, ჩანდა, სურათებისთვის არ ეცალათ. მათი შეკრების მიზანი აშკარად სხვა, მათთვის გაცილებით სერიოზული და საპასუხისმგებლო რამ იყო. ეს ხალხი ელენესთან სერგო ფარაჯანოვის იდეის, "წითელი ბროწეულის" ხორცშესასხმელად შეკრებილიყო და რეჟისორის მოსვლას მოუთმენლად ელოდა. ფილმს ელენე ახვლედიანის ბინაში ეყრებოდა საფუძველი და "ბროწეულის ფერის" მთავარ გმირზე, საიათნოვაზე დამტკიცებულ მსახიობ ქალს, სოფიკო ჭიაურელს მღელვარების სერიოზული მიზეზი მართლაც ჰქონდა.

დაძაბული დუმილი ერთბაშად ზარის წკრიალმა დაარღვია. მოსამსახურემ კარი გააღო და საშუალო სიმაღლის, ტყავის ქურთუკში გამოწყობილმა, ჩაფსკვნილმა მამაკაცმა წინკარში ხმაურით შეაბიჯა: "მთელი მაღაზიები შემოვიარე ელიჩკა, შენთვის რომ საჩუქარი მეყიდა, მაგრამ ყველაფერი დაკეტილი დამხვდა. თუმცა გული არ დაგწყვიტე და უსაჩუქროდ არ დაგტოვე. სასტუმროს ნომრიდან სარკე მოვიპარე და წამოგიღე", — გაისმა მამაკაცის სიცილნარევი ხმა. ხმას შიგა და შიგ ქაღალდის შრიალი ერთვოდა. ჩანს, სერგო შეფუთულ სარკეს ქაღალდებისგან ათავისუფლებდა. როგორც კი ნადავლი გააშიშვლა და ოთახში შეაბიჯა, თვალი ერთბაშად სურათებისკენ გაექცა და თითქოს სუნთქვა შეეკრაო, წამით გაშეშდა, მერე კი მძიმედ ამოთქვა: ეს საოცრებები ვინ დახატა?

ელენემ აუხსნა, რომ სურათები ერთ თბილისელ სომეხ გოგოს ეკუთვნოდა, რომელიც ახლა მასთან იმყოფებოდა. სერგო მიბრუნდა, კუთხეში მიყუჟულ გოგოს დააკვირდა და ჰკითხა: მართლა შენ შექმენი ეს საოცრება? — დაბნეულობისგან გაიანემ ძლივს მოახერხა ეპასუხა. კმაყოფილებისა და პატივისცემის ნიშნად ფარაჯანოვმა მხატვარს გასაცნობად ხელი გაუწოდა და გოგომ რომ მაგრად ჩამოართვა, შეჰყვირა: ხალხო, ამას რას მოვესწარი, ასეთი ძლიერი ხელი ჯერ არ შემხვედრია!.. — მერე სტუმრებს მიუბრუნდა, აქამდე კუთხეში მჯდომ უცნობს რომ ვერ ამჩნევდნენ და ყველანი აიძულა, მისთვის ხელი ჩამოერთმიათ. – ასეთი სხვა ნამუშევრებიც გაქვს? — იკითხა თავისი აღმოჩენით ბედნიერმა სერგომ და როცა დადებითი პასუხი მიიღო, ელენემ, მათ დიალოგს ყურადღებით რომ უსმენდა, გაიანეს სამი მანეთი მისცა, ტაქსით რომ წასულიყო და სხვა ნამუშევრებიც მოეტანა, თან გააფრთხილა: იცოდე, არ დაგვიანო, ნახევარ საათში გადიან!

სერგოს ახალი საზრუნავი გაუჩნდა. ბობოქრობდა. ხელებს იქნევდა, ხან ერთ სურათს ასწევდა და აკვირდებოდა, ხან მეორეს, თან იმეორებდა: ახლავე წავიღებ ამ სურათებს ერევანში და გამოფენას მოვაწყობ, ეს ნამუშევრები ყველამ უნდა ნახოსო.

მან მართლაც იმავე დღეს წაიღო ერევანში გაიანეს სურათები და ქალაქის ცენტრში, ერთ-ერთ ახალგახსნილ კაფეში გამოფინა, სადაც უამრავი ხალხი იკრიბებოდა.

სომეხმა მხატვრებმა ეჭვის თვალით შეხედეს თბილისიდან ჩამოსული ახალგაზრდა მხატვარი ქალის უცნაური სურათების გამოჩენას. მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა ნამუშევრები, რომლებიც სოცრეალიზმთან ხომ ახლოსაც არ იდგა, მაგრამ მათთვის ნაცნობ არც ერთ სხვა მიმდინარეობასაც არ ჰგავდა. ჩანს, გაიანეს ნამუშევრებს ვერაფერი გაუგეს და სერგოს უსაყვედურეს კიდეც: რად გინდოდა ამ ვიღაც გოგოს ქურთული ნამუშევრები რომ ჩამოკიდე, როცა ჩვენ აქ ამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს!

პირველი, სახელდახელოდ მოწყობილი პერსონალური გამოფენის წარუმატებლობა გაიანესთვის, წესით, ძალზე დიდი, სერიოზული დარტყმა უნდა ყოფილიყო. სერგომ ეს მშვენივრად იცოდა, მაგრამ მაინც დაწვრილებით უამბო ყველაფერი და ასეთი სიტყვებით დაამშვიდა: არ გეწყინოს, იქ შენ ვერ გაგიგეს, მაგრამ, გთხოვ, ხატვას თავი არ დაანებო, მე თუ მენდობი და გჯერა ჩემი, იცოდე, ნამდვილი მხატვარი ხარ!

გაიანე პირველმა წარუმატებლობამ ვერც დააფრთხო და ვერც შეაჩერა, უფრო მეტი მონდომებით განაგრძო მუშაობა. იგი აღსავსე იყო ახალგაზრდული ენერგიითა და რწმენით, რომ შემოქმედებითი წარმატების ხანა მის ცხოვრებაში უსათუოდ დადგებოდა. ელენე ახვლედიანის სახელოსნოში შემდგარი სერგოსა და გაიანეს გაცნობა მალე დიდ მეგობრობაში გადაიზარდა. სერგო ფარაჯანოვთან გაიანეს კიდევ არაერთი საინტერესო და უჩვეულო შეხვედრა ელოდა.

* * *

გაიანე ბევრს კითხულობდა, ბევრს სწავლობდა და საკუთარ შემოქმედებით ლაბორატორიას დღითიდღე ახალი იდეებით ამდიდრებდა. დღე არ გავიდოდა, რომ თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს, ბლოკნოტითა და ავტომატური საწერკალმით შეიარაღებული არ სწვეოდა. მუზეუმი მისთვის შესანიშნავი სკოლა იყო, სადაც მაღალი შემოქმედების საიდუმლოებებს ითავისებდა. განსაკუთრე-

ბით ფრესკების განყოფილება იზიდავდა. მაგრამ ფრესკების ზუსტ ასლს როდი აკეთებდა, ქაღალდზე საკუთარი შთაბეჭდილებანი, სათანადო კომენტარის თანხლებით, გადაჰქონდა. გამორჩევით დავით გარეჯის ფრესკები იზიდავდა, რადგანაც ისინი საოცარი დინამიურობითა და მაღალი სულიერებით მხატვარში შემოქმედებით იმპულსს აღრმავებდა. გაიანეს ფერმწერად ჩამოყალიბებაზე შუა საუკუნეების ქართულმა მონუმენტურმა მხატვრობამ — ისევე როგორც სომხურმა მინიატურამ — უზარმაზარი გავლენა მოახდინა. მის ფერწერულ ტილოებსა და გრაფიკულ ნამუშევრებში აღბეჭდილი კომპოზიციის განცდა და ხედვის თავისებურება, ფიგურების დინამიურობა და პლასტიკა სწორედ დავით გარეჯის ფრესკებიდან იღებს სათავეს, რაც მხატვარს თვითონაც არაერთხელ აღუნიშნავს. იქვე, მუზეუმში მე-19 საუკუნის განყოფილებასაც ხშირად სტუმრობდა, სადაც ცნობილ ოსტატთა ნამუშევრებიდან განსაკუთრებით ფიროსმანისა და ფერწერის თბილისური სკოლის წარმომადგენლის, ოვნათანიანის ხელწერა ხიბლავდა, ისევე როგორც საინტერესო ერთიანობა საფრანგეთში მოღვაწე და სამშობლოში დაბრუნებული უნიჭიერესი მხატვრებისა, ავანგარდიზმის ფორმირებაში საკუთარი წვლილი რომ შეიტანეს და ადამიანები სამყაროს შინაგანი ბუნების ორიგინალურ აღქმას აზიარეს.

წლების მანძილზე გაიანეს ჩანთაში მოზრდილ ბლოკნოტსა და ავტოკალამს საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი და უამრავი ჩანახატი და ჩანაწერი დაუგროვდა.

ერთხელ, სერგოს გაცნობის წელს, შთაბეჭდილებებით აღსავსე და დაღლილი გაიანე ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმიდან გადიოდა და შინ, ავადმყოფ დედასთან მიიჩქაროდა. მოულოდნელად კარებში სერგო ფარაჯანოვს შეეფეთა. შეხვედრით გახარებულმა სერგომ ხელის ჩამორთმევა მოიწადინა, მაგრამ გაიანემ დილიდან მუზეუმის სხვადასხვა განყოფილებებში მუშაობისგან მელნით დასვრილი ხელი ზურგსუკან დამალა. სერგო მიხვდა, გოგონა ასე რატომ მოიქცა და დაამშვიდა: ეგ არაფერი, ჩამომართვი, მინდა, შენი ხელი ჩემსაზე აღიბეჭდოსო — მერე კი კმაყოფილმა, დასვრილი ხელი ასწია, ხუთი თითი ჰაერში შეათამაშა და კვლავ გაიანეს მიუბრუნდა: სტუმრები მყავს ერევნიდან, ხვალ მცხეთაში მივდივართ, შენც უნდა წამოხვიდე. აუცილებლად უნდა იყო, დილით ვიკრიბებით, მანქანით აქ, მუზეუმის წინ დაგელოდებით, იცოდე, არ დამაღალატო, უსათუოდ მოდიო — სთხოვა და სწრაფად გაშორდა.

მეორე დღეს მუზეუმის წინ, დათქმულ დროს, ფურგონიანი მანქანა გაიანეს მართლაც დახვდა. მანქანაში ათი კაცი იჯდა და მას ელოდა. მალე გეზი მცხეთისკენ აიღეს. სვეტიცხოველს როგორც კი მიუახლოვდნენ, დაინახეს, შესასვლელში, გალავანთან უამრავ შავ მანქანას მოეყარა თავი. სერგო როგორც კი მანქანიდან გადმოვიდა, მაშინვე ლანძღვას მოჰყვა. ათას საშინელებას გაჰყვიროდა, არავის და არაფერს ერიდებოდა: ეს ბრიყვები, ჯერ სცოდავენ, მერე კი ინანიებენ და ლოცულობენ, სვეტიცხოველში დადიან! — მთელი ხმით გაიძახოდა. მეგობრები ტემპერამენტიანი მასპინძლის გაჩუმებას ცდილობდნენ, მაგრამ ვერ აოკებდნენ, ის თავისას მაინც არ იშლიდა. ერთი სიტყვით, ძლივს გადაურჩნენ მორიგ ფათერაკს. კიდევ კარგი, სვეტიცხოვლის ტაძარში წირვა სრულდებოდა და სერგოს ხმა შიგნით ვერ აღწევდა.

სვეტიცხოვლიდან სერგომ სტუმრები ჯვარზე აიყვანა. იქ თითქმის არავინ იყო და მეგობრებმა ფარაჯანოვს სთხოვეს, ემღერა. იცოდნენ, შესანიშნავი ტენორი ჰქონდა და ერთხანს კონსერვატორიაში ვოკალის ხელოვნებასაც ეუფლებოდა. ფარაჯანოვმა "ავე მარია" დაიწყო. ტაძრის იდეალური აკუსტიკა და იდუმალებით მოცული გარემო მის სიმღერას განსაკუთრებულ ხიბლს, რაღაც დიდი და მიუწვდომელი საიდუმლოს განცდას ანიჭებდა. ამ ფაქტმა გაიანეზეც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა და როდესაც სერგომ სიმღერა დაასრულა, სიმორცხვეს სძლია, მასთან მივიდა და სთხოვა, სიმღერის ნება მიეცა. სერგოს არაფერი სმენოდა ვოკალის სფეროში გაიანეს წარმატებებზე, მაგრამ მაინც უყოყმანოდ დათანხმდა.

გაიანეს აბსოლუტური სმენა და არაჩვეულებრივი ხმა ჰქონდა. მისი ძლიერი, ხავერდოვანი კონტრალტო ყველას აოცებდა. მართალია, სპეციალური მუსიკალური განათლება არასოდეს მიუღია, ბავშვობაში მუსიკალურ სასწავლებელში კი ჩაირიცხა, მაგრამ ცხოვრების მძიმე პირობების გამო სწავლა ვეღარ გააგრძელა. მუსიკისადმი მისი გამორჩეული ლტოლვა კი ნაცნობ-მეგობრებისთვის კარგად იყო ცნობილი, განსაკუთრებით მეზობლებისთვის. მეორე სართულზე განთავსებული ბინიდან, რომლის ფანჯრები ბაქოს ქუჩაზე გამოდიოდა, ხშირად ისმოდა კლასიკური მუსიკის ჰანგები, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ დროს გაიანე ხატავდა.

გაიანემ სიმღერა როგორც კი დაასრულა, აღფრთოვანებულმა მსმენელებმა მყისვე ტაში დასცხეს. იმხანად ჯვარი მოქმედი ტაძარი არ იყო და ტაში არავის გაკვირვებია. სერგო გაიანესთან მივიდა, შუბლზე აკოცა და ამჟამად ახალი, სულ სხვა სამომავლო სტრატეგია დასახა: ნამდვილი მარიამ საზერლენდი ხარ. იცოდე, ხატვას თავი დაუყოვნებლივ უნდა დაანებო. მე ყოველმხრივ ხელს შეგიწყობ, ერევანში წაგიყვან, კონსერვატორიაში ჩააბარებ და მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ მომღერალს გაგხდიო.

მთელი გზა მცხეთიდან თბილისამდე ამ განწყობით იარეს. გაიანე სერგომ თითქმის დაითანხმა კიდეც მეორე დღესვე ერევანში წასვლაზე, მაგრამ როგორც კი მანქანა თბილისს მიუახლოვდა, გოგონა ფარაჯანოვს მიუბრუნდა და მტკიცე უარი განაცხადა: მაპატიეთ, სერგეი იოსიფოვიჩ, ერევანში ვერ წამოვალ, არ მინდა სიმღერა, მე მხოლოდ ხატვა მწადია. მაგრამ სერგო არ ცხრებოდა, არ ეშვებოდა: აქედან პირდაპირ ელიჩკასთან წავალთ, ისიც მოგისმენს და თავისას იტყვისო.

სერგოს ეიოლებოდა სხვათა ცხოვრების საჭის შებრუნება, მის ცნობიერებაში ღრმად გაედგა ფესვები აზრს, რომ ყოველივე იმ მთავარი რეჟისორის მდიდარ ფანტაზიასა და ძლიერ წარმოსახვას ექვემდებარებოდა. ამჯერად ეს რეჟისორი თვითონვე იყო და რაღაც ახლისა და განსხვავებულის წყურვილი არ ასვენებდა, მისი შემოქმედებითი ჟინი არა და არ ცხრებოდა.

მცხეთიდან პირდაპირ ელიჩკასთან შეიარეს. ელენე საგანგებოდ გამოწყობილიყო და, მოსკოველ მეგობრებთან ერთად, კონსერვატორიაში მიიჩქაროდა. სერგოს არაფრის გაგონება არ სურდა: კონსერვატორიაში რა გესაქმება, ახლა ისეთ რამეს მოგასმენინებ, გაგიჟდები, ასეთ ხმას ვერსად მოისმენთ ვერც შენ და ვერც შენი სტუმრები, — დაბეჯითებით უმეორებდა.

— მელოდებიან, დაპატიჟებული ვარ, — ნერვიულობდა და მუდარის ხმით გაიძახოდა ელიჩკა, სტუმრების ერიდებოდა, თანაც, ეტყობა, სერგოს წყენინებაც არ უნდოდა.

მაგრამ ფარაჯანოვს ასე იოლად ვინ გაუწევდა წინააღმდეგობას. თვით ელენეც კი, ვისაც ზედმეტ სიტყვას ვერავინ უბედავდა, სერგოს გადაწყვეტილების წინაშე უძლური აღმოჩნდებოდა ხოლმე და მის მოთხოვნას უსიტყვოდ ემორჩილებოდა. ამჯერადაც დაჯდა და დაელოდა. კარგად იცოდა, ის თუ რამეს აიკვიატებდა, აზრს მამაზეციერიც ვერ შეაცვლევინებდა, თანაც სიმღერისადმი მას განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა, ბავშვობაში მომღერლობაზე ოცნებობდა.

ფარაჯანოვმა გაიანე სლაიდების საჩვენებელ ეკრანთან დააყენა. მღელვარებისგან გაფითრებული გოგო ადგილს ვერ პოულობდა, სიმღერას ვერ იწყებდა, საკუთარ ხმას ვეღარ ფლობდა, ვერაფერს უხერხებდა. მოლოდინით გამოწვეული დაძაბულობა და დუმილი თავგზას ურევდა. ასე დიდხანს ვეღარ გაგრძელდებოდა. გრძნობდა, მოსასმენად განწყობილთაგან ვიღაცის მოთმინების ძაფი უსათუოდ გაწყდებოდა.

გამოსავალი ისევ თვითონ იპოვა, ეკრანის უკან დადგომა ითხოვა და, როგორც კი სერგომ მარჯვე ადგილი შეურჩია, სტუმრების მზერას გარიდებულმა, თავისუფლად ამოისუნთქა და სიმღერას შეუდგა.

ერთი მელოდია დასრულდა და მსმენელებმა მეორის მოსმენა ისურვეს. მეორეს მესამე მოჰყვა და სახელდახელო „კონცერტი“ თითქმის ერთი საათი გაგრძელდა. ელენემ კონსერვატორიაში წასვლა გადაიფიქრა და მზად იყო, სერგოს მიერ აღმოჩენილი ამ ახალი საოცრებისთვის დაუსრულებლად ესმინა. მით უმეტეს, რომ ბავშვობაში თავადაც მომღერლობაზე ოცნებობდა და შესანიშნავი ხმა ჰქონდა.

არაჩვეულებრივი ხმით, უშუალობით, მუსიკალობითა და განცდის სიღრმით გაიანემ დამსწრე საზოგადოება, რომელთა შორის პროფესიონალი მუსიკოსებიც იყვნენ, ერთბაშად დაატყვევა. — მარიამ საზერლენდის ხმა აქვს, — დაასკვნა ელიჩკამ.

სერგო და მისი გუნდის წევრები ელენე ახვლედიანს დაემშვიდობნენ და იქვე, პეროვსკაიას ქუჩასთან ახლოს მდებარე სასტუმრო „ივერიისაკენ“ გასწიეს, სადაც კიევიდან დაბრუნებული ფარაჯანოვი ოროთახიან ლუქსში ცხოვრობდა. რეჟისორს სასტუმროში უამრავი ხალხი ელოდა. მისი დავალებით “ბროწეულის ფერისთვის” სხვადასხვა ნივთები მოეტანათ და სარფიანი გარიგების მოლოდინში მოთმინებით უცდიდნენ, როდის გამოჩნდებოდა. სასტუმროს კარი როგორც კი შეაღო, სერგომ მაშინვე იყვირა: ესენინი მიპოვეთ, სად არის ესენინი, ახლავე აქ გაჩნდეს, გადაუდებელი საქმე მაქვს. — მამაკაცი, ფარაჯანოვმა ესენინი რომ შეარქვა, კორიდორის მორიგე, ქერა, ცისფერთვალება ლამაზი ახალგაზრდა აღმოჩნდა. ყველანი მაშინვე დაფაცურდნენ, ძლივს იპოვეს და სერგოს მიჰგვარეს. — ხელი არავინ შეგვიშალოს, მე, გაიანე და ესენინი ოთახში ვიქნებით და ნივთებს გადავარჩევთ, დროებით უნდა დაგვტოვოთ, — გააფრთხილა მეგობრები სერგომ. ტყავის ქურთუკში გამოწყობილი, საწოლზე შემომჯდარი და ნივთების თვალიერებაში გართული ფარაჯანოვი პუგაჩოვს ჩამოჰგავდა. თან ნივთებს აქეთ-იქით დებდა, თანაც ათასგვარ ამბავს ჰყვებოდა. უცებ, რატომღაც, თავისი პატარაობა გაიხსენა და ბავშვივით ატირდა. თან ლაპარაკობდა, თანაც გაუთავებლად ტიროდა. ამ ტირილსა და ვაივაშში რომ იყო, კარზე კაკუნი გაისმა. სერგომ ცრემლი ცხვირსახოცით შეიმშრალა, კარი გააღო და ოთახში უცნობ მოხუცს შეუძღვა, რომელსაც დიდი ჭრელი სპარსული ხალიჩა ამოეღლიავებინა. სერგომ ხალიჩა გამოართვა და ხელოვნების ულამაზესი ნიმუში მაგიდაზე რომ გაშალა: ვაშლი, ვაშლი მჭირდება, აქვს აქ ვინმეს ერთი ცალი ვაშლი? — დაიძახა. მალე მართლაც ერთი წითელლოყება ვაშლი საიდანღაც გააჩინეს და როცა სერგომ თავისი ჯადოსნური ხელით, გარკვეული მიმართულებითა და სიჩქარით ვაშლს ხალიჩაზე ადგილი მიუჩინა, ერთ წამში გარემომ უცნაური ფერიცვალება განიცადა, თანამედროვე, ორდინარული ინტერიერი სრულიად გადასხვაფერდა. თითქოს თვალშეუდგამი მშვენიერება საიდანღაც ვულკანივით ამოიფრქვა და იქაურობას შუა საუკუნეების ორნამენტებით დამშვენებული გამჭვირვალე აბრეშუმივით გადაეფარა. წამით ყველა შეჩერდა, თითოეულის სუნთქვას გაიგონებდით, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა. დუმილი ისევ სერგომ დაარღვია, მოხუცს ხალიჩაში დიდძალი ფული გადაუხადა და გაისტუმრა. ნივთების შერჩევის პროცესმა დიდხანს გასტანა. უკვე ძალზე გვიანი იყო. გაიანემ სერგოს აუხსნა, რომ შინ, დედასთან ეჩქარებოდა, მოუბოდიშა და ოთახიდან გავიდა.

სერგო წამოხტა და გაიანეს გაედევნა. სასტუმროს გრძელ დერეფანში თმაგაშლილი ქალი თავქუდმოგლეჯით გარბოდა. ისეთი სისწრაფით მირბოდა, შეუძლებელია, ვინმე დასწეოდა. კარგა დიდი მანძილი რომ გაირბინა, სერგომ, თითქოს ვიღაცამ გულში დანა გაუყარაო, განწირული ხმით შეჰყვირა: გაიანე! — გაიანე წამით შებრუნდა, შეჩერდა და ახლა ისეთივე სისწრაფით საწინააღმდეგო მიმართულებით, ფარაჯანოვისკენ მოკურცხლა. როდესაც მიუახლოვდა, სერგომ გაიანეს უზადო თავი ორ ნიჩაბივით ხელის მტევანში მოიმწყვდია, ულამაზეს თვალებში ჩახედა და მტკიცე ხმით უთხრა: იცოდე, ცხოვრებაში არავის იმედი არ უნდა გქონდეს, მხოლოდ შენ თავს დაეყრდენი. შენ ძალიან ძლიერი ხარ. მე რომ მოსკოვში წავედი, მარტო ერთი თეფში მქონდა. თუკი დღეს სერგო ფარაჯანოვი ვარ, ეს მარტო ჩემი დამსახურებაა. ყურადღება არავის მიაქციო, მხოლოდ იმუშავე, რაც შეიძლება ბევრი ხატე! — მერე შუბლზე ემთხვია და დაემშვიდობა.

უკვე კარგა გვარიანად ჩამობნელებულიყო. გაიანე ვერის ხიდზე გარბოდა. ახალგაზრდა ქალის თმასა და ფართე მოსასხამს მტკვრიდან მონაბერი ქარი აქეთ-იქით არხევდა და პარაშუტივით შლიდა. თითქოს მისი სუსტი სხეული საცაა ზევით, ზეცისკენ გაფრენას ლამობდა. გაიანე შინ, დედასთან და თავის სურათებთან მიიჩქაროდა. კარგა ხანია, რაც ისინი ასე დიდხანს აღარ მიუტოვებია. ნერვიულობდა, და განცდა, რომ იმ ერთ დღეში შინ აუცილებლად რაღაც საშინელება დატრიალდებოდა, არა სტოვებდა. გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, ათასგვარი უცნაურობა ელანდებოდა: აი, დედა საწოლიდან გადმოვარდა და ვეღარ ახერხებს ლოგინზე ასვლას, საჭმელი და წყალი გაუთავდა და შიმშილისა და წყურვილისგან გული მისდის. ფანჯრიდან ვიღაც გადმოძვრა და მის სურათებს ადგილს უცვლის. მარჯანიშვილის მოედანზე მარცხნივ გაუხვია და მთელი პლეხანოვი წუთში გადასერა. გული ყელში ებჯინებოდა. კიბეზე აირბინა და როგორც კი ოთახის კარი შეაღო, დედამ მშვიდად შეაგება: რატომ ირბინე, ასე რატომ ინერვიულე, ხომ დაიბარე, რომ შეგაგვიანდებოდა.

საბა სულხანიშვილი

დათა მიქელაძე — სპექტაკლის გმირადაც

არაერთხელ გამხდარა სადავო – გამართლებულია თუ არა მოთხრობის ან რომანის ინსცენირება სპექტაკლის დასადგმელად.

მოწინააღმდეგეთ ის საბუთი მოაქვთ, ინსცენირება რეპერტუარს ავსებს, ეგაა და ეგ, თორემ დრამატურგიის განვითარებას ოდნავადაც ვერ შეეწევაო. ეს მართლაც ასეა და თეატრი არც უნდა მიენდოს მარტოდენ ინსცენირებებს, სწორედ უსამართლოდ მივიწყებული პიესები უნდა ეძიოს და ახალ დრამატურგიულ ნიმუშთა შექმნაზე იზრუნოს... მაგრამ ინსცენირების გარეშე რომ ვერ გადარჩება, ესეც აშკარაა.

რაც შეეხება მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდის დადგმებს – ანუ: პოლიტიკურ თუ პუბლიცისტური მიმართულების დაარსება-განმტკიცებას – უმთავრესად სწორედაც ინსცენირებებს უნდა დაეყრდნოს. ჟანრული თავისებურება თავისთავად მოითხოვს ამას, თუმც ამჯერადაც უნდა შეეცადნონ რეჟისორები, გაზარდონ პოლიტიკური დრამატურგები.

აუცილებელია, რომ ეს მიმართულება ხელშესახებად გამოიკვეთოს და ცალკეულ დადგმათა იმედად არ დავრჩეთ.

ამ თვალით ვუყურებდით 10 აპრილს ქუთაისის თეატრის სცენაზე **ელგუჯა თავბერიძის** რომანის – **„ნისლის ტიხარი“** – გასცენიურებულ ვერსიას, რეჟისორის – **ალეკო ტოროტაძის** – პროფესიულ ნამუშევარს, ახალგაზრდების — **ნიკა პაიქიძე, შალვა კამლაძე, ალეკო ლომთაძე, გივი ავალიანი** — საკმაოდ მომწიფებულ თამაშს, აზრობრივად ღრმად დატვირთულ და სანახაობრივად შთამბეჭდავ წარმოდგენას. ნურც გამოცდილი ქორეოგრაფის წვლილს გამოვტოვებთ – **აკაკი ფუტკარაძისას;** და ნურც ახალგაზრდა მუსიკოსებისას — **ალექსანდრე გეგეშიძის, დავით ლობჟანიძისა** და **ოთარ ლორთქიფანიძის.**

სპექტაკლის საუკეთესო სცენა მაინც დათა მიქელაძისა და გუბერნატორის შეჯახებაა, რასაც მსახიობები დიდი შინაგანი დაძაბულობით წარმოსახავენ. ინსცენირებისა და რომანის ეს ეპიზოდი ეყრდნობა **იონა მეუნარგიას** მონათხრობს, თუ როგორ არ იკმარა მეველემ კირიონის დევნის შეწყვეტისა და საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა და ქვეყნის ავტონომიაც მოითხოვა.

ელგუჯა თავბერიძემ ისე გაშალა მწვავე დიალოგი, შთაბეჭდილება გრჩება, რომ სტენოგრაფიულ ჩანაწერს კითხულობ. და ეს იმიტომ, რომ ეპოქის სულსაც ღრმად გრძნობს და თავის გმირს თითქოს თვალდათვალაც შეჰყურებს.

ურუსეთოდ დაჭამთ, ყელს გამოჭრით, უმტრობთ, სამარეს გაუთხრით ერთმანეთს, ჩვენ გაჩერებთ, გაბრკოლებთ, გგონიათ, ამნაირებით იმპერიის ძლიერებას შეარყევთ? – მრისხანებს ადამ სლოვაჩინსკი, რის პასუხსაც დათა მიქელაძე მშვიდად შეაგებებს:

– ქართველებს რომაელების, სპარსელების, მონღოლების, თურქების და სხვათა ბატონობა გადაგვიტანია, თქვენს ბორკილებსაც მოვისვრით ოდესმე, ნუ გგონიათ, დიდი ერი ხართ...

ერთადერთი, რაც გულს დაგვაკლდა – მოქმედ პირთა შორის ქალის არყოფნაა.

მითუმეტეს, ქუთაისის თეატრალურ დასს არ აკლია ლამაზმანები.

და კიდევ მითუმეტეს – ალექსანდრე წულუკიძისა და დათა მიქელაძის სისხლიანი ორთაბრძოლა ძალაუნებურად მოითხოვდა ქალის გამოჩენას. ის დაუნდობელი შეხლა-შემოხლა ხომ ქალის გულის დაუფლების წადილმა გამოიწვია და ბარემ მაყურებელმა ბოლომდე განიცადოს ამ ეპიზოდის დრამატული სიღრმე.

შესაძლოა ქორეოგრაფის ჩარევაც გახდეს საჭირო... შესაძლოა კი არა, სწორედაც აუცილებელია, რომ იმ ორთაბრძოლის უნებლიე შთამაგონებელმა ჩვეულებრივი ნაბიჯით არ გადაკვეთოს სცენა და მისი ჩაშრიალება მომხიბლავ სურათად დააჩნდეს დადგმას, რომელსაც ავტორისა და რეჟისორის დიდი თავმდაბლობის გამო ჰქვია ლიტერატურული კომპოზიცია და რაც მალე ჩამოაშორებენ ამ შეუფერებელ ჟანრობრივ განსაზღვრებას, მით უკეთესი.

ამას რომ იწამებენ, სპექტაკლის დასაწყისიც უფრო დინამიური გახდება, სწორედაც დრამატურგიული ნიმუშის შესაფერისი.

და ქალი თვალს რომ მიეფარება და თან წაიყოლებს ყველას მზერას, აღტაცებისაგან პირველად დათა მიქელაძე უნდა გამოერკვეს და რაღაც ამგვარი დასცდეს: ასეთი ქალის გულისათვის მძიმე ჭრილობები რა არის, სიკვდილსაც გულმშვიდად შეეგებები კაციო!..

შენიშვნები შესაძლოა სხვაც გაჩნდეს და ისიც მხოლოდ კიდევ უფრო სრულყოფის სურვილით. ვითვალისწინებთ იმასაც, რომ პრემიერიდან რამდენიმე წარმოდგენამ უნდა ჩაიაროს, რათა მსახიობები უფრო გაუშინაურდნენ და მოერგონ თავთავიანთ როლს.

ხომ არ დარჩება ეს წარმატებული პრემიერა მარტოდენ მომხიბლავ გაელვებად, დროდადრო რომ გამოანათებს და, როგორც იმ დღეს, სხვა დროსაც მაყურებელს სულის სარგოს მიაწვდის, მაგრამ შესაფერისი გაგრძელება ველარ მოჰყვება სხვა დადგმების სახით?

არადა, ცოდონი არიან ასეთ სანახაობას მოწყურებული მოქალაქენი – განსაკუთრებით ახალგაზრდობა – ერთი სპექტაკლის ანაბარა დატოვო.

და თუ რაოდენ მოწყურებულნი ყოფილან, პირთამდე გადაჭედილმა დარბაზმაც დაადასტურა.

თუ შესაფერისი ხელშეწყობა იქნა, ელგუჯა თავბერიძე არ მოაკლებს თეატრს ამ ყაიდის ნიმუშებს და, როგორც დათა მიქელაძე და მისი ეპოქა გაუცოცხლა ქუთათურებს, ისევე გაუცოცხლებს **გიორგი შერვაშიძესა** და **სოლომონ აშორდიას** და მათ ეპოქასაც, ათასგვარი დრამატიზმით აღსავსეს და მაყურებლის გულისყურის მიმტაცებელს ელგუჯას რანგის ბიოგრაფოსის ხელში, რეჟისორსა და მსახიობებს მრავალმხრივ საგულისხმო მასალას რომ აწვდის მათი უნარის სრულად წარმოჩენისათვის.

რაღაც დიდი წამოწყების ნიშნები შეიმჩნეოდა იმდღევანდელ სპექტაკლში და დაე ეს ნიშნები რეალობად გადაიქცეს.

წამოწყების – ესთეტიკურთან ერთად საგანმანათლებლო დანიშნულებასაც რომ მოიცავს.

პოლიტიკურ-პუბლიცისტური თეატრი ქართულ კულტურულ სივრცეში ამ ოცდაათი წლის წინათ დააფუძნა **თინათინ ელბაქიძემ**, შემდგომ ეს იდეა გაიმეორა **კოტე მახარაძემ**, ვისი გარდაცვალების შემდეგაც ეს ნაკადი სრულიად მიყრუვდა, რადგან თავის მხრივ აღარც ქალბატონ თინათინს გააჩნდა შესაფერისი გარემო თეატრის გაშლისათვის.

დიდი ხანი არ არის, რაც მან ხელახლა წამოიწყო ამ კუთხით მოღვაწეობა (მის შემაგულიანებლად და ჩინებული დრამატურგიული მასალის მიმწოდებლად **იოსებ ჭუმბურიძე** წარმოგვიდგა) და მისი გამოსვლები **ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონსა** და **წიგნის მოყვარულთა ასოციაციის დარბაზში** იმედით ამიტომაც აღავსებდა პოლიტიკური თეატრის ბედზე მოფიქრალ ადამიანს.

და აგერ ქუთათურთა პუბლიცისტური დადგმაც.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ზედიზედ გამოჩენა ერთი ნაკადის ორი ნაირსახეობისა თბილისსა და ქუთაისში.

იქნებ მართლაც შემთხვევითობაა და არა ღრმა კანონზომიერების არსებობაზე მინიშნება?

აღდგომა და ხვალეო.

მითუმეტეს, აღდგომის წინა და ბრწყინვალე შვიდეულის დღეებში ხდებოდა გაცხოველებული მზადება „ნისლის ტიხარის“ წარმოსადგენად სცენაზე.

და ესეც საგანგებოდ უნდა ითქვას:

დათა მიქელაძეს, ამ უბედო კაცს, ამჯერად გაუმართლა.

ბიოგრაფიული რომანი ბიოგრაფიულ რომანად და აგერ სპექტაკლის გმირადაც წარმოდგა – მსახიობის ზუსტად მორგებული ტიპაჟის წყალობითაც და როლის ისე გათავისებითაც ნიკა პაიქიძის მიერ, რომ ლამის დათა მიქელაძე დაირქვას ცხოვრებაშიც.

მწვანეყვავილას სასაფლაოზე კი – სადაც ამ დიდებული პუბლიცისტისა, წინააღმდეგობის მოძრაობის თავგამოდებული მონაწილის, ილია ჭავჭავაძის ერთგული თანამებრძოლის ნეშტი განისვენებს – მხოლოდ ელგუჯა თავბერიძე და ორი-სამი ადამიანი აღარ ივლის საფლავის ყვავილებით შესამკობად და პანაშვიდის გადასახდელად.

უკვე ბევრი ქუთათური – და არამარტო ქუთათური – დაიგულებს იმ ადგილს თავისებურ საკულტო ნიშად.

იოსებ ჭუმბურიძე

ქუთაისიდან წყალტუბომდე გაფანტული ნისლი

დღე პირველი:
მეველის ცხოვრება და ღვაწლი. წიგნიდან – სცენაზე

კარგი მაგალითიც გადამდებია.

მარჯანიშვილის თეატრში დადგმული „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, ჩანს, ასეთად იქცა.

გასახარია, რომ ქუთაისშიც დაიდგა სპექტაკლი, რომელიც მინავლებული პატრიოტული გრძნობის გაღვივებას ღირსეული მამულიშვილის ღვაწლისა და ბედის ჩვენებით ცდილობს.

ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული რომანი „ნისლის ტიხარი“, რომელიც დათა მიქელაძის (მეველე) ცხოვრებასა და ღვაწლს წარმოგვიჩენს, მესხიშვილის თეატრის სცენაზე გააცოცხლეს. მართალია, წარმოდგენას სპექტაკლის პრეტენზია არა აქვს და დამდგმელებს „ლიტერატურულ კომპოზიციად“ მოუნათლავთ, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ეს სახილველი ხსენებულ ჩარჩოშიც ვერ ეტევა.

უპრეტენზიობა კარგი რამ არის, მაგრამ ვფიქრობ, დამდგმელ ჯგუფს შესწევს „ძალი ქადილისა“, რომ ეს კომპოზიცია სრულყოფილ სპექტაკლად აქციოს.

საამისო საფუძველს იძლევა კარგი ლიტერატურული მასალაც, სახიერი რეჟისორული გადაწყვეტაც, მსახიობთა შინაგანი პატრიოტული მუხტი და თეატრის ვალის ღრმად გაცნობიერებაც.

კი, მსახიობები ძალიან ახალგაზრდები არიან და, თუნდაც გამოუცდელობის გამო, ოსტატობის მაღალ დონეს ვერ მისწვდებიან, მაგრამ მათი გულწრფელობა და პატრიოტული ნერვის ბუნებრიობა ძნელად მისაღწევ დამაჯერებლობას ძალდაუტანებლად აღწევს.

ვფიქრობ, ეს დამაჯერებლობა კიდევ უფრო გაძლიერდება, თუ ისინი დაივიწყებენ, რომ ლიტერატურულ კომპოზიციას წარმოგვიდგენენ და ნამდვილ სპექტაკლს გაითამაშებენ. მაშინ ზოგიერთი ეპიზოდი (განსაკუთრებით პირველ ნაწილში) აღარ დატოვებს მხატვრული კითხვის შთაბეჭდილებას, ყოველი სიტყვა ქმედებად იქცევა და ლიტერატურული კომპოზიციის ნაცვლად, ნამდვილ დრამას მივიღებთ.

რამდენიმე ძლიერი სცენა (მაგალითად, დათა მიქელაძისა და გუბერნატორის დიალოგი) გვაფიქრებინებს, რომ მათ ამ ამოცანის დაძლევა ძალუძთ.

რაკი დამაჯერებლობაზე ვსაუბრობ, თავად არ ვიქნები გულწრფელი, თუ ერთ შენიშვნას არ გამოვთქვამ: ეს ეხება სომეხი სოვდაგრის სახეს. მსახიობი ცდილობს, ამ სახის შესაქმნელად გამოიყენოს ათწლეულების მანძილზე დამკვიდრებული სტერეოტიპი (შტამპი რომ არ ვთქვათ), მაგრამ საამისოდ არც გამოცდილება ჰყოფნის, არც ოსტატობა და ხელოვნურობას თავს ვერ აღწევს. ამიტომაც აჯობებს, ისევე სადად და ბუნებრივად, „თავისით“ ითამაშოს, როგორც ამას სხვა ეპიზოდებში, სხვა პერსონაჟთა განსახიერებისას ახერხებს.

ერთი სურვილიც: როცა დათა მიქელაძე გარდაიცვლება, თეთრსუდარაგადაფარებული, სკამზე დამჯდარი და თავგადაწეული კარგა ხანს რჩება სცენაზე.

ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, თუ მსახიობი სკამზე ჩვეულებრივ დაჯდებოდა და როცა თეთრ სუდარას გადააფარებდნენ, მარმარილოს ქანდაკებას დაემსგავსებოდა. ამით დეტალი მეტ დატვირთვას, სიმბოლოს მნიშვნელობას შეიძენდა.

და კიდევ: მიხეილ თუმანიშვილის მიხედვით, თეატრალური პრემიერის ბედი, ბოლოს და ბოლოს, ერთ ჭეშმარიტებამდე დაიყვანება: ჰაერში ან მარცხის სუნი ტრიალებს ან გამარჯვების.

იმ დღეს მესხიშვილის თეატრში გამარჯვების სუნი ტრიალებდა.

დღე მეორე:
მზე ოტიას აივანზე

ქუთაისში ნაწვიმარი და ღრუბლიანი ამინდი დაგვხვდა. სპექტაკლიდან გამოსულებმა ვნახეთ, რომ ცა მოწმენდილიყო. დილა მზიანი გათენდა, თუმცა ნისლმა წყალტუბომდე მაინც მიგვაცილა. და საბოლოოდ მერე გაქრა. იდგა კვირაცხოვლობა და ბატონ **გიზო თავაძეს** ბატონ **ოტია იოსელიანთან** მივყავდით.

წყალტუბოში შესულებს თვალი უმალვე დევნილებით დასახლებული იმ სანატორიუმებისკენ გაგვექცა, საქართველოს დღევანდელობის სიმბოლოდ რომ გამოსჩანან.

სულ მალე შევუხვიეთ ხელოვნების ქუჩაზე, რომელსაც მხოლოდ ერთი ნომერი აქვს – 1.

სიმბოლურობა აქაც აშკარაა: ოტიაც ერთია. ერთადერთი.

ლამაზ ბორცვზე გადმომდგარი სახლის მრგვალ, ხის რიკულებიან აივანს ცხრათვალა მზე მისდგომოდა.

ჭიშკარიც ხისაა, თუმცა აქეთ-იქით ქართული ჩუქურთმებით შემკული ქვის სვეტები უდგას.

ჭიშკარზე არ აწერია: „გთხოვთ ნუ მესტუმრებით“ – როსტომი გაიხსენებს, რომ ასეთი წარწერა ჰქონდა ჰერმან ჰესეს სახლის კარიბჭეს.

მე კი ის მომაგონდა, როგორ არ უნდოდა ბატონ ოტიას ეზოსა და სახლში პრეზიდენტის (ამჟამად – ყოფილის) შეშვება, მაგრამ გენიოსის ფრაზა გაახსენდა და უთხრა, მე არაფერ შუაში ვარ, ვაჟა გიშვებსო.

...ჩვენ უყოყმანოდ შეგვიშვა.

მეტიც, გულითადად მიგვიღო, გვებაასა და თავისი ნაწარმოებების ათტომეულის ცხრა-ცხრა წიგნითაც დაგვაჯილდოვა (მეათე ჯერ არ გამოსულა!).

სულ ერთი საათი დავყავით მასთან და მაინც ბევრის თქმა მოასწრო.

მხოლოდ საქვეყნო სატკივარზე გველაპარაკა.

პირადზე სიტყვაც არ დასცდენია.

მხოლოდ ახლობლისგან შევიტყეთ, რომ ძვირად ღირებულ მკურნალობას (ბიძინა ივანიშვილის წყალობით!) კარგი შედეგი აქვს.

კვირაცხოვლობას ღმერთს მადლობა შევწირეთ.

თვითონ ბატონი ოტია კი საქვეყნოს წუხდა.

წუხდა ლუკმა-პურის საშოვნელად სამშობლოდან გადახვეწილ ქართველებზე, დაცარიელებულ სოფლებზე, დაკარგულ ტერიტორიებზე, იმაზეც, რომ წიგნში ჩახედვა აღარავის უნდა...

ზოგჯერ ერთ კითხვაში და ერთ ფრაზაში ატევდა სერიოზულ სათქმელს.

დავით აღმაშენებელი ახსენა და გიზოს მიმართა, ძეგლი უკვე ხომ არ აგიფეთქებიათო. მერე დასძინა, წალენჯიხაში ტერენტი გრანელის ძეგლი გავხსენით და ყოველდღე ვრეკავ, ვამოწმებ, ისევ დგას თუ არაო...

ბოლოს, სათქმელი ასე შეაჯამა: თუ ჭკუით და ფხიზლად არ ვიქნებით, ისტორია ისე გადაგვივლის, ერთი ცრემლიც არ გადმოუვარდებაო.

ესეც თქვა, თბილისიდან დამირეკეს და რუსთაველის პრემიაზე წარდგენა შემომთავაზესო.

ცივი უარი უთქვამს.

შევბედე და ეს არ მოვუწონე.

როცა ქვეყანა ასეთ დღეშია, რა უფლება მაქვს, პრემიებზე ვიფიქროო, – ეს იმდენად სერიოზულად ბრძანა, რომ იუმორის მოშველიება გადავწყვიტე. გავიხსენე შევარდნაძისეული ხუმრობა. ერთხელ უთქვამთ, უხერხულია, ოტიას რუსთაველის პრემია რომ არა აქვსო.

მართლა არა აქვსო, – გაუოცებია და შემდეგ დაუმატებია, არა უშავს, მე ხომ მეგონა, რომ ჰქონდა, სხვებსაც ასევე ეგონებათო.

ამის გამო ერთხელ დავწერე და იმ დღესაც გავიმეორე: ძალიან მომწონს გივი ძნელაძის მოსწრებული თქმა ერთ-ერთი ქართველი მწერლის შესახებ – პრემია კი მიიღო, მაგრამ ლაურეატი მაინც ვერ გახდაო.

ოტია იოსელიანს პრემია არ მიუღია და მაინც ლაურეატია.

ხოლო თუ სერიოზულად ვიტყვით: რაგინდ იუაროს ბატონმა ოტიამ, რუსთაველის პრემია მაინც უნდა მიანიჭონ. ეს სამართლიანობის აღდგენაც იქნება და თვითონ პრემიის პრესტიჟის გაფრთხილებაც.

აქვე ვიტყვი: ბატონმა ოტიამ იმ ერთ საათში რამდენჯერმე დიდი პატივისცემით ახსენა ბატონი **ოთარ ჩხეიძე** – ბრძენი კაცი იყოო. როცა რუსთაველის პრემიაზე ვსაუბრობდით, შევნიშნე, არც ოთარ ჩხეიძეს ჰქონია-მეთქი.

ამ შეცდომის გასწორებაც აუცილებელი მგონია, ისევ და ისევ სამართლიანობის აღსადგენად და პრემიის პრესტიჟის დასაცავად.

ეს ჯილდო ხომ არა მხოლოდ მაღალი ნიჭიერებით აღბეჭდილ შემოქმედებით გზას, სუფთად განვლილ ცხოვრებასაც უნდა აგვირგვინებდეს.

...ბოლოს, ერთი ჭიქით სამშობლო დაგვალოცინა მწერალმა, ვინც შეძლო ავტონომიის მოპოვება და, უწინარესად, სწორედ ამიტომ არის განსაკუთრებით ძვირფასი თავისი სამშობლოსათვის.

ძვირფასი, საინტერესო, სასურველი...

ოტიას სამფლობელოში მზე თანდათან ძლიერდებოდა...

ეკა ბუჯიაშვილი

ბაგრატიონთა საქმის აღმსრულებელი

არჩილ ჯორჯაძის სამარესთან

გაივლის ხანი... აბა, ზუსტად როგორ გითხრათ რამდენი, მაგრამ დრო ამ დღესაც შეაფასებს როგორც არა რიგითს, ძალიან მნიშვნელოვანს, იქნებ გარდამტეხსაც კი ქართული ეროვნული ცნობიერებისა, ოღონდ... ჯერ უბრალოდ შევყურებ დიდუბის პანთეონში არჩილ ჯორჯაძის საფლავთან ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ძალისხმევით შეკრებილ ადამიანებს და ვუსმენ, როგორ იხსენებენ მოღვაწეს, რომელმაც თავისი წარუშლელი კვალი დააჩნია ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიას; ვისაც შეეძლო ილიას ენერგიითა და თავგანწირვით გაეგრძელებინა ამ დიდი ერისკაცის გზა. ალბათ ამიტომაც დაეტირებინა ასე ივანე ჯავახიშვილს:

– დავკარგეთ კაცი, რომელსაც ჩვენ შორის ყველაზე უკეთ შეეძლო ილიას გზის აღწერაო.

ათწლეულები გავიდა მას შემდეგ. და დღეს, როცა საქართველო ჯერ კიდევ ცდილობს გაარღვიოს ეროვნული მრწამსის ირგვლივ შემოხლართული უამრავი ბადე და ნანატრი სახელმწიფოებრიობის გზას დაადგეს, სიმბოლურიც კი გეჩვენება არჩილ ჯორჯაძის მივიწყებული სახელის კვლავ დაბრუნება ასპარეზზე.

– თითქოს თადარიგში გვყავდა ქართველებს, რომ ახლა, ამ საჭირო ჟამს დაბრუნებულიყო ერის ცნობიერებაში, ხელახლა წაგვეკითხა, ხელახლა გაგვეაზრებინა და შეგვესწავლა მისი შემოქმედებაო, – ასე იტყვის ცოტა ხანში **ლევან ბრეგაძე**. ჯერ კი სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს იხდის სიონის ტაძრის დეკანოზი **გიორგი** (**სამანაშვილი**) და მგალობელთა გუნდის (რეგენტი **ლაშა ზაალიშვილი**) ხმა საკმეველთან ერთად უერთდება სივრცეს.

– მას შემდეგ, რაც წიწამური დაგვატეხეს, მთელმა ერმა იმედით შეხედა არჩილ ჯორჯაძეს, ადამიანს, რომელსაც უნდა გაეგრძელებინა ილიას გზა, – იტყვის როსტომ ჩხეიძე, – არჩილ ჯორჯაძე იყო ის პიროვნება, ვინც დაძრა ხმა საერთაშორისო არეალში საქართველოს ავტონომიის ოფიციალურად მოსაპოვებლად; გიორგი დეკანოზიშვილთან ერთად პარიზში დააარსა გაზეთი „საქართველო“ და მსოფლიოს აცნობა, რომ საქართველო რუსეთის განაპირა პროვინცია კი არა, ის ქვეყანა იყო, რომელსაც სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა და ახლა ამ ისტორიის გაგრძელებისკენ ისწრაფოდა. მის მიერ სოციალისტურ-ფედერალისტური პარტიის დაარსებამ კი ჩიხში მოამწყვდია სოციალ-დემოკრატები, რომელთაც მანამდე დიდი გავლენა ჰქონდათ (საბედისწეროც რომ აღმოჩნდა ქართველი ერისათვის)... და როცა დასავლელი პოლიტოლოგები გაეცნობიან არჩილ ჯორჯაძის საერთო ნიადაგის თეორიას – დაფუძნებულს ილიას ხიდჩატეხილობის პრობლემაზე – თვალწინ გადაეშლებათ ჩამოყალიბებული დოქტრინა და სულ სხვაგვარად შეაფასებენ ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიას, მის სიღრმეებსა და მასშტაბებს.

იქნებ გულუბრყვილობაა იმის თქმა, როგორ წარიმართებოდა ჩვენი ქვეყნის ბედი, არჩილ ჯორჯაძე პრეზიდენტი რომ გამხდარიყო, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ყველაფერი მაშინდელ განწყობილებას ასახავს – იმას, თუ რა იმედოვნებით შესცქეროდა მას ხალხი.

1913 წლის 21 მარტს არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებასთან ერთად დასამარდა ეს იმედები და ახლა, ათწლეულების შემდეგ თითქოს აი, ამ მიწის სიღრმეებიდან დაძრულიყო, ისტორიის წიაღიდან წამონეულიყო ეროვნული მრწამსის ირგვლივ შემოხლართული ბადის გასარღვევად; იმ ყველაფრის აღსასრულებლად, რაც არჩილ ჯორჯაძეს ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ვერ მოესწრო და ზემოთ და ზემოთ მიიწევდა... ამ საკმევლის სურნელივით... ქართული საგალობელივით, გაზაფხულის ნიავს ცისკენ რომ მიჰქონდა და ახლა ეს ნიავი უნდა გაძლიერებულიყო, დიდ მოძრაობად ქცეულიყო, რომ მთელ ქვეყნიერებაზე მოეფინა ეს ყველაფერი.

* * *

ამ რამდენიმე ხნის წინათ ქუთაისში, წყალწითელას ნაპირზე – იქ, სადაც დაიღუპნენ არჩილ ჯორჯაძის დები – დაიწყო ეს მოძრაობა. მაშინ როსტომ ჩხეიძის თაოსნობით შეკრებილ ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების წევრებს შორის **ლევან ბრეგაძემაც** წარმოთქვა თავისი სიტყვა და ახლა, მისი გამოსვლა დიდუბის პანთეონში თითქოს გადაძახილი იქნება იმ დღესთან.

– რაღაცნაირი, უცნაური ხალხი ვართ ქართველები. როგორ შეიძლება არჩილ ჯორჯაძისხელა მოღვაწე მივიწყებული იყოს. ასეთ დავიწყებულ ადამიანთა პანთეონი რომ შეგვადგენინა, გვექნებოდა ისეთი პანთეონი, რომლითაც ნებისმიერი ერი იამაყებდა. ეს ერთი მხრივ კარგია – ბევრი გვყავს დიდი მოღვაწე და ღმერთმა გვიმრავლოს, მაგრამ ხანდახან საჭიროა მათი გამოგლეჯა წარსულისათვის და გაცოცხლება თავიანთი შემოქმედებით. აი, ამ საქმეს აკეთებს როსტომ ჩხეიძე. ამას ემსახურება მისი ბიოგრაფიული რომანები დიდი მოღვაწეების, მათ შორის, არჩილ ჯორჯაძის შესახებაც.

მოწამეობრივი იყო არჩილ ჯორჯაძის ცხოვრების გზა, ხანმოკლე იყო მისი ცხოვრება, მაგრამ, სამაგიეროდ, სულიერი ცხოვრება ჰქონდა მდიდარი და ნაყოფიერი. სიმბოლურია, რომ არჩილ ჯორჯაძის სახელი სწორედ ახლა უბრუნდება ეროვნულ ცნობიერებასო.

აკაკი ასათიანი სიყმაწვილისდროინდელ განცდას გაიხსენებს – წუხილს იმის გამო, რომ ქართულ საზოგადოებრივ აზრს აკლდა ორიგინალური მოაზროვნე.

– არა, იყვნენ, როგორ არა, მაგრამ ისეთი მასშტაბის, როგორც ევროპას ჰყავდა, ჩვენთან არ ჩანდნენ, – იტყვის იგი, – და აი, ამ ფონზე ჩემთვის დიდი აღმოჩენა იყო არჩილ ჯორჯაძე, მისი ნააზრევი. ასეთთა მხრებზე იდგა ჩვენი ერი, ისინი გვიკაფავენ გზას მომავლისკენ და, მათ შორის, არჩილ ჯორჯაძე იქნებ ერთ-ერთი უპირველესთაგანიც იყოს, აზროვნების ხარისხის თვალსაზრისით. თუ მის საერთო ნიადაგის თეორიაზე არ დავდგებით, არაფერი გვეშველება. ეს არის საძირკველი (სარწმუნოებასთან ერთად), რომელზეც უნდა აიგოს ჩვენი სახელმწიფოებრიობაო.

* * *

ნიავი დაქროდა და შეკრებილები ხელით უმყუდროვებდნენ ანთებულ სანთლებს, სამშობლოს რომ გაუსიმბოლოვებს **გია მურღულია.**

საქართველოს მოაგონებს ეს ალი, საუკუნეების მანძილზე რომ ვცდილობთ არ ჩაგვიქრეს და, მადლობა ღმერთს, რომ ანთია ისევ.

ერისკაცები უმყუდროვებდნენ თავიანთი ხელისგულებით.

იცვლებოდა ისტორიის ქარტეხილები და ხელებიც იცვლებოდა. რჩებოდა სანთელი ათასწლეულების წინათ დანთებული, ათასწლეულების ლაბირინთებში გამოვლილი, მაინც ჩაუქრობლად მოტანილი დღემდე. არჩილ ჯორჯაძეც ასეთი „ხელი“ იყო საქართველოსთვის.

„თავის დროზე მის წიგნს ასე წავაწერე:

ეს არის კაცი, რომელიც ლაპარაკობს ეროვნული ნებისა და ენერგიის გაცნობიერებულ ვექტორზე.

ეს არის ადამიანი, რომელმაც საერთო ნიადაგის თეორია შესთავაზა ქართველობას, ჩვენ კი დღემდე ვერაფრით მოვახერხეთ განხორციელება. ერთი უბედურებაა, საზოგადოებას რომ ავიწყდება ის, მაგრამ... ჩვენმა პოლიტიკოსებმა ბევრი უნდა იფიქრონ თეორიაზე, ობიექტური პატრიოტიზმის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოვლინება რომ მგონია.

სამ სიტყვას ახსენებს ხშირად არჩილ ჯორჯაძე: ერი, ეროვნება და ეროვნული. „ერი“ სუბიექტია, „ეროვნება“ – შემეცნება ამ სუბიექტისა და „ეროვნული“ გაცნობიერებული მოქმედება ეროვნებაშემეცნებული სუბიექტისა. არჩილ ჯორჯაძე შეგვახსენებს, რომ პოლიტიკური სრულყოფა საზოგადოებისა, ამავდროულად, ნიშნავს ეროვნულ სრულყოფასაც; რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც თითქოს მხოლოდ საკაცობრიო საქმეებისთვის იბადებიან ამ ქვეყანაზე და ერის მსახურება ავიწყდებათ. ასეთ კოსმოპოლიტებს არჩილ ჯორჯაძე უნიადაგო ადამიანებს უწოდებს. ეს ყველაფერი დიდი ფიქრის შედეგია, რომელიც მუდმივად უნდა გვახსოვდეს; უნდა ვცდილობდეთ ვიცხოვროთ კიდეც ამ პრინციპებითო.

თვითონ არჩილ ჯორჯაძის გზაც არ ყოფილა სწორხაზობრივი. იყო დრო, როცა მასზე იმოქმედა ძალიან გავრცელებულმა და პოპულარულმა სოციალისტურმა იდეებმა. იყო თავგადაკლული ტოლსტოველი, მსოფლიო მოქალაქეობისკენ ისწრაფოდა, საქართველოს კი უყურებდა როგორც კუნძულს, რომელიც საკაცობრიო ცხოვრებას ბევრს ვერაფერს შემატებდა. გარდამტეხი როლი მის ბიოგრაფიაში (და საქართველოს ისტორიაშიც) შეასრულა თედო სახოკიამ. სწორედ მისი ღვაწლით, არჩილ ჯორჯაძე კვლავ ეროვნული ფესვებისაკენ მოექცა და ქართულ ნიადაგზე დადგა“.

ამიტომაც იტყვის დიდუბის პანთეონში **ჯანსუღ ჩარკვიანი:**

– ეს დღე იმიტომ მიხარია, რომ ქართველ ერს შევახსენო: იყვნენ პიროვნებები, რომლებიც ილიას გზით მიდიოდნენ და ამ ხსოვნისთვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა როსტომ ჩხეიძეს, რადგან ამის გარეშე ჩვენს ყოფას წუთისოფელში აზრი არ ექნებოდაო.

* * *

– სამწუხაროდ, ყალბი ისტორიის თაობა ვართ. ხშირად გვასწავლიდნენ იმას, რაც სინამდვილეში ასე არ იყო. ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ მაინცდამაინც ჩვენი თაობის ვალია ამ ყველაფრის გასწორება, მაგრამ ვისაც რა შეგვიძლია, ყველამ უნდა გავაკეთოთ იმ ადამიანებისათვის, მთელი ეპოქა რომ შექმნეს.

აქ ახსენეს დამოუკიდებლობის კომიტეტი, კარგა ხანს დავიწყებული რომ იყო. არადა, სწორედ ამ კომიტეტის წევრებმა მოამზადეს ნიადაგი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. თუმცა, თავისთავად, არც ისინი მოსულან ჰაერიდან – XIX საუკუნის დიდ მოღვაწეთა მხრებზე იდგნენ, მათ იდეებზე აღიზარდნენ. ათწლეულების განმავლობაში ეს ადამიანები, ერთი შეხედვით უპერსპექტივო საქმეს აკეთებდნენ, რადგან გვირაბის ბოლოსაც კი არა და არ მოჩანდა სინათლე, მაგრამ ახალი საუკუნის დასაწყისში, როცა უნივერსიტეტი დაარსდა, აღმოჩნდა, რომ ყველაფერი მზად იყო – ტერმინოლოგიაც, წიგნებიც, იდეოლოგიაც. აი, ამ ადამიანთა მხრებზე მდგომმა თაობამ მოუტანა საქართველოს დამოუკიდებლობა. ისინი შემსრულებლები იყვნენ მხოლოდ – ილიას, არჩილ ჯორჯაძის... სხვა დიდ მოღვაწეთა იდეოლოგიისა,“ – აღნიშნავს შეკრებაზე **რუსუდან დაუშვილი**.

– ყველა დროში და ყველა თაობაში სჭირდებათ ისტორიულ პიროვნებებს – გამორჩეულსა და დიდებულსაც კი – თავიდან აღმოჩენა და წარმოჩენა. ახლა ჩემს მეგობრებთან ერთად ვიხსენებდი, როგორ წარმოჩნდა არჩილ ჯორჯაძე ჩვენ წინაშე როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანით: „წერილები იტრიის წისქვილიდან“ და როგორ მონუმენტურად წარმოისახა მისი პორტრეტი, მღელვარე ბიოგრაფია და შემოქმედება. ამისთვის მინდა ვუთხრა მადლობა ბატონ როსტომსო, – ეს ახალგაზრდა მწერლის, ზვიად კვარაცხელიას სიტყვებია.

თვითონ როსტომ ჩხეიძემ კი:

– მამა ხშირად მეუბნებოდა: სამმა კაცმა შეძლო ბაგრატიონთა საქმის აღსრულება ჩვენს სინამდვილეში: ილიამ, არჩილ ჯორჯაძემ და ქაქუცა ჩოლოყაშვილმა – მათ, ვინც მოამზადეს ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველი. ამათგან ორი – ქაქუცა და ილია – მთაწმინდაზე განისვენებენ... და ღმერთმა ქნას, ორი წლის შემდეგ, როცა 140 წელი შესრულდება არჩილ ჯორჯაძის დაბადებიდან, მისი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდიც მთაწმინდაზე გადაგვეხადოსო.

შოთა ბოსტანაშვილი

აიექა?

სიტყვა ჯემალ აჯიაშვილის პოეზიაზე

დიდი სიტყვა ჯემალ აჯიაშვილის პოეზიაზე დიდი ხანია ითქვა. მესიტყვე-თავკაცი ბატონი გრიგოლ აბაშიძეა. პირველად მაშინ – სამოცდაათიანი წლების ბოლოს; და მერეც, როცა სხვაც ბევრი ითქვა და დაიწერა; დღესაც, და *მუდამ უკვე* "დამნაშავე" ბატონი გრიგოლია. ***გრიგალია*** იმ სიტყვაში – დინჯი, მშვიდი, მაგრამ გრიგალი: აჯიაშვილი რუსთაველს შეადარა – *ევფონიითო*. ჟღერადობა კი მთავარია, ან/და ასე – მთ/***ავარია***. როცა ლინგვისტური კატასტროფები ბგერწერაში ხდება, პოეზიაც მაშინ გვხვდება. ის შთაბეჭდილება, რაც გრიგოლ აბაშიძის დიდი თავისუფლების ნიშნადაც უნდა მივიღოთ, საერთო აზრიც აღმოჩნდა, მერე და მერე უფრო რო გადიდდა, შედედდა, გამკვრივდა და გამყარდა.

ჯემალ აჯიაშვილის პოეზიას ქართველი მკითხველი საკუთარი ანარეკლივით შეეზარდა; მის მეტაქართულში, მეტი ქართული დაინახა, რაღაც *მარადიულქართული* (გოეთეს *მარადიულქალურივით*), *დედაადგილი* – მშობლიური და მყარი წიაღი. მისი პოეზია თითქოს და თითქმის ის ტექსტია, სადაც იციან თავისი დაბადების და ფეხის ადგმის ადგილი და კითხვაზე: სადა ხარ? – ***აიექა***? პასუხობენ: ***აი აქა*** (ვარ).

აიექა პირველი კითხვაა, რომელიც სამყაროში გახმიანდა, ანდა: "დაუძახა უფალმა ღმერთმა ადამს და უთხრა: სადა ხარ?" ეს სინტაგმა დღემდე ადამიანის ყოფნის ადგილის გარკვევისაკენ რომ ისწრაფვის, სწრაფადვე გვარწმუნებს, რომ სწრაფვადვე რჩება და ამდენად ადამიანის უადგილობისა და გაურკვევლობის მუდმივობით, მუდმივი კატასტროფისა და ავარიული მდგომარეობის არესაც აღნიშნავს. ამ არემარეში მოხეტიალე *მუდამ უკვე* პოეტია. ის სიცოცხლის ხესთან – მთავარ ადგილთან განშორების განცდას ინახავს და სხვა ხეებს ***იქ*** ნახავს — ენაში.

ჯემალ აჯიაშვილის პოეზია ადგილის ძიება მგონია – ენის ტერიტორიის გაფართოება; აქ ეგულება მას ***სხვა მიწები***, კიდევ სხვაცა და ***სხვა ცა.*** აჯიაშვილისეულ ცაზე და მიწაზე ***ხეც*** არის და ***ხეტიალიც*** (ცენტრიც და დეცენტრაციაც), – ***მთავარიც*** და ***ავარიაც***.., რაც ***მთ/ავარია.***

აჯიაშვილის გაზმნევებული სახელები თავის "თავდაპირველს" ქმნიან, სხვა ადგილს, და ეს ადგილი ენის გარეთ, ქართული ენის იქით არ გადის.., მაგრამ არც გაეჭვებს, რომ იქით არაფერია; თითქოს მუდამ რაღაც არის ***სახელის იქით;*** და ისევ – მაგრამ: ის აქეთურზე – ენის ყოფაქცევაზეა პასუხისმგებელი. იქნებ ესეც ყოფნის პოეტს და ჩვენც, ვინც მისი ლინგვისტური ჰიბრიდებით ვიბრიდებით. – იქითური? – მკითხველს (მყიდველს) გააჩნია, იმას, ვისაც ენა ეცოტავა, მის სამსხვერპლოს გადაურჩა, – იურჩა...

აჯიაშვილისეული ნიშნათშემოქმედება – ნეოლოგიზმები – არსებულს არ აღნიშნავენ, ***აღნიშვნით აარსებენ*** და აარსებენ ენის სცენას. ენის არტისტობა – ეს ერთგვარი მაღალი მოდაა, პოდიუმის ენაა – ერთჯერადი აქცია; აქ ერთხელ გამოსასვლელად იმოსებიან და შიშვლდებიან სიტყვები. ამ სც/ენაზე უცხოდ სჩანს ნალაპარაკევი სიტყვა – ყოველდღიურობით დაღლილი და დაქანცული, მაგრამ... თუ ამბავს დასჭირდა, მაშინ ეს უცხო საუცხოოდ ჩნდება; და სხვაც: თუ სათქმელის სიჯიუტე ენას უტევს – რასაც ენა ვეღარ იტევს, ის შეიძლება გადმოიღვაროს, დაამთავროს ერთი საქმე, ის, რომ რაღაც უნდა ***ახსნას*** – განმარტოს.., განმარტოვდეს და ***ახსნას*** ენა – აუშვას. სწორედ ეს აშვებაა შვებას რომ ჰგვრის პოეტსაც და მკითხველსაც. აჯიაშვილში ორივეა; მაგრამ დღეს, ხშირად აუხსნელი ახსნილობის დროში, მას კბილებით უჭირავს კულტურა – სერიოზული "უჭირავს", თან თამაშობს. მისი სტიქია ენასთან შეთამაშებაა, – სინამდვილის გადაწყობა. ის ხელახლა ***აწყობს*** – ამონტაჟებს ენას, ისე, როგორც ენას ***აწყობს*** – ენას უნდა. აჯიაშვილი *ამწყობი პოეტია* და *ამ წყობის პოეტია*. მისი გაზმნევებული სახეები ქსოვენ იმ ერთიან ბადეს, რომელშიც ექცევიან ჟანრულად და მენტალურად სრულიად განსხვავებული ტექსტები – ხან სირთულეს კარგავენ, ხან რთულდებიან, მაგრამ განურჩევლად ქართულდებიან, ენის გრავიტაციას ემორჩილებიან. პოეტიც ფრთხილი სითამამით შედის ამ ველში და *სიტყვა* გამოაქვს. მისი ნეოლოგიზმები ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ ამ ენაზე ვლაპარაკობდით უხსოვარ დროში. სწორედ ამიტომ მისი თარგმანები მისივე პოეზიაა და მისი პოეზია მისივე თარგმანების თარგისაა. აჯიაშვილი იმთავად პოეტია და ეს *იმთავობა მუდამ ახლა ხდება* და *ახლად ხდება*.

ერთ ენაში მოხელთებული სამყაროს სხვა ენაში გადატანა – დეკონსტრუქცია – თარგმანი აჯიაშვილ-პოეტთან საზოგადოდან კერძოში გადავიდა; სხვათა ***განმარტებიდან განმარტოებად*** გადაიქცა; ინტერპრეტაციიდან და რეცეფციიდან კონცეფციად ჩამოყალიბდა. პოეტმა ***პოეზია / თარგმანი*** გაერთიანა და გაყო. ჯერ თარგმანში გაყო თავი, თარგმანს ამოეფარა, დამალვით გამოჩნდა; ან ასე: გამოჩენისთანავე დაემალა მკითხველს თარგმანებს შორის, ისე როგორც "... დაემალნენ უფალ ღმერთს ადამი და თავის ცოლი ბაღის ხეებს შორის". ***აიექა***? – კითხულობ და პასუხია – ***აი აქა***!, მაგრამ არასდროს ***აქ*** არ არის, რომელიმე ტექსტშია, სიტყვის ქორწილშია – მაყრიონში, ანდა ენის მაღაროში – ***აი იქა.*** იქანცება, მაგრამ ენის თავნება ჟონვას ყველგან მიჰყვება, და მერე – ოდესმე – ამ ოდისეას გვიყვება; მერე სამალავებს იცვლის, ამიტომაც ვეღარ იცლის... სულ როლშია.., სულ სვლაშია, მოთხავს თუ ფორთხავს სულ გარეთ არის, სულ წასულია; სულწასულია – აკრძალულ ნაყოფს ეტანება და მერე, უკვე დამნაშავეს, სამალავისკენ უჭირავს თვალი – ღამისკენ, ენა კი წინ უსწრებს – მუქიდან შუქისკენ; ჩაბნელებული დარბაზიდან განათებული სცენისკენ — ეს არის მისი ვალი. მთარგმნელის ტვირთი და სახელი აიკიდა და... აი, კიდე: რაც მთავარია თავად გაიძევა თავი ***ღამეში***. შუა საუკუნეების ესპანეთში მცხოვრები დიდი ებრაელი პოეტებივით ხმა(ლ)ამოღებული იბრძვის; დღისით ***იქ*** არის საქვეყნო საქმეში, ღამით ***აქ*** – ***მე***-ში.

აიექა? – ღამით ისმის; ის, მის სამალავში ისმის და იქიდანვე ეხმიანება — რომელიმე გათავისებული როლიდან (აქ შ. გებიროლიდან): "ჰოი, სით მოდის გულთამხილავო, სით მოიქცევა ძახილი ესე!.."

ჯემალ აჯიაშვილის პოეზიაც ჩვენს სადაურობას კითხულობს. შევეხმიანოთ, ჩვენც მოვიკითხოთ, გავითამაშოთ *ჯემალობანა:*

ჯემალ აიექა? (და მერე სტერეოა): ***აი აქა.., აი აქა.., აი აქა...***

ნოდარ გურაბანიძე

გოგი ალექსიძე ბალეტის ცვალებად სამყაროში

სანკტ-პეტერბურგის გამომცემლობამ „კომპოზიტორი“ გამოსცა საბალეტო სივრცეში აღიარებული მეტრის, ქორეოგრაფ გოგი ალექსიძის წიგნი „ბალეტი ცვალებად სამყაროში“. ამ ბოლო დროს რუსეთში გამოცემული ეს უკვე მესამე წიგნია, რომელიც გამოჩენილ ქართველ შემოქმედთა მოღვაწეობას ასახავს. პირველია ნატალია ზეიფასის, უმაღლეს დონეზე შესრულებული, უაღრესად საინტერესო „დიალოგები გია ყანჩელთან“, მერე — მოსკოვის დიდი თეატრის ეგიდით დასტამბული „ზურაბ ანჯაფარიძე“ (ამ წიგნის შესახებ ჟურნალმა „თეატრი და ცხოვრება“ 2008, 5-6, დაბეჭდა ჩემი წერილი) და მესამე, უკვე ზემოხსენებული წიგნი.* ყველა ეს ფაქტი ძალზედ მნიშვნელოვანია და მრავლისმთქმელი, განსაკუთრებით დღევანდელ ვითარებაში, როცა დიდი, საყოველთაოდ ცნობილი სახელების დევალვაცია ლამის სახელმწიფო პოლიტიკის დონემდეა ასული ჩვენთანაც და რუსეთშიც. ამას ემატება პოსტმოდერნით აცუნდრუკებულთა ძალისხმევა კვარცხლბეკების განთავისუფლებისათვის, რათა ზედ თვითონ წამოსკუპდნენ, ვითარცა ახალი ვარსკვლავები და თანამედროვე აზრთა მპყრობელნი.

საბედნიეროდ, დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ გოგი ალექსიძემ ნოვატორული წვლილი შეიტანა ისეთ ტრადიციულ და სხვა ჟანრებთან შედარებით ნაკლებად ცვალებად ხელოვნებაში, როგორიცაა საბალეტო ხელოვნება, მეტიც, მსოფლიო ბალეტის ისეთი კაშკაშა ვარსკვლავების შემოქმედება, როგორებიც იყვნენ მიხეილ ბარიშნიკოვი, ნატალია მაკაროვა, ირინა კალპაკოვა, ნიკიტა დოლგუშინი, მსოფლიოს ერთ-ერთი უპირველესი ბალეტმეისტერი ბორის ეიფმანი, ალისა ოსიპენკო, იური სოლოვიოვი, ძალიან ბევრს დაკარგავდნენ (მათივე აღიარებით!) გოგი ალექსიძეს სპეციალურად მათთვის რომ არ შეექმნა ორიგინალური ქორეოგრაფია.

* * *

2008 წლის 20 ივნისს, თავის სახლში, თბილისში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გიორგი (გოგი) დიმიტრის ძე ალექსიძე, უნიჭიერესი ქორეოგრაფი, თავისი საქმის დიდი მაესტრო, ნოვატორი, მოაზროვნე და უსაყვარლესი პიროვნება. მრავალი წლის მანძილზე ახლო ურთიერთობა მქონდა ალექსიძის ოჯახთან. ქუჩიშვილის ქ.9-ში პირველ სართულზე ცხოვრობდა დაუვიწყარი, განუმეორებელი (ყოველმხრივ, ცხოვრებაში, თეატრში, საზოგადოებრივ მოღვაწეობაში) ბ-ნი დოდო, თავისი დიდი ოჯახით და მეოთხეზე — მე. ყოველდღიურად ვხვდებოდი გოგის (როცა თბილისში იყო, ცხადია) და წლების მანძილზე ვხედავდი თუ როგორი სიყვარულით იყო გარემოსილი, როგორ აფასებდნენ მისი დიდი კოლეგები (მაგალითად იური გრიგოროვიჩი და მ. ბარიშნიკოვი, რომელთა საზოგადოებაში, მე, არყის მოძულე, მუდამ უხერხულად ვგრძნობდი თავს), ვხედავდი, თუ როგორი იმედითა და სიყვარულით შესცქეროდა მას ოჯახის ხშირი სტუმარი, გენიალური ვახტანგ ჭაბუკიანი, ბატონი დოდოს მეგობარი და თანაჯგუფელი ქორეოგრაფიული სასწავლებლიდან, როგორ დასტრიალებდნენ თავს პეტერბურგის კამერული ბალეტის მოცეკვავე გოგონები, რათა მისი ყურადღება მიეპყროთ. გოგი კი — ახალგაზრდა, მოხდენილი, მუდამ მომღიმარი, მახვილგონიერი, დელიკატური, იუმორით სავსე — ყველას ღირსეულად მიაგებდა კუთვნილს, განსაკუთრებით ფერიასავით მსუბუქ ბალერინებს, რომლებთანაც ურთიერთობის კლასი, მამის ბატონი დოდოს სატრფიალო არსენალიდან ზედმიწევნით ჰქონდა შეთვისებული და, შემდგომ, დამოუკიდებელი მოღვაწეობით გამდიდრებული. მახსოვს, დიდი სოლიკო ვირსალაძე როგორი შთაგონებული სახით უსმენდა ჭაბუკ ალექსიძეს, როცა იგი თავის ქორეოგრაფიულ იდეებს უზიარებდა მსოფლიოში სახელმოხვეჭილ სცენოგრაფს, დეკორატიული სიმფონიზმის ამ მამამთავარს. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ბატონი სოლიკო იყო გოგის პირველი დადგმის, მინიატურების სამი პროგრამის მხატვარი პეტერბურგის „კამერულ ბალეტში“.* სიცოცხლის ბოლომდე იხსენებდა გოგი ამ დიდებულ ჟესტს დიდი მადლიერებით (თბილისში, გოგი ალექსიძე და იური გრიგოროვიჩი არ სცილდებოდნენ მომაკვდავი სოლიკო ვირსალაძის სარეცელს).

ასეთად დარჩა იგი ჩემს მეხსიერებაში, ვიდრე გულნატკენი არ გაეცალა თბილისს და კვლავ არ მიაშურა თავისი სიჭაბუკის ქალაქს, პეტერბურგს, სადაც მან მარიას თეატრის და საერთოდ, ბალეტის პეტერბურგული სკოლის მთელი ბრწყინვალება ბოლომდე შეითვისა. ამ გარემოებას განსაკუთრებით ვუსვამ ხაზს, ვინაიდან, როგორც ამას ჩემზე მცოდნე ხალხი ამბობს, პეტერბურგისა და მოსკოვის საბალეტო სკოლები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თბილისში დაბადებული და დიდ ქართულ კულტურულ ტრადიციებზე აღზრდილი გოგი, პეტერბურგული კულტურის ორგანულ ნაწილად იქცა, ღრმად შეიგრძნო იქაური მენტალიტეტი და ამ ქალაქის ინტელექტუალური ატმოსფერო.

ზემოთ ვთქვით და გავიმეორებ: გოგი ალექსიძე ჩემს მეხსიერებაში დარჩება-მეთქი სიცოცხლით სავსე, მუდამ

*** აქ შეიძლება დავასახელოთ, უფრო ადრე, მოსკოვის გამომცემლობა „გალერტის“ ეგიდით გამოცემული ზურაბ წერეთლის სამი უზარმაზარი ალბომი, რომელიც დაიბეჭდა იტალიაში, ვერონაში, ფირმა „ინტერგრაფის“ მიერ.**

*** ჩემი ვრცელი წერილი „გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფია“ და „კამერული ბალეტი“, რომელიც ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა 1969 წელს (ნომერი არ მახსოვს), იყო საქართველოში პირველი გამოხმაურება მის შემოქმედებაზე.**

აჩქარებული, პლასტიკური სიმსუბუქით მოძრავი, ელეგანტური, რომლის სხეულის (რეპეტიციების დროს მრავალგზის მინახავს), ყოველი კუნთი და ნერვი მუსიკით იყო შთაგონებული და უამრავ პლასტიკურ ვარიაციას წარმოქმნიდა; მაგრამ ვერ იქნა და ვერ განვდევნე ჩემი შინაგანი ხილვიდან მისი „მეორე სახე“ და სხეული, ასე რიგად შეცვლილი იმ საბედისწერო ღამის შემდეგ, როცა მოსკოვში თავს დაესხნენ ვიღაც ნაძირლები და სიკვდილის პირას მიიყვანეს უმოწყალო ცემით... თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მესამე სართულზე, გრძელ კორიდორში ვხედავ ჩემკენ მომავალ ხელჯოხიან უცნობ მოხუცს, რომელიც ძლივს ერეოდა თითქმის უკვე დალეულ სხეულს... მომიახლოვდა, გაჩერდა, რაღაც უხერხულად გაღიმებულმა, თითქოს დარცხვენილმაც კი, გამოიწია და გადამეხვია. ეს იყო სხვა გოგი ალექსიძე. სახის ყველა ნაკვთი, თითქოს უწინდელი ფორმის იყო და არც იყო. შეცვლილ, ოდნავ წაგრძელებულ პროფილზე ენითუთქმელი ტანჯვის შედეგად გადატანილი კვალი აღბეჭდოდა. მაგრამ, მის თვალებში, ტანჯვასთან ერთად, ისეთი გონიერება დავინახე და ისე უბრწყინავდა ის ნაპერწკალი, რომელიც დიდად ნიჭიერი ადამიანების თანამდევია, რომ ამან მიხსნა ყელში მობჯენილი ქვითინი არ ამომსკდომოდა. გამოჯანმრთელებულს (პიროობითად ვამბობ, თორემ მისი საბოლოო გამოჯანმრთელება მხოლოდ უფალს შეეძლო) ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია მუშაობა და პეტერბურგის რუსული ბალეტის აკადემიის სცენაზე მრავალი შედევრი შექმნა, რომელსაც აღტაცებით, მაგრამ სხვადასხვანაირად აფასებენ ბალეტის მცოდნენი. ერთნი ამბობდნენ, რომ ამ მინიატურებში გამოხატულია შიშის ფილოსოფია და ქორეოგრაფის მიერ განცდილი საშინელებების სუბლიმაცია. მეორენი სრულიად განსხვავებულ პოზიციაზე იდგნენ, ეს არის სიცოცხლის დამამკვიდრებელი, ცხოველმოსილი ხელოვნება, როგორც შემოქმედის არსებობის ერთადერთი ფორმა. გოგისთან ბოლო შეხვედრამ ამ მეორე აზრის ჭეშმარიტებაში დამარწმუნა.

გოგი ალექსიძე

თავის ახალ მოსწავლეებთან ერთად მან დაამტკიცა, რომ შემოქმედის სულში ვერავითარი ძალა ვერ ჩაკლავს სიცოცხლის და ქმნადობის ნიჭს. 2006 წელს იური პეტუხოვის დასში დადგმული „ქორეოგრაფიული მინიატურები“, რაც უნდა საოცრად მოგეჩვენოთ, მიჩნეული იქნა განსაკუთრებულ, არა ორდინარულ, თითქმის ზებუნებრივ, ერთგვარ საპროგრამო მოვლენად პეტერბურგის საბალეტო ცხოვრებაში. სწორედ 2007-2008 წლებში მიღწეული წარმატებისათვის იგი დააჯილდოვეს „ოქროს სოფიტით“ (გარდაცვალების შემდეგ) „საბალეტო მინიატურების დადგმებში განსაკუთრებული მიღწევებისათვის“.

სწორედ მაშინ გადაწყვიტა დაეწერა წიგნი თავის ცხოვრებაზე და გადმოეცა თავისი აზრები საბალეტო ხელოვნებაზე, საერთოდ ქორეოგრაფიაზე. გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე დაამთავრა მუშაობა ამ წიგნზე (გოგის საუბრები ჩაიწერა და წიგნი შეადგინა ლარისა აბიზოვამ) და ვერ მოესწრო მის გამოცემას.

ამ წიგნის კითხვისას გამაოცა გოგი ალექსიძის თავმდაბლობამ, მისმა ქრისტიანულმა მიმტევებლობამ. „მთავარი იყო, — წერდა იგი თავისი წიგნის შესავალში, — გამოვსულიყავი იმ უკუნეთიდან ისე, რომ არ გამომყოლოდა წყენის, შიშისა და გაბოროტების გრძნობა. მეტსაც ვიტყვი: ჩემ წინაშე გადაიშალა ახალი შეგრძნებების ჰორიზონტი, იმ უბრალოების შინაგანი გაცისკროვნებისა, რაც ადრე არ მიგრძვნია ჩემში. საგნებმა და მოვლენებმა ახალი ფასეულობები შეიძინეს“. ამას წერს კაცი, რომლის სახეზეც ერთი მთელი ძვალიც არ დარჩენილა, რომელმაც ჩაიხედა სიკვდილის მრუმე სიღრმეში და რაღაც მანქანებით იქიდან განახლებული გამოვიდა.

გასული საუკუნის 60-იანი წლების „კამერული ბალეტის“ სიმბოლოდ იქცა მარიას თეატრის სოლისტების და ფილარმონიის სასულიერო კვინტეტის მიერ შესრულებული ნომერი დებიუსის (პიესა ფლეიტისათვის „სირინკსი“) მუსიკაზე, სადაც ორი დიდი ბალერინა — ალა ოსიპენკო და ნატალია მაკაროვა, რიგრიგობით ცეკვავდნენ ნიმფას მთავარ პარტიას. სიცოცხლის მიწურულს მრავალტანჯული გოგი იხსენებდა ამ მინიატურას, სადაც ნიმფა გამძვინვარებული პანის მსხვერპლი ხდებოდა. „ახლა როცა ვაანალიზებ წარსულს განვლილი ათწლეულების გადასახედიდან, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ შემთხვევით არ გამხდარა „სირინსკი“, ამ ნატიფი და სუსტი, ტრაგიკული ნიმფას სახე, ჩვენი ძიების სიმბოლოდ... რა უნდა დაეპირისპირებინა მას ველური და ძლიერი, მხეცი პანისათვის? მან ვერ შეძლო გაქცეოდა ძალმომრეობას და ანტიკური ღმერთის წყალობით, ამჯობინა ლერწმად ქცეულიყო, რათა მარადიული მარტოობისათვის გაეწირა თავი.

ყველას როდი ძალუძს ძალმომრეობისაგან თავის დაღწევა და ყველას როდი ეხმარებოდნენ ანტიკური ღმერთები“.

რა სიმწრითაა ნათქვამი? ჩვენს გოგის, რომელსაც ასერიგად უყვარდა ანტიკური სამყარო და ბერძენთა მითოლოგიაზე მრავალი მინიატურული შედევრი შექმნა (ი. ფალიკის „ორესტეა“, ს. ცინცაძის „ანტიკური ესკიზები“: „პანი და ნიმფა“, „ნარცისი“, „აცისი და გალატეა“, „პოლიფემი“, „ზევსი და ევროპა“, „ჰეფესტო“, რ. გაბიჩვაძის „მედეა“, ა. კნაიფელის „მედეა“, ვ. კახიძის „ამაზონელი ქალები“, ე. ფომინის „ორფეოსი“, დ. ბორტრიანსკის „პანი და ნიმფა“, ო. მესიანის „ფენიქსი“, ი. კეჭეყმაძის „მედეა“, ა. ბერგის „ორფეოსი და ევრიდიკა“, ა. ვებერის „ნარცისი და

ექო“, ე. დენისოვის „იო და კრაზანა“, ბეთჰოვენის „მედეა“, ი. სტრავინსკის „ფერიას ამბორი“) მოწიფულობის ასაკში თავს დაესხა ველური და მძვინვარე პანი. ჭეშმარიტად, ყველას როდი სწყალობენ ანტიკური ღმერთები!

გოგი ალექსიძის წიგნი „ბალეტი ცვალებად სამყაროში“ ამ ჟანრის წიგნებიდან იმითაც გამოირჩევა, რომ ავტორი ძალიან ცოტას ლაპარაკობს (მაგრამ, რასაც ამბობს, ძალიან შთამბეჭდავია) თავის დიდ სპექტაკლებზე, ქორეოგრაფიულ მინიატურებზე თუ საკონცერტო დადგმებზე. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ მისი მოღვაწეობისა და შემოქმედების დიაპაზონი და მერიდიანები თვალშეუდგამია. ჯერ მარტო თბილისის საბალეტო სცენაზე განხორციელებული აქვს 32 დადგმა, რომელიც მოიცავს როგორც კლასიკურ (მოცარტი, ჩაიკოვსკი, შოპენი, სიბელიუსი, ბახი, ბეთჰოვენი, ს. პროკოფიევი, დ. შოსტაკოვიჩი...), ასევე თანამედროვე კომპოზიტორების მუსიკაზე შექმნილ ოპუსებს (ჰინდემიტი, შნიტკე, ფალკი...), მათ შორის, ცხადია, საპატიო ადგილი უჭირავს ქართველ კომპოზიტორთა მუსიკაზე შექმნილ ოპუსებს (ბ. კვერნაძის „ბერიკაობა“. ს. ცინცაძის „ანტიკური ესკიზები“, „სვანური ლეგენდა“, ო. თაქთაქიშვილის „ქორეოგრაფიული სუიტა“, „მთიულური“, ს. ნასიძის „ფიროსმანი“, გ. ყანჩელის „დემონი“, ვ. კახიძის „ამაზონელი ქალები“), ამათ გარდა პეტერბურგის „კამერულ ბალეტში“ დადგა 14 სპექტაკლი, მარიას თეატრში — 9, პერმის თეატრში — 5, პეტერბურგის კონსერვატორიაში 12 (მათ შორი ს. ცინცაძის „ნარცისი“ და ს. ნასიძის „მეფე ლირი“), ა. მაკაროვის „ქორეოგრაფიულ მინიატურებში“ და ლ. იაკობსონის სახელობის „ქორეოგრაფიულ მინიატურებში“ — 42 (მათ შორის გ. ყანჩელის „ხანუმა“, „ლიტურგია“, „ტანგოს ნაცვლად“, „ბროწეულის ფერი“, ს. კეჭეყმაძის „მედეა“, „ფანტაზია“). მ. გლინკას სახელობის კაპელაში — 14. ამას დაუმატეთ ბალეტი ყინულზე „კალმანიანა“ ციმბირის მოცეკვავეთა ანსამბლისათვის, დადგმები კინოსა და ტელევიზიაში, ე.წ. „სპეციალური დადგმები“, აგრეთვე პერმის, ვილნიუსის, ბორის ეიფმანის „ბალეტის თეატრში“ (გ. ყანჩელის „მონოლოგი“) ეკატერინბურგის, ბაქოს თეატრებში და სხვადასხვა ქორეოგრაფიულ სასწავლებლებში დადგმული კომპოზიციები. და ბოლოს, „მსოფლიო ბალეტების შედევრების“ სერიით ამერიკაში გამოსული ვიდეო კასეტა (ბახის „ჩაკონა“ და კნაიფელის „მედეა“, სადაც სოლოს მისი მეუღლე მ. გოდერძიშვილი ცეკვავს) და თქვენ თვითონ დარწმუნდებით გოგი ალექსიძის შემოქმედების პიროვნულ მასშტაბებში. ცალკე უნდა აღვნიშნოთ გოგი ალექსიძისა და რობერტ სტურუას ფრიად ნაყოფიერი თანამშრომლობა დრამატულ და საოპერო თეატრებში — „მეფე ლირი“, „ჰამლეტი“, „გოდოს მოლოდინში“ — რუსთაველის თეატრში, ოთხი სპექტაკლი ათენში და ეპიდავრში — „ელექტრა“, „ანტიგონე“, „ოიდიპოს მეფე“ და „კორიოლანოსი“, მოლიერის „ტარტიუფი“ — თელ-ავივში, პ. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინი“ — ბოლონიაში, „მაზეპა“ — დიდ თეატრში, კ. გოლდონის „სინიორ ტეოდორო“, მოსკოვის „სატირიკონში“, მ. შატროვის „ბრესტის ზავი“ — ვახტანგოვის თეატრში, „ოიდიპოს მეფე“ კიევში.

ახლა თვალი შევავლოთ გოგი ალექსიძის შემოქმედების სივრცეს, დაწყებული თბილისიდან და დამთავრებული პეტერბურგით: ეს არის მონპელიეს (საფრანგეთი) საერთაშორისო ფესტივალი, რომი, მონტე-კარლო, მაია პლისეცკაიას ევროპული ფესტივალი, ამერიკული ტელევიზიისათვის „მედეა“. 2004 და 2006 წწ. მოსკოვსა და პეტერბურგში ირმა ნიორაძის შემოქმედებითი საღამოები (ორივეგან „საფირონი“ მენდელსონის მუსიკაზე). მართლაც დაუჯერებელია ეს ყოველივე და, თუმცა, ამ დადგმებში ჭარბობს მინიატურები, თუმცა ადრევე, 23 წლის ასაკში, დაიწყო ქორეოგრაფობა (პირველი დადგმა — 1969 წ. მოცარტის „ღამის პატარა სერენადა“ — პეტერბურგის კონსერვატორია, ბოლო დადგმა — 2006 წელი, ი. ნიორაძის შემოქმედებითი საღამო. მისივე აღიარებით არ უყვარდა სრულფორმატიანი დიდი, სიუჟეტური ბალეტის დადგმა) მაინც წარმოუდგენელია ესოდენ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი რეპერტუარის შექმნა. გარდაიცვალა 57 წლის ასაკში და რომ არა ავაზაკური თავდასხმა, რომელმაც სიცოცხლე მოუსწრაფა, უეჭველია, იგი კიდევ მრავალი შედევრით გაამდიდრებდა საბალეტო ხელოვნების სივრცეს.

თავისი შემოქმედების გაფურჩქვნის ხანაში, როცა დაუსრულებლად შეეძლო ბრწყინვალე კომპოზიციების შეთხზვა და მსოფლიო საბალეტო სცენების დაპყრობა, აი, სწორედ მაშინ, „ნევიეზდნოი“ იყო, ანუ აკრძალული ჰქონდა საზღვარგარეთ გასვლა, რადგან მისი უახლოესი მეგობარი მიხეილ ბარიშნიკოვი („ამ არტისტის ცეკვა, — ამბობს გოგი ალექსიძე, — ფრინველის ნავარდს მაგონებს, მასში სიმსუბუქე შერწყმულია ვაჟკაცურ, ცეცხლოვან გზნებასთან, ტემპერამენტი — პოზირების ქალურ სინარნარესთან“). ბარიშნიკოვის წასვლით მან უზარმაზარი შემოქმედებითი სტიმული დაკარგა. მოცარტის „სამშვენისები“ უნდა გადაქცეულიყო მათი ხანგრძლივი თანამშრომლობის დასაწყისად, ის კი იქცა ბარიშნიკოვის უკანასკნელ სპექტაკლად რუსეთში, „ჩემს ლიბრეტოზე კომპოზიტორმა ვიტალი ბუიანოვსკიმ „კაბუკის“ მოტივებზე მიშასათვის სპეციალური ბალეტი დაწერა, ჩვენ გვქონდა გრანდიოზული გეგმები, მაგრამ ყველაფერი დაგვენგრა“...) ამერიკაში გაიქცა (თბილისში გასტროლების დროს მიშა ყოველთვის ალექსიძეების ოჯახში ცხოვრობდა). მალე მას სხვებიც მიჰყვნენ, საზღვარგარეთ დარჩა ნატალია მაკაროვა, რომელსაც რამდენიმე ბრწყინვალე მინიატურა დაუდგა გოგიმ. ნ. მაკაროვას გოგი ალექსიძე თანამედროვეობის და მთელი პლანეტის პრიმა-ბალერინად, ანა პავლოვასა და გალინა ულანოვას მემკვიდრედ მიაჩნდა. ნატალია მაკაროვამ საზღვარგარეთ უბრწყინვალესი კარიერა გაიკეთა. იგი ცეკვავდა ბალანჩინის, რობინსის, ეშტონის, ნიმაიერის და სხვა სახელგანთქმული ქორეოგრაფების ქმნილებებში, იყო პარტნიორი რუდოლფ ნურიევისა (მას გოგი ალექსიძე „XX საუკუნის გენიოსს“ უწოდებს), დაიპყრო ამერიკისა და ევროპის უპირველესი სცენები, ამ დროს კი გოგი ალექსიძე, ვისი წყალობითაც გზა გაიკაფეს ნატალია მაკაროვამ და მ. ბარიშნიკოვმა, „სახლში იჯდა“ ანუ თავდაუზოგავი შრომით ქმნიდა ახალ-ახალ ოპუსებს საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა დიდ ქალაქში... „ეს იყო და ეს“ — გულმოკლული ამბობდა იგი.

გოგი ალექსიძე იგონებს: „პერმის ოპერისა და ბალეტის მთავარი ბალეტმეისტერი ვიყავი, გამომიძახეს „ორგანოებში“, პოლკოვნიკი, მამაკაცი, რომელსაც ნინელი ერქვა, მეკითხება: „... როცა ბარიშნიკოვს შეხვდებით, და

ეს შეხვედრა, ალბათ, მოხდება, ხომ მიაფურთხებთ მას სახეში?“ ვუთხარი: „მე აქლემი არ ვარ და ადამიანებს სახეში არ ვაფურთხებ. მეგობარს კი, მეგობრულად შევხვდები“. ასეთი ამბები ხშირად გადახდენია ცხოვრებაში. მაგალითად, როცა მისი დასი საგასტროლოდ მიემგზავრებოდა იაპონიაში, გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე, გოგი ალექსიძის გვარი ამოშალეს სიიდან, გამოუყვეს ერთი ოთახი მოსკოვში და უბრძანეს, აქედან ფეხი არ მოიცვალოო. რომ არა მეგობრების დახმარება, შიმშილით ამოხდებოდა სული. ყოველდღე ურეკავდნენ (ცხადია, ამოწმებდნენ) და ეუბნებოდნენ: „ხვალ თქვენი გამგზავრების საკითხი დადებითად გადაწყდებაო“. ასე გავიდა ერთი თვე, ამასობაში დასი დაბრუნდა კიდეც იაპონიიდან.

წიგნის ის თავები, სადაც გოგი ალექსიძე გვიამბობს თავის უფროს თუ თანამედროვე კოლეგებზე, გამოირჩევა დახასიათების სიზუსტით, თხრობის ბრწყინვალებით, გონებამახვილობით და იუმორით. მის თვალს არ გამოჰპარვია და მის მეხსიერებას არ დავიწყებია მრავალი საგულისხმო დეტალი. სულ რამდენიმე წინადადებით გოგი ახერხებს თავისი გმირის ინდივიდუალობის, მისი შემოქმედების უმთავრესი შტრიხების, ქორეოგრაფიული იდეების ორიგინალობის გადმოცემას. თხრობაში მარგალიტებივითაა გაბნეული პიკანტური დეტალები თუ ღიმილის მომგვრელი ფათერაკები, კომიკური სცენები, რაც კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ გოგის სიცოცხლის ბოლომდე შეუნარჩუნებია იუმორის გრძნობა, რაც ადამიანის სიცოცხლის სიყვარულის ყველაზე ნათელი დადასტურებაა.

რამდენიმე მაგალითს მოვიყვან ჩემი თხრობისა და მკითხველის გასახალისებლად (მითუმეტეს, რომ ამ წიგნის მხოლოდ სამი ეგზემპლარი აქვს გოგის მეუღლეს, მის გულითად თანამოაზროვნესა და მფარველ ანგელოზს, მარინა გოდერძიშვილს, და საეჭვოა, რომ ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახდეს იგი) და მერე უფრო სერიოზულ საკითხებზე გადავალ... ერთი ეპიზოდი ფეოდორ ლიპუხოვის ცხოვრებიდან. ეს არაორდინალური პიროვნება, ცეკვა-სიმფონიების ერთ-ერთი პიონერი, რომელსაც გოგი „დიდ სტილისტს“ უწოდებს, თურმე დიდი ორიგინალობით გამოირჩეოდა, თუმცა მუდამ შიშით ცხოვრობდა.

მასთან სტუმრად უნდა მოსულიყო სახელგანთქმული ფრანგი ქორეოგრაფი სერჟ ლიფარი (ეს ის ლიფარია, რომელიც ამბობდა: „ფრანგული ბალეტი ეს მე ვარ“. სხვები კი მასზე ამბობდნენ: „იკაროსის სიკვდილმა განაპირობა ლიფარის უკვდავებაო“. „კლასიკური ცეკვის კულტურა მან აამაღლა კანონიკურ აბსოლუტამდეო“) და აი, ეს კაცი, რომელსაც არც პატივმოყვარეობა აკლდა და არც დიდება, მოდის სტუმრად. „მისი ვიზიტის წინ ვესტუმრე ჩემს პედაგოგს, — იგონებს გოგი, — ვკითხე, რას აკეთებთ?

— კლარას ნიფხავს ვრეცხავ!

შევხედე, მართლაც ქალის ბამბაზიის ნიფხავს რეცხავს.

— ფეოდორ ვასილევიჩ, უხერხულია, ლიფარი პარიზიდან ჩამოვიდა!..

— მერე მოვიდეს და ნახოს, თუ როგორ ცხოვრობენ საბჭოთა ბალეტმეისტერები.

1962 წელი. ლენინგრადში ჩავიდა ჯორჯ ბალანჩინი თავისი „ნიუ-იორკ სიტი ბელესთან“ ერთად. ლენსოვეტის სახელობის კულტურის სახლი, სადაც კონცერტები იმართებოდა, ათასობით მაყურებლითაა გარშემორტყმული. გოგი ალექსიძე და კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე (ჯორჯ ბალანჩინის ძმა) რის ვაივაგლახით მიაპობენ ხალხმრავალ ტალღას. შესასვლელთან მათ ელოდება ბალანჩინი კონტრამარკებით ხელში. მაგრამ მილიციის კორდონი უბილეთო, მეტად საეჭვო გამომეტყველების ამ „დუეტს“ (ოთხდღიანი გადაბმული სმის წყალობით) არ ატარებს. არ გასჭრა ხვეწნა-მუდარამ, არც იმის მტკიცებამ, რომ ანდრია ჯორჯ ბალანჩინის ძმაა. მილიციის ლეიტენანტი დამცინავად ათვალიერებს გოგის ჩამოძენძილ ჯემპრს და აბურძგნულ თმებს. არც ანდრიას საეჭვო ღირსების ლაბადა იწვევს მაინცდამაინც დიდ ნდობას. უცებ ანდრიას გაახსენდა, რომ იგი სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. გადაიხსნა ლაბადა, რომლის შიგნით, სარჩულზე დამაგრებული ჰქონდა დეპუტატის ნიშანი. ოფიცერი თვალებს არ უჯერებდა, მაგრამ რას გააწყობდა ჯადოსნური ძალის მქონე ნიშნის პირისპირ. უხალისოდ გაატარა სტუმრები. ბალანჩინი კი მთელი თხუთმეტი წუთი ელოდა მათ. სპექტაკლი ოცი წუთის დაგვიანებით დაიწყო.

მრავალთაგან კიდევ ერთ მაგალითს მოვუხმობ.

ლენინგრადში ბალანჩინის მეორე ჩასვლისას (1972) განთქმულმა მოცეკვავემ და თეატრალურმა მოღვაწემ ასკოლდ მაკაროვმა მაესტროს პატივსაცემად ვახშამი გამართა. მოწვეული იყვნენ ბალანჩინის ძველი მეგობრები პეტერბურგიდან — მიხეილ მიხაილოვი, გიტარისტი სოროკინი, პიოტრ გუსევი, ახალგაზრდებიდან — მ. ბარიშნიკოვი და გ. ალექსიძე. ბალანჩინმა მოიგონა პეტერბურგში გატარებული თავისი ახალგაზრდობის ამბები, მის მიერ ჩამოყალიბებული „ახალგაზრდა ბალეტი“, რევოლუციის შემდგომი წლები. ბოლოს, შექეიფიანებულმა, იკითხა — რა ხდება კშესინსკაიას სასახლეშიო. უთხრეს, რომ ყველაფერი ისეა, როგორც კშესინსკაიას სიცოცხლეში იყოო. ბალანჩინის ყველა მომდევნო კითხვაზე მასპინძლები პასუხობდნენ, ყველაფერი ძველებურადაა.

ბალანჩინმა თვალი გადაავლო შავი ხიზილალით, ათასნაირი ნუგბარი საჭმელით სავსე სუფრას, შენიშნა, რომ მენიუშიც არაფერი შეცვლილა, სოროკინიც ისევ თავის ძველ სიმღერებს აკვნესებს და წამოიძახა: „მაშინ რატომ მოახდინეთ ეს რევოლუცია?“ (ამგვარი ფრაზების წამოსროლა უყვარდა ძმასავით გონებამახვილ ანდრიას... საზღვარგარეთ ყოფნისას ხორცის საკეპი მანქანა იყიდა. საბაჟოს ოფიცერმა ჩამოართვა მანქანა, „ამის შემოტანა საბჭოთა კავშირში აკრძალულიაო“. ანდრიამ მყისვე მიუგო: „თქვენ მართალი ხართ, ნეტავ რაში დამჭირდება! საბჭოთა კავშირში ხომ ხორცი მაინც არ იშოვება“).

გოგი ალექსიძე თავისი მონათხრობის ყოველ ეპიზოდში ამჟღავნებს მუსიკის (პირველ რიგში), ლიტერატურის (განსაკუთრებით ანტიკური ლიტერატურის ცოდნას, რომელიც თავისი უფროსი ძმის, ალექსანდრე ალექსიძის, ძველბერძნული და ბიზანტიური ლიტერატურის შესანიშნავი სპეციალისტის წყალობით, ღრმად ჰქონდა შეთვისებული), აგრეთვე ფილოსოფიის, ისტორიის, განსაკუთრებით ბალეტის ისტორიის ფართო ცოდნას. ასეთი უნიკალური ერუდიციის მიუხედავად, მისი თხრობა ლაღია, მიმზიდველი, იგი არაა დამძიმებული არც სპეციალური ტერმინებით და არც ესთეტიკური კატეგორიების ეკვილიბრისტიკით, რითაც ასერი-

გად იწონებენ თავს ჩვენი „მცოდნენი“.

მკითხველის თვალწინ თითქოს ცოცხლად ჩაივლიან გოგი ალექსიძის მიერ არაჩვეულებრივი რელიეფურობით დახატული უთვალსაჩინოესი ქორეოგრაფები და გენიალური მოცეკვავეები. იგი წარმოგვიდგენს თავისი ოცნების თეატრს, უფრო თუ დავაკვირდებით, დაუვიწყარ სპექტაკლს, სადაც ყოველ პერსონაჟს თავისი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ერთის ინდივიდუალობა არ ფარავს მეორისას, ზოგჯერ კონტრაპუნქტის, ზოგჯერ კონტრასტის მეოხებით, ყველა მოჩანს როგორც თავისი საქმის პროტაგონისტი, შთაგონებული მუსიკისა და ცეკვის უსასრულო შესაძლებლობებით.

განსაცვიფრებელი სიცხადით ხედავს გოგი ალექსიძე მოცეკვავის სხეულს და კიდევ უფრო განსაცვიფრებელია მოცეკვავის სულის, აღმაფრენის, შთაგონების სიღრმეში წვდომის მისი ნიჭი. ამიტომაც იყო, რომ ყველანი, თვითდამკვიდრების მიზნით, მისკენ მიისწრაფვოდნენ. მოცეკვავეებზე იგი ლაპარაკობს სიყვარულით, აღფრთოვანებით, მეტაფორებისა და შედარებების ფოიერვერკებით. ქორეოგრაფებზე — სერიოზულად, ანალიტიკურად, ისე, რომ ჩვენც გვიზიარებს თავის დიდ ცოდნას ამ საოცარ ხელოვნებაზე, რომელიც ერთდროულად შეიცავს საკუთრებრივ ცეკვის, ქორეოგრაფიულ სულსაც და წმინდა დადგმით მოტივებსაც. სხვათა შორის, გოგი ალექსიძე ერთმანეთისაგან ასხვავებს (მაგრამ რადიკალურად არ უპირისპირებს) ბალეტმეისტერსა და ქორეოგრაფს. ლარისა აბიზოვასთან საუბარში, გ. ალექსიძე აღნიშნავს, რომ „ბალეტმეისტერი“ ისტორიული სახელწოდებაა, რომელიც სათავეს იღებს XIX საუკუნის ტერმინოლოგიაში. ბალეტი მაშინ იყო პომპეზური სანახაობა, მსგავსი „მძინარე მზეთუნახავისა“. ბალეტმეისტერია ის, ვისაც ძალუძს ერთ მთლიანობაში მოუყაროს თავი პანტომიმასა და ქორეოგრაფიას. ყველაზე შესანიშნავი დიდი ბალეტმეისტერი იყო პეტიპა. იგი ღმერთმა დიდი ბალეტებისთვის შექმნაო. ქორეოგრაფი კი ისაა, ვინც ქმნის ქორეოგრაფიას. ქორეოგრაფს შეუძლია არ იმუშაოს საიმპერატორო თეატრში. ახლა ცნება „ბალეტმეისტერისა“ მოძველდა. უკანასკნელი ბალეტმეისტერები ჩვენში იყვნენ ოლეგ ვინოგრადოვი და იური გრიგოროვიჩი.*

— ეიფმანი?

— ეიფმანი? ეიფმანიც ბალეტმეისტერია. ბალანჩინი კი ქორეოგრაფია!

— თქვენ თავს რომელს მიაკუთვნებთ?

— მე ვარ ქორეოგრაფი. მე არა ვარ დაბადებული ბროლისჭაღიანი და საიმპერატოროლოჟებიანი თეატრალური დარბაზებისათვის. მე არ გამომდის დიდი ბალეტები. ჩემთვის უმთავრესია ქორეოგრაფიული აზროვნების მომენტი, სხვისთვის მთავარი დრამატურგიაა და არა ქორეოგრაფია. მაგალითად, ბალანჩინისათვის ქორეოგრაფია ყოველთვის პირველადია“.

„კამერულ ბალეტში“ 1966, 1967, 1968 წლებში შეთხზული პირველი, ქორეოგრაფიული მინიატურებიდან (დებიუსის, ბრიტენის, ბიზეს, მოცარტის, ს. პროკოფიევის, დ. შოსტაკოვიჩის და სხვათა მუსიკაზე) გ. ალექსიძე აღიარებული იქნა ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფიული იდეების მიმდევრად და განმაახლებლადაც კი. თავისი დიდი კოლეგის მსგავსად (რომელიც ამბობდა „მე სისხლით ქართველი ვარ, კულტურით — რუსი, საცხოვრებელი ადგილით — ამერიკელი, ხოლო ნაციონალობით — პეტერბურგელი“. აქ გამახსენდა სტალინის ხელით შევსებული ანკეტა: „Национальность – грузин, родной язык – русский“). იგი არაჩვეულებრივად „ხედავდა“ მუსიკას, კარგად ერკვეოდა კლასიკაში, პარტიტურაში, ორკესტრის ყველა ინსტრუმენტში, ტემპებში და დირიჟორებში. იმდენად ღრმად გრძნობდა მუსიკას, რომ შეეძლო ნებისმიერი მუსიკალური ფრაზისათვის ანალოგიური პლასტიკური ნახაზის შექმნა. მის პროგრამებში გაერთიანებულია მუსიკა ბაროკოდან რომანტიზმამდე, კლასიკიდან თანამედროვე ავანგარდამდე და ყოველი მათგანისათვის მონახულია შესატყვისი სტილი, პლასტიკით და მუსიკით შექმნილი ეს სტილი თანამედროვეა და სცენაზე მოცეკვავეთა მოძრაობის და კომპოზიციების შინაგან არსს ასახავს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში იმ დროს იყვნენ მუსიკალური მინიატურების ქორეოგრაფიულ ხატად გარდასახვის ოსტატები (კ. გოლიეზოვსკი, ლეონიდ იაკობსონი, იგორ ბელსკი) მაინც გ. ალექსიძეა მიჩნეული ყველაზე დიდ და ორიგინალურ ოსტატად ამ სფეროში. შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ ისეთმა დიდმა ქორეოგრაფმა, როგორიც იყო ფ. ლოპუხოვი, მშვენიერი წერილი უძღვნა გოგის სადებიუტო პრემიერებს და ჭაბუკ ქართველ ქორეოგრაფს გზა დაულოცა ცეკვის დიდ სამყაროში. ხოლო მარიას თეატრის დირექტორმა რაჩინსკიმ უთხრა: „თქვენი ნომრიდან მიღებული შთაბეჭდილება ისეთივე იყო, როგორც ვსევოლოდ მიერხოლდის სპექტაკლიდანო“. კომპოზიტორი ბენჯამენ ბრიტენი აღტაცებული დარჩა გოგის „მეტამორფოზებით“. მან ლონდონურ „თაიმსში“ გამოაქვეყნა თავისი შთაბეჭდილება — ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჩემი პიესის მუსიკაზე ასეთი დრამატული და მწყობრი ქორეოგრაფიული სუიტა შეიქმნებოდა ანტიკურ თემაზეო.

ის, რაც XX საუკუნის 60-იან წლებში იშვიათი იყო, XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში საყოველთაო მოვლენად იქცა. ავტორისეულ წინასიტყვაობაში გ. ალექსიძე, ეს პირველი ბალანჩინისტი, შეშფოთებული წერს: „მიმდინარეობს რეპერტუარის გლობალიზაცია, რის გამოც აღარავინ მიმართავს ექსპერიმენტებს. განა გენიალურ ბალანჩინს შეეძლო წარმოედგინა, რომ რუსეთის ყველა თეატრში რეპერტუარის „ბალანჩინიზაცია“ მოხდებოდა?“ გოგი ალექსიძის ეს გაოცება მით უფრო საგულისხმოა, რომ თავად ბალანჩინი ამბობდა, რომ ჩემი მიმდევრების მიერ აღდგენილ ბალეტებს, ცხადია, მე მომაწერენ, მაგრამ მათ არაფერი ექნებათ საერთო ჩემს ოპუსებთანო.

სხვათა შორის ე.წ. „ბალანჩინიზაცია“ თბილისის საბალეტო სცენასაც შეეხო, მაგრამ განსხვავებით ჩვენი მაესტროსაგან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს დადებით მოვლენად მიმაჩნია. მართალია, როგორც წესი, აღდგენილ (თუ განახლებულ) ქორეოგრაფიას აკლია პირველქმნილი სიახლე და არომატულობა, სტილისტური სიზუსტე და ენთუზიაზმით

*** ო. ვინოგრადოვმა პეტერბურგის მარიას თეატრში დადგა ალექსი მაჭავარიანის ბალეტი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც თბილისშიც წარმოადგინეს. ხოლო ი. გრიგოროვიჩმა თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე პ. ჩაიკოვსკის „მაკნატუნა“, სოლიკო ვირსალაძის სცენოგრაფიით.**

აღძრული ენერგეტიკა, მაგრამ, სამაგიეროდ დარჩენილია გენიალური ქორეოგრაფიის პოეტიკა, ცეკვების განსაცვიფრებელი სქემა, და ბოლოსდაბოლოს, ვინც ბალანჩინის კონცერტზე მიდის, იგი სწორედ ბალანჩინის „სანახავად“ მიდის და არა მოცეკვავეებისა. მე ბალანჩინის ყველა პროგრამა მაქვს ნანახი თბილისში (1962, 1972 წწ), მისი სხვა პროგრამაც ვნახე „ლინკოლნ ცენტრში“ (რ. სტურუასთან ერთად), მაგრამ თბილისში აღდგენილ მის ოპუსებსაც უდიდესი სიამოვნებით ვუყურე და ისიც შევნიშნე, თუ რა დიდი სიამოვნებით და მონდომებით ცეკვავდნენ ჩვენი სოლისტები.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნში ბალანჩინისადმი მიძღვნილი თავი მოცულობით პატარაა და თავის საუბრებში უფრო ვრცლად ჩერდება რუსული ბალეტის დიდ მოღვაწეებზე (აქ ყოველი ფრაზა სავსეა ღრმა ცოდნით, უნიკალური სიზუსტით), მაინც იგრძნობა, რომ ბალანჩინი მას თანამედროვეობის უპირველეს ქორეოგრაფად მიაჩნია: „ბალანჩინს გააჩნდა რაციონალური და ემოციური საწყისების შერწყმის იშვიათი უნარი. ეს დიდი ოსტატი მიზნად ისახავდა გარკვეული ხატის შექმნას. ეს შეიძლება ყოფილიყო ყველა პარამეტრით სრულყოფილი კომპოზიცია, რომელიც თავისთავადი მხატვრული ღირებულების შემცველია და რომელიც სიმბოლური აღქმის შესაძლებლობასაც შეიცავს. ეს სიმბოლიკა არ იყო დამძიმებული არქეტიპების ან პირობითი გამომსახველი ნიშნების ტვირთით. ლიტერატურული სიმბოლოებისაგან განსხვავებით, იგი არ იწვევდა ფაბულური ხასიათის ასოციაციებს“.

თუ გოგი ალექსიძე ქორეოგრაფთა შორის ყველაზე მეტად ბალანჩინს აფასებს, ყველაზე მეტად ვახტანგ ჭაბუკიანი უყვარს. ეს მაშინაც გამოჩნდა, როცა მან დიდი მაესტროს ქართული და კლასიკური ბალეტები აღადგინა, სწორედ მან დააბრუნა იგი თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, რომელიც ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ იყო დაარსებული. გოგი ალექსიძე, რომელიც უდიდესი ბალეტმეისტერებისა და ქორეოგრაფების რეპეტიციებსა თუ „ეგზერსიზებს“ დასწრებია, გაოცებით აღნიშნავს: „ვ. ჭაბუკიანის ჩვენება იყო უბრწყინვალესი. ყველაზე მეტად გასაოცარი იყო ის, რასაც იგი მოცეკვავე ქალებს უჩვენებდა. იგი მათ აზიარებდა სიმსუბუქის, ჰაეროვნებისა და გრაციის იდუმალ ხელოვნებას. ხოლო მისი ცეკვა ხომ პირდაპირ თავზარდამცემი იყო თავისი მამაკაცური ძალმოსილებით. ასაკმოძალებულიც იგი იყო ელეგანტური და დახვეწილი. თავის სხეულში ატარებდა ძალის, ენერგიის, ტემპერამენტის შმაგ მუხტს, მამაკაცურ საწყისს“. სხვაგან ამბობს: „თუ სერგეევი რუსულ ბალეტში იყო პირველი გმირი-რომანტიკოსი, ვ. ჭაბუკიანი იყო საერთოდ ბალეტის პირველი ჰეროიკული გმირი“ (ამიტომაც იყო აღტაცებული მისი ცეკვით ს. ახმეტელი) და, აი, ბალეტის იმ უპირველეს „ჰეროიკულ გმირთან“ შეხვედრაზე ოცნებობდა ახალგაზრდა რუდოლფ ნურიევი, რომელიც სსრკ-დან გაქცევის შემდეგ თანამედროვეობის საუკეთესო მოცეკვავე გახდა. ნურიევი, ცხადია, იცნობდა ვ. ჭაბუკიანს როგორც ქორეოგრაფს, ცეკვავდა მის მიერ დადგმულ „ბაიადერკაში“ და როგორც ყველა რომანტიკულ-გმირული სტილის მოცეკვავე, ოცნებობდა ფრონდოზოს („ლაურენსია“) პარტიაზე, სადაც ჭაბუკიანი თავის დროზე ბრწყინავდა და არნახულ მწვერვალებს იპყრობდა. გოგის თქმით, ნურიევს არ შეეძლო არ შეხვედროდა დიდ მაესტროს, პეტერბურგის ამ ლეგენდას, რომელსაც ის ბალეტისმცოდნენი, რომელთაც ნანახი ჰყავდათ იგი თავისი დიდების ზენიტში, მიიჩნევდნენ, რომ ქვეყნად მისი შესადარი მოცეკვავე არ არსებობდა. გოგი ალექსიძის ძალისხმევით ეს შეხვედრა შედგა სოჭში (ყოველ ზაფხულს, ტრადიციისამებრ, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი სოჭში, „ვსესოიუზნაია ზდრავნიცაში“ მართავდა გასტროლებს. ეს ფრიად ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო, რადგან მაშინ მთელი საბჭოთა კულტურული ელიტა აქ იყრიდა თავს). ნურიევს სურდა ენახა ჯადოქრის სახელოსნო „იგი უნდა გათავისუფლებულიყო დიდი ოსტატისადმი პიეტეტისა და ავტორიტეტის ტვირთისაგან“. ახალგაზრდა ნურიევი დაესწრო ვ. ჭაბუკიანის რეპეტიციას და განაცხადა: „მამაკაცური ცეკვა ჩემგან იწყება. მე გადავდგი ნაბიჯი წინ. ჩემი ბრუნვები მაღალ ნახევარ-თითებზე ჭაბუკიანისაზე შეუდარებლად ლამაზია. ჩემი ნახტომი უფრო მაღალია ჭაბუკიანის ნახტომზე დაბალ ნახევარ თითებზე, ჩემი ტექნიკა უფრო სრულყოფილია“. სხვათა შორის, ნურიევი აქ მხოლოდ ერთ რამეშია მართალი, როცა ამბობს „ჩემი ნახტომი ჭაბუკიანის ნახტომზე მაღალიაო“. ვ. ჭაბუკიანზე მაღლა ბევრი ხტებოდა, მათ შორის მ. ბარიშნიკოვი, ვ. ვასილევი და ნ. დოლგუშინიც, მაგრამ ვახტანგს ჰქონდა ის, რაც არავის მსოფლიოში, იგი ფლობდა ჰაერში ნავარდისა და ჰაერში ყოფნის უნიკალურ ნიჭს. ნახტომი დიდხანს გრძელდებოდა, თითქოს დროში იწელებოდა და, ამგვარად იქმნებოდა დიდი სიმაღლისა და სიგრძის სრული ილუზია. ამის შესახებ წერდნენ გალინა ულანოვა და ტატიანა ვეჩესლოვა (ვ. ჭაბუკიანის დიდი პარტნიორი. მისი წიგნის ერთი ფრაგმენტი, რომელიც ეხება ვახტანგ ჭაბუკიანს მე ვთარგმნე და დავბეჭდე გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ რევაზ მარგიანის რედაქტორობის დროს). ვ. ჭაბუკიანს მიუვიდა ნურეევის ნათქვამი, გაცეცხლდა, გაცოფდა და კინწისკვრით გააგდო თეატრიდან. რ. ნურიევი მაშინ იყო ახალგაზრდა, ენერგიით სავსე, ძალმოსილი, გამზადებული კოსმიური ნახტომისათვის (სწორედ ასეთი ნახტომით გაიქცა ლონდონის აეროპორტ „ჰიტროუდან“ პოლიციის განყოფილებაში), ჭაბუკიანი კი „წელთ დაღმართ დაშვებული“, მოცეკვავის კარიერის ფირნიშამდე მისული. ნურიევის ცეკვა ვნახე მეხიკოში, რუსთაველის თეატრის ქორეოგრაფ იური ზარეცკის (რომელიც მეგობრობდა ამ მოცეკვავესთან) მეოხებით. ამ დროს ნურიევი უფრო ახალგაზრდა იყო, ვიდრე ვ. ჭაბუკიანი მაშინ, სოჭში გასტროლებისას. ნურეევი მთავარ პარტიას ცეკვავდა ს. პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტაში“. ენით აუწერელი აჟიოტაჟი იყო ატეხილი მეხიკოში. სპექტაკლი იმართებოდა სპორტის სასახლეში. მაგრამ, რაც ვნახე, ეს იყო ყველაფერი, გარდა ცეკვისა. ნურიევი ლამაზად და მოხდენილად დადიოდა, ხანდახან თუ გადაირბენდა დარბაზში სუსტი ნახტომით. სადღა იყო მისი განთქმული ნახტომები, თავბრუდამხვევი ბრუნვები და ველური ვნება, რომელიც ასე აჯადოებდა მაყურებელს. გოგი ალექსიძემ მისი ბოლო, გამოსათხოვარი ცეკვა ნახა პეტერბურგში, საიდანაც დაიწყო სწორედ რუდოლფის სვლა დიდებისაკენ. „მას შეხვდნენ ტრიუმფით, დარბაზი აღტაცებისაგან ღრიალებდა, მაგრამ მისი ცეკვა შორეულად

თუ ჰგავდა ცეკვას“. რ. ნურიევი კიდევ ერთხელ, უკანასკნელად, ვნახე მილანში, ლა სკალას ფილიალში „ტეატრო ლირიკოში“, რუსთაველის თეატრის სპექტაკლზე „მეფე ლირი“. იგი მოვიდა უცნაურად ჩაცმული — კოჭებამდე დაშვებული შავი მოსასხამით, შავი, დიდი ფარფლებიანი შლაპით, შავი სათვალით. ახლდა ორი მცველი. ჩაჯდა თუ არა სავარძელში, უმალვე ლაბადაში გაეხვია (მილანში წვიმიანი ამინდი იყო), გაშლილი ფეხები ზურგგადაკეცილ წინა სავარძელზე დააწყო. ასე ნახევრად დაწოლილმა უყურა სპექტაკლს. მის შემყურეს, რატომღაც, ლიბიის ამბიციური და ზვიადი დიქტატორი მუამარ კადაფი მომაგონდა. აშკარად ნატანჯი სახე ჰქონდა. უმძიმესი დაავადება (შიდსი), ეტყობა, უკვე ღრმად იყო გამჯდარი მის ორგანიზმში. ანტრაქტზე არ ამდგარა სავარძლიდან. მივუახლოვდი და გამოლაპარაკება დავაპირე. მცველმა ზრდილობიანად შემაჩერა და მითხრა: „ნურიევთან დალაპარაკების ერთი წუთი ხუთი ათასი დოლარი ღირს“ (ანუ, იმაზე მეტი, ვიდრე მთელი რუსთაველის თეატრის დასი იღებდა ორკვირიანი გასტროლების მანძილზე). ბოლოს ნურიევმა მაინც მოუხადა ქუდი დიდ მაესტროს ვახტანგ ჭაბუკიანს. პარიზში, გრანდ ოპერის სცენაზე (ეს თეატრი, ალბათ, მალე მეორე იქნება ევროპაში, მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი ბათუმში ააშენებს ოპერის თეატრს, სიც), მან განახორციელა თავისი უკანასკნელი დადგმა. მინკუსის „ბაიდერკა“, სადაც ყველა სოლო ცეკვა, ვახტანგ ჭაბუკიანის რედაქციით, უცვლელად გადაიტანა.

გოგი ალექსიძის ეს წიგნი, თუმც მოცულობით არ არის დიდი (შეიცავს 166 გვერდს, აპარატის ჩათვლით), მაგრამ მრავალ პრობლემას თუ ფიქრს აღძრავს თანამედროვე ბალეტზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის თავები, სადაც წმინდა ქორეოგრაფიული და მუსიკალური თემებია განხილული („რამდენიმე მოსაზრება ქორეოგრაფიულ სიმფონიებზე“, „შეიძლება თუ არა შევისწავლოთ ქორეოგრაფის პროფესია“, „საუბრები ყველაზე და ყველაფერზე“). მაგრამ სპეციფიურ პრობლემებზე ისე ნათლად, შთაგონებით, ვიტყოდი, დახვეწილად მსჯელობს, რომ ყველაფერი გასაგებია, თვით ჩემისთანა დილეტანტისთვისაც კი.

* * *

ბოლოს, გვერდს ვერ ავუვლი ერთ მოვლენას, რომელმაც ძალიან გამახარა და პირველ რიგში გოგი ალექსიძეს გაახარებდა, ცოტაც რომ ეცოცხლა. 28 ივნისს, რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში, გოგი ალექსიძის ქალიშვილმა, ცნობილმა ბალერინამ და დამწყებმა ქორეოგრაფმა მარიამ ალექსიძემ, მამის გარდაცვალების წლისთავზე, მის ხსოვნას მიუძღვნა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაზე შექმნილი მშვენიერ ბალეტი ერთ მოქმედებად „დოვინ-დოვენ-დოვლი“. სპექტაკლში გამოყენებულია გალაკტიონის მიერ წაკითხული ლექსები „1950“, „მთაწმინდის მთვარე“, კლოდ დებიუსის, გუსტავ მალერის და ალბერ ბერგის მუსიკა.

მარიამი შვიდი წლის ასაკიდან გოგი ალექსიძის თითქმის ყველა დადგმაში მონაწილეობდა, ესწრებოდა მის „ეგზერსიზებს“, რეპეტიციებს და ამგვარად, შესანიშნავი სკოლა გაიარა.

გალაკტიონის პოეზიაზე ქორეოგრაფიული სპექტაკლის შექმნა იმანაც განაპირობა, რომ გოგი ალექსიძის უკანასკნელი ნამუშევარი თბილისში იყო „მთაწმინდის მთვარეზე“ შექმნილი მინიატურა (რომელშიც თვითონაც მონაწილეობდა).

მარიამ ალექსიძე იგონებს: „ერთი წლის წინათ პეტერბურგში მამამ მძიმე ოპერაცია გადაიტანა. სწორედ ამ პერიოდში გამიჩნდა ძლიერი სურვილი, რომ ქორეოგრაფიაში მეცადა ბედი. როდესაც გოგი თბილისში ჩამოვიდა, სტრავინსკის მუსიკაზე დადგმული თორმეტწუთიანი მინიატურა საჩუქრად დავახვედრე. მას შემდეგ მან მხოლოდ ერთი კვირა იცოცხლა და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ერთ ფრაზას მიმეორებდა — შენ არ იცი როგორ გამახარეო“.

ვიცოდი, რომ გოგი ალექსიძის პიკასოს გრაფიკაზე (გლინკას სახელობის კაპელაში) დადგმული ჰქონდა ქორეოგრაფიული ეტიუდი „ესპანეთი“ (კომპოზიტორი ვ. ბუიანოვსკი), მაგრამ თუ პოეზია გახდებოდა მისი შთაგონების სათავე, ეს ნამდვილად მოულოდნელი იყო ჩემთვის.

სპექტაკლში (დამდგმელი რეჟისორი გელა კანდელაკი, მუსიკალური კონსულტანტი თეიმურაზ ბაკურაძე, მხატვრულად გამფორმებელი ნინო ოჩიაური, ჩვენი ბალეტის პრიმა) გამოყენებულია ეკრანი. პირველივე კადრებში მოჩანს ახალგაზრდა, მართლაც საოცრად დახვეწილი, შთაგონებული გოგის მშვენიერი სახე, მერე, მონტაჟის „ნახტომი“ და უკვე კადრში შემოდის მოტეხილი, უძლური, მოხუცი, ბროლის ხელჯოხით. მეყსეულად შეჩერდება, მცირე პაუზა... ორივე ხელით აღმართავს ხელჯოხს და რაც ძალი და ღონე აქვს, იატაკზე დაანარცხებს, მაგრამ ისმის არა ჯოხის დაცემის ხმა, არამედ რაღაც დიდი ბროლის მსხვრევის თავზარდამცემი, თავისი მოულოდნელობით, ხმა. შესანიშნავი მიგნებაა!), როგორც კი ეს „ნამსხვრევები“ გაიფანტება, გამოცოცხლებული გოგი, ძალმოსილი, შემოქმედებითი ექსტაზით ატაცებული ერთ ადგილზე იწყებს მთელი სხეულითა და ხელებით, სხვადასხვა ქორეოგრაფიული ფიგურების გამოყვანას სცენურ სივრცეში და... სპექტაკლი იწყება... მოკრძალებული დებიუტანტი მარიამ ალექსიძე ამბობს: „ლექსების ციკლზე შექმნილ სპექტაკლში შევეცადე შემენარჩუნებინა ის ფორმა და სტილი, რომელიც გოგი ალექსიძეს „მთაწმინდის მთვარეში“ ჰქონდა და ჩემებური ქორეოგრაფიული ენით და ხედვით წარმომეჩინა“. მსურს, ჩემი მხრივ დავძინო, რომ ეს „ენა“ და „ხედვა“ ძალიან გამოირჩევა ორიგინალობით, და ვიტყვი, ზოგ შემთხვევაში მოულოდნელობითაც. მართალია, მარიამის იმპულსი გოგის „მთაწმინდის მთვარეა“, მაგრამ ცეკვის სტილი და ბუნება მასთან ამოზრდილია სიტყვისა და მუსიკის სიმბიოზზე. აქ ბევრია თვით გოგი ალექსიძისთვის „უცნობი“ რაკურსი, პლასტიკური გადასვლები, გადახლართვები თუ პოზები. ზოგჯერ ისეა, რომ მოცეკვავეთა პლასტიკა, მათი მოძრაობის რიტმები ხან გალაკტიონის პოეზიის მუსიკალურობითაა შთაგონებული, ხან საკუთრივ მუსიკით, მაგრამ სტილისა და ქორეოგრაფიის მთლიანობა ბოლომდეა შენარჩუნებული.

მარიამ ალექსიძემ დიდებული საჩუქარი უძღვნა მამის ხსოვნას (გავიხსენოთ: „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“) და თავისი ორიგინალური სპექტაკლით, სადაც არა მარტო გოგის სახე დავინახეთ ეკრანზე გაცოცხლებული, არამედ ამ დიდი შემოქმედის სულიც ქორეოგრაფიაში გარდასახული, ხალხით გაჭედილი რუსთაველის თეატრის მცირე

ვალენტინა ხაზალია

სიტყვა და ხაზი

გუჩა კვარაცხელიას ახალი პოეტური კრებული

„ვნებათა იგივეობა წესია დედამიწისაო“ – ამ ერთი საუკუნის წინათ უბრძანებია ვაჟას.

ამ ვნებათა სრულყოფილად წარმოჩენის სურვილი არ ასვენებს ადამის მოდგმას დასაბამიდან დღემდე; მაშინაც, როდესაც გამოქვაბულის მკვიდრი იყო და არ გააჩნდა არც ფუნჯი და საღებავები, არც ტუში და საჭრეთელი, და დღესაც, როცა სრა-სასახლეებში დაიდო ბინა და, ვინ იცის, რა ტექნიკური საშუალებები არ მოეპოვება ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად, ადამიანები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო — ვინ სიტყვით, ვინ ხაზით, ვინ კიდევ მდიდარი პალიტრითა თუ საჭრეთლით უკეთ შეასხამს ხორცს, უკეთ წარმოაჩენს ადამიანურ ვნებათა ვარიაციებს... ასე იყო, ასეა და ასე იქნება; დიახ, ასე იქმნებოდა, იქმნება და კვლავაც ასე შეიქმნება, შეიქმნება და გაგრძელდება მარადიულ ღირებულებათა ის უწყვეტი ჯაჭვი, მსოფლიო ხელოვნების საგანძური.



ამ ცივილიზაციაში თითქმის ყველა ქვეყანას, ყოველ ერს თავისი წვლილი აქვს შეტანილი და საკუთარი სახე გამოარჩევს.

საქართველოსაც ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს იქ თავისი მრავალსაუკუნოვანი თვითმყოფადი კულტურით, რომელშიც წიგნის ხელოვნებას (მის არსსა და მხატვრულ გაფორმებას, მის სახეს) თავისი ღირსეული ადგილი აქვს დამკვიდრებული.

საქართველოში წიგნი ოდითგან კალიგრაფთა ნახელავი იყო (დღესაც ასე აღტაცებაში რომ მოჰყავს მნახველი).

დროთა ვითარებაში კალიგრაფიას პოლიგრაფია ჩაენაცვლა და ის გახდა ერთგვარად შუამავალი წიგნის ავტორს, მის მხატვრულად გამფორმებელ მხატვარსა და მკითხველს შორის; და ისმოდა ერთხანს უკმაყოფილება პოლიგრაფისტთა მისამართით, მაგრამ ტექნიკის განვითარებამ თავისი სიტყვა თქვა და ახლა ეს პრეტენზიებიც აღარ ისმის. პოლიგრაფიას უკვე შეუძლია სრულყოფილად წარმოაჩინოს მხატვრის ნამოღვაწარი, რაც მკითხველს ეხმარება უფრო ღრმად ჩაწვდეს წიგნის არსს, მის შინაარსს. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ რამდენი მხატვრული სტრიქონის წამკითხავია, იმდენი განსხვავებული თვალია, იმდენი მეტ-ნაკლებად განსხვავებული აღქმაა, **მაშინ ნათელი გახდება და მკვეთრად წარმოჩინდება, რა მნიშვნელობა ენიჭება ისეთ იშვიათ გამონაკლისებს, როდესაც ავტორი თვითონვე გვევლინება მისი ნამოღვაწარის, სიტყვებით ნაძერწ მხატვრულ სახეთა სახვით ენაზე ამმეტყველებელი.**

ვგულისხმობ პატარა ფორმატის თეთრ ყდაში ჩასმულ წიგნს — შავი შრიფტით სადად რომ ამოუბეჭდავთ დასახელება. იქვე ვეცნობით ავტორის ვინაობას; **ის ერთ-ერთი გამორჩეული ენათმეცნიერი და საქვეყნოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე გუჩა კვარაცხელიაა.**

ვკითხულობთ მის პოეტურ სტრიქონებს და ჩვენს თვალწინ იშლება მდიდარი პალიტრით შექმნილი ფერწერული სამყარო, მაგრამ ამავდროულად თვალს იტაცებს ხაზის მოძრაობა, რომელიც ისე გაზიარებთ უტყვ პოეზიას, რომ არ იცით თვალი უმალ რას გაადევნოთ — პოეტურ სტრიქონებს თუ ხაზს, მის საოცარ დინებას, საყოველთაოდ ცნობილ გამოთქმას რომ მოგაგონებთ — „პოეზია არის მეტყველი მხატვრობა, მხატვრობა — უტყვი პოეზია...“

დიახ, ამ დიდებული ლინგვისტის პოეზია მეტყველი მხატვრობაა, საოცარი ფერწერული სამყაროა, ხოლო მხატვრობა – უტყვი პოეზია.

მართალია შევიჭერი პროფესიონალ კრიტიკოსთა და ხელოვნებათმცოდნეთა კვლევის არეალში, მაგრამ მტკიცედ მწამს, ყოველი მათგანის სიტყვა ჩემეულ აღქმას და შეფასებას დაადასტურებს, გადამწყვეტი სიტყვა ხომ მაინც მათ ეკუთვნით.

თამაზ კვაჭანტირაძე *(ლიტერატორი):*

„გუჩა კვარაცხელია პოეტია, ღვთით პოეტი...

ჯერ კიდევ ახალგაზრდა გუჩა კვარაცხელიაში ღვთით მომადლებული ჰარმონიის ნიჭი ასევე ღვთით მომადლებულ შრომის, ქმედების უნარს შეერწყა და მეტიც თითქოს არაფერი იყო საჭირო პოეტის, ღვთით პოეტის მოსავლინებლად.

არადა ყოფილა.

მარტო ნიჭისა და შრომისაგანაც კი პოეტი არ შედედდება; როგორც ყველს „მაჭიკი“, ცომს საფუარი, მასაც სჭირდება „მარილი ქვეყნისაჲ, რაჲთამე დაჲმარილოს“ და სახელი ამ „მარილისა“ — ტანჯვა.

გუჩა მეორე კურსზე გათხოვდა, თუმცა ძმაკაცებს საქმრო ადრევე წარმოგვიდგინა — **თენგიზ ომიაძე.**

ვერის ბაღთან ვცხოვრობდი, ჩვენი საკალათბურთო „მექის“ წინ და ეს ბიჭი კარგად მახსოვდა: ჭკვიანი იყო... ჯერ ხერხი ანუ ჭკუა იყო, მერე ღონე. მარტო მოედანზე არა — ცხოვრებაშიც. საერთოდაც კაცი, რაც ცხოვრებაში ვერ არის, ის ასპარეზზე ვერ იქნება. მაგრამ თენგიზ ომიაძე მარძიკიანი იყო არა საბასეული, არამედ ლეჩხუმური გაგებით: ხიფათა. გუჩას და თენგიზს ერთმანეთი სკოლის მერხიდან უყვარდათ, მერე გუჩა დაწერს:

ვერა, ვერაფრით ვიხსენებ დროს,
როცა ჩემთვის არ არსებობდი...
როდის არ მყავდი, არ მახსოვს ის დრო.

შემდეგ...

თენგიზმა კალათბურთს თავი დაანება და დიდებული სამთო ინჟინერი დადგა. წლების მანძილზე რაჭაში ირის გამამდიდრებელ ქარხანას მეთაურობდა; ერთმანეთის მიყოლებით გაჩნდნენ თათა, დარეჯანი, სალომე, გვანცა, შალვა... ბავშვები გუჩას თენგიზის სიყვარულში არ ჩაუზიარებია: როცა მეხუთე ნანატრი ვაჟი შალვა შეეძინა, სალაღობოდ ვკითხე — თენგიზი გადასწონის თუ შალვამეთქი; ძალიან სერიოზულად მიპასუხა — თენგიზი ხუთივეს ერთად გადასწონისო.

მარძიკიანი (ხიფათა) კაცის ამბავი მოგეხსენებათ...

1977-ში, ნაფეხბურთალზე, ქეიფის იშტაზე მოსული ძმაკაცები, თათარიახნი პურ-მარილით მეგობართან მივიდეთო, ამტყდარან... თენგიზს — სიურპრიზად — ცოცხალი მამალი უყიდია... შესულან ჭიშკარში, თენგიზს მამალი ხელში აუბათქუნდა და გაუფრინდა. გაფრენა ეგრე არ უნდაო, დააძრო ერთმა ნაგანი და მამალს დააყარა.. მერე ამბობდნენ, ტყვია მოაჯირმა აისხლიტაო... აისხლიტა-არ აისხლიტა — თენგიზი კი ამ ტყვიამ წელში გახვრიტა — ხერხემალში გაეჩხირა და ზურგის ტვინი დაუზიანა.

გაუკეთეს ოპერაცია ერთხელ, ორჯერ... ტყვია ამოუღეს, ნერვთა სადინარებიც თითქოს გაუხსნეს... ვინ არ მოიყვანეს, სად არ წაიყვანეს, ვის არ აჩვენეს, რა არ ასვეს და რა არ გაუკეთეს... საშველი არ ჩანდა — წელსქვევით მოწყდა, ლოგინად ჩავარდა, გაუსაძლისი ტკივილი კედლებზე გაიყვანდა, განძრევის თავი რომ ჰქონოდა; გახდა, დაილია, გამაყუჩებლები ვეღარ მოქმედებდნენ, იტანჯებოდა და მისმა წამებამ ჩვენც ლამის ჭკუიდან გადაგვიყვანა. ტვინი ბოლომდე სრულფასოვნად მუშაობდა, ბუნება, ხასიათი შეინარჩუნა — უბედურებას არ გაუბოროტებია, მაგრამ ტკივილმა შიგნიდან გამოღრღნა, გამოფქვა ეს დევივით ვაჟკაცი. აფუთფუთებულმა ნერვებმა ძვლებიც გამოუსვრიტეს. გალოპრილი ჩონჩხი და ამ ჩონჩხზე გადაკრული კანიღა დარჩა. საწოლზე გვერდს რომ უქცევდნენ, ნაღდად არ მეჩვენებოდა — ძვლების რაჩხუნი მესმოდა. მისი გადაბრუნება კი ცხრა წლის შალვასაც შეეძლო, გადაბრუნება კი არა, თუ დაანებებდნენ — ხელში აყვანა და სათამაშოსავით ტარებაც. შვიდ წელს ეწამა — სხვა რომ შვიდ დღეს, შვიდ საათს, შვიდ წუთს ვერ გაუძლებდა იმ წამებით, ცარიელი სუნთქვაღა დარჩა და

დამშვიდობების შეისუნთქე უსიტყვო კვნესა...
სამარადისოდ ჩამასახლე მდუმარეებაში,
შენი თვალების ქუთუთოთა მიღმა რომ დარჩა.

მაგრამ თენგიზის ტანჯვაც კი რა მოსატანია გუჩას ტანჯვასთან...

არ ითარგმნება სიზმრების სევდა,
და ის სიტყვები,
რომელთაც ძალუძთ გამოღეჭონ ბოლომდე გრძნობა,
არ ეპოვება...

გუჩას არავისთვის — თავის დისათვის, დედამისისათვისაც — არ დაუნახვებია, მთელი ამ შვიდი წლის განმავლობაში როგორ ნელ ცეცხლზე იწვოდა.

როგორც ნელ ცეცხლზე გამოიწვის მაიოლიკა,
მეც ისე ვიწვი,
მოჭიქული და მოხატული ჩემივე ცრემლით.

თენგიზის სიკვდილით მარტო ქმარი არ მოჰკვდომია — მეექვსე შვილი მოუკვდა, რომელსაც ზედ გადაჰყვა, გადაეგო და ფეხი კი ვერ აადგმევინა.

ცრემლი არც ჩემთვის დაუნახვებია, მაგრამ მე ახლაც ვხედავ ბალიშს კბილებით ჩაფრენილ ქალს... მესმის ცალად დარჩენილი ძუ მგლის უკან ჩაბრუნებული ყმუილი, ლეკვები რომ არ დააფეთოს.

როგორი შვებით
შენს მაგივრად
შენს სამარეს ამოვავსებდი.

თენგიზი წავიდა, მაგრამ გუჩა, თენგიზის მწიაღებელი, თენგიზს ინახავს, აცოცხლებს, ასხივებს:

მე შენ გირეკლავ, გამუდმებით გასხივებ ჩემგან.
ვერავინ ამჩნევს ამ ნათებას, ამიტომაც —
მხოლოდ ჩემია.
დაგინარჩუნე, ბოლოს მაინც დაგიმარტოვე.
ვეალერსები შენს ყრმობას,
ჩემში დატოვებულს სინათლესავით.

ზემოთ ვთქვი, პოეტი თავის წიაღში ამწიფებს წინამორბედთა ხმებს, სახეებს, ხილვებს-მეთქი. ოთარაანთ ქვრივის ერთი ფრაზა გაიხსენეთ — ქმრის, თევდორეს, დანატოვარი თოფის რიტუალური წმენდისას გულამომჯდარი ლოცვა-ტირილიდან ქვრივის ერთი ამონაკვნესი: „ვაი უშენოსა! ყვირილობის თვეში რომ ირემს მომაყენებდა ურმით! იმის ზარიანი ხმა რომ ყურს მომხვდებოდა, გული გადამიტრიალდებოდა სიხარულით. ახლა გუჩას მოუსმინე:

აღდგომა უნდათ შენს ნივთებსაც —
სანთებელას, საფერფლეს, საათს,
საგულდაგულოდ ბნელ უჯრებში გადამალულებს,
რომ თვალი უცებ არ მომიხვდეს;
დამცეცხლავია მათი ხილვა მოულოდნელი...
შენი არყოფნის მზარავს ელდა ისევ და ისევ,
თითქოს ყოველდღე და ყოველ წამს კვლავ მიკვდებოდე.

ისევ ოთარაანთ ქვრივს, ახლა უკვე თავისი გიორგის სიკვდილით თევდორეს მეორედ დამკარგავ ორგზის ქვრივს მიუგდეთ ყური შობის ღამეს: „ვინ მეძახის, ვინ — წადი, წადიო? რად მეწევა, რად? მოვდივარ, მო...“

ამ ხმას გუჩა გააგრძელებს, ქმრის ანუ მეექვსე შვილის ხმას მიყურადებული:

მომდგარა ღამე ფანჯარასთან შაოსანი მონაზონივით...
ცას აცახცახებს ვარსკვლავების ცივი ციმციმი.
მეძახდა ვინმე?
სადმე მიხმობენ?
მეწეოდნენ
აი, აქა ვარ,

მიუსვლელსა და მოუსვლელს შორის
ხიდზე ვდგავარ, არ მეშინია.
იქაურობის, რა ხანია, არ მეშინია.
იქ ხომ შენა ხარ, სანატრელო!
შენი იქ ყოფნით მიმსუბუქებ აქედან წასვლას.
მე ვდგავარ ხიდზე,
ვით მძევალი მარადისობის.

ესეც უნდა ითქვას: ნაღდ პოეტს ცხოვრებამ — ასე არ ხდება, თორემ — ცივი ნიავიც რომ არ მიაკაროს, სხვათა ტანჯვით ის მაინც ტანჯული იქნება. გუჩა კვარაცხელია, საკუთარი თუ სხვათა ტანჯვის ეს შემგროვებელი, ალქიმიკოსია, ტანჯვას რომ შვებად გადაადნობს... მკითხველის შვებად.

გუჩას, უბედურებით ბედნიერს, სახელშიც გაუმართლა: ლამის ერთადერთს ჰქვია... მე ვინ ვარ, მერმისის დაფნები ვარიგო — მარტო იშვიათი სახელის იმედადაც მტერი დარჩეს – მაგრამ, ვინ იცის, სამომავლოდ ამ სახელს, იქნება, გვარით შემაგრება აღარც დასჭირდეს“.

გურამ ბენაშვილი *(ლიტერატორი):*

„გუჩა კვარაცხელია, ჩემი რეფლექსის პროტაგონისტი...

ბრწყინვალე პოეტი და თვალსაჩინო ლინგვისტი, იგი კვლავ და კვლავ ერთგულია საკუთარი საკრალური მოწოდებების — პოეზიით აზროვნებისა და ცხოვრების...

მრავალწახნაგოვანია მისი გონება... მთელი არსებითაა „გამიჯნურებული“ წარსულთან თუ დღევანდელობასთან, ცხადდთან თუ იდუმალთან, მიწიერთან თუ ზეციერთან...

ელეგანტური და რაღაც მეტარომანტიკული მედიტაციებით, იგი თავისში აცოცხლებს წარსულისა და აწმყოს ფანტასმაგორიებს... არაბანალურსა და არასენტიმენტალურ გრძნობა-ემოციებს...

დინამიკური მხატვრული ლოგიკა, კრისტალური გემოვნება, ჩვილი გულწრფელობა, ამაყი ნება და ინტელიგენტური ხავერდოვნება — მისი პოეტური პერსონის ბუნებაა...

მისი „ჯიუტი“ ინდივიდუალობის წინაშე პრიორიტეტებს კარგავენ წარსულისა თუ დღევანდელობის ლიტერატურული „სამკაულები“... მან უკვე შეძლო მხოლოდ საკუთარი სიტყვებით „მოეხატა“ საკუთარივე პოეტური „ნიშა“, მხოლოდ მისგან შობილ ფიქრთა „მელოდიებით“ აღებეჭდა იგი...

მისთვის, თითქოს უკვე სულაც აღარ აქვს მნიშვნელობა იმას, უკეთესად ჟღერენ თუ არა აპრობირებული და ტრადიციად დამკვიდრებული პოეტიკითა თუ სემანტიკით მოდელირებული სხვათა და სხვათა ლექსები...

შემოქმედებითი პრინციპულობა და მხოლოდ საკუთარი „ლოგოსით“ მანიპულირება გუჩა კვარაცხელიას გამორჩეულ ღირსებად წარმომიდგენია...

ძალზედ ცოტანი არიან ამგვარად რჩეულნი და სხვა მრავალთა ხმაურიან „მიღწევებზე“ ამაღლებულნი...

შრომითა და ხასიათით ელეგანტური მისი არა ერთი ქმნილება, საკუთარისა თუ ზოგადად დროის სულიერ-ინტელექტუალურ ანარეკლებს წარმოადგენენ და ამ ნიშნითაც იძენენ უნიკალური ადამიანური დოკუმენტების მნიშვნელობას...

იგი ბოლომდე ერთგულია საკუთარი შემოქმედებითი იდეალების...

მან შესანიშნავად იცის თანამედროვეობის მაცდუნებელი ბუნებაცა და არსიც... იცის, როგორ „იმუქრება“ იგი ხმაური სლოგანებითა თუ ესთეტიკური მანიფესტაციებით...

მან ისიც კარგად იცის, რომ ნამდვილი ხელოვანი ამ გამაყრუებელი ხმაურისადმი ზედმეტად სერიოზული არ უნდა იყოს... რადგან უნდა ახსოვდეს, ისიც მხოლოდ ნაწილია თუნდაც სულიერი „დალტონიზმით“ აღბეჭდილი რეალობისა...

პოეტური სულის ძალუმი ინტენსივობა და ნატიფი ვიბრაცია, ბრწყინვალე მეტამორფულ აზროვნებასთან ერთად — გუჩა კვარაცხელიას – თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ სრულიად გამორჩეულ ფიგურად წარმოგვადგენინებს...

აღფრთოვანებით ვეგებები მის ყოველ ახალ პოეტურ გამობრწყინებას... მისივე „პიკანტური“ ილუსტრაციებით დამშვენებულ, ლირიკულ მედიტაციათა კრებულებს...“

* * *

ახლა კვლავ კრებულს დავუბრუნდეთ კრებულს, რომელიც სტრიქონების წაკითხვამდე თავისი გრაფიკით — მეტყველი ხაზით გვაზიარებს ავტორის მდიდარ სულიერ სამყაროს, მის „დინამიკურ ლოგიკას“, ანუ როგორც ბატონი გურამი ბრძანებს მის „კრისტალურ გემოვნებას, ჩვილ გულწრფელობას, ამაყ ნებას და ინტელიგენტურ ხავერდოვნებას“. რაკი წიგნის გრაფიკა მაინც სულ სხვა სფეროა კვლავ იბადება სურვილი სიტყვა დავუთმოთ მხატვარს.

გია ბუღაძე *(მხატვარი):*

„იშვიათად, მაგრამ მაინც ლიტერატორები თავისსავე ქმნილებათა საილუსტრაციოდ აკეთებენ ჩანახატებს და ერთგვარ მოსაკაზმ-მოსართავ ორნამენტებს, მაგრამ მაინც ყველაზე საინტერესო ამ მხრივ ილუსტრაციებია, უფრო სწორად, ერთგვარი ხილვად-პლასტიკური, წარმოსახვითი ტრანსფორმაციები, რომელნიც ტექსტის განსაკუთრებულ გაგრძელებად გვევლინება.

კულტურის და ხელოვნების ისტორიამ ასეთი რამ იცის. იგი საქართველოშიც გვხვდება. გუჩა კვარაცხელიას ჩანახატები აღწერით-განმარტებითი, გრაფიკული ოპუსებია, რომელიც მის ტექსტებს ერთვის. ისინი მართლაც ორგანულ მთლიანობას ქმნიან ტექსტსა და გამოსახულებას შორის. ეს არის ვიზუალურ-პლასტიკური სხარტულები, ნიშან-მითითებანი და სიმბოლოებიც კი.

განსაკუთრებით მომწონს მოქნილი ხაზი, მარტივი, მაგრამ ლაკონური და ძალზე სახასიათო მოტივები, რომლებიც ქალბატონმა გუჩა კვარაცხელიამ თავის ლექსებს დაურთო და ამით არაჩვეულებრივად გააფართოვა თვით ლიტერატურული ტექსტის ემოციური დიაპაზონი.

ეს ძალზე კარგი მიგნებაა და რაც მთავარია **სერიოზული, არტისტული ტალანტის გამოვლენა გახლავთ“.**

დიახ, არტისტული ტალანტის გამოვლინებაა გუჩა კვარაცხელიას როგორც პოეზია, ისე წიგნის მისეული გრაფიკა, მაგრამ ის პირველ რიგში მაინც წარმატებული, გამორჩეული ენათმეცნიერი, ჩინებული საზოგადო მოღვაწე და ქვეყნისთვის ხუთი შესანიშნავი შვილის, ხუთი მოქალაქის გამზრდელი დედაა.

მე ისღა დამრჩენია, ვუსურვო ჩვენს ქვეყანას, ემრავლოს ასე მრავალმხრივი ტალანტები.

გივი ალხაზიშვილი

ძიების და გარდასახვის პროცესი

კატო ჯავახიშვილის პოეტური თვითდაკვირვება

ანჟანბემანის ცოცხალი ჯაჭვი და პირობითი რითმებით "დამაგრებული" მუსიკალური პაუზები.

ეს სტრუქტურა ცნობილია და შესასრულებლად ძნელია იმდენად, რამდენადაც ავტორი სათქმელის, ემოციის უწყვეტობას მისდევს მანამ, სანამ საბოლოოდ ამოიწურებოდეს დინამიკა. ასეთ დროს ჭირს ფინალის მიგნება; ან ისეთი უნდა იყოს ფინალი – მდორე და გარდამავალი, თუ არადა არსებულ რიტმში უნდა მოიძიო მძლავრად ეფექტური დასასრული. ამას იმიტომ ვამბობ, რომ გაბმული ანჟანბემანი ქმნის ინერციას, რომელსაც არ უნდა, რომ განსრულდეს, მაგრამ დასრულება აუცილებელია, თუნდაც მოდუნებული ინერციის, მექანიკურში რომ გადავიდა, იმ ინერციის გამო, და ამიტომ გაჭიანურდა ფინალური აკორდი.

ამ ლექსებით ავტორმა გვაგრძნობინა შესაძლებლობათა მარაგი, პოტენციის ძალა, რომელიც ინერციის თამაშს ვერ ეჩვევა და კიდევ უფრო უნდა დაიხსნას თავი მსგავსი ინერციისგან. ეს ლექსები მისთვის აშკარად წინ გადადგმული ნაბიჯია.

ჩემთვის ლოგინი რომ გაეშალა
მოთიბა მთიბავმა ბალახი
ბალახი მოთიბა მთიბავმა
ციმ-ციმ ჩამოიტანა მთიდან.
დადგა მთიბავმა ზვინი,
შემომიკეცა საბანი გვერდულად –
მცივა.

ზოგიერთ ლექსში, მაგალითისათვის "მგზავრი", ჩნდება ნევროზული ინტონაცია, თვალწინ წარმოისახება მკვეთრი მოძრაობა:

„ხელს ვერ მიიტან თვალთან ახლოს",
ამოიკორტნო
და/გა/საქცევად
თითებს შორის გიჩნდება ლაქა,
როგორც ფურცელზე
ფიქრის ესკორტით გაცილება –
მელნის დაქცევა.

სათქმელი დაწვრილმანებულ აღწერაში იდღაბნება და იქმნება სიურეალისტური სურათი, რეალობას რომ წყდება თანდათან და ამავე დროს რეალობაშივე რჩება. მსგავსი გაორებული ხატწერა ქმნის ბუდოვანების ან იქნებ ორნაირად ხედვისა თუ კითხვის ილუზიას, როცა დაზუსტებით ვერ ხვდება მკითხველი, სად არის სიმართლე, თუმცა, "როგორც ფურცელზე ფიქრის ესკორტით გაცილება," რომელიც თურმე მელნის დაქცევაა" და სხვა არაფერი.

"ხელს ვერ მიიტან თვალთან ახლოს, ამოიკორტნო"... და "ფიქრის ესკორტი" ერთმანეთს ექოსავით გამოიხმობენ, უნებლიეთ პოულობენ, როგორც არაზუსტი სარითმო წყვილები და – მათ შორის არსებული მანძილის მიუხედავად – ერთმანეთს ეხმიანებიან.

საერთოდ, კატო ჯავახიშვილის ლექსს ახასათებს აქცენტირებული სიმძაფრე და ხატწერის უჩვეულო სიჭარბე, ზოგჯერ დაწდობას და ნათელყოფას რომ მოითხოვს. თუმცა ასე დაჟინებითაც ვერ ვიტყვი ნათელყოფის აუცილებლობის შესახებ, რადგან ერგვარი ბურუსი და ბურუსში გამომკრთალი სილუეტები თუ კონტურები მისი სტილისტიკის ერთ-ერთი მთავარი თვისებაა და, რაც უნდა გაგიკვირდეთ, სწორედ ასეთი, თავისებური სიურიალისტური სინამდვილე ასაზრდოებს განწირულობის ინტონაციას, ზოგჯერ ხელშესახები და მკაფიო სახეებით რომ ამოითქმის.

აქედანვე ჩანს, რომ ავტორი გააგრძელებს სტილისტურ ძიებებს და კიდევ უფრო დახვეწავს.

მხატვრული აზროვნების თავისებური ეკლექტიკა რეალისტური და სიურეალისტურ ენათა შერევა თუ შეზავება აშკარად გამოკვეთს სათქმელის სტილიზებულად გადმოცემის, მოწოდების აუცილებლობას, რაც მისი შინაგანი სამყაროს ექოა.

მტვრის ნამცეცები თესლად ყარეს დედამიწაზე.
ქალი თესავდა, კაცი მკიდა თავის მოსავალს.
გამოცლილ ნეკნზე გათენება, როგორც ფიწალზე
იდო და ღამე გრავიურის ჭრილად მოჩანდა.

/აქაც პირობითი სარითმო წყვილი "მოჩანდა" და "მოსავალს"…/

მიკიოტები მოგკივიან ვერავინ გხედავს.
მაღალ ხეებში ისე ჩნდები
ზურგიდან მოგდევს შენი წარსული –
სიტყვა – რეფრენად.
შენს ფოთლებს ქარი მიაქანებს დაკოპლილ გზებზე
გადასაფენად.

ისევ გავამახვილებ ყურადღებას პირობით, არაკლასიკურ რითმაზე / რეფრენად — გადასაფრენად/, რომელიც ჩნდება სრულიად მოულოდნელად, უძებნელად, უნებლიეთ, როგორც შემთხვევითი აკორდი.

ნაგულისხმევის ისევ გულისხმად დატოვება ავტორის თვისებაა, იგი ზედმეტად ენდობა მკითხველის ამოცნობის უნარს. ზოგჯერ მისი სახეები აშკარად სიურეალისტური ბუნებისაა, როცა მხატვრული ლოგიკის ალბათობა საძებნია და მისაგნები. სამაგალითოდ მოვიხმობ ერთ სახეს:

გამოცლილ ნეკნზე გათენება, როგორც ფიწალზე
იდო და ღამე გრავიურის ჭრილად მოჩანდა.

ბუნდოვანება აქ პიკს აღწევს და ავტორი მიიჩნევს, რომ მკითხველმა ისე წარმოიდგინოს ეს მხატვრული სახე, როგორც უნდა. გასაგებია მინიშნება: "გამოცლილ ნეკნზე, როგორც ფიწალზე იდო" და ღამე...

გამოცლილი ნეკნი/როგორც ფიწალი/, გათენება როგორც ფიწალზე/ნეკნზე/ და ღამე – გრავიურის ჭრილი... ეს ბუნდოვანებაც ერთი შეხედვით არის დაფარული, რადგან სიმბოლოები გასაღებებივით აწყვია იქვე. ე.ი. ჩვენ აქ საქმე გვაქვს მოჩვენებით ბუნდოვანებასთან, რადგან კონტურები, როგორც ჩრდილების თეატრში, თითქმის ყველაფერს ამბობენ.

კატო ჯავახიშვილი

იქ, სადაც ავტორი ტოვებს საზრისის ფარგლებს და ხელოვნურად თამაშობს ბუნდოვანებით, ალბათ, თანდათან გამქრქალდება ეს ტენდენცია და დროთა განმავლობაში სახეცვლილი მოგვევლინება, რადგან საამისო მაგალითი არაერთია კატო ჯავახიშვილის შემოქმედებაში და მსგავსი ტენდენციებიც თვალწინაა.

სიტყვის სასულეს გადაცდენა-ერთხელ გახვიდე
გზააბნეული ფრაზიდან და ვერაფრით გაშრე.
გამცვდარ ღიმილზე- თაბაშირის სქელი გრიმასი.
ალილუია!...სიბნელეა. ის ლოცვა გახსოვს?!

ამ ლექსში სრულად ჩანს პოეტის სულიერი სწრფვა, ენერგიული დინამიკა და თითქოს წყვეტილი სახეები, ერთმანეთს რომ ავსებენ და ამჟღავნებენ დაფარულ ტრაგიზმს. ამ სტროფის პირველ ორ სტრიქონში აშკარაა გრამატოლოგიური წათამაშება — "გზააბნეული ფრაზიდან" გასვლა, ხოლო მანამდე "სიტყვის სასულეს გადაცდენა", განცდის ასეთი აქცენტირება ახასიათებს კატო ჯავახიშვილს. "გამცვდარ ღიმილზე – თაბაშირის სქელი გრიმასი" და ა. შ. ერთ სტროფში თავმოყრილია რამდენიმე მეტაფორა, რომლებიც ერთმანეთს აგრძელებენ მხატვრული ლოგიკით და არ აუქმებენ, რაც ხდება ხოლმე უფუნქციო მეტაფორებით თვითმიზნური წათამაშებისას.

და იყო ასე. რაღაც ერქვა. გრძნობა. ან ჩვევა.
ერთმანეთს ვშლიდით. დრო გაგვყავდა. ორნი.
ვისხედით.
ზამთარი კაბას იხდიდა და ძირს ეგდო ჩვრები.
შეკითხვებს არ ვართ. არც პასუხებს. მხოლოდ ნაჯერი
სითხეა ცრემლი. რამდენჯერაც დაარტყამს გული,
წუთში იმდენი სიყალბეა.

გიხსნი. მიჯერებ.
ისარი ორჯერ გადაკვეთავს დღე-ღამის ღერძს და
სხვადასხვა დროში გადაგვაგდებს ისევ. ორჯერვე...

განსაკუთრებული სიფაქიზითაა გამსჭვალული შვილისადმი მიძღვნილი ლექსი, თუმცა აქაც, მიუხედავად დედაშვილური სიყვარულისა, მჟღავნდება შიში – რაღაცისა თუ ვიღაცის, ალბათ სულაც ბედისწერის, და ავტორი ჩვეულ, დაძაბულ სიტყვიერ სინამდვილეში აღმოჩნდება, სადაც საათის ისრების მოძრაობა, ორჯერ რომ გადაკვეთს დღე-ღამეს, რაღაც საბედისწეროზე მიგვანიშნებს, რასაც სხვები ხედავენ როგორც ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მოვლენას. სიმძაფრე შეინიშნება თითქმის ყველა ფრაზაში და სიმძაფრე ასაზრდოებს მის პოეზიას, რაც არცთუ იშვიათად სოლიპსისტურ გარემოს ქმნის და გარკვეულწილად, ზოგჯერ, ერთფეროვნების ნიშნებს ატარებს, რაც იოლი დასაძლევია და აუცილებელია.

სასოწარკვეთის ექოებით და ხატებით, სიკვდილთან ლამის მთელი არსებით მიახლოებით და ამ უკიდურესი განცდის გამხელით აღსავსეა მისი შემოქმედება.

ასეთია კატო ჯავახიშვილის სამყარო, რომელიც აშკარად თხოულობს გარდასახვას, სიღრმეში ჩაყვინთვას, რადგან მისი ლექსების ერთი ნაწილი სინამდვილეში შიშის დაძლევა და სიცოცხლის მონატრებაა. ამ მძაფრი და მოჯანყე სტრიქონებში გასუსულა ავტორის მეორე მე, რომელიც ცდილობს "გათავისუფლდეს" იმ ხილვებისგან, რომლებიც მოსვენებას არ აძლევენ. ამდენად, როგორც იკვეთება, პოეზია არის მისი სასიცოცხლო სივრცე.

უცნაურია აგრეთვე ერთი შეგრძნება, როცა ამ ლექსებს კითხულობს კაცი, შეუძლებელია არ დაასკვნას, რომ ეს გახლავთ სიმდედრით გაჯერებული ხილვები და მოტივები, ტონალობები და შეგრძნებები, ასე რომ ზემოქმედებს მკითხველზე, მაგრამ ეს ეფექტიც მისი პოეზიით მიიღწევა და არა ცრუ თამაშებით, და ეს უაღრესად მნიშვნელოვანია.

ვხედავ, რომ იგი ვითარდება და იზრდება, მუდმივ ძიებაშია და თემატურად და სტილისტურადაც სახეს იცვლის.

ყოველი წიგნი ნაბიჯია მომავალ წიგნამდე ანუ ნაწილია იმ მთავარი წიგნისა, რომელსაც ავტორი ქმნის მთელი სიცოცხლის მანძილზე.

თვალი მივადევნოთ ახალგაზრდა პოეტს, მისი სულის მოძრაობას, გარდასახვის მტკივნეულ პროცესს, რომელსაც აშკარად ვამჩნევ და იმედით შევყურებ.

და არა მარტო მე.

გამარჯობათ, ბატონო როსტომ!

რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები, რომ სულისშემხუთველ ქართულ მედია-სივრცეში თქვენი ჟურნალი სუფთა ჰაერივითაა.

კიდევ სხვა ასოციაციაც მიჩნდება, თითქოს ქართული ნაგაზია, მტრებს რომ უყეფს და მოყვარეს ეფერება.

ცოტა ხანიც და მე, თბილისში ჩამოსულს, როგორც ყოველთვის, დასტად დამხვდება მაგიდაზე ახალი ნომრები. კარგა ხანს მეყოფა სასიამოვნო საკითხავად და სულის საზრდოდაც გამყვება უკან დაბრუნებისას.

გავიგე, ახალი წიგნებიც გამოგიციათ. მე რომ ვინმე რამეს მეკითხებოდეს, თქვენს რომანებს ქართველ მწერლებზე სკოლის მოსწავლეთათვის (უფროსებმა თვითონ მიხედონ თავს) აუცილებლად წასაკითხი წიგნების ნუსხაში ჩავრთავდი.

მენატრება თქვენი სამშაბათობანი. მენატრებით ყველანი, საერთოდ მთელი რედაქცია, თავისი ატმოსფეროთი.

გიგზავნით ესსებს: "სინემაზე"(უფრო დავხვეწე შარშანდელთან შედარებით) და კიდევ ერთ ფილმზე. ბოლოს ფსევდონიმით ტანკებია ომზე. არა აქვს მნიშვნელობა, დაბეჭდავთ თუ არა. ჩემი თქვენდამი დამოკიდებულება ამით არ შეიცვლება.

მარად თქვენი

ლია(ნა) ელიავა

ზოგიერთი ცნობა

ქართველი ახალგაზრდობა საერთოდ არ მიცნობს. ამიტომ მინდა, ვიდრე ამ ნაწერს წაიკითხავდნენ, გავაგებინო, ვინ ვარ, რას წარმოვადგენ, საიდან მოვდივარ.

დავიბადე კოლხეთში, გავიზარდე თბილისში. აქვე დავამთავრე სკოლა, სახელმწიფო უნივერსიტეტი (ივანე ჯავახიშვილმა რომ დაარსა), შემდეგ იყო მოსკოვის კინოინსტიტუტი, ეგრეთწოდებული "ვგიკ"-ი.

პირველი პროფესიით გახლავართ ქართველი ფილოლოგი (კავკასოლოგი). ქართველურ ენებს (კავკასიურებსაც) მასწავლიდნენ აკადემიკოსები: აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ქეთევან ლომთათიძე და სხვ.

რეჟისორის პროფესიას ვეუფლებოდი მიხეილ რომის სახელოსნოში, პრაქტიკას გავდიოდი თენგიზ აბულაძესთან.

ორივე სასწავლებელი წარჩინებით დავამთავრე.

გარკვეული პერიოდი ვიმყოფებოდი მოსკოვში.

ამჟამად მეუღლესთან, პოეტ და მთარგმნელ — რობერტ ვინონენთან ერთად, ვცხოვრობ ჰელსინკში.

ვარ ორი სრულმეტრაჟიანი და ოთხი მოკლემეტრაჟიანი ქართული მხატვრული ფილმის რეჟისორი, ზოგან — სცენარის ავტორიც.

სხვადასხვა დროს თბილისში ქართულ ენაზე გამოიცა ჩემი ოთხი პროზაულ-პოეტური კრებული.

ლექსები ითარგმნა ფინურ, შვედურ ენებზე. ვითვლები ფინური პენკლუბის წევრად. საქართველოს მოქალაქეობა არსად დამითმია.

ლიანა ელიავა

კაცია და გუნება

ნამდვილად ვერ ვიტყვი, ჩემი პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმის — "ბზიანეთი" – გზა ფიანდაზით იყო მოფენილი-მეთქი. მასზე მოგონებანი, ზღაპრულად მოულოდნელ და ბედნიერ დასასრულთა გამო, მაინც სასიამოვნოდ ჩამრჩა მეხსიერებაში.

მოსკოვში სწავლისას ცნობილი მწერლის რეზო ჭეიშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით შეიქმნა სცენარი. რამდენი წინაღობა როგორ გადაილახა მის დასამტკიცებლად, ერთხელ უკვე ვისაუბრე ტელეფილმების სტუდიის საიუბილეო გამოცემაში გამოქვეყნებულ სტატიაში: "რაც დავიწყებით არ იბინდება". იგი ერთდროულად იყო მოსკოვის კინოინსტიტუტის საკურსო ნამუშევარიც და საქართველოს ტელეფილმების სტუდიის საგეგმო ერთეულიც. ახლა უფრო დაწვრილებით მინდა გიამბოთ თვითონ ფილმზე, რასაც მაშინ მხოლოდ გაკვრით შევეხე.

დამთავრდა გადაღებები, დავამონტაჟეთ და ქართულად გავახმოვანეთ არჩეული მასალა. მუშაობისას რადგან თავი არ დამიზოგავს, ვალმოხდილი ადამიანის სიმშვიდით წარვუდგინე ქართული ვარიანტი ორ ფირზე (გამოსახულება და ხმა) ტელეფილმების სამხატვრო საბჭოს განსასჯელად. საბჭოს წევრები, ორიოდე არაპროფესიონალი ქალბატონის გარდა, ძირითადად ჩემი თაობის „ვგიკ"დამთავრებულები იყვნენ. ხელმძღვანელი გახლდათ ჩვენზე უფროსი და ახალგაზრდების დიდი მოამაგე, ცნობილი რეჟისორი. თურმე ტყუილა ხარ არხეინად! ქალბატონების უსაგნო მიდებ-მოდებაზე გართულება არ მქონია. მხოლოდ ჩემიანების ხისტმა გამოსვლებმა დამწყვიტა გული.

ადგა ერთ-ერთი და განაცხადა, გმირები კარიკატურულად მახინჯები არიანო, და მსახიობების არჩევანი დამიწუნა (შემდგომ ამ არჩევანს ყველა დამსახურებად მითვლიდა). მეორემ მითხრა, არ გამოგივიდა სიმღერის კულმინაცია, თითქოს თეთრად შეღებილ კედელზე გყავს მსახიობები მიყენებულიო. არადა, ეს ჩვენი ჩანაფიქრი იყო, საერთოდ ჩამოვხსენით კედლებიდან ყველა აფიშა, რათა გმირების სახის გამომეტყველებისა და მათი სიმღერის აღქმისთვის არაფერს შეეშალა ხელი. მესამე გამომსვლელი გონებისმიერი ადამიანი გახლდათ და ეგრევე შეუდგა ტვინის ჭყლეტას, რომ როგორმე გადაერჩინა ჩემი ფილმი. ყველაზე მეტად ამან დამამცირა. ხელოვნებაში ჩემი ჩავარდნა მირჩევნია, სხვის მიერ გადარჩენას. გამომსვლელებს დაეთანხმა სამხატვრო საბჭოს ხელმძღვანელიც, შემოიწყო თავზე ხელები და კარგა ხანს იჯდა ღრმად ჩაფიქრებული (აქედან დამებედა ყველა ჩემი გადაღებული მასალის ამგვარი აღქმა). არ ვიცი, რანაირად მოვახერხე, მაგრამ ბოლომდე ხმა არ ამომიღია. არც ის მახსოვს, როგორ დამთავრდა სხდომა. იმ საღამოსვე ჩავალაგე ასევე ორ ფირზე არსებული რუსული ვარიანტი იაუფში (ფირის კოლოფების ჩასაწყობია) და მეორე დღესვე გავფრინდი მოსკოვში. მართალია, თბილისში ჩემი მუდმივი დამხვედრ-გამცილებელი — უმცროსი ძმა შემეხიდა, მაგრამ მოსკოვში თვითონ ვათრიე საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ცალ ხელში ოცკილოგრამიანი ტვირთი, მეორეში — ჩემოდანი!

პირადად მე ფილმის ავ-კარგი ისე არ მაღელვებდა, როგორც უსახსრობის გამო, რუსული ვარიანტის შესაქმნელად მოგონილი, იმ დროისათვის ექსპერიმენტული გამოსავალი. არ ვიცოდი, როგორ აღიქვამდა რუსული სმენა ქართულად გახმოვანებულ ფილმს რუსული ავტორის ტექსტით. დაწერა მაშინ აღმავლობის გზას შემდგარმა რეზო გაბრიაძემ. ქართული იუმორით გაჯერებულმა რუსულმა ტექსტმა ნაწარმოები კიდევ უფრო გაამდიდრა. ინტონაციურად ზუსტად შეერწყა

ფილმს გოგი გეგეჭკორის განუმეორებელი ხმის ტემბრიც (მერე ბევრმა მიბაძა მას უშედეგოდ).

მოსკოვში მიხაილ რომის ასისტენტები, ასაკოვანი ქალი და კაცი, მოულოდნელად ამ ხერხს კი არა, გაბრიაძის რუსულ საავტორო ტექსტს აუმხედრდნენ. ქალი ლიტერატურულად გამართვასა და ახალი ვარიანტის ჩაწერას ითხოვდა, კაცი უხმოდ უკრავდა თავს. ბოლოს კაცს დაევალა, ქალის მიერ ქაღალდზე ჩამოწერილ მითითებათა შესაბამისად ტექსტის გადმორუსულება. ამ საქმის თავმოსაბმელად, მთელი კვირა დავდიოდი მასთან შინ, რადგანაც ავადმყოფობდა. ქალი განუწყვეტლივ ურეკავდა ტელეფონზე, ამოწმებდა, როგორ მიდის საქმეო. თავისი ჭკუით აშალაშინებდნენ ტექსტს. სხვათაშორის, მაშინ აღმოვაჩინე, რომ ეს ავადმყოფი კაცი, რომლის შუშის თვალებმაც სიცოცხლე გამიმწარა მისაღებ გამოცდებზე, თურმე ყრუა, საერთოდ არ ესმის არაფერი. ტექსტის დადგენის პროცესში მე, როგორც არარუსი, მხოლოდ მოწმის როლს ვასრულებდი. ბოლოს ეს გამოშიგნული ტექსტი კაცმა დაბოხებული ხმით წაუკითხა ქალს ტელეფონში. ვუსმენდი და ვგრძნობდი, რომ ყველაფერი დაიკარგა: იუმორი, ლირიკული ინტონაცია. აქედანაც უსიტყვოდ გავიძურწე და დავბრუნდი ჩემს ძველ ოთახში, სტუდენტობისას რომ ვქირაობდი. ტექსტი ახლა თვითონ გადავიკითხე და მივხვდი, ვიღუპებოდი. უკვე ყელში ამომივიდნენ სხვადასხვა ჯურის მრჩევლები. ცხოვრების წესად მაქვს რუსთაველის სიბრძნე: ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რა გინდ რა ვინ გივაზიროს. რომიც ამასვე გვინერგავდა. ყური არ ვათხოვე ასისენტების რჩევა-დარიგებებს ტექსტის ფირზე თავიდან ჩაწერის თაობაზე და დავურეკე პირდაპირ ოსტატს — მიხაილ რომს. ასისსტენტებს ხომ არ დავასმენდი, თვითონ დავიბრალე: თავგზა ამებნა და მინდა ფილმი გაჩვენოთ, თქვენი რჩევა მჭირდება-მეთქი.

ლიანა ელიავა

თეორიული კურსი უკვე დამთავრებული გვქონდა და რომი მხოლოდ საჭიროებისამებრ ცხადდებოდა ინსტიტუტში. მეორე დღესვე მოვიდა, ასისტენტებიც თან მოიყოლა. ეტყობოდა, მათ წინასწარ არაფერი ეთქვათ. ელოდებოდნენ, რას იტყოდა მაესტრო. ყველამ ერთად ვნახეთ ფილმი.

რომი უბრალო და ემოციური კაცი იყო. ხშირად იცინოდა ფილმის ყურებისას. რომ დამთავრდა, მომიტრიალდა და რაღაც ამდაგვარი მკითხა: რისი გაფუჭება გინდოდა ამ მშვენიერ ფილმში? კრინტი არ დამიძრავს, ასისტენტებიც გაიტრუნნენ. რომი ბოლოს მათ მიუტრიალდა: ხომ შეგვიძლია საკურსო ნამუშევარი სადიპლომოდ გავუშვათ?

— თქვენი ნებაა, — არ შეპასუხებიან ისინი.

ეს მეორედ გადაურჩა ჩემი ნაფერებ-ნალოლიავები ფილმი უცხოთა უხეშ შეხებას.

იმ ხანებში ახალდაარსებულმა ტელეფილმების სტუდიამ თავმოსაწონებლად გადაწყვიტა, თავისი პირველი ნამუშევრების გატანა საკავშირო ასპარეზზე. რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმისგან შეიკრა პროგრამა და მონაწილე ფილმთა რეჟისორებთან ერთად გაიგზავნა მოსკოვში. ფილმების ჩამონათვალი ასეთი იყო: იწყებოდა მხატვრულებით, აწ განსვენებული ქართლოს ხოტივარის "სერენადა", ირაკლი კვირიკაძის "ქვევრი", ლიანა ელიავას "ბზიანეთი" (რუსულად — "Судьбкрг ьрз"), დოკუმენტურები: ლერი სიხარულიძისა და გელა კანდელაკის "ფეხბურთი უბურთოდ", რამაზ (ბუბა) ხოტივარის "დარიალის ჩანახატები", ბიძინა რაჭველიშვილის "ხაბაზები".

მოსკოვის კინოსახლში შედგა პრემიერა. ფილმების ჩვენების შემდეგ ჩემთან მოვიდა მაშინ მხოლოდ ჩვენი ნაცნობი, ამჟამად საქვეყნოდ ცნობილი რეჟისორი — სერგეი სოლოვიოვი და მითხრა, შენი ფილმი ყველაზე მეტად მომეწონაო.

ამ უმნიშვნელო დეტალის გახსენება არც კი ღირდა, ერთი შემთხვევა რომ არა. საღამოს დასასრულს შედგა ფილმების განხილვა. ყველანი ხოტბას გვასხამდნენ. მხოლოდ ჩვენებური — მარლენ ხუციევის გამოსვლა აღმოჩნდა ამოვარდნილი ამ საერთო ანსამბლიდან. ქართული სამხატვრო საბჭოს გამოძახილად ჩამესმა მისი სიტყვები: პროგრამაში ერთადერთი სუსტი ფილმი "ბზიანეთიაო". ამის თქმა და მყისვე წამოდგა ასევე ცნობილი რუსი კინოდოკუმენტალისტი (სამწუხაროდ, პირადად არ ვიცნობდი, გვარი არ მახსოვს) და საზოგადოებას მოახსენა, სულ რაღაც ნახევარი საათის წინ "ვგიკის" ახალგაზრდულ ფესტივალზე ფილმი "I?ნეიე ოი?" ("ბზიანეთი") დაჯილდოდა პრიზით საუკეთესო რეჟისურისთვისო. მეტი არასდროს მღირსებია ასეთი მოულოდნელი და მყისიერი აღდგინება.

მოულოდნელი იმიტომ, რომ არც კი ვიცოდი, რომ ჩემი ფილმი ფესტივალზეა წარდგენილი. მიხაილ რომის წყალობით თანაკურსელებზე ადრე დავამთავრე სწავლა, დიპლომის დაცვაღა მრჩებოდა. მოსკოვში ხომ არ ვიყურყუტებდი, თბილისში წავედი და იქ ველოდებოდი, როდის დამინიშნავდნენ დაცვის დღეს. ამასობაში ჩატარებულა თურმე ვგიკის ფესტივალი. ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა, როცა მე ფესტივალის ჯილდოს თბილისიდან დაბრუნებულს მახვედრებდნენ ინსტიტუტში. ამას სამაგალითოდ ვყვები.

ჩემდა გასახარად, მოსკოვში ყოფნას დაემთხვა ვგიკის სახელმწიფო გამოცდაზე ჩემი დიპლომის დაცვა. ირაკლი კვირიკაძე ჩემზე ერთი კურსით წინ იყო. ვიღაცამ მოიფიქრა და მის დაცვას მიაბა ჩემიც. ირაკლის ოპონენტი გახლდათ მარლენ ხუციევი, რომელთანაც იგი საერთოდ მახლობლობდა. ბატონმა მარლენმა იმ დღეს მეორედაც

უყურა ჩემს ფილმს. ბოლოს მოვიდა და დიდი ბოდიში მომიხადა: იცით, ასეთი რამ ხდება ხოლმე, დღეს ძალიან მომეწონა თქვენი ფილმიო.

რატომღაც არ მინდოდა დიპლომზე ოპონენტად ქართველი მყოლოდა. შემთხვევით ქართლოს ხოტივარმა მითხრა, ელდარ რიაზანოვს ისე მოსწონს შენი ფილმი, მისი ქებით ტვინი წასჭამა ყველასო. ამის გამგონე გავთამამდი და მყისვე დავურეკე სრულიად უცნობ ელდარ რიაზანოვს. კაცი თვალითაც არ მენახა და ოპონენტობა ვთხოვე. სიამოვნებით დამთანხმდა. ფილმის შესაფასებლად თავის საქებარ სიტყვებს უილიამ ბლეიკის შესანიშნავი სტროფებიც მიაშველა. ამ რეცენზიამ არამარტო წამით გამინათა ბინდისფერი წუთისოფელი, ჩემი რეჟისორობის საძირკველშიც დადო მყარი ქვა. რიაზანოვის ნაფიქრ-ნააზრევი ჩემს ფილმზე მხოლოდ ამ ბოლო დროს გამოვამზეურე და დავბეჭდე – ზემოთ ნახსენებ სტატიასთან ერთად – ტელეფილმების სტუდიის საიუბილეო კრებულში.

ჩვენს მოსკოვურ პროგრამაზე რუსულ პრესაში, მთავარი გაზეთის "პრავდას" მეთაურობით, არ დაუშურებიათ არავითარი ეპითეტები: პატარა შედევრები, მარგალიტები. ჩემი ფილმი არათუ არსად გამორჩენია ვინმეს, პირიქით, ზოგჯერ მისით იწყებდნენ თხრობას, ან მის შინაარსს ეყრდნობოდა წერილის სათაური. ჩვენს პროგრამას დიდი გამოხმაურება ჰქონდა საზოგადოებაში, საელჩოებშიც კი გვიწვევდნენ ფილმების საჩვენებლად. მრავალმა ქვეყანამ შეიძინა. ერთ-ერთი იმდროინდელი თაყვანისმცემელი, მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი, ამჟამად რუსეთიდან რეპატრირებული ფინელი ქალბატონი — ელვირა კიურუ მრავალი წლის შემდეგ ჰელსინკში გამომეცნაურა. ყველა ეს ფილმი, "ბზიანეთის" გარდა, გაიგზავნა საერთაშორისო ფესტივალებზე. ასევე, მხოლოდ ჩემი გამოკლებით, მიიღეს ჩემმა თანაგუნდელებმა წოდებები, კომკავშირის პრემია (იამაყონ ახლა!).

ყოველივე ამისთვის მაშინ არ მიმინიჭებია მნიშვნელობა. ჯერ კიდევ კინოინსტიტუტთან მიბმულს, პირველი ფილმის წარმატებით თავბრუდახვეულს, მეგონა, დიდი და გრძელი შემოქმედებითი გზა მელოდა კინოში. არ ვფიქრობდი, რომ ია-ვარდით მოფენილი იქნებოდა, მაგრამ არც ასე მოკლე და ეკლიანი წარმომედგინა.

ჰელსინკი

ვაჟა ხორნაული

„უსასრულობა ეძებს ნაპირებს“

ბავშვობიდანვე იგემა წუთისოფლის სიავე. ძნელი სათქმელია, როგორ წარიმართებოდა მისი ცხოვრება, ოცდათხუთმეტი წლით უფროს ძმას რომ არ შეეფარებინა დასნეულებულ მამასთან (ალიათ უნცრუა) ერთად. მერე დედამ (უკრაინელმა ქალმა) წაიყვანა ხევსური ყმაწვილი, მაგრამ ვერ შეეგუა უკრაინასა თუ რუსულ სწავლას და თბილისში დასახლებულ ძმასთან – გაბრიელ ჯაბუშანურთან – დაბრუნდა.

დედის გული უხმობდა შორიდან და ისევ უკრაინაში აღმოჩნდა, „რის გამოც გაბრიელის მწვავე გულისწყრომა დაიმსახურა... ხუთი წელი დაჰყო ქვეყანაში, სადაც „ასულებს მხრებზე დაჰფენოდათ მწიფე ყანები“ (ჭაბუკური სიყვარულის პერიოდმა სასურველი „სახადის“ წარუშლელი კვალი აღიბეჭდა მის პოეზიაში: „ჩემს გრძელ ზამთარში მუდამ მათბობდა მწვანე ზაფხული შენი თვალების...“ „შენ კი ვერაფრით ვერ გაგიხსენე, რადგან წუთითაც არ მავიწყდები“). ახლა ნანობს, რომ განვლილი დროის დიდი ნაწილი უქმად და უგეზოდ დაკარგა“ (ამირან არაბული).

გულმართალი ადამიანისათვის სინანული უცხო არაა – ისაა მისი მეგზური და გადამრჩენელი.

ამჟამად უკვე არხოტში მცხოვრები გელა ჯაბუშანურის თავგადასავალი და პოეზია ნათელი მაგალითია იმისა, რომ „ბოლოჟამ დანანებაც“ კარგი ნაყოფის გამომღებია. არათუ ათეული წლები, ზოგჯერ ერთი დღეც საკმარისია ლამაზი, მრავალთათვის დასამახსოვრებელი საქმის მოსასწრებად, და მანაც მოასწრო პოეზიის მარადიული ბაღიდან განძის გამოტანა – ესაა მისი ლექსების კრებული „დაკარგული სიზმარი“ („ბასიანი“, 2009, რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი ამირან არაბული).

* * *

დიდი ტკივილებით გატანჯული პატარა ქვეყნის შვილობა უმძიმესი და უმშვენიერესი ტვირთია.

ნაქარგის მეორე მხარეს დამსგავსებია საქართველო, წაშლილან გზები, ბევრი სოფელი გათითოსახლებულა, შამბში წინაპრის გულივით სევდიანად ფეთქავენ სამარის ქვები, ერთნაირად ნაღვლიანია მდინარის ხმა, ქედნის ღუღუნი თუ მიტოვებული კოშკების სიჩუმე – ეს არის ტრაგედია, რომლის გამოძახილიც იშვიათად როდი მოისმის გელა ჯაბუშანურის კრებულიდან:

კლდეს მიჯაჭვული გვყავს ამირანი
და უმახვილო თემიდა გოდებს,
წყაროს პატრონობს დევი – ტირანი,
იმრავლებს ოქრო-ვერცხლსა და ცოდვებს.

შიშის სარეველა ამოზრდილა სიმშვიდის ნანგრევებზე, წყაროსთან ხელადიანი ქალების ნაცვლად ჯაგები მოსულან, „წინწყაროს“ პატრონი რეპითაა გაბრუებული. მხოლოდ ერთეულები თუ ხედავენ, რომ „სახლის ნაცვლად შეგვრჩა ფარდული“; რომ მტერი დამარცხებას კი არა, წაშლასა და გაქრობას გიპირებს:



დარდი იზრდება, დარდი დიდია,
სამშობლოს ბედი ბეწვზე ჰკიდია,
ქართული ცულით ქართულ ხეს ჭრიან,
მის ჩრდილს კი, ალბათ,
ხვალ გაყიდიან.

მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც სასიკვდილოდ განწირულ ლუხუმს უნასი მკურნალობს; სადაც დაცემულ-დამცირებულ-გადათელილი თეიმურაზ ხევისთავის სუსტი მხარ-მკლავები გაუტეხელ ხერხემალზეა ჩამოკიდებული – იქ იმედი ყოველთვის არსებობს – თუნდაც მხოლოდ ღვთისა – და აღარ გიკვირს, რომ მოყვასი ასე გამხნევებს:

ლაშარის გორზე ლუხუმი ავა,
ვიცი სისხლისგან არ დაიცლება.
მამულო, გული შენით მაქვს ავად,
თუ განიკურნა, – გარდაიცვლება.

ბუნებრივია, რომ გელა ჯაბუშანურის წიგნში უბრალო და მკვეთრი ფერებითაა ასახული ის ავბედითი დრო, როდესაც სატანური ძალების მიერ ხევსურეთის დაქცევა დაიწყო: „მერე აგვყარეს მწირი ბარგებით, გვერგო სხვისი გზა, კლაკნილი, შორი. ჩვენ მივდიოდით ზარის ჰანგებით, დაკარგულ ჩრდილს კი უხმობდა წნორი. ქედს იქით დაგვრჩა მთვარე გამწყრალი, იმ წნორის სევდა და გაოცება... ველური ვარდის სურნელით მთვრალი მიბარბაცებდა უკან ოცნება“.

საუკუნეებს მოჰყვება სალექსო ფორმების შეჯიბრი – ზოგჯერ აზარტული, დაუოკებელი, ზოგჯერ მშვიდი პაექრობებით აღბეჭდილი – და ამ დროს თავისთვის ლაღად და ბუნებრივად მოედინება (ისიც საუკუნეების გამოვლით) რვამარცვლოვანი სასწაული – მარად ძველი და მარად ახალი. ამ სასწაულის გარეშე ფშავ-ხევსურეთი ცარიელ სკას დაემსგავსებოდა.

„დაკარგული სიზმარი“ რომ ერთფეროვნებისა და ხელოვნურობისაგან შორსაა, ეს ხალხური პოეზიის ხიბლითაცაა განპირობებული:

მთებს ისევ მკერდზე აყრია
მათი ძახილის ექონი,
ველარსად ნახავ მაყრიონს,
აღარც დევების ფეხონი,
ბალახში იმალებიან
ბილიკნი საცალფეხონი.
ნეტავ ასე რად დავემხეთ,
სად გაგვიფრინდა ქედანი,
აღარსად მოყმე და ვეფხი,
აღარსად მათნი დედანი,
უწევს ღირსებით მორთული
არხოტს არხოტის ცხედარი,
ასა კი ყეფით გართული
მირბის, მიხტის და მხნედ არი.
ქვითკირის კუთხზე ჭოტი ზის,
ქედზე ზის ნისლი – მხედარი.

„გელა ჯაბუშანური პოეტია; არა ლექსის „კეთების“ ხელოვნებაში ჩახედული, გარკვეული და გაწაფული, არამედ გენით, მოდგმით და ბუნებით პოეტი. აქამდე ჩრდილში დგომა და შეგნებული დუმილიც მისი მწერლური ღირსებისა და პასუხისმგებლობის უდავო დასტურია“ (ამირან არაბული).

* * *

უსასრულობის განცდის გარეშე სიცოცხლე აღარაა სიცოცხლე და აღარც სიკვდილია სიკვდილი – ერთიცა და მეორეც ღმერთის მარადიულ იდუმალებასაა მოკლებული. ამ იდუმალების შეცნობის წყურვილითაა შთაგონებული ამგვარი ფიქრი:

ნაპირი ითხოვს უსასრულობას,
უსასრულობა ეძებს ნაპირებს,
მაკვირვებს ჩემი უსუსურობა,
რომ არაფერი აღარ მაკვირვებს.

ეცნობი გელა ჯაბუშანურის წიგნს და გრძნობ, რომ ამ „უსუსურობაშია“ მისი ძალა და წარმატების მიზეზი; იმასაც იგრძნობ, რომ სამყაროს მშვენიერება ყოფილა და კვლავაც იქნება მისი გაკვირვების მიზეზი.

ბიბლიოთეკა ღია ცის ქვეშ

უფასო ლიტერატურა ღია ცის ქვეშ. ავსტრიის დედაქალაქში ე.წ. „წიგნების ღია კარადა“ დადგეს. ახლა ყველა მკითხველს შეუძლია მოსაბეზრებელ ფორმალობათა გარეშე ნებისმიერი წიგნი აიღოს კარადიდან, მხოლოდ ერთი პირობით — სამაგიეროდ, პირადი კოლექციიდან რაიმე ლიტერატურა უნდა დატოვოს.

ასეთი უჩვეულო პროექტის ავტორი ვენის მკვიდრია — ხელოვანი ფრანკ გასნერი. „ადრე მსგავსი „ბიბლიოთეკები“ იდგა გერმანულ ქალაქებში: ბერლინში, ბონში, მაინცში, ასევე ავსტრიულ ქალაქ გრაცში. ვენის მთელი ღია სივრცე უმეტესად კომერციული სისულელეებიდანაა გადავსებული“, — განაცხადა გასნერმა „წიგნის კარადის“ გახსნისას. მისი თქმით, პროექტი ერთგვარი პასუხია მსგავს „ქალაქურ უაზრობებზე“. „კარადა“ ტროტუარზე დგას და 24 საათის განმავლობაში ღიაა. მასში სამი დიდი თაროა და თითო დაახლოებით 240-მდე წიგნს იტევს. ახალშეტანილი წიგნები საგანგებო ეტიკეტით აღინიშნება, რაც მკითხველს ნაწარმოების არჩევისას ორიენტირების საშუალებას მისცემს. იმისათვის, რომ „ბიბლიოთეკა“" თავიდანვე ყოველგვარ სულელურ წიგნთაგან დაეცვათ, ერთმა ინკოგნიტო ორგანიზაციამ საკმაოდ მნიშვნელოვანი კოლექცია შესწირა, რომელშიც „სერფინგის შესავალიც“ და „ავსტრიის ეკოლოგიური ბალანსიც“ აღმოჩნდა.

უამინდობისაგან დასაცავად ორგანიზატორებმა მხოლოდ „კარადის“ დახრილი კონსტრუქცია არ იკმარეს და ორი მინის კარითაც აღჭურვეს. ოფიციალურად ბიბლიოთეკა ა.წ. 11 ივნისამდე იმუშავებს.

გივი გამრეკელი

დიდოსტატის მასტერკლასი



როდესაც მშვენივრად გამოცემულ წიგნს „პატარა ქვეყნის დიდოსტატი“ აიღებ ხელში, ჯერ ამას იფიქრებ, ნეტა ყველა ქართველი იუბილარი ასეთ საჩუქარს ეღირსებოდესო. შემდეგ უკვე რომ გადაფურცლავ, დარწმუნდები, ფორმას შინაარსიც სავსებით შეესაბამება, უამრავ საინტერესო ფაქტს გაეცნობი, ბევრსაც გაიხსენებ. გასახსენებელი კი, იცოცხლეთ, ბევრია – ზურაბ აზმაიფარაშვილმა, რომელიც „სულ“ 50 წლისაა, მეტად მღელვარე საჭადრაკო (და არა მარტო საჭადრაკო!) გზა გაიარა, ამასთან, მრავალ საჭადრაკო წარმატებასთან ერთად ბევრი შხამი და სამსალაც შეხვდა. ანდრეი ბელი ამბობდა: „ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი უნდა გაიქირდოს“. თუმცა, გვეყოფა, ამ გაქირდვაზე და გზის გამრუდებაზე დღეს მეტს ნუღარ ვილაპარაკებთ, გავიხსენოთ ის, რაც სიხარულითა და სიამოვნებით გასახსენებელია.

ძალიან კარგია, რომ წიგნს მშვენივრად შედგენილი დოსიეც დაერთო – სად როგორ ითამაშა, სად როგორი შედეგები ჰქონდა. შემდეგ უკვე მოკლე, მეტად ოსტატურად შედგენილი ბიოგრაფიაა, რასაც 50 საუკეთესო პარტიაც დაერთვის. ეს დიდი მოჭადრაკის შემოქმედების მხოლოდ ერთი ნაწილია, ორი იმდენი პარტია უკვე ზურაბ აზმაიფარაშვილისადმი მიძღვნილ მომდევნო წიგნებში დაიბეჭდება. მივიღებთ მართლაც სრულყოფილ ნაშრომს, სწორედ ისეთს, როგორიც საქართველოს ყველა დროის უძლიერეს მოჭადრაკეს რომ ეკადრება. ისე კი ძალიან კარგი იქნებოდა, თუ შევქმნიდით საქართველოს წამყვანი ვაჟი დიდოსტატების მთელ „ბიბლიოთეკას“. ძალიან ცოტა რამ მიუძღვნა ანდრია დადიანს, ის კი გაცილებით მეტის ღირსი იყო, განა დღეისათვის კარგად არის ცნობილი ვიქტორ გოგლიძის, არჩილ ებრალიძის, ბუხუტი გურგენიძის და სხვათა შემოქმედება?

როცა ზურაბ აზმაიფარაშვილზეა ლაპარაკი, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ მისი დიდი პრაქტიკული ძალა. თავი დავანებოთ მის მიერ მოგებულ ბევრ საერთაშორისო ტურნირს, თუმცა მათ გარეშე ქართველი დიდოსტატი მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების პირველ ათეულში ვერ მოხვდებოდა. როგორ შეიძლება იმ სიხარულის დავიწყება, რომელიც მან 2003 წელს ევროპის ჩემპიონის წოდების მოპოვებით მოგვიტანა. ამასთან, გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც – ზურაბმა ხომ დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ევროპის ჩემპიონობა იმ წელს სწორედ რომ მას ეკუთვნოდა. რას აფასებენ ჭადრაკში ევროპის ჩემპიონობაზე უფრო მაღლა? მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონობას! ჩვენი აზრით, ისეთი ნიჭის პატრონს, როგორიც ზურაბია, მისთვისაც შეეძლო გაბრძოლება, თუმცა საბოლოოდ ისე მოხდა, რომ გარი კასპაროვს სავსებით რეალურად დაეხმარა ანატოლი კარპოვთან მეტად ხანგრძლივ, ტიტანურ და საბოლოო ანგარიშით, თუ გნებავთ, მომაბეზრებელ შერკინებაზე.

შეიძლება გამოვყოთ რომელიმე, ზურაბის მიერ წარმოდგენილ იმ 50 პარტიაში? გემოვნების საკითხია, მაგრამ მე (ისევე, როგორც ბევრი სხვა სპეციალისტიც) პირველ რიგში მაინც საბჭოთა კავშირის 50-ე ჩემპიონატში, მოსკოვში 1983 წელს ანატოლი კარპოვთან ნათამაშევ პარტიას ვამჯობინებდი. დავაკვირდეთ, პარტიის დასაწყისში მოყვანილია მეტოქეების იმდროინდელი რეიტინგები – მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კარპოვი – 2710 (იმ დროისათვის სრულიად სარეკორდო) – 23 წლის ოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი – 2455. ეს პარტია ნამდვილი შედევრია. ამაში კვალიფიცირებული მკითხველი თავადაც დარწმუნდება, თუმცა შეხვედრის ქვეტექსტებში დღევანდელი გულშემატკივარი ისე იოლად შეიძლება ვერც კი გაერკვეს. საქმე ის არის, რომ არაოფიციალური „განკარგულებით“ კარპოვთან მოგება არავის შეეძლო. როგორ, განა მსოფლიო ჩემპიონი ათასში ერთხელ მაინც არავისთან აგებს? აგებს, როგორ არა, მაგრამ ეს ხომ საერთაშორისო ტურნირებში, რომელიმე უცხოელ დიდოსტატთან ხდებოდა. მათთან ხელი ვერ მიუწვდებოდათ, მაგრამ აბა ერთი ყოვლისშემძლე კარპოვი რომელიმე საბჭოთა მოჭადრაკეს გაეანაწყენებინა?! მთელმა საჭადრაკო სამყარომ კარგად იცოდა, რა ბედი ელოდა მას – ყველგან გზას გადაუკეტავდნენ, პრესტიჟულ ტურნირებს ვინ ჩივის, შეეძლოთ იქაც არ მიეწვიათ, სადაც იქამდე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე თამაშობდა. და აი ზურაბმა გაბედა და კარპოვი, როგორც იტყვიან, „წამოიკიდა“. რამდენი უსიამოვნება შეამთხვიეს მას! როცა მმართველი საჭადრაკო ორგანიზაციები ჩამოეხსნენ თუ მოეშვნენ, შემდეგ თვით კარპოვმა გამოიდო თავი, სიჯიუტე და ბოღმა ხომ არ აკლია! იქ, სადაც კარპოვი თამაშობდა, იგი მოითხოვდა, რომ აზმაიფარაშვილი, უბრალოდ არ დაეშვათ. საბაბი მიამიტური იყო, ჩემს მეტოქეებს ქულას მისცემსო, რაც ზურაბს არასოდეს გაუკეთებია.

ზურაბზე ჩვენ შეგვიძლია გაუთავებლად ვისაუბროთ, ახლა კი გვეშინია, ამ მშვენიერ წიგნზე მეტი არ გამოგვივიდეს. თუმცა ერთ კითხვას მაინც გვერდს ვერ ავუხვევთ – ადრე ხომ არ დაანება თავი პრაქტიკულ გამოსვლებს და გადაერთო სამწვრთნელო საქმიანობაზე, სადაც დიდი ფხა გამოიჩინა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, აზერბაიჯანის ნაკრები, რომელიც მანამდე დიდი არაფრით გამოირჩეოდა (როგორც ამბობენ, მოჭადრაკენი ერთმანეთს „ჭამდნენ“) ზურაბმა ისე შეადუღაბა, რომ იგი ევროპის ჩემპიონი გახდა. ისიც ვთქვათ, რომ თუ აქამდე მსოფლიოს უძლიერესი მო-

ჭადრაკეების რიცხვში მხოლოდ თეიმურ რაჯაბოვი შედიოდა, ახლა მას გვერდში ვუღარ გაშიმოვიც ამოუდგა. როგორ გვინდოდა, მსგავსი შედეგებისათვის ზურაბის (და მხოლოდ და მხოლოდ ზურაბის) ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებსაც მიეღწია, ხოლო ბაადურ ჯობავას, მას კი ნამდვილად შესწევს ამის უნარი, დღევანდელი აზერბაიჯანის სუპერვარსკვლავებისათვის გადაესწრო! რაც შეეხება პრაქტიკული თამაშისათვის თავის დანებებას, ეს პირობითია – ზურაბი მონაწილეობს სხვადასხვა შეჯიბრებაში და კარგს იზამს, თუ საქართველოს მომდევნო ჩემპიონატებში, როგორც ახლა მოდური გამოთქმა გახდა, „მასტერკლასებს“ გამართავს.

„პატარა ქვეყნის დიდოსტატი“, რომელიც ასე მომეწონა, ჩემი საჭადრაკო ბიბლიოთეკის (არ გაგიკვირდეთ, იგი 1500 წიგნს შეიცავს!) მაღალ თაროზე მოვათავსე, თანაც ისე, რომ ყოველ წუთს შემეძლოს მისი გადაფურცვლა. ხომ მშვენივრად თქვა ჟან-პოლმა: „მოგონებანი – ეს არის ერთადერთი სამოთხე, საიდანაც ჩვენ ვერავინ გაგვაძევებს“. ჩვენ კი დაველოდოთ იმ დროს, როცა მას ორი დაპირებული თანამგზავრიც გვერდში ამოუდგება.

უცხოური ნოველა

ჯეიმს ტარბერი (1894-1961) — ამერიკელი იუმორისტი მწერალი. სახელი გაითქვა ნოველებითა და ნარკვევებით, ასევე კარიკატურების ხატვით. მისი სამწერლო კარიერა საკმაოდ უცნაურად დაიწყო. ერთხელ, თამაშისას, მისმა ძმამ უილიამმა ჯეიმზს თვალში ისარი მოარტყა. ექიმებმა თვალის შენარჩუნება ვერ შეძლეს. დათრგუნული ჯეიმზი შინ იჯდა და საკუთარი განცდები ქაღალდზე გადაჰქონდა. მისი, როგორც კარიკატურისტის კარიერაც უჩვეულოდ დაიწყო. მისი ნახატები შინაურებმა სანაგვე ყუთში იპოვეს და გამოსაქვეყნებლად მიიტანეს.

ტარბერი გაზეთებთან თანამშრომლობდა. ერთ-ერთ ყოველკვირეულ გაზეთში ჰქონდა საკუთარი სვეტი, სადაც მიმოიხილავდა წიგნებს, პრესას, ფილმებს. სვეტის სათაური იყო „მრწამსი და კურიოზი“.

„მისტერ ფრებლი ცოლს გაურბის“ თარგმნილია წიგნიდან „50 საუკეთესო ამერიკული ნოველა“.

ჯეიმზ ტარბერი

მისტერ ფრებლი ცოლს გაურბის

მისტერ ფრებლი შუახნის მსუქანი ადვოკატია სდარსდალში. მას მრავალჯერ უცდია ეცდუნებინა მისი მბეჭდავი, რომ ერთად გაქცეულიყვნენ. — მოდი, გავიქცეთ, — ეუბნებოდა ადვოკატი, როდესაც კარნახისას მცირე პაუზას მოიხელთებდა. — კარგი! — თანხმდებოდა მბეჭდავიც.

ერთ წვიმიან დღეს მისტერ ფრებლი ჩვეულებრივზე სერიოზულად ალაპარაკდა:

— ერთად გავიქცეთ, — თქვა მან.

— გავიქცეთ, — უპასუხა მბეჭდავმა.

მისტერ ფრებლმა ჯიბეში გასაღებების ასხმულა ააჩხრიალა და ფანჯარაში გაიხედა.

— ჩემი მეუღლე მოხარული იქნება, თუ თავიდან მომიცილებს.

— გაყრაზე დაგთანხმდება? — ჰკითხა მბეჭდავმა.

— არა მგონია.

მბეჭდავს გაეცინა და დააყოლა:

— მგონი თვითონ გსურს მეუღლის თავიდან მოცილება.

ვახშმობისას მისტერ ფრებლი უჩვეულოდ დუმდა. საათნახევრის შემდეგ, როცა ყავა მიირთვეს, მან საუბარი ისე წამოიწყო, გაზეთიდან თავი არ აუწევია.

— მოდი, სარდაფში ჩავიდეთ.

— რისთვის? — იკითხა ცოლმა ისე, რომ წიგნისთვის თვალი არ მოუცილებია.

— იქ არასდროს ვყოფილვართ.

— სარდაფში ჩაუსვლელადაც შეიძლება ცხოვრების უკეთ მოწყობა, — თქვა მისის ფრებლმა.

მისტერ ფრებლი რამდენიმე წუთს დადუმდა.

— ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, — განაგრძო საუბარი კაცმა.

— რა გემართება? — ვერაფერს ხვდებოდა ცოლი. — იქ ცივა და თანაც არაფერია გასაკეთებელი.

— შეგვეძლო ნახშირის ნატეხები მოგვეკრიფა და რაიმე გვეთამაშა, — თქვა მისტერ ფრებლმა.

— თამაში არ მსურს, — უპასუხა ცოლმა, — ვერ ხედავ, ვკითხულობ.

— მისმინე, — თქვა მისტერ ფრებლმა, — რატომ არ გინდა სარდაფში ჩასვლა? იქაც შეგიძლია წაიკითხო.

— იქ კითხვისთვის საკმარისი განათება არაა. სარდაფში ჩასვლას კი საერთოდ არ ვაპირებ. დანარჩენი თვითონ გადაწყვიტე.

მისტერ ფრებლმა ამოიოხრა და ხალიჩის კიდეს ფეხი წაჰკრა.

— სხვისი ცოლები სიამოვნებით ჩადიან სარდაფში. სამსახურიდან დაღლილი ვბრუნდები, შენ კი ჩემთან ერთად სარდაფში ჩამოსვლაც არ გინდა. ღმერთო ჩემო, სარდაფი ხომ შორს არაა, კინოში ან სადმე მსგავს ადგილას წასვლას ხომ არ გთხოვ?

— არსად მინდა წასვლა! — იყვირა მისის ფრებლმა.

მისტერ ფრებლი დივანის კიდეზე ჩამოჯდა.

— კარგი, კარგი, — თქვა და კვლავ გაზეთს მიუბრუნდა, — ნება მომეცი, რაღაც გითხრა, ეს ნამდვილად მოულოდნელი იქნება შენთვის.

— კიდევ დიდხანს უნდა ილაყბო?

— მომისმინე, — თქვა მისტერ ფრებლმა და ფეხი მოინაცვლა, — მირჩევნია სიმართლე გითხრა, ვიდრე ბუჩქის ირგვლივ ვირბინო. შენგან მინდა გათავისუფლება, ჩემს მბეჭდავზე უნდა ვიქორწინო. განა რამეს ვაშავებ ამით? სიყვარული ისეთი გრძნობაა, ლაგამს ვერ ამოსდებ.

— რაღაც ამდაგვარი ადრეც გითქვამს, — თქვა მისის ფრებლმა, — აღარ მინდა ამის ხელახლა მოსმენა.

— უბრალოდ, მინდოდა გცოდნოდა, თუ რას ვფიქრობ, — თქვა მისტერ ფრებლმა, — მაგრამ შენ ყველაფერი დაიჯერე. ნუთუ მართლა გეგონა, რომ სარდაფში ჩასვლა და ნახშირით რაღაც სისულელის თამაში მეწადა?

— წუთითაც არ დამიჯერებია, — თქვა მისის ფრებლმა, — ვხვდებოდი, ჩემი სარდაფში ჩატყუება და ჩაკეტვა გსურდა.

— ყველაფერი მე გითხარი, თორემ ეს აზრადაც არ მოგივიდოდა.

— არა, თვითონ მივხვდი. რატომღაც ყოველთვის წინ ვუსწრებ შენს ფიქრებს.

— ჩემს ფიქრებს არასოდეს მიახლოებიხარ, ოდნავადაც კი.

— ასე გგონია? ამ საღამოს, რაც შინ შემოხვედი, ვიცოდი, რომ ჩემი სარდაფში ჩაკეტვა გინდოდა, — მისის ფრებლმა მეუღლეს თვალები მიანათა.

— მეტისმეტად აზვიადებ, — გაღიზიანებით თქვა მისტერ ფრებლმა, — ვერაფერს მიხვდი. სინამდვილეში ეს სულ ცოტა ხნის წინათ მოვიფიქრე.

— არა, ეგ აზრი ქვეცნობიერად იყო შენში. ეტყობა, იმ მგრძნობიარე ქალმა შთაგაგონა.

— სარკაზმი საჭირო არაა, — თქვა მისტერ ფრებლმა, — მისი რჩევა ნამდვილად არ მჭირდება, ისედაც უამრავი მრჩეველი მყავს. მან ამის შესახებ არაფერი იცის. ვაპირებდი მისთვის მეთქვა, მეგობრების მოსანახულებლად წავიდა და გზად კლდიდან გადაიჩეხა-მეთქი. ის მთხოვს, რომ გაგეყარო...

მხატვარი ნინო მამაცაშვილი

— სასაცილოა, — თქვა მისის ფრებლმა, — ეს უბრალოდ სასაცილოა. შენ შეიძლება სარდაფში ჩამკეტო, მაგრამ გაყრაზე არასოდეს დაგთანხმდები.

— ეს იცის. ვუთხარი, რომ მე ვგულისხმობ... მოკლედ ვუთხარი, რომ ვერ გავიყრებოდით.

— ჩემი ჩაკეტვის ამბავი უკვე ამცნე?

— უმჯობესია, ეს ჩვენს შორის დარჩეს. გრძნობებზე არასოდეს გვისაუბრია, არც ვაპირებ.

— შეგიძლია მთელ მსოფლიოს გააგებინო. არაფერი მითხრა, ისედაც კარგად გიცნობ, — თქვა მისის ფრებლმა.

მისტერ ფრებლმა სიგარეტს მოუკიდა და თქვა:

— ნეტავ ეს საქმე უკვე მოთავებული მქონდეს.

— ყოველთვის ხველება გიტყდება, როცა ასეთ სულელურ თემებზე ლაპარაკობ. რატომ არ მიდიხარ დასაძინებლად? ტყუილუბრალოდ იტანჯავ თავს.

— დანოლას არ ვაპირებ, მხოლოდ სარდაფში შენს ჩაკეტვაზე ვფიქრობ. ამაზე ნათლად როგორღა გაგაგებინო?!

— მისმინე! — იყვირა მისის ფრებლმა და წიგნი ძირს დაახეთქა, — სარდაფში თუ ჩავალ, დაწყნარდები?! მაშინ მეღირსება სიმშვიდე?! დამტოვებ მარტო?!

— კი, — თქვა მისტერ ფრებლმა, — მაგრამ შენი საქციელით ყველაფერს აფუჭებ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ყოველთვის მე ვაფუჭებ ყველაფერს. კითხვა შევწყვიტე, ვერასდროს ვიგებ, ესა თუ ის ამბავი როგორ მთავრდება, მაგრამ ეს შენთვის არაფერს ნიშნავს.

— გინდა წიგნის კითხვა განაგრძო? — ჰკითხა მისტერ ფრებლმა და თან სარდაფის კარი გააღო, — პირველი ჩადი.

— ოოხ! — ამოიოხრა მისის ფრებლმა და კიბეს ჩაუყვა, — წლის ამ დროს აქ ძალიან ცივა. სხვა ქმრები ცოლებს სარდაფში ზაფხულობით კეტავენ.

— ეს შენს სურვილზე არაა დამოკიდებული, — თქვა მისტერ ფრებლმა, — ის ქალი გვიან შემოდგომამდე არ შემიყვარდება.

— ახალგაზრდობაშივე ნებისმიერი შეიყვარებდა. ის ქალი წლებია შენს ირგვლივ ტრიალებს. ვერაფრით ვხვდები, რატომ დგანან სხვა მამაკაცები ყოველთვის შენზე მაღლა. აქ სიბინძურეა, რას აპირებ?

— მინდა თავში ნიჩაბი ჩაგარტყა.

— მართლა? გირჩევ ეგ აზრი თავიდან ამოიგდო. შენ რა, გამომძიებელს სამხილი გინდა ჩაუგდო ხელში? გადი ქუჩაში და რკინის ნაჭერი იპოვე, ან კიდევ რაიმე, რაიმე, რაც შენ არ გეკუთვნის.

— კარგი, მაგრამ ქუჩაში რკინის ნაჭერს სად მოვნახავ?

— თუ კარგად მოძებნი, აუცილებლად იპოვნი. ნუ დაიგვიანებ. — არ ვაპირებ მთელ საღამოს ცივ სარდაფში დგომას.

— კარგი, მალე დავბრუნდები.

— გასვლისას კარი გაიკეტე! — გაჰყვირა მისის ფრებლმა, — რა არის, ბეღელში ხარ გაზრდილი?!

ინგლისურიდან თარგმნა
სოფიკო დაუშვილმა

* * *

ოქტომბერი იწურება.

აკაკი შანიძე პეტროგრადში იმყოფება. დილიდან გვიანობამდე ბიბლიოთეკიდან არ გამოდის და მაინც სულ ეჩვენება, რომ ისეთი უჯიათობით ვერ შრომობს, როგორც მოეთხოვება მისი ბედკრული ქვეყნის შვილს.

ახლაც იქით მიეჩქარება.

ხედავს, დიდძალი ხალხი მოარღვევს ქუჩას. შეფიქრიანდება, არ გადამთელონო, სადარბაზოში შეასწრებს და იქიდან შემოჰყვირებთ: რა ხდებაო?

– რევოლუციაა, რევოლუცია, – აღტკინებული ხმები გაისმის, – მეფის ხელისუფლება დაემხო და ძალაუფლებას ხალხი დაეპატრონა!..

მალე მიხვდებოდნენ, თუ რა მორალისა და გონების ადამიანები შენაცვლებოდნენ მონარქიას, მეფის მმართველობა სანატრელი რომ გაუხდებოდათ და ვალალს მოჰყვებოდნენ, ეს ვის გავუკაფეთ გზა ხელისუფლებისკენო.

– ააა, რევოლუცია? – მხოლოდ ამას ჩაილაპარაკებს აკაკი შანიძე და, ბრბო რომ ჩაურბენს, კვლავ ბიბლიოთეკისაკენ გასწევს.

ესეც მისი სულიერი მოთხოვნილება: საქმე – ყოველწუთს, ყოველწამს...

და არავის გაუკვირდება, თუკი გზად მიმავალი ამ სტრიქონებს მარცვლავდა გუნებაში და ლექსის კომპოზიციას აგებდა (აკი ლექსებსაც წერდა!): ფრთხილად, ფრთხილად, ქართველებო, ნუ, ნუ აღებთ დარიალსა!..

ესეც მთავარზე მთავარი სულიერი მოთხოვნილება: მამულზე ფიქრი ყოველწუთს, ყოველწამს...

ვაჟა-ფშაველასი არ იყოს: სიზმარშიც ამას ვდუდუნებო...

* * *

ილიკო სუხიშვილს სიტყვების ძებნა არ სჭირდებოდა – თითქოს ჯიბეში ეყარა უხვად, თითქოს საყელოსთან ამოკერებოდა... არ შეცბუნდებოდა, არ დაიბნეოდა, ნირი არ წაუხდებოდა – გამოსავალს ყოველთვის იპოვნიდა...

ისედაც მოხერხებულ კაცს მოსწრებული სიტყვაც ძალიან შველოდა და კიდეც მოაგვარა ისე საქმე, რომ ცეკვის ანსამბლი, სუხიშვილების სახელით რომ შემორჩებოდნენ საქართველოს კულტურულ და საზოგადოებრივ ისტორიას, მსოფლიოს გასტროლებით ჯერ კიდევ მაშინ მოივლიდა, როდესაც საბჭოთა იმპერიის საზღვრები ისე საგულდაგულოდ ჩაკეტილიყო, ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა.

ცეკვით თვითონ აღარ ცეკვავდა და მხოლოდ ორგანიზატორობას კმარობდა.

ნინო რამიშვილი კვლავაც გამოდიოდა სცენაზე – კიდეც ორგანიზატორობდა, კიდეც წვრთნიდა, კიდეც ცეკვავდა.

მეუღლისგან განსხვავებით სიმკაცრეც სჩვეოდა.

დარწმუნებული გახლდათ, რომ უამისოდ მოცეკვავეთა პროფესიონალიზმი გახუნდებოდა, შინაგანი ცეცხლი მოაკლდებოდა და თანდათანობით ვეღარ შეინარჩუნებდა ანსამბლი იმ ხელოვნებასა და შთამბეჭდაობას, განსაკუთრებულ მოვლენად რომ დამკვიდრებულიყვნენ ქვეყნის ცხოვრებაშიც და საერთაშორისო ასპარეზზეც.

მეუღლისაგან კი ყოველთვის მოითხოვდა, რომ თავიდან ბოლომდე დასწრებოდა კონცერტს და შემდეგ მოსაზრებანი გაეზიარებინა.

ილიკო სუხიშვილი თავდაპირველად მორჩილად ეგუებოდა ამ მოთხოვნას, მაგრამ ნელ-ნელა რომ გაბეზრდებოდა ერთი და იმავე საცეკვაო ნომრების გაუსრულებელი ცქერით, ამჯობინებდა გასტროლებისას უცხო ქვეყნების ქალაქები ეთვალიერებინა – როდისღა მიეცემოდა ასეთი მარჯვე შესაძლებლობა. წუთობით ჰქონდა გამოზომილი, თუ როდის უნდა დამთავრებულიყო კონცერტი, და კიდეც შეიჭრებოდა ხოლმე საგრიმიოროში და სიტყვას ყოველთვის ხოტბა-დიდებით იწყებდა: რა ბრწყინვალე იყავი, ნინო, დღესაც რა ბრწყინვალე... და საერთოდაც...

და სათითაოდ ჩამოჰყვებოდა ნომრებსა თუ შემსრულებელთ – მეხსიერებას არ უჩიოდა.

მაგრამ იმ ერთხელ კინაღამ „გამოიჭირეს“, რომ კონცერტის ყურებისათვის ქალაქის თვალიერება ემჯობინებინა.

იმხანად ბუენოს-აირესში ჰქონდათ გამოსვლა?

ჰო, სწორედ არგენტინის დედაქალაქს ახსენებენ ხოლმე.

კაზუსისაგან, მოგეხსენებათ, არავინაა დაზღვეული და... ისე მოხდა, რომ თვით ნინო რამიშვილსაც აუცურდა ფეხი და სცენაზე ჩაიკეცა... მართალია იმ წამს არც მან შეიმჩნია რაიმე და არც ანსამბლის სხვა წევრებს დატყობიათ შეცბუნება და ყოველივე ისე გაგრძელდა, ისეთი თავბრუდამხვევი სილამაზით, როგორც სჩვეოდათ, და დარბაზიც ისევე აზანზარდა ოვაციისაგან, ტრიუმფული გამოსვლებისას არაერთხელ რომ უხილავთ, მაგრამ ცეკვის დედოფალი მაინც მწარედ

განიცდიდა ამ უცაბედ შემთხვევას და გულამღვრეული იჯდა სავარძელში, რომელსაც ახლოს ვერავინ მიკარებოდა.

ილიკომ, აბა, რა იცის, სცენაზე რაც მოხდა.

აჩქარებული ნაბიჯით ბრუნდება სეირნობიდან, შეიჭრება საგრიმიოროში და ჩვეული მანერით იწყებს დითირამბებად დაღვრას: რა ბრწყინვალე იყავი, ნინო, დღესაც რა ბრწყინვალე... და საერთოდაც...

მაგრამ სხვა დროს თუ გულდასმით თუ სახეგადაბადრულნი უსმენდნენ, ამჯერად მეუღლე შეაწყვეტინებს:

– კი მაგრამ, მე ხომ დავეცი სცენაზე!..

და გამომცდელად მიაჩერდება.

ჰა, ამოცნობილია და ეგაა ილიკო სუხიშვილის ფარული ხეტიალი უცხო ქალაქთა ქუჩებში.

მაგრამ იმას აკი ჯიბეში უყრია სიტყვები თუ საყელოსთან ამოკერებია.

და თვით ასეთ გამოუვალ ყოფაშიც, როდესაც თითქოს უნდა დაიბნე და საცოდავად აბლუკუნდე, და მოჰყვე მტკიცებას, რომ ამ ერთხელ, ერთადერთხელ გაცთუნა ქალაქის დათვალიერების სურვილმა და კონცერტზე დასწრებას გარეთ ხეტიალი არჩია... მტკიცებას, რომელსაც ძნელად დააჯერებ გულმოსულ მეუღლეს, ილიკო ვითომც არაფერიო:

– მერე როგორ ადექი!

და ხელს ისე შემართავდა და სახეზეც ისეთი აღტაცება აღებეჭდებოდა, თითქოს ეს კაზუსი ჩაფიქრებული ყოფილიყოს, რათა ნინო რამიშვილს კიდევ ერთი მომხიბლავი შტრიხით გაემდიდრებინა თავისი ცეკვის ბრწყინვალება.

...არადა, უკვირდათ, როგორ ახერხებს ილიკო სუხიშვილი, ამდენ ხანს შეუნარჩუნოს ანსამბლს ავტორიტეტი და გავლენაო.

* * *

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში შევდივარ და გურამ შარაძესაც შევეჩეხები.

მე იქვე უნდა შევუხვიო – ფოლკლორისტიკის განყოფილებაში, ის მეორე სართულზე აპირებს ასვლას, ჩვეულებისამებრ რაღაცაზე ჩაფიქრებული, მაგრამ დამინახავს თუ არა, მკლავზე წამავლებს ხელს და, გვერდით რომ მივდგებით, თვალებაციმციმებული მამცნობს, რომ ახალი მასალები მოიპოვა კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობის ირგვლივ.

მხატვარი ბადრი გაგნიძე

– ვიცი ძალიან გაინტერესებს ასეთი რაღაცები და, ვერ ვითმენ, რომ არ მოგიყვე, – და სხვადასხვა მოგონებაზე დაყრდნობით იწყებს თხრობას იმ შემზარავი უკანასკნელი დღისა, როდესაც პაწია, ბლაგვი დანით საქართველოს პარლამენტის დამხობილმა თავმჯდომარემ თანდათან შეაღწია საკუთარ გულამდე... და თუმც მიუსწრეს და მის გადარჩენასაც შეეცადნენ, არაფრისდიდებით არ თანხმდებოდა: სიკვდილი მინდა და დამანებეთ, დროზე გამოვეთხოვო სიცოცხლეს, უეცარი აფექტის ბრალი არ ყოფილა, სავსებით შეგნებულად მაქვს გადაწყვეტილიო.

დამნაშავედ მიიჩნევდა თავს 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის ტრაგედიაში, ქაქუცა ჩოლოყაშვილს ყოველმხრივ რომ შეუშალა ხელი ჩვენმა ემიგრანტულმა მთავრობამ, აჯანყება ბუნებრივი გზით წარმართულიყო, უხეშად ჩაერივნენ, აურდაურიეს ყველაფერი და... ამხელა ცოდვაც აიკიდეს.

თუ სხვანი სულაც არ მიიჩნევდნენ თავს ბრალეულად, კარლო ჩხეიძემ მთელი ცოდვა საკუთარ თავზე აიღო, თვითგვემას ვეღარ გაუძლო, თვითგასამართლებას მიჰყო ხელი და სასტიკი განაჩენიც თვითვე აღასრულა.

გურამ შარაძე ამ ყოველივეს გულისშემძვრელი პათოსით მიამბობდა და თითქოს თვალნათლივ ხედავდა იმ სურათებს, რომელიც ერთი კაცის ცხოვრების მიმწუხრიდან ქვეყნის ბედისწერას ეწვნოდა და ამ განზოგადებას ძალდაუტანებლად იძენდა.

მოყოლას რომ დაასრულებს და გამომემშვიდობება, ამ სიტყვასაც დამიტოვებს, მანამდეც არაერთხელ რომ მსმენია: ხომ იცი, თუ რაიმე დაგჭირდეს, ყოველთვის მზად ვარ შენთვისო, – და კიდეც მოუწვდია არაერთი საგულისხმო ცნობა თუ მასალა.

ასე ნახევარი საათის შემდეგ მეც მომიწევდა მეორე სართულზე ასვლა. დერეფანში კვლავ შევეყრებოდი, მაგრამ შეჩერებას აღარც ვიფიქრებდი, ისე გავწევდი წინ.

მაგრამ ბატონი გურამი შემაყოვნებს, დიდი ამბით მესალმება, მომიკითხავს და მხურვალედ მპირდება: ხომ იცი, თუ რაიმე დაგჭირდესო...

გაოცებული შევყურებ.

„ეტყობა, მუშაობისაგან ძალიან იღლება... ახლა არ იყო, ამდენ ხანს რომ მელაპარაკა?.. ალბათ ამოუვარდა მეხსიერებიდან“.

თავაზიანად ვუსმენ, ვპასუხობ, მადლობას ვუხდი.

მოგვიანებით ამიხსნის ამ საქციელის მიზეზს.

თურმე რა დაღლილობა, რომელი მეხსიერებიდან ამოვარდნა...

– მაშინ ისე რომ შეგხვდი, თითქოს დიდი ხანია არ მენახე. ეს იმიტომ, რომ დერეფანში უამრავი ხალხი ირეოდა და იმათ რა იცოდნენ, ქვემოთ დიდხანსაც რომ შევყევით ლაპარაკს. რატომ უნდა ეფიქრა ვინმეს, რომ უბრად ვართ. აბა, სად გამომეცხადებინა – ერთხელ უკვე მივესალმეთ, ბევრიც ვისაუბრეთ და ახლა მდუმარედ ამიტომაც ვუვლით გვერდს ერთმანეთს-მეთქი.

„ააა“.

– ხომ იცი, ათასი ჭკუის ადამიანია, ვინ რა კუდს გამოაბამს, ვინ სად როგორ წაიღებს... ბესარიონ ჟღენტმა იცოდა ასე – სამჯერაც და ოთხჯერაც რომ შეხვედროდით ერთმანეთს, ყოველთვის ხელს ჩამოგართმევდა და მოგიკითხავდა... თავიდან მეც მიკვირდა და მეგონა, რომ მეხსიერება ღალატობდა. მერე თვითონვე გამარკვია – ყველას ხომ არ დაუნახავს ჩვენი მისალმება, ამიტომაც თავის დაზღვევა სჯობსო.

ასეა, როდესაც ყოველ წუთს, ყოველ წამს რაღაც უხილავი მზერის წინაშე გრძნობ თავს და სულ ფეხის დადებას მოელი.

რატომ იფიქრონ, რომ უბრად ვართო...

ისე მართალია – რაც არ არის, რატომ უნდა ეგონოთ.

დაკარგული ბარათები

ომში გაწვეული პიანისტი ფრონტიდან ამცნობს თავის ცოლს, რომ ხელები დაუსახიჩრდა და ვეღარასოდეს ვეღარ შეძლებს დაკვრას (მარცხენა ხელზე დაკარგა ნეკი და მარჯვენაზე მოეყინა სამივე შუათითი). მწარედ ოხუნჯობს, ჩემთვის ახლა ყველაზე იოლია სროლა, მაგრამ მთელი დარჩენილი სიცოცხლე სროლას ხომ არ მოვუნდებიო?

მერე დასძენს: „კურტ ჰანკე – მე მგონი, უნდა გახსოვდეს, – რვა დღის წინათ, ღია ცის ქვეშ, უკრავდა „აპასიონატას“. განა ყოველდღე ხდება, რომ როიალმა თავი ამოყოს ქუჩაში? სახლი აუფეთქებიათ, მაგრამ ინსტრუმენტი, ალბათ, დაენანათ და გარეთ გამოათრიეს. ყოველი ჯარისკაცი, ვინც კი გვერდით ჩაუვლიდა, ურახუნებდა კლავიშებს. ერთი მითხარი, კიდევ სად ნახავ როიალს ეგრევე ქუჩაში? მგონი, უკვე მოგწერე, რა გადასარევად უკრავდა 4 იანვარს ჰანკე. ეს ბიჭი თუკი დაბრუნდა ფრონტიდან, უთუოდ გაითქვამს სახელს. არასოდეს დამავიწყდება ეს წუთები. მისთა მსმენელთა ამბავი ხომ ერთ რამედ ღირს! ძალზე საწყენია, რომ მწერალი არა ვარ, რათა მჭევრმეტყველი სიტყვებით გადმომეცა, საბნებში გახვეული ასამდე ჯარისკაცი როგორ იჯდა გასუსული და უსმენდა მუსიკას. ირგვლივ იდგა ჭურვების გრუხუნი, მაგრამ ამას არავინ აქცევდა ყურადღებას. უსმენდნენ ბეთჰოვენს და ეგებ არც ესმოდათ იგი“.

სტალინგრადი, 1942 წელი

ნანობს, მწერალი არა ვარო, მაგრამ ზემოთ დამოწმებული სიუჟეტი ყოფილი პიანისტის ბარათიდან რომელ მწერალს არ შეშურდებოდა?! დიახ, ზოგჯერაც კარგად დანახული ცხოვრებისეული სინამდვილე, გადმოცემული უბრალო სიტყვებით, არაფრით ჩამოუვარდება ხოლმე თუნდაც უნიჭიერესი მწერლის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფს.

...იმ დღეებში, როდესაც მთავრდებოდა სტალინგრადთან ალყაშემორტყმული მე-6 არმიის განადგურება, ერთ-ერთი ბოლო გერმანული თვითმფრინავით წაღებულ იქნა ფოსტა. თვითმფრინავი მშვიდობით დაეშვა ნოვოჩერკასკში. ფოსტა შეიცავდა შვიდ ტომარას და მთლიანად იქნა კონფისკებული უმაღლესი სარდლობის მიერ.

ბარათებს ადრესატებამდე მისვლა არ ეწერათ. უფრო მეტიც – სახელები როგორც ადრესატთა, ასევე ავტორთა, შემდგომში მოსპეს. ტარდებოდა პროპაგანდისტული აქცია. ბარათებს უნდა აემაღლებინათ ჰიტლერული არმიის სულისკვეთება. პროპაგანდის სამინისტროს თვალსაჩინო ფუნქციონერს დაევალა, რომ ამ ბარათების საფუძველზე შეექმნა დოკუმენტური მონათხრობი სტალინგრადის ბრძოლის შესახებ. წიგნი შედგენილ იქნა, მაგრამ პროპაგანდის მინისტრმა გებელსმა აკრძალა მისი გამოცემა, როგორც მავნე თხზულებისა გერმანელი ხალხისათვის, ვინაიდან ბარათებიდან ირკვეოდა, რომ ომს იწონებდა სტალინგრადში განწირულ მეომართა მხოლოდ და მხოლოდ ორი პროცენტი.

და აი, ნახევარი საუკუნის შემდეგ გამოცემულ იქნა გებელსის მიერ აკრძალული წიგნი. უპრეცედენტო მოვლენაა, რომ ყველას, ვისაც არ დაეზარება, შეუძლია სტალინგრადიდან გერმანიაში გაგზავნილი ბარათების წაკითხვა, ყველას შეუძლია იმათ გარდა, ვისაც უნდა წაეკითხა ისინი.

სწორედ ამ უამრავ დაკარგულ ბარათთაგან ერთ-ერთში არის მოთხრობილი ამბავი იმისა, თუ როგორ უკრავდა გერმანელი ჯარისკაცი ბეთჰოვენის „აპასიონატას“ ალყაშემორტყმული სტალინგრადის ქუჩაში გამოტანილ როიალზე და როგორ უსმენდა მას საბნებში გახვეული ასამდე ჯარისკაცი, სასიკვდილოდ ანდა, უკეთეს შემთხვევაში, საციმბიროდ რომ განწირა სამშობლომ.

ახლა რჩეული ციტატები სხვა დაკარგული ბარათებიდან:

„ჩვენ აქ, ვოლგის პირას, ვდგავართ მცველებად თქვენთვის და ჩვენი სამშობლოსათვის. თუკი ჩვენ აქედან უკან დავიხევთ, რუსები გაარღვევენ ფრონტს და ყველაფერს გაანადგურებენ... მაგრამ გერმანიას მრავალი ჯარისკაცი ჰყავს და ისინი იცავენ სამშობლოს. ჩვენ ყველანი ვოცნებობთ იმაზე, რომ მალე მოვიდეს მშვიდობა და ჩვენ გავიმარჯვოთ – ეს არის ახლა მთავარი. ჩვენ უეჭველად გავიმარჯვებთ და გერმანია გაბრწყინდება!

...აქედან ორი გზაა, ერთი მიდის ზეცაში და მეორე – ციმბირში.

...ადამიანები აქ კვდებიან შიმშილით და სასტიკი ყინვით; სიკვდილი აქ უბრალოდ ბიოლოგიური ფაქტია, ისევე როგორც საჭმელ-სასმელი.

...ბუზებივით იხოცებიან და არავინ ზრუნავს, რომ მიწას მიაბაროს ისინი. ყველგან ყრია უფეხონი, უხელონი, უსინათლონი, გამოშიგნულნი. ამაზე ფილმი უნდა გაკეთდეს, რათა სამუდამოდ მოისპოს ლეგენდა „მშვენიერი სიკვდილისა“.

...აქ არ იღუპებიან შეძახილით – გაუმარჯოს გერმანიას, გაუმარჯოს ჰიტლერსო. თავისი უკანასკნელი სიტყვებით მომაკვდავი მიმართავს დედას ანდა იმას, ვინც ყველაზე მეტად უყვარდა.

...ილაპარაკო სტალინგრადში ღმერთზე – მაშასადამე უნდა უარყო მისი არსებობა. მე ვეძებდი ღმერთს ყოველ დანგრეულ სახლში, ყოველ კუთხე-კუნჭულში, ვეძებდი სანგარში და ზეცაშიც. მაგრამ ღმერთი ჯერჯერობით არ გამოჩენილა, თუმცა ჩემი გული ევედრებოდა მას, გვიშველეო. დიახ, მამაჩემო, სტალინგრადში ღმერთი არ არსებობს.

...ადვილი სათქმელია, დაყარე იარაღიო. თქვენ როგორ ფიქრობთ, რუსები დაგვინდობენ? თქვენ ხომ ჭკვიანი ადამიანი ბრძანდებით, რატომ არ მოითხოვთ თქვენი მეგობრებისგან, რომ მათ უარი თქვან იარაღის წარმოებაზე?

...მე დავბრუნდები შინ ისეთი, რომ სიხარულს ვერ მოგგვრის. მაგრამ მაინც უნდა გითხრა, რომ ჭრილობის გამო ორივე ფეხი მომკვეთეს. ჩემს გვერდით წევს ერთი ჩვენებური ბრესლაუდან, რომელმაც დაკარგა ხელი და ცხვირი. ცხვირსახოცი აღარ დამჭირდებაო, – მითხრა. კი მაგრამ, რომ ატირდე-მეთქი? არა, ჩვენ ტირილი აღარ მოგვიწევს, ახლა სხვები დაგვიტირებენო.

...აქ, აღმოსავლეთში, სავსებით განვიკურნე. აღარც გაციება მაწუხებს, აღარც სურდო. ესაა ერთადერთი სიკეთე, რაც მომიტანა ამ ომმა.

...როგორც კი პირველი რუსი ჯარისკაცი გამოჩნდება აქ, ავიღებ ჩემს ზურგჩანთას და შევეგებები. ერთ ტყვიასაც არ ვესვრი. რატომ უნდა მოვკლა კაცი, ვისაც არ ვიცნობ? არც თავს მოვიკლავ. რატომ, რისთვის? განა ამით სარგებლობას მოვუტან ვინმეს, ეგებ ბატონ ჰიტლერს?

...ყოველი გონიერი ადამიანისათვის გერმანიაში დადგება დრო, როდესაც ის დაწყევლის ამ ომის სიგიჟეს და შენ კი მიხვდები, რაოდენ ფუჭი იყო შენი სიტყვები სამშობლოს დროშაზე, რომელსაც გამარჯვების დროშად ავაფრიალებდი.

...თუკი შინ დავბრუნდი, ვეღარასოდეს ვეღარ დავიძინებ მშვიდად“.

მერიქიფედ ხომ იდგაო

ესოდენ განათლებული და მწიგნობარი ხელმძღვანელი მოკავშირე რესპუბლიკისა სხვა არავინ ყოფილა უზარმაზარ საბჭოთა იმპერიაში მთელი მისი თითქმის სამოცდაათწლიანი არსებობის მანძილზე. უამრავი საქმითა და საზრუნავით გადატვირთული, თქვენ წარმოიდგინეთ, ლიტერატურისა და ხელოვნებისთვისაც იცლიდა.

ერთ მშვენიერ ღამეს სამსაათიანი სატელეფონო საუბარი ჰქონია გაგრაში დასასვენებლად ჩამოსულ კრემლის მბრძანებელთან... თქვენ გგონიათ, საქართველოში კორუფციის აღმოფხვრის შესახებ საუბრობდნენ? არა, ბატონო, გატაცებით საუბრობდნენ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების თაობაზე!

სტალინი რაღაც-რაღაცეებს უწუნებდა ვაჟა-ფშაველას (ცხადია, თავისი სამრეკლოდან), რესპუბლიკის ხელმძღვანელი კი თავგამოდებით ექომაგებოდა საყვარელ პოეტს. მოდი და ნუ იტყვი, თავს ლომის ხახაში ჰყოფდაო.

ზეპირად იცოდა მთელი გალაკტიონი და საქართველოს ისტორიაც. თურმე ჭკუას კარგავდა ბლოკზე. სიჭაბუკეში თვითონაც წერდა ლექსებს. ერთხანს მწერალთა კავშირს თავმჯდომარეობდა. შემდგომში გულისყურით ადევნებდა თვალს ქართული მწერლობის ასავალ-დასავალს.

გულისხმიერსა და გულმართალ ადამიანს, გარემოებათა წნეხქვეშ, არცთუ იშვიათად ენაცვლებოდა ხოლმე კეთილსინდისიერი ჩინოვნიკი. მაგრამ იმაზე მეტს ნუ მოვთხოვთ, ვიდრე ხელეწიფებოდა. საქართველოს ერთგვარად სასათბურო პირობებში ატმოსფერო მთლად მოსკოვური რომ არ იყო, თუნდაც მცირეოდენი წვლილი მასაც ხომ მიუძღოდა.

ამის დასტურად ერთი მჭევრმეტყველი მაგალითი:

ერთ მშვენიერ დღეს, უკვე ომისშემდგომ ხანაში, ერთ თვალსაჩინო ქართველ პოეტს, როგორც იტყვიან, ყური აუწიეს. პოეტი რატომღაც ძალიან დაფრთხა, თუმცა არაფერი ჰქონდა დასაფრთხობი. უცოდველი იყო ქვეყნისა და ხელისუფლების წინაშე, მაგრამ მაინც დაფრთხა. აიღო და სასწრაფოდ კაი მოზრდილი ლექსი გააშანშალა, სადაც ერთგულებას, ვინ იცის მერამდენედ, ეფიცებოდა, ვისაც ჯერ არს.

რესპუბლიკის ხელმძღვანელს, რასაკვირველია, არ გამოეპარებოდა თვალსაჩინო პოეტის ბაგეთაგან აღმომხდარი რიგგარეშე ფიცი. ფრიად გამჭრიახი გონების პატრონი მყისვე მიხვდა, რა ნესტრით იყო ნაჩხვლეტი თვალსაჩინო პოეტის გული. გულიანად გაეცინა და გაოცებით წარმოთქვა: ასე რომ მოუქაჩლებია თავი, ნეტავი რაში სჭირდებოდაო?! (რომ ვთარგმნოთ: საკავშირო კამპანიას გამოვეხმაურეთ და ცოტაზე ყური ავუწიეთ, ხომ არ ვიჭერდით, ხომ არ ვხვრეტდითო?!). ანა ახმატოვასი არ იყოს, უკვე ვეგეტარიანული ეპოქა იდგა. სისხლის მდინარეთა მაგივრად სისხლის წვეთები მოწანწკარებდა.

ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში დასრულდა ამ კაიკაცის პოლიტიკური კარიერა. შეეწირა სტალინ-ბერიას დაპირისპირებას, რამაც თავი იჩინა გასული საუკუნის 40-იანი წლების მიწურულში. თბილისური მითქმა-მოთქმის თანახმად, ბელადს ჩვეული იუმორით უთქვამს: ბიჭუნა უკვე ცამეტი წლისაა და ფეხი დღემდე ვერ აიდგაო (იგულისხმებოდა, რომ „ბიჭუნა“ ცამეტი წელია ხელმძღვანელობდა მზიურ რესპუბლიკას და, რა უნდა ექნა, ბერიას ფხიზელი მეურვეობის ქვეშ იმყოფებოდა).

მაღალი პოსტიდან ჩამოგდებულმა მეცნიერებაში ჰპოვა თავი. წარმატებით დაიცვა ორივე დისერტაცია და შემდგომში მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტადაც წამოაყენეს. მაგრამ, ვაგლახ, არჩევნებზე ყველამ შავი ჩაუგდო. ასეთი ერთსულოვანი ანტიპათია რით დაიმსახურაო? – უკვირდათ სწავლულთა თუ უსწავლელთა წრეებში.

ერთი ჰუმანიტარული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ახალგაზრდა და ენამოსწრებულმა თანამშრომელმა საუცხოო საბაბი იშოვა თავისი შავი იუმორის გადმოსანთხევად: რა გიკვირთ, თქვე ოჯახაშენებულნო, არჩევნებში ხმა ხომ იმათ უნდა მიეცათ, ვის სისხლსაც ეგა სვამდაო.

სისხლის სმასთან მაგას რა ესაქმებოდაო? – შეეკამათნენ ენამოსწრებულს.

მერიქიფედ ხომ იდგაო! – წარმოთქვა თავისი ენამოსწრებულობით უზომოდ კმაყოფილმა ენამოსწრებულმა.

აქ ისღა შეიძლება ითქვას, რომ ენამოსწრებულის შავი იუმორი, ალბათ, უზენაეს თამადას თუ მოეწონებოდა. მაგრამ ვინღა მიაწვდენდა ხმას იმქვეყნად...

გამომცემლობა „ინტელექტმა“ კიდევ ერთი ახალი წიგნი წარუდგინა საზოგადოებას. გრძელდება „100 ლექსის“ სერიის გამოცემა და მორიგი ზაალ ებანოიძის პოეტური კრებულია.

პრეზენტაცია გახსნა „ინტელექტის“ დირექტორმა კახმეგ კუდავამ. მან შეახსენა მსმენელს ამ სერიის მნიშვნელობა და დანიშნულება: – ჩვენი პრეზენტაციები ერთმანეთისგან განსხვავდება. აქ იქმნება ატმოსფერო, რომელიც გულთბილ და საინტერესო საუბრის სურვილს აჩენს. იმედია, დღევანდელი საღამოც ასეთი იქნება. ეს სერია, მოგეხსენებათ, ძალზე საინტერესო აღმოჩნდა მკითხველისთვის და გაგრძელდება მანამ, სანამ კითხვა ეყვარებათ, და ვინ იცის, იქნებ ბევრს ამ ლექსების კრებულებმა შეაყვაროს კითხვაცო.

ახალი წიგნის შემდგენელმა და რედაქტორმა, მწერალმა ჯემალ მეხრიშვილმა აღნიშნა: – ჩემთვის ზაალი არის საუკეთესო შემოქმედი და სწორედ ამან გადამაწყვეტინა მისი ლექსთა კრებულის წინასიტყვაობა შემედგინაო.

ზაალი ჩემთვის ერთ-ერთი საინტერესო პოეტია. სამწუხაროდ, არ მაქვს საშუალება ყველა მწერლისა თუ პოეტის შემოქმედებას გავეცნო, ზაალის ლექსებმა კი ძალიან დამაინტერესა და დღეს აქ ამიტომ მოვედი, რომ პრეზენტაციას დავსწრებოდი. ალბათ, ამ წიგნშიც იქნება ბევრი საიდუმლოება, რომელთაც მე წაკითხვის შემდეგ ამოვხსნი, – დასძინა ვახტანგ ჯავახაძემ.

„ინტელექტის“ ამ წარმატებულ სერიაზე ისაუბრა ლევან ბრეგაძემ: დღეს ძალიან არაპოეტური ეპოქაა და ეს სამწუხაროა. მართალია, პოეზია მასობრივი ვერ იქნება, მაგრამ ახლა ძალიან ცოტა ადამიანიღა კითხულობს და თუკი ეს ინტერსიურ ხასიათს მიიღებს, ძალზე სამწუხარო იქნებაო.

ამ ახალი კრებულის შესახებ გულითადად და საინტერესოდ ისაუბრეს: ილამაზ მიწიშვილმა, გენო და რენე კალანდიებმა. აღინიშნა „ინტელექტის“ როლი ფასეული ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის. მადლიერება გამოიხატა იმ სადა და პროფესიული გარემოსათვის, წიგნის მოყვარულთ აქ რომ ეგებებიან.

ტრადიციისამებრ, შეხვედრა დაასრულა ახალი წიგნის ავტორმა ზაალ ებანოიძემ.